

საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებანი ადმინისტრაციულ საქმეებზე

2013, №8

საგადასახადო

ღაჯები

1. საბაჟო სამართალდარღვევა

საბიუბელი

1. საბაჟო სამართალდარღვევა

- საბაჟო სამართალდარღვევის ოქმის კანონიერება
- საბაჟო ორგანოს მიერ კონტეინერის ჩამორთმევის კანონიერება
- დაჯარიმება საბაჟო სამართალდარღვევის გამო
- საბაჟო სამართალდარღვევის გამო პასუხისმგებლობის სახეები
- დაჯარიმება საბაჟო დეკლარაციის წარუდგენლობის გამო

2. საგადასახადო პასუხისმგებლობა

- მიწის გადასახადი და იჯარის ქირა
- გადასახადის გადამხდელის სასაქონლო-მატერიალურ ფასეულობათა ინვენტარიზაცია
- საგადასახადო პასუხისმგებლობის გამომრიცხავი გარემოებები
- საშემოსავლო გადასახადით დაბეგვრისაგან გათავისუფლების საფუძველი
- საგადასახადო ვალდებულების უზრუნველყოფა
- საგადასახადო საიდუმლოება
- საგადასახადო სამართალდარღვევის ოქმის კანონიერების შემოწმება
- მიწის გადასახადის ღარიცხვის საფუძველი

საბაჟო სამართალდარღვევის ოქმის კანონიერება

განმარტება

№ბს-584-579(კ-11)

18 ოქტომბერი, 2011 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატა
შემადგენლობა: ნ. წიკლაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ნ. ქადაგიძე,
პ. სილაგაძე

დავის საგანი: ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობა

აღწერილობითი ნაწილი:

მოსარჩელე: შპს „...“

მოპასუხე: საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სსიპ შემოსავლების სამსახურის თბილისის რეგიონული ცენტრი.

სარჩელის სახე: ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 22-ე მუხლით გათვალისწინებული – ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობა.

სარჩელის საგანი: საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის თბილისის რეგიონული ცენტრის 2010 წლის 21 აპრილის № 026187 საბაჟო სამართალდარღვევის ოქმი.

სარჩელის საფუძველი:

ფაქტობრივი – მოპასუხემ არასწორად დააჯარიმა სანარმო საქონლის დროებითი შემოტანისთვის დაწესებული დღგ-ის არასრულად გადახდის გამო, ვინაიდან საერთოდ არ ეკუთვნით 3% გადასახადის გადახდა.

სამართლებრივი – შემოტანილი საქონელი (სასაქონლო კოდი: 88032010000) განეკუთვნება საქართველოს საგადასახადო კოდექსის 230-ე მუხლის I ნაწილის 3² პუნქტით გათვალისწინებულ სამოქალაქო ავიაციისთვის განკუთვნილ საქონელს, რომელიც იმპორტის დროს საბაჟო გადასახდელებისგან განთავისუფლებულია სრულად.

მოპასუხის შესაგებელი: სარჩელი არ ცნო.

ფაქტობრივი – მოსარჩელემ №ც 44997 საბაჟო დეკლარაციით დროებითი შემოტანის საბაჟო რეჟიმში შემოიტანა საქონელი, რომლის შემოტანა იმპორტის გადასახდელების გადახდისაგან განთავისუფლებულია ნაწილობრივ, შესაბამისად მას ეკისრებოდა ვალდებულება სრულად გადაეხადა ამ საქონლის იმპორტის რეჟიმში მოქცევისათვის განკუთვნილი საბაჟო გადასახდელების (გარდა საბაჟო მოსაკრებლისა) 3%.

სამართლებრივი – სანარმოს მიერ შემოტანილი საქონლის დასახელება არ ფიგურირებს საბაჟო კოდექსის 128-ე მუხლის I ნაწილში, სადაც მითითებულია საქონლის დროებითი შემოტანის რეჟიმში იმპორტის გადასახდელების გადახდისაგან სრულად გათავისუფლებული საქონლის ამომწურავი ჩამონათვალი. ხოლო 129-ე მუხლის თანახმად, იმპორტის გადასახდელების გადახდისაგან ნაწილობრივ გათავისუფლებით შესაძლებელია საქონლის დროებითი შემოტანის რეჟიმში მოექცეს უცხოური საქონელი, რომელიც რჩება უცხოური სანარმოს/ორგანიზაციის ან არარეზიდენტი ფიზიკური პირის საკუთრებაში და არ შედის ამ კოდექსის 128-ე მუხლის I ნაწილში მოცემული საქონლის ჩამონათვალში.

საქმის გარემოებები: 2009 წლის 3 აგვისტოს შპს „...“ საბაჟო ორგანოში წარადგინა საბაჟო დეკლარაცია №44997 დროებით შემოტანის რეჟიმში მოქცეულ საქონელზე – თვითმფრინავის 2 ცალ ბორბალზე, სასაქონლო კოდით 88032010000. სანარმოსა და საბაჟო ორგანოს წარმომადგენლებმა დაამოწმეს დეკლარაციის სისწორე და შედგა გადახდის განრიგი. სანარმოს მიერ გადასახდელმა დღგ-ის თანხამ შეადგინა 4713,58 ლარი. 2010 წლის 21 აპრილს საბაჟო ორგანომ საბაჟო კოდექსის 247-ე მუხლის II ნაწილის საფუძველზე შეადგინა საბაჟო სამართალდარღვევის ოქმი №026187, რომლის მიხედვით მოსარჩელე დაჯარიმდა 1000 ლარით, საბაჟო დამუშავების ოპერაციებზე კანონმდებლობით დადგენილი პირობების დარღვევის გამო.

რაიონული /საქალაქო/ სასამართლოს გადაწყვეტილება/სარეზოლუციო/

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიამ 2010 წლის 1 ივლისის გადაწყვეტილებით შპს „...“ სარჩელი დააკმაყოფილა.

სასამართლოს მიერ უდავოდ მიჩნეული ფაქტები:

2009 წლის 3 აგვისტოს შპს „...“ საბაჟო ორგანოში წარადგინა საბაჟო დეკლარაცია №44997 დროებით შემოტანის რეჟიმში მოქცეულ საქონელზე – თვითმფრინავის 2 ცალ ბორბალზე, სასაქონლო კოდით 88032010000.

2010 წლის 21 აპრილს საბაჟო ორგანომ საბაჟო კოდექსის 247-ე მუხლის II ნაწილის საფუძველზე შეადგინა საბაჟო სამართალდარღვევის ოქმი № 026187, რომლის მიხედვით მოსარჩელე დაჯარიმდა 1000 ლარით, საბაჟო დამუშავების ოპერაციებზე კანონმდებლობით დადგენილი პირობების დარღვევის გამო.

მხარეთა მიერ სადავოდ გახდილი ფაქტების შეფასება:

სასამართლოს დასკვნები: საგადასახადო კოდექსის 230-ე მუხლით დადგენილ საშეღავათო რეჟიმში ექცევა საგარეო ეკონომიკური საქმიანობის ეროვნული სასაქონლო ნომენკლატურის სამოქალაქო ავიაციისთვის განკუთვნილი საქონლის იმპორტი, ანუ იმპორტის დროს სამოქალაქო ავიაციისთვის განკუთვნი-

ლი საქონელი სრულად თავისუფლდება გადასახადისგან. საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2009 წლის 8 სექტემბრის №576 ბრძანებით „საგარეო ეკონომიკური საქმიანობის ეროვნული სასაქონლო ნომენკლატურის დამტკიცების თაობაზე“ – დასტურდება, რომ 8803 30 100 00 კოდით /რომლითაც მოსარჩელეს დეკლარირებული აქვს საქონელი/ გათვალისწინებული იმპორტირებული საქონელი მიეკუთვნება სამოქალაქო ავიაციას, რის გამოც საბაჟო ორგანოს სანარმო უნდა მიეჩნია გადასახადისგან გათავისუფლებულ სუბიექტად.

სამართლებრივი შეფასება /კვალიფიკაცია/: სასამართლომ იხელმძღვანელა საბაჟო კოდექსის 247-ე მუხლით, საგადასახადო კოდექსის 230-ე მუხლით, საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2009 წლის 8 სექტემბრის №576 ბრძანებით „საგარეო ეკონომიკური საქმიანობის ეროვნული სასაქონლო ნომენკლატურის დამტკიცების თაობაზე“

აპელანტი: საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სსიპ შემოსავლების სამსახურის თბილისის რეგიონული ცენტრი.

მონინალმდევე მხარე: შპს „...“

აპელაციის საგანი და მოცულობა /ფარგლები/ – თბილისის საქალაქო სასამართლოს 2010 წლის 1 ივლისის გადაწყვეტილების გაუქმება, ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა.

აპელაციის მოტივები:

სამართლებრივი: სასამართლოს არ უნდა გამოეყენებინა საგადასახადო კოდექსის 230-ე მუხლი, ვინაიდან იგი გამოიყენება მხოლოდ იმპორტის და არა უცხოური საქონლის დროებითი შემოტანის საბაჟო რეჟიმის გამოყენების შემთხვევაში. ასევე, სასამართლომ არასწორად არ გამოიყენა საბაჟო კოდექსის 128-ე-130-ე მუხლები და სამართლებრივად არასწორად შეაფასა, რომ საქონელი სრულად თავისუფლდება გადასახადისგან, შესაბამისად, არასწორად დაადგინა, რომ შპს უნდა მიჩნეულიყო გადასახადისგან განთავისუფლებულ სუბიექტად. სასამართლომ არასწორად ჩათვალა, რომ საბაჟო ორგანოს უნდა ეხელმძღვანელა საგადასახადო კოდექსის 230-ე და არა საბაჟო კოდექსის 128-ე მუხლით, ვინაიდან მასში არ არის გათვალისწინებული საქონელი განკუთვნილი ავიაციისათვის. აღნიშნულის გამო სასამართლო დაეთანხმა მოსარჩელის მოსაზრებას, რომ მითითებული ნორმიდან გამომდინარე საგადასახადო კოდექსის 230-ე მუხლით დადგენილ საშელავათო რეჟიმში სამოქალაქო ავიაციისთვის განკუთვნილი საქონელი იმპორტის დროს თავისუფლდება გადასახადისგან სრულად და არ გაითვალისწინა ის გარემოება, რომ კონკრეტულ შემთხვევაში საქონელზე იმპორტის საბაჟო რეჟიმი არ გაცხადებულა.

აპელანტის მსჯელობით, შპს-ის მიერ დროებითი შემოტანის საბაჟო რეჟიმში მოქცეული საქონლის დასახელება არ შედის საბაჟო კოდექსის 128-ე მუხლის I ნაწილში, ხოლო საქონლის დროებითი შემოტანის საბაჟო რეჟიმში მოქცევისას გამოიყენება სპეციალური ნორმა – საბაჟო კოდექსი, ვინაიდან სწორედ იგი აწესრიგებს საქონლის დროებითი შემოტანის საბაჟო რეჟიმში მოქცეული საქონლის გადასახადების დაწესებას და გამოანგარიშებას, ამასთან, 129-ე მუხლი ითვალისწინებს იმპორტის გადასახადების გადახდისაგან ნაწილობრივ გათავისუფლებით უცხოური საქონლის დროებითი შემოტანის საბაჟო რეჟიმში მოქცევის შესაძლებლობას.

აპელანტის მოსაზრებით, საგადასახადო კოდექსის 220.2 მუხლისა და 230.1. 3² პუნქტი, შინაარსიდან გამომდინარე, მოსარჩელეს საბაჟო კოდექსის 130-ე მუხლის საფუძველზე სრულად უნდა გადაეხადა გადასახადი.

მონინალმდევის შეპასუხება – არ სცნო აპელაცია

სამართლებრივი: საბაჟო დეკლარაციით №ც 44997 დროებითი შემოტანის საბაჟო რეჟიმში სანარმოს მიერ შემოტანილი სამოქალაქო ავიაციისთვის განკუთვნილი ნაწილები იმპორტის შემთხვევაში განთავისუფლებულია საბაჟო, აქციზის ან/და დღგ-ის გადახდისაგან. საბაჟო კოდექსის თანახმად, თუ საქონელი იმპორტის დროს თავისუფალია ყოველგვარი გადასახადიდან (გარდა საბაჟო მოსაკრებლისა), მაშინ მისი დროებითი შემოტანის რეჟიმში მოქცევის დროს არანაირი გადასახადები არ გადაიხდებიან, შესაბამისად, ცალსახაა, რომ საბაჟო ორგანოებმა მათი საქონლის მიმართ არასწორად გამოიყენეს საბაჟო კოდექსის 130-ე მუხლი.

სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება /სარეზოლუციო/

თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2010 წლის 23 დეკემბრის განჩინებით აპელაცია არ დაკმაყოფილდა და უცვლელად დარჩა გასაჩივრებული გადაწყვეტილება.

სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილების შინაარსი:

სააპელაციო სასამართლომ სრულად გაიზიარა საქალაქო სასამართლოს მიერ საქმეზე დადგენილი ფაქტების და მათი სამართლებრივი შეფასების კანონიერება, ჩამოყალიბებული სასამართლო დასკვნის მართებულობა და აღნიშნა, რომ საგადასახადო კოდექსის 230-ე მუხლით სამოქალაქო ავიაციისათვის განკუთვნილი ნაწილები იმპორტის შემთხვევაში გათავისუფლებულია საბაჟო, აქციზის და დღგ-ისგან, შესაბამისად, მათი იმპორტის დროს გადაიხდებიან მარტო საბაჟო მოსაკრებელი, ხოლო საბაჟო კოდექსის მიხედვით, თუ საქონელი იმპორტის დროს თავისუფალია ყოველგვარი გადასახადისაგან /გარდა საბაჟო მოსაკრებლისა/, მაშინ დროებითი შემოტანის რეჟიმში მოქცევის დროს გადასახადები არ გადაიხდებიან. ამდენად, სააპელაციო სასამართლოს შეფასებით საბაჟო ორგანოების მიერ არასწორად იქნა გამოყენებული საბაჟო კოდექსის 130-ე მუხლი.

კასატორი: შემოსავლების სამსახური; თბილისის რეგიონალური ცენტრი

მონინალმდევე მხარე: შპს „...“

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2010 წლის 23 დეკემბრის განჩინების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა.

კასაციის მოტივები:

სამართლებრივი:

1. პროცესუალური:

სსსკ-ის 393-ე და 394-ე მუხლები.

2. მატერიალური:

სასამართლოს საერთოდ არ უნდა გამოეყენებინა საგადასახადო კოდექსის 230-ე მუხლი, ვინაიდან შპს-ის მიერ შემოტანილი საქონელი მოქცეულია დროებითი შემოტანის და არა საქონლის თავისუფალი მიმოქცევის გაშვების საბაჟო რეჟიმში.

მოსარჩელის მიერ დროებითი შემოტანის რეჟიმში მოქცეული საქონლის დასახელება არ შედის საბაჟო კოდექსის 128-ე მუხლის I ნაწილში, რომელიც განსაზღვრავს საქონლის დროებითი შემოტანის საბაჟო რეჟიმის გამოყენებისას იმპორტის გადასახდელების /გარდა საბაჟო მოსაკრებლისა/ გადახდისაგან სრულად გათავისუფლებულ საქონლის ამომწურავ ჩამონათვალს. საქონლის დროებითი შემოტანის საბაჟო რეჟიმში მოქცევისას გამოიყენება სპეციალური ნორმა – საბაჟო კოდექსი, ვინაიდან იგი არეგულირებს საქონლის დროებითი შემოტანის საბაჟო რეჟიმში მოქცეული გადასახდელების დაწესებას და გამოანგარიშებას. ამდენად, საგადასახადო კოდექსის 230-ე მუხლი არ გულისხმობს, რომ საქონელი უნდა გათავისუფლდეს საბაჟო კოდექსით დადგენილი ყველა გადასახდელებისაგან საბაჟო კოდექსით გათვალისწინებულ სხვა საბაჟო რეჟიმში საქონლის გაშვებისას.

კასატორთა მტკიცებით, ვინაიდან მოსარჩელის მიერ დროებითი შემოტანის რეჟიმში მოქცეული საქონელი არ შედის საბაჟო კოდექსის 128-ე მუხლის ჩამონათვალში, იგი ჩაითვლება გადასახდელების გადახდისაგან ნაწილობრივ და არა სრულად გათავისუფლებულ საქონლად. აღნიშნულის გამო, იგი უნდა დაექვემდებაროს საბაჟო კოდექსის 130-ე მუხლით დადგენილ – საქონლის დროებითი შემოტანის საბაჟო რეჟიმში მოქცეული იმპორტის გადასახდელების გადახდისაგან ნაწილობრივ გათავისუფლებული საქონლის მიმართ განსაზღვრულ დაანგარიშების ფორმულას, რომლის მიხედვით: საქონლის დროებითი შემოტანის საბაჟო დეკლარაციის რეგისტრაციის დღიდან იმპორტის გადასახდელების გადახდისაგან ნაწილობრივ გათავისუფლებული საქონლის საქართველოს ტერიტორიაზე ყოფნის ყოველ სრულ და არასრულ კალენდარულ თვეზე გადაიხდევინება იმპორტის გადასახდელების /გარდა საბაჟო მოსაკრებლისა/ იმ თანხის 3%, რომელიც გადაიხდევინებოდა საქონლის დროებითი შემოტანის საბაჟო დეკლარაციის რეგისტრაციის დღეს ამ საქონლის თავისუფალ მიმოქცევაში გაშვებისას.

პრეტენზია ფაქტობრივ გარემოებებზე:

სააპელაციო სასამართლომ არასწორად დაადგინა ფაქტობრივი გარემოება, როცა დაეყრდნო შპს-ის განმარტებას, რომ კომპიუტერული პროგრამა არ იძლევა საშუალებას დღგ-ის თანხის მითითების გარეშე განხორციელდეს შემდეგი მოქმედებები, რაც არასწორია, რადგან: იმის გათვალისწინებით, რომ მოსარჩელის მიერ შემოტანილი საქონელი არ შედის საბაჟო კოდექსის 128-ე მუხლით გათვალისწინებულ საქონლის დროებითი შემოტანის საბაჟო რეჟიმში იმპორტის გადასახდელების გადახდისაგან სრულად გათავისუფლებულ საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე დროებითი შემოტანისთვის განკუთვნილ უცხოურ საქონელთა ჩამონათვალში, კომპიუტერული პროგრამა „ასიკუდა“ აუცილებლად მოითხოვს საბაჟო კოდექსის 130-ე მუხლით გათვალისწინებული დაანგარიშების შედეგად მიღებული თანხის საბაჟო დეკლარაციაში მითითებას. ამდენად, ეს გარემოება სათანადოდ არ იქნა გამოკვლეული და შეფასებული როგორც საქალაქო, ისე სააპელაციო სასამართლოების მიერ.

მონიშნულმდგის შეპასუხება: არ სცნო კასაცია.

სამართლებრივი:

1. პროცესუალური:

სააპელაციო სასამართლოს დავის გადანყვეტისას არ დაურღვევია საპროცესო სამართლის ნორმები, გადანყვეტისას სწორია და სამართლებრივად დასაბუთებულია.

2. მატერიალური:

სადავო პერიოდისათვის მოქმედი საგადასახადო კოდექსის 2.3. მუხლის მიხედვით:

„გადასახადებით დაბეგვრისას ამ კოდექსის დებულებებსა და საქართველოს კანონმდებლობის სხვა სფეროს ნორმატიული აქტების დებულებებს შორის კოლიზიის წარმოშობისას გამოიყენება ამ კოდექსის დებულებები“, შესაბამისად, ცალსახად, რომ საგადასახადო კოდექსსა და საბაჟო კოდექსს შორის გადასახდელების დაბეგვრასთან დაკავშირებული კოლიზიის არსებობის შემთხვევაში გამოიყენება საგადასახადო კოდექსი. საბაჟო კოდექსის 128-ე მუხლის სახელწოდებაა – „საქონლის დროებითი შემოტანის საბაჟო რეჟიმის გამოყენება იმპორტის გადასახდელების გადახდისაგან სრულად გათავისუფლებით“. ორმა განსაზღვრავს „საბაჟო გადასახდელებზე“ და არა – „საბაჟო გადასახადზე“. „საბაჟო გადასახდელი“ – გულისხმობს საბაჟო გადასახადს და სხვადასხვა მოსაკრებელს, რაც ნიშნავს, რომ არ არსებობს სამართლებრივი პრობლემა იმაში, რომ საპაერო ხომალდის საბურავი არ არის საბაჟო გადასახდელებისაგან სრულად გათავისუფლებულ ნუსხაში. ამავე კოდექსის 129-ე მუხლში აღნიშნულია, რომ იმპორტის გადასახდელების ნაწილობრივ გათავისუფლებით შესაძლებელია საქონლის დროებითი შემოტანის რეჟიმში მოექცეს უცხოური საქონელი, რომელიც რჩება უცხოური სანარმოს/ორგანიზაციის ან არარეზიდენტი ფიზიკური პირის საკუთრებაში და არ შედის ამ კოდექსის 128.1 მუხლში მოცემულ საქონლის ჩამონათვალში., ხოლო 130-ე მუხლით გადასახდელი თანხა განსაზღვრულია შემდეგნაირად: „იმ თანხის 3%, რამდენსაც გადაიხ-

დიდა ამ საქონლის თავისუფალ მიმოქცევაში გაშვების დროს. ჯკასატორს არასდროს არ გაუხდია სადავოდ, რომ საჭარო ხომალდის საბურავის იმპორტის დროს შპს არ გადაიხდის არანაირ გადასახადს, გარდა საბაჟო მოსაკრებლისა/რომელიც მათ მიერ გადახდილია. საგადასახადო კოდექსის 241¹-ე მუხლის მიხედვით: საქონლის დროებითი შემოტანის დროს გადაიხდებიან დღგ-ის იმ თანხის 3%, რომელიც გადაიხდებოდა საქონლის დროებითი შემოტანის საბაჟო დეკლარაციის რეგისტრაციის დღეს ამ საქონლის თავისუფალ მიმოქცევაში გაშვებისას.

საკასაციო სასამართლოს მიერ საკასაციო საჩივრის დასაშვებობის პროცესუალური ნაწილები: (სასკ 34.3 მ.)

ა) აბსოლუტური კასაცია

საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2011 წლის 28 ივნისის განჩინებით სსიპ შემოსავლების სამსახურის და თბილისის რეგიონალური ცენტრის საკასაციო საჩივარი მიჩნეული იქნა დასაშვებად, ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34.3 მუხლის ა) ქვეპუნქტის საფუძველზე – აბსოლუტური კასაცია.

სამოტივაციო ნაწილი:

სარეზოლუციო ნაწილის შინაარსი:

საკასაციო სასამართლოს 2011 წლის 18 ოქტომბრის განჩინებით სსიპ შემოსავლების სამსახურის და თბილისის რეგიონალური ცენტრის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა და უცვლელად დარჩა თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2010 წლის 23 დეკემბრის განჩინება.

კასაციის დაშვების ნაწილის განმარტება კონკრეტულ საქმეზე:

საკასაციო საჩივარი მიჩნეული იქნა დასაშვებად, როგორც მნიშვნელოვანი სამართლის განვითარებისა და ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბებისთვის. კერძოდ, უნდა განიმარტოს საგადასახადო და საბაჟო კოდექსის სადავო სამართალურთიერთობასთან დაკავშირებული რიგი მუხლების ნამდვილი შინაარსი.

კასაციის არდაკმაყოფილების და გასაჩივრებული გადაწყვეტილების უცვლელად დატოვების შემთხვევაში:

საკასაციო სასამართლოს შეფასებით სადავო სამართალურთიერთობა წარმოშობილია საბაჟო სამართალურთიერთობათა სფეროში, დავის საგანს წარმოადგენს მოსარჩელის მიერ საბაჟო დამუშავების ოპერაციებზე საბაჟო კანონმდებლობით დადგენილი პირობების დარღვევის გამო შედგენილი საბაჟო სამართალდარღვევის ოქმის კანონიერება.

1. კასაციის მოტივების გაქარწყლების თაობაზე სასამართლოს მსჯელობა:

საკასაციო სასამართლო არ იზიარებს კასატორის მოსაზრებას შემდეგზე, რომ სასამართლოს საერთოდ არ უნდა გამოეყენებინა საგადასახადო კოდექსის 230-მუხლი, ვინაიდან შპს-ის მიერ შემოტანილი საქონელი მოქცეულია დროებითი შემოტანის და არა საქონლის თავისუფალი მიმოქცევის გაშვების საბაჟო რეჟიმში.

მოსარჩელის მიერ დროებითი შემოტანის რეჟიმში მოქცეული საქონლის დასახელება არ შედის საბაჟო კოდექსის 128-ე მუხლის I ნაწილში, რომელიც განსაზღვრავს საქონლის დროებითი შემოტანის საბაჟო რეჟიმის გამოყენებისას იმპორტის გადასახდელების /გარდა საბაჟო მოსაკრებლისა/ გადახდისაგან სრულად გათავისუფლებულ საქონლის ამომწურავ ჩამონათვალს, შემდეგ გარემოებათა გამო:

ქვემდგომი სასამართლოების მიერ აბსოლუტურად სწორად არის სადავო სამართალურთიერთობისათვის აღნიშნული ნორმა შეფარდებული, ვინაიდან:

საქმის მასალებით უდავოდ არის დადგენილი, რომ მოსარჩელის მიერ საქონელი შემოტანილია საქონლის დროებითი შემოტანის საბაჟო რეჟიმში.

საბაჟო კოდექსის XIX თავით დამოუკიდებლად არის მოწესრიგებული ამ საბაჟო რეჟიმის გამოყენების წესი, პირობები, ვადები და სხვ., მათ შორის დიფერენცირებულად არის განსაზღვრული მოცემულ რეჟიმში შემოტანილ საქონელზე გადასახდელი თანხები, ასე, მაგალითად, 128-ე მუხლით გათვალისწინებულია ამ რეჟიმის გამოყენება იმპორტის გადასახდელების გადახდისაგან სრულად გათავისუფლებით; 129-ე მუხლით – იმპორტის გადასახდელების გადახდისაგან ნაწილობრივ განთავისუფლებით; ხოლო 130-ე მუხლით დადგენილია საქონლის დროებითი შემოტანის საბაჟო რეჟიმში მოქცეული, იმპორტის გადასახდელების გადახდისაგან ნაწილობრივ გათავისუფლებული საქონლის მიმართ გადასახდელი თანხის განსაზღვრის წესი.

საგადასახადო კოდექსის 230-ე მუხლის I ნაწილის 3²) ქვეპუნქტის თანახმად:

საგარეო ეკონომიკური საქმიანობის ეროვნულ სასაქონლო ნომენკლატურის 8802 11 100 00, 8802 12 100 00, 8802 20 100 00, 8802 30 100 00, 8802 40 100 00 შესაბამის კოდექსში აღნიშნული საქონლის და საგარეო ეკონომიკური საქმიანობის ეროვნულ სასაქონლო ნომენკლატურით მათთვის (სამოქალაქო ავიაციისათვის) განკუთვნილი საქონლის იმპორტი.

საქმის მასალებით უტყუარადაა დადგენილი და სადავოს არ წარმოადგენს, რომ მოსარჩელის მიერ შემოტანილი საქონელი დეკლარირებულია 8803 30 100 00 კოდით, რაც სრულად ესატყვისება საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2009 წლის 8 სექტემბრის №576 ბრძანების „საგარეო ეკონომიკური საქმიანობის ეროვნული სასაქონლო ნომენკლატურის დამტკიცების თაობაზე“ მიხედვით ჩამოთვლილ ობიექტთა ნუსხას.

საკასაციო სასამართლოს შეფასებით: მხარეთა დავაში წინააღმდეგობას ქმნის ის სამართლებრივი საკითხი, რომ მოსარჩელის მიერ შემოტანილი საქონელი არ არის მოცემული საბაჟო კოდექსის 128-ე მუხლში მოცემულ ჩამონათვალში, თუმცა, ეს ვერ გახდება მოსარჩელის დაბეგვრის საფუძველი,

რადგან სწორედ საგადასახადო კოდექსის 230-ე მუხლით არის მოწესრიგებული დღგ-ისაგან გათავისუფლებული საქონლის/მომსახურების მიწოდების ან/და იმპორტის სახეების ჩამონათვალი. საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ კასატორის მტკიცება, რომ საბაჟო და საგადასახადო კოდექსის ნორმებს შორის არსებობს წინააღმდეგობა, მოკლებულია სამართლებრივ საფუძველს, უფრო პირიქით, საგადასახადო კოდექსის აღნიშნული ნორმა გარკვეულწილად ავსებს საბაჟო სამართალურთიერთობის მომწესრიგებელ ნორმათა სისტემას. მით უფრო იმის გათვალისწინებით, რომ საბაჟო კოდექსის 128-ე მუხლი არ შეიცავს რაიმე იმპერატიული ხასიათის დათქმას, რომ მხოლოდ ამ ნუსხაში ჩამოთვლილ დროებითი შემოტანის რეჟიმში მოქცეულ საქონელზე ვრცელდება იმპორტის გადასახდელების (გარდა საბაჟო მოსაკრებლისა) გადახდისაგან სრულად გათავისუფლების პირობა. საწინააღმდეგო განმარტების შემთხვევაში, მთლიანად საგადასახადო კოდექსის 230-ე მუხლის დანიშნულება და ფუნქცია გაუგებარი გახდებოდა.

საკასაციო სასამართლო სრულებით არ იზიარებს კასატორის მსჯელობას, შემდეგზე, რომ მოსარჩელე მხოლოდ იმპორტის საბაჟო რეჟიმის გამოყენების შემთხვევაში ისარგებლებდა საშელავათო პირობებით, ხოლო საქონლის დროებითი შემოტანის რეჟიმში ამ პრივილეგიის გამოყენება დაუშვებელია, მისი კანონ-შეუსაბამობის გამო, კერძოდ, საბაჟო კოდექსის 129-ე მუხლი ცალსახად ადგენს, ამ კოდექსის 128-ე მუხლის ჩამონათვალში არმყოფ უცხოური საქონლის იმპორტის გადასახდელების ნაწილობრივ განთავისუფლებით დროებითი შემოტანის რეჟიმში მოქცევის შესაძლებლობას.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო იზიარებს მოწინააღმდეგე მხარის წარმომადგენელთა მოსაზრებას, რომ საბაჟო კოდექსის 130-ე მუხლის საფუძველზე საქონლის დროებითი შემოტანის საბაჟო რეჟიმში მოქცეული, იმპორტის გადასახდელების გადახდისაგან ნაწილობრივ გათავისუფლებული საქონლის მიმართ გადასახდელი თანხის განსაზღვრის წესის მიხედვით, რაკი ისინი არ გადაიხდიდნენ საქონლის თავისუფალ მიმოქცევაში გაშვების დროს არანაირ გადასახადს, გარდა საბაჟო მოსაკრებლისა /რაც მათ მიერ გადახდილია და სადავო არ არის/, აგრეთვე, ამავე მუხლის II ნაწილით პირდაპირ არის განსაზღვრული, რომ დროებითი შემოტანის რეჟიმში 3% -იანი თანხის საერთო ჯამური ოდენობა, არ უნდა აღემატებოდეს იმ თანხას, რასაც დეკლარანტი გადაიხდიდა ამ საქონლის თავისუფალ მიმოქცევაში გაშვებისას.

საკასაციო სასამართლო ასევე დაუსაბუთებლად მიიჩნევს კასატორის პრეტენზიას ფაქტობრივ გარემოებაზე, რამდენადაც საბაჟო ორგანოს კომპიუტერული პროგრამის თავისებურებები ან სპეციფიკა არ წარმოადგენს მოცემულ საქმეზე იმგვარ ფაქტობრივ გარემოებას, რომელზე დაყრდნობითაც უნდა მოხდეს სადავო სამართალურთიერთობისათვის სამართლის ნორმის შეფარდება.

შესაბამისად, მას ვერ მიენიჭება განმსაზღვრელი მნიშვნელობა საქმეზე კანონიერი გადაწყვეტილების დადგენისათვის.

ამდენად, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ საკასაციო საჩივარში ჩამოყალიბებული არგუმენტები საპაველაციო სასამართლოს მიერ კანონის არასწორ გამოყენებასთან დაკავშირებით არ არის იურიდიულად დასაბუთებული და არ გამომდინარეობს განხილული ნორმების ნამდვილი შინაარსიდან და მოსაწესრიგებელი ურთიერთობის ნამდვილი მიზნიდან; შესაბამისად, სადავო სამართალურთიერთობას ქვემდგომმა სასამართლოებმა სწორად შეუფარდეს და განმარტეს სამართლის ნორმა, რის გამოც არ არსებობს კასაციის დაკმაყოფილების და გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმების სამართლებრივი საფუძველები.

სასამართლო ხარჯების განაწილება.

კასატორებს სსსკ-ის 53.2. მუხლის საფუძველზე სოლიდარულად უნდა დაეკისროთ სასამართლო ხარჯების სახით 100 ლარის გადახდა სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 1.2; სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე, 257-ე, 372-ე, 390-ე და 410-ე მუხლებით და

დ ა ა ზ ბ ი ნ ა:

1. სსიპ შემოსავლების სამსახურისა და თბილისის რეგიონალური ცენტრის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;
2. უცვლელად დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2010 წლის 23 დეკემბრის განჩინება;
3. სსიპ შემოსავლების სამსახურს და თბილისის რეგიონალურ ცენტრს სოლიდარულად დაეკისროთ სასამართლო ხარჯების სახით 100 ლარის გადახდა სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ;
4. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

ბანკინება

№ბს-920-913(2კ-11)

22 ნოემბერი, 2011 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატა
შემადგენლობა: ნ. ქადაგიძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ნ. სხირტლაძე,
ლ. მურუსიძე

დავის საგანი: მოქმედების განხორციელების დავალდებულება.

აღწერილობითი ნაწილი:

2010 წლის 14 აპრილს ბათუმის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას სარჩელით მიმართა შპს „ე-მ“ მოპასუხის სსიპ შემოსავლების სამსახურის ბათუმის რეგიონული ცენტრის მიმართ.

მოსარჩელე სარჩელით ითხოვდა ბათუმის რეგიონული ცენტრის 2010 წლის 16 მარტის №16.25/10/11-2092 გადაწყვეტილების კონტინენტების ნაწილში ბათილად ცნობასა და ჩამორთმეული კონტინენტების შპს „ე-ს“ საკუთრებაში დაბრუნებას.

ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2010 წლის 5 მაისის განჩინებით საქმის განხილვაში ასკ-ს 16.2 მუხლით ჩაება საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახური.

ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2010 წლის 25 აგვისტოს საოქმო განჩინებით საქმის განხილვაში ასკ-ს 16.2 მუხლით ჩაება საქართველოს ფინანსთა სამინისტრო.

ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2010 წლის 9 სექტემბრის საოქმო განჩინებით ადმინისტრაციული სამართალწარმოების საქმე შპს „ე-ს“ სარჩელისა გამო ბათუმის რეგიონულ ცენტრთან 2010 წლის 16 მარტის №16.25/10/11-2090 წერილის ბათილად ცნობის ნაწილში შეწყდა დაუშვებლობის გამო.

ბათუმის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2010 წლის 17 სექტემბრის გადაწყვეტილებით შპს „ე-ს“ სარჩელი შემოსავლების სამსახურის ბათუმის რეგიონული ცენტრისა და საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიმართ დამატებით დაკმაყოფილდა, კერძოდ – შემოსავლების სამსახურის ბათუმის რეგიონული ცენტრისა და საქართველოს ფინანსთა სამინისტროს დაევალებათ შპს „ე-სათვის“ დაებრუნებინათ ჩამორთმეული კონტინენტები საკუთრებაში.

პირველი ინსტანციის სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ შპს „ბ-ის“ ტერიტორიაზე 2008 წელს დასაწყობდა 6 ცალი კონტინენტი, რომლებშიც განთავსებული იყო საქონელი, კერძოდ 30 ავტოსატრანსპორტო საშუალება; ავტოსატრანსპორტო საშუალების მფლობელმა დროებით დასაწყობებულ საქონელზე არ განახორციელა საბაჟო დამუშავების ოპერაციის დასრულებისათვის აუცილებელი საბაჟო პროცედურები, რის გამოც 2010 წლის 23 თებერვალს ბათუმის რეგიონული ცენტრის უფროსის მოადგილემ შპს „ე-ს“ აცნობა, რომ შპს „ბ-ის“ ტერიტორიაზე დასაწყობდა საქონელი კერძოდ: 6 ცალი კონტინენტი, რომლებშიც თანამხლები დოკუმენტების მიხედვით განთავსებული იყო საქონელი, კერძოდ ავტოსატრანსპორტო საშუალებები; საქონელს გაუვიდა საქართველოს საბაჟო კოდექსით გათვალისწინებული საბაჟო დამუშავების ოპერაციის განსაზღვრის დასრულებისათვის დადგენილი ვადები; მას განემარტა, რომ თუ არ განახორციელებდა დროებით დასაწყობებულ საქონელზე საბაჟო დამუშავების ოპერაციის დასრულებისათვის აუცილებელ საბაჟო პროცედურებს 30 კალენდარული დღის ვადაში, საბაჟო ორგანო მოახდენდა საქონლის განკარგვას სახელმწიფოს სასარგებლოდ; აღმოფხვრისათვის განესაზღვრა ვადა 2010 წლის 15 მარტამდე; კონტინენტებში მოთავსებული საქონლის მესაკუთრემ არ განახორციელა საბაჟო დამუშავების ოპერაციის დასრულებისათვის აუცილებელი საბაჟო პროცედურები, რის გამოც ბათუმის რეგიონული ცენტრის მიერ საქონელი, კერძოდ ექვსივე კონტინენტი და მასში მოთავსებული 30 ავტომანქანა განიკარგა სახელმწიფოს სასარგებლოდ; აღნიშნულის თაობაზე მოსარჩელეს ბათუმის რეგიონული ცენტრის მიერ 2010 წლის 16 მარტს გაევზავა წერილი №16.25/10/11-2090; მოსარჩელემ გაასაჩივრა ბათუმის რეგიონული ცენტრის 2010 წლის 16 მარტის წერილი და მოითხოვა მისი ბათილად ცნობა, ასევე მოპასუხეთა დავალდებულება კონტინენტების დაბრუნების თაობაზე; პირველი ინსტანციის სასამართლომ ჩათვალა, რომ ბათუმის რეგიონული ცენტრის 2010 წლის 16 მარტის წერილი არაა ადმინისტრაციული აქტი, ვინაიდან მას არ მოჰყოლია სამართლებრივი შედეგი და ამ ნაწილში სარჩელი არ აკმაყოფილებს დასაშვებობის პირობას.

პირველი ინსტანციის სასამართლომ მიუთითა, რომ საქონლის მესაკუთრეა რ. თ-ე, მისი ავტოსატრანსპორტო საშუალებები მოთავსებულია „...“-ს საკუთრებაში არსებულ კონტინენტებში, რომლითაც საერთაშორისო გადაზიდვებს აწარმოებს შპს „ე-ა“. ავტომანქანებით დატვირთული კონტინენტების შპს „ბ-ის“ ტერიტორიაზე განთავსება განხორციელდა შემდგომი საბაჟო დამუშავების ოპერაციების განხორციელების მიზნით. ავტომანქანების მესაკუთრე ვალდებული იყო ავტოსატრანსპორტო საშუალებებზე განეხორციელებინა შესაბამისი საბაჟო ოპერაციები; ავტოსატრანსპორტო საშუალების მესაკუთრეს ავტომანქანების სახელმწიფოს სასარგებლოდ განკარგვის საკითხი სადავოდ არ გაუხდია. კონტინენტების მფლობელი კი თვლის, რომ სახელმწიფოს სასარგებლოდ კონტინენტების განკარგვა უკანონოა და მოითხოვს მის დაბრუნებას.

პირველი ინსტანციის სასამართლომ განმარტა, რომ საბაჟო ორგანოს საქონლის განკარგვის უფლება- მოსილება წარმოეშვა საქონლის მიმართ საბაჟო პროცედურის, კერძოდ იმპორტის გადასახადის გადაუხდელობის და საბაჟო განმენდის ოპერაციის განუხორციელებლობის გამო. საბაჟო კოდექსის 87-ე მუხლის ობიექტი არის ის საქონელი, რომელიც ექვემდებარება საბაჟო დამუშავებას.

პირველი ინსტანციის სასამართლოს მითითებით, საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2006 წლის 20 დეკემბრის №1759-ე ბრძანების მე-3 მუხლის 21-ე ნაწილისა და საბაჟო კოდექსის 87-ე მუხლის მოთხოვნები ვრცელდება იმ საქონელზე, რომლებზეც არ განხორციელდა დროებით დასაწყობებულ საქონელზე საბაჟო დამუშავების ოპერაციის სახის განსაზღვრის დასრულებისათვის, ან უკვე განსაზღვრული საბაჟო დამუშავების ოპერაციის დასრულებისათვის აუცილებელი საბაჟო პროცედურები.

საბაჟო დამუშავების ოპერაციის განმარტება მოცემულია საქართველოს საბაჟო კოდექსის მე-7 მუხლის 29-ე ნაწილში, რომლის მიხედვითაც საბაჟო დამუშავების ოპერაცია არის საქონლის მიმართ საბაჟო რეჟიმის გამოყენება, საქონლის გადატანა თავისუფალ ზონაში ან თავისუფალ საწყობში, საქართველოს საბაჟო ტერიტორიიდან საქონლის რეექსპორტი, საქონლის განადგურება საბაჟო ზედამხედველობის ქვეშ ან საქონლის გადაცემა სახელმწიფო საკუთრებაში.

საქართველოს საბაჟო კოდექსის მე-7 მუხლის მე-9 ნაწილის მიხედვით, საქონელი არის საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე გადაადგილებული ნებისმიერი მატერიალური ქონება, მათ შორის, ფული, ფასიანი ქაღალდი, ელექტრო- და თბოენერგია, გაზი და წყალი.

პირველი ინსტანციის სასამართლოს მითითებით, კონტეინერი არ ექვემდებარება საბაჟო დამუშავების ოპერაციას, რაც ავტომატურად გამორიცხავს მის მიმართ საბაჟო ორგანოს მიერ განკარგვის უფლების წარმოშობას, ვინაიდან კონტეინერი წარმოადგენს რა საქონლის გადამზიდავ საშუალებას, იმყოფება საბაჟო საწყობის ტერიტორიაზე მანამ, სანამ არ მოხდება მასში არსებული საქონლის ჩამოტვირთვა. შესაბამისად, ვინაიდან კონტეინერი არ წარმოადგენს არც საქონელს, არც საქონლის სახით იმპორტირებულ სატრანსპორტო საშუალებას და არ ექვემდებარება საბაჟო დამუშავებას, მის მიმართ არ შეიძლება გამოყენებულ იქნეს საბაჟო კოდექსის 87-ე მუხლი და საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2006 წლის 20 დეკემბრის №1759-ე ბრძანების მე-3 მუხლის 21-ე პუნქტი.

პირველი ინსტანციის სასამართლომ განმარტა, რომ მოსარჩელეს არ გააჩნდა შესასრულებელი ვალდებულება, მას კონტეინერები არ უნდა განებაჟებინა და არ უნდა გადაეხადა საბაჟო მოსაკრებელი, მისი ვალდებულება იყო კონტეინერში მოთავსებულ სატრანსპორტო საშუალებებზე საბაჟო ოპერაციების დამთავრებისა და საქონლის გადმოტვირთვის შემდეგ კონტეინერების გატანა საბაჟო ტერიტორიიდან. მიუხედავად ამისა, მოპასუხემ უსაფუძვლოდ ჩათვალა ვალდებულება შეუსრულებლად და უსაფუძვლოდ გადასცა კონტეინერები სახელმწიფოს, რითაც იგი გამდიდრდა საფუძვლის გარეშე. საბაჟო ორგანოს გადაწყვეტილება ავტომატურად ჩამორთმევს ნაწილში მართებულად არის მიმართული საქონლის მესაკუთრისადმი, მაგრამ კონტეინერების ნაწილში უკანონოა.

აღნიშნულიდან გამომდინარე, პირველი ინსტანციის სასამართლომ ჩათვალა, რომ კონტეინერის მფლობლის მოთხოვნა დაუბრუნდეს მართლზომიერ მფლობელობაში არსებული კონტეინერები საფუძვლიანია და უნდა დაკმაყოფილდეს.

მითითებული გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრეს სსიპ შემოსავლების სამსახურმა, სსიპ შემოსავლების სამსახურის ბათუმის რეგიონულმა ცენტრმა და საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ.

აპელანტები სააპელაციო საჩივრებით ითხოვნდნენ გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმებასა და სასარჩელო მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე უარის თქმას.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2011 წლის 6 აპრილის განჩინებით სსიპ შემოსავლების სამსახურის ბათუმის რეგიონული ცენტრის, სსიპ შემოსავლების სამსახურის, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სააპელაციო საჩივრები არ დაკმაყოფილდა; უცვლელად დარჩა ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2010 წლის 17 სექტემბრის გადაწყვეტილება.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლომ გაიზიარა საქალაქო სასამართლოს მიერ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების სამართლებრივი შეფასება და თავის მხრივ აღნიშნა, რომ საქართველოს საბაჟო კოდექსის 87-ე მუხლის დანაწესი კონტეინერების მიმართ ვერ გამოიყენება, რადგან ის არც საქონელია (საბაჟო დოკუმენტებით კონტეინერი არ წარმოადგენდა იმპორტირებულ საქონელს), არც საქონლის სახით იმპორტირებული სატრანსპორტო საშუალება. საქონელი და კონტეინერი ერთ საქონლად არ მოიაზრება და ის არ ექვემდებარება საბაჟო დამუშავებას. მასზე ასევე ვერ გავრცელდება საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2006 წლის 20 დეკემბრის №1759-ე ბრძანების მე-3 მუხლის მე-18-21-ე პუნქტების მოთხოვნები.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს მითითებით, იმის გათვალისწინებით, რომ ბათუმის რეგიონული ცენტრის 2010 წლის 23 თებერვლის წერილი არ მოიცავს კონკრეტულ მითითებას კონტეინერებთან დაკავშირებით, როგორც საქონელთან მიმართებაში და ის არ არის ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი, აპელანტთა მოთხოვნა სარჩელის დაუშვებლობის თაობაზე ვერ დაკმაყოფილდება.

აღნიშნული განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრეს საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ და სსიპ შემოსავლების სამსახურმა.

კასატორის საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მოსაზრებით, საქართველოს საბაჟო კოდექსის 61.3, 7.2 და 7.29 მუხლების თანახმად, დეკლარანტი ვალდებულია, მოახდინოს საბაჟო დამუშავების ოპერაციის შერჩევა, რათა საქართველოს საბაჟო საზღვარზე შემოსული საქონელი მოექცეს სამართლებრივ რეჟიმში. მხოლოდ საბაჟო დამუშავების ოპერაციის დასრულების შემდგომ არის შესაძლებელი იმის განსაზღვრა, თუ რომელი საქონელი წარმოადგენს საბაჟო ოპერაციების ობიექტს და რა ვალდებულებები ეკისრება დეკ-

ლარანტს ასეთი საქონლის მიმართ. წინააღმდეგ შემთხვევაში, კონტეინერი და მასში განთავსებული სატრანსპორტო საშუალება მოიპარება ერთ მთლიან ობიექტად (საქონლად) და მასზე ვრცელდება საბაჟო კოდექსის 87-ე მუხლით გათვალისწინებული სანქცია. შპს „ე-ა“ ვალდებული იყო დაესრულებინა საბაჟო დამუშავების ოპერაცია და წარედგინა დეკლარაცია (სადაც დაფიქსირდებოდა კონტეინერი, როგორც სპეციალიზირებული სატრანსპორტო საშუალება, რომელსაც არ სჭირდება განბაჟება). მხოლოდ აღნიშნულის შემდეგ შეძლებდა საბაჟო ორგანო იმის გამიჯვნას, თუ რომელი საქონელი ექვემდებარებოდა განბაჟებას და რომელი არა. მიუხედავად იმისა, რომ მხარე გაფრთხილებული იქნა საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2006 წლის 20 დეკემბრის №1759-ე ბრძანების მე-3 მუხლის 21-ე პუნქტის მოთხოვნათა დაცვით საქონლის განკარგვასთან დაკავშირებით, მან ხარვეზი არ აღმოფხვრა. შესაბამისად, საბაჟო ორგანომ კანონის მოთხოვნათა დაცვით მოახდინა შპს „ე-ს“ საკუთრებაში არსებული კონტეინერების განკარგვა.

კასატორის შემოსავლების სამსახურის მოსაზრებით, სადავო საკითხს წარმოადგენდა კონტეინერების ჩამორთმევა და არა ავტომანქანების, რომლის მართლობიერ ჩამორთმევაზე იმსჯელა პირველი ინსტანციის სასამართლომ. ასევე საბაჟო კოდექსის მე-7 მუხლის 31-ე პუნქტი განსაზღვრავს ვალდებული პირის ცნებას, ანუ პირს, რომელსაც ეკისრება საბაჟო ვალდებულების შესრულება, რომელსაც მოცემულ შემთხვევაში წარმოადგენს შპს „ე-ა“.

შემოსავლების სამსახურმა საკასაციო საჩივარში აღნიშნა, რომ კონტეინერების განკარგვა მოხდა არა იმ განზრახვით, რომ იმპორტი არ განხორციელდა, არამედ საბაჟო დამუშავების (რომელიც მოიცავს 7 საბაჟო რეჟიმს) ნებისმიერი ოპერაცია, რომლის არჩევაც დამოკიდებულია გადამხდელზე, ამ შემთხვევაში შპს „ე-ზე“.

კასატორის მოსაზრებით, დაუშვებელია სამოქალაქო კოდექსის ნორმების (უსაფუძვლო გამდიდრების თაობაზე) გამოყენება ადმინისტრაციულ ურთიერთობებში და გამოიყენება საგადასახადო და საბაჟო კოდექსი, როგორც უფრო სპეციალური კანონი.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, კასატორები საკასაციო საჩივრებით ითხოვდნენ გასაჩივრებული განჩინების გაუქმებასა და საქმეზე ახალი გადანყევტილების მიღებით მოსარჩელისათვის სასარჩელო მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე უარის თქმას.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების გაცნობის, მხარეთა ახსნა-განმარტებების მოსმენის, საკასაციო საჩივრის საფუძვლების შესწავლისა და გასაჩივრებული განჩინების კანონიერება-დასაბუთებულობის შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ საქართველოს ფინანსთა სამინისტროს და სსიპ „შემოსავლების სამსახურის“ საკასაციო საჩივრები უსაფუძვლოა და არ უნდა დაკმაყოფილდეს, შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო სასამართლო სამართლებრივი კვალიფიკაციის ნაწილში სრულად იზიარებს ქვედა ინსტანციის სასამართლოთა შეფასებებს და თვლის, რომ სახეზე არ არის გასაჩივრებული განჩინების გაუქმების და საკასაციო საჩივრების დაკმაყოფილების მატერიალური თუ პროცესუალური წინაპირობები. საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ გასაჩივრებული განჩინება მიღებულია საქართველოს საბაჟო კოდექსის ნორმების სწორი განმარტებისა და გამოყენების საფუძველზე.

საქართველოს საბაჟო კოდექსის (სადავო პერიოდისათვის მოქმედი რედაქციით) 87-ე მუხლის 1-ლი ნაწილის შესაბამისად, ამ მუხლის მე-2 ნაწილის გათვალისწინებით, საბაჟო ორგანოს მიერ საქონლის განკარგვის ნებისმიერი ღონისძიება (მათ შორის საბაჟო სამართალდარღვევის საქონლის ან/და სატრანსპორტო საშუალების ჩამორთმევა, რეალიზაცია, საბაჟო ზედამხედველობის ქვეშ განადგურება ან უსასყიდლოდ გადაცემა) განხორციელდება იმ საქონლის მიმართ: 1. რომლის გაშვება არ შეიძლება, რადგან დეკლარანტის მიზეზით შეუძლებელია დადგენილ ვადაში საბაჟო პროცედურების განხორციელება (საბაჟო დამუშავების ოპერაციის სახის განსაზღვრა) ან არ იქნა გადახდილი იმპორტის ან ექსპორტის გადასახადი ან/და არ იქნა წარდგენილი საგარანტიო უზრუნველყოფა; 2. რომლის საქართველოს ტერიტორიაზე შემოტანა და საქართველოს ტერიტორიიდან გატანა აკრძალულია ან შეზღუდულია; 3. რომელიც გაშვებიდან 3 სამუშაო დღის ვადაში არ იქნა გატანილი საბაჟო კონტროლის ზონიდან, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც საქართველოს კანონმდებლობით ნებადართულია გაშვებული საქონლის საბაჟო კონტროლის ზონაში დატოვება გარკვეული ვადით.

„საქონლის დროებითი დასაწყობებისა და საბაჟო საწყობში საქონლის შენახვის საბაჟო რეჟიმის გამოყენების წესების შესახებ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2006 წლის 20 დეკემბრის №1759 ბრძანების მე-3 მუხლის მე-20 პუნქტის შესაბამისად, საბაჟო დამუშავების ოპერაციის განსაზღვრა ნიშნავს საბაჟო ორგანოში საბაჟო დამუშავების ოპერაციის განსაზღვრისათვის აუცილებელი დოკუმენტის (საბაჟო დეკლარაცია, მონმობა, განცხადება) წარდგენასა და კანონმდებლობით განსაზღვრული წესით საბაჟო კონტროლის ღონისძიებების გატარების შემდეგ საბაჟო ორგანოს თანხმობას საქონლის მიმართ საბაჟო დამუშავების ოპერაციის განხორციელებაზე. ამავე მუხლის 21-ე ნაწილის შესაბამისად კი, თუ ამ მუხლის მე-18, მე-18¹ და მე-20 პუნქტებით განსაზღვრულ ვადებში არ განხორციელდა დროებით დასაწყობებულ საქონელზე საბაჟო დამუშავების ოპერაციის სახის განსაზღვრის დასრულებისათვის ან უკვე განსაზღვრული საბაჟო დამუშავების ოპერაციის დასრულებისათვის აუცილებელი საბაჟო პროცედურები, ან საქართველოს საბაჟო კოდექსის 87-ე მუხლის 1-ლი ნაწილით განსაზღვრულ შემთხვევებში საბაჟო ორგანო დაზღვეული ფოსტით წერილობით აცნობებს დეკლარანტს (იმ შემთხვევაში, როცა საბაჟო ორგანოს მიერ იდენტიფიცირებულია დეკლარანტი) საქონლის განკარგვის შესახებ თა-

ვისი განზრახვის თაობაზე და ადგენს აღნიშნული ნაკლოვანებების აღმოფხვრის ვადას, რომელიც არ უნდა აღემატებოდეს 30 კალენდარულ დღეს. საბაჟო ორგანოს მიერ დადგენილ ვადაში დეკლარანტის მიერ ნაკლოვანებათა აღმოფხვრის ან საქონლის რეექსპორტის შემთხვევაში საბაჟო ორგანო არ ახორციელებს საქონლის განკარგავას, წინააღმდეგ შემთხვევაში საბაჟო ორგანო დაზღვეული ფოსტით წერილობით აცნობებს დეკლარანტს (იმ შემთხვევაში, როცა საბაჟო ორგანოს მიერ იდენტიფიცირებულია დეკლარანტი) საქონლის განკარგვის შესახებ, რომლის ერთი ეგზემპლარი ეგზავნება საბაჟო საწყობის მფლობელს.

როგორც ზემოაღნიშნული ნორმების ანალიზი ცხადყოფს, საბაჟო ორგანოს მიერ საქონლის განკარგვის ნებისმიერი ღონისძიება ხორციელდება იმ საქონლის მიმართ, რომლის გაშვება არ შეიძლება, რადგან დეკლარანტის მიზეზით შეუძლებელია დადგენილ ვადაში საბაჟო პროცედურების განხორციელება, ან არ იქნა გადახდილი იმპორტის ან ექსპორტის გადასახადები.

ასეთ პირობებში საკასაციო სასამართლო მნიშვნელოვნად მიიჩნევს განისაზღვროს, შპს „ე-ა“ არის თუ არა ზემოაღნიშნული მუხლებით დარეგულირებული სამართალურთიერთობის სუბიექტი, რისთვისაც უნდა დადგინდეს ორი გარემოება: წარმოადგენს თუ არა ის დეკლარანტს და მისი კუთვნილი კონტეინერები საბაჟო მიზნებისათვის მიეკუთვნება თუ არა საქონელს.

„საბაჟო კოდექსის“ მე-7 მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, დეკლარანტი არის პირი, რომელიც საბაჟო დეკლარირებას ახორციელებს თავისი სახელით ან რომლის სახელითაც ხორციელდება საბაჟო დეკლარირება, ხოლო იმავე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, საბაჟო დეკლარირება არის მოქმედება, რომლითაც პირი საქართველოს საბაჟო კანონმდებლობით დადგენილი ფორმისა და წესის შესაბამისად აცხადებს საქონლის მიმართ საბაჟო დამუშავების ოპერაციის განხორციელების განზრახვას.

საკასაციო სასამართლომ საკასაციო საჩივრის მოტივირებულობის დადგენის მიზნით გადაამოწმა საქმეში წარმოდგენილი საბაჟო-სატრანსპორტო დოკუმენტები, კერძოდ, კონოსამენტები და დაფრახტვის მანიფესტები, რის შედეგადაც საკასაციო სასამართლო მივიდა დასკვნამდე, რომ კასატორის არგუმენტები უსაფუძვლოა და არ ემყარება შესაბამის მტკიცებულებებს. საკასაციო სასამართლო თვლის, რომ შპს „ე-ა“ არ წარმოადგენს დეკლარანტს, ის არ არის საქონლის მფლობელი ან/და მესაკუთრე, რის გამოც მას ვერ წაეყენება საბაჟო კოდექსით დეკლარანტისათვის დადგენილი მოთხოვნები.

საკასაციო სასამართლო ასევე ვერ დაეთანხმება კასატორთა მსჯელობას იმის თაობაზე, რომ საბაჟო კოდექსის მიზნებისათვის სატრანსპორტო საშუალება (ამ შემთხვევაში კონტეინერი) და საქონელი არის იდენტური ცნებები. „საბაჟო კოდექსის“ მე-7 მუხლის მე-9 ნაწილის შესაბამისად, საქონელი არის საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე გადაადგილებული ნებისმიერი მატერიალური ქონება, მათ შორის ფული, ფასიანი ქაღალდები, ელექტრო და თბოენერგია, გაზი და წყალი. ხოლო იმავე მუხლის მე-19 ნაწილის თანახმად, სატრანსპორტო საშუალებაა საავტომობილო, საჰაერო, საზღვაო და სარკინიგზო საშუალებები, აგრეთვე ელექტროგადამცემი ხაზები, მილსადენები, კონტეინერები, მისაბმელები, ნახევარმისაბმელი და ნებისმიერი სხვა საშუალება, რომელიც გამოიყენება მგზავრთა გადაყვანისათვის ან/და საქონლის გადაზიდვისათვის.

ცალსახაა, რომ წინამდებარე შემთხვევაში კონტეინერები გამოყენებულია როგორც გაზიდვის საშუალება. „კონტეინერებთან დაკავშირებული საბაჟო კონვენციის“ (საქართველო კონვენციას მიუერთდა 1999 წელს) მე-3 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, კონვენციის ხელშემკვრელი თითოეული სახელმწიფო იძლევა როგორც დატვირთული, ისე ცარიელი კონტეინერების დროებითი შემოზიდვის უფლებას. კონვენციის მონაწილე სახელმწიფოები კისრულობენ ვალდებულებას, გაათავისუფლონ კონტეინერები საბაჟო პროცედურების განხორციელებისაგან და დაუშვან მათი დრიებითი შემოზიდვა თავისუფლად, ყოველგვარი დაბეგვრის გარეშე. საკასაციო სასამართლო თვლის, რომ შპს „ე-ს“ კუთვნილი კონტეინერები კონვენციისა და საქართველოს საბაჟო კანონმდებლობის შესაბამისად არ ექვემდებარებოდა საბაჟო პროცედურების განხორციელებას, კონტეინერები საქართველოში შემოტანილი იყო მათი შემდგომი გატანის მიზნით – საბაჟო გადასახადებისა და მოსაკრებლების გადახდისაგან გათავისუფლებით და საიმპორტო აკრძალვებისა და შეზღუდვების გარეშე. აღნიშნული კი იძლევა იმის მტკიცების საფუძველს, რომ კონტეინერი არ ექვემდებარებოდა საბაჟო დამუშავებას, რის გამოც მისი გაიგივება საქონელთან ეწინააღმდეგება საბაჟო კოდექსისა და ზემოაღნიშნული კონვენციის მიზნებს.

ამასთან, საკასაციო სასამართლო ადასტურებს მითითებას იმის თაობაზე, რომ გადამზიდავი კომპანია „კონტეინერებთან დაკავშირებული საბაჟო კონვენციის“ მე-4 მუხლის შესაბამისად ვალდებულია, დროებით შემოტანილი კონტეინერები შემოზიდვის დღიდან 3 თვის ვადაში უკანვე გაიტანოს, მაგრამ საგულისხმოა, რომ აღნიშნული ვალდებულების დარღვევისათვის არც კონვენცია და არც საბაჟო კოდექსი არ განსაზღვრავს რაიმე სახის სანქციას, რის გამოც საკასაციო სასამართლო თვლის, რომ სააპელაციო სასამართლომ სწორად უარყო ადმინისტრაციული ორგანოს მოსაზრება კონტეინერების ჩამორთმევის შესაძლებლობის თაობაზე.

ყოველივე აღნიშნულის საფუძველზე საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ შპს „ე-ა“ არ წარმოადგენს საბაჟო კოდექსის 87-ე მუხლის სუბიექტს, რის გამოც სარჩელის დაკმაყოფილება მოხდა საბაჟო კოდექსის ნორმების სრული შესაბამისობით და სახეზე არ არის საკასაციო საჩივრების გაზიარებისა და გასაჩივრებული განჩინების გაუქმების სამართლებრივი საფუძველი.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 410-ე მუხლით და

დ ა ა ლ გ ი ნ ა:

1. საქართველოს ფინანსთა სამინისტროსა და სსიპ „შემოსავლების სამსახურის“ საკასაციო საჩივრები არ დაკმაყოფილდეს;
2. უცვლელად დარჩეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2011 წლის 6 აპრილის განჩინება;
3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

დაჯარიმება საბაჟო სამართალდარღვევის გამო

ბ ა ნ წ ი ნ ე ბ ა

№ბს-1339-1324(კ-11)

14 თებერვალი, 2012 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატა
შემადგენლობა: ნ. წკეპლაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
მ. ვაჩაძე,
პ. სილაგაძე

დავის საგანი: ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების ნაწილობრივ ბათილად ცნობა

აღწერილობითი ნაწილი:

მოსარჩელე: შპს „...“

მოპასუხეები: სსიპ შემოსავლების სამსახური ბათუმის რეგიონალური ცენტრი; სსიპ შემოსავლების სამსახური

საქართველოს ფინანსთა სამინისტრო

სარჩელის სახე: საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 22-ე მუხლის მე-2 ნაწილის საფუძველზე ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების ბათილად ცნობა.

სარჩელის საგანი:

1) საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის ბათუმის რეგიონალური ცენტრის 2010 წლის 22 სექტემბრის №604/2035/10, №604/2048/10 და №604/2049/10 საბაჟო შეტყობინებების ბათილად ცნობა;

2) სსიპ შემოსავლების სამსახურის 2010 წლის 26 ოქტომბრის №211 – ბრძანების ბათილად ცნობა;

3) საქართველოს ფინანსთა სამინისტროსთან არსებული დავების განხილვის საბჭოს 2010 წლის 13 დეკემბრის №1632/2/10 გადაწყვეტილების ბათილად ცნობა;

4) საპროცესო ხარჯების მოპასუხეებისათვის სოლიდარულად დაკისრება.

სარჩელის საფუძველი:

ფაქტობრივი: საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის ბათუმის რეგიონალური ცენტრის 2010 წლის 22 სექტემბრის №604/2035/10, №604/2048/10 და №604/2049/10 საბაჟო შეტყობინებებით „...“ დაეკისრა ჯარიმის – 3000 ლარის გადახდა, მითითებული შეტყობინება „...“ გაასაჩივრა შემოსავლების სამსახურში, რომლის 2010 წლის 26 ოქტომბრის №2110 ბრძანებით სს „...“ საჩივარი არ დაკმაყოფილდა.

შემოსავლების სამსახურის მითითებული ბრძანება შემოსავლების სამსახურის ბათუმის რეგიონალური ცენტრის საბაჟო შეტყობინებებთან ერთად, კანონდებლობით დადგენილ ვადაში გასაჩივრდა საქართველოს ფინანსთა სამინისტროსთან არსებულ დავების განხილვის საბჭოში.

საქართველოს ფინანსთა სამინისტროსთან არსებული დავების განხილვის საბჭოს 2010 წლის 13 დეკემბრის №1632/2/10 გადაწყვეტილებით შპს „...“ საჩივარი შემოსავლების სამსახურის 2010 წლის 26 ოქტომბრის №2101 ბრძანებისა და ბათუმის რეგიონალური ცენტრის 2010 წლის 22 სექტემბრის №604/2035/10, №604/2048/10 და №604/2049/10 საბაჟო შეტყობინებების ბათილად ცნობის თაობაზე არ დაკმაყოფილდა.

სამართლებრივი: მოსარჩელე თვლის, რომ ბათილად უნდა იქნეს ცნობილი სადავო ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტები საქართველოს კონსტიტუციის მე-6 მუხლის, 1992 წლის 13 მარტს ხელმოწერილი „სტანდარტიზაციის, მეტროლოგიისა და სერტიფიკაციის სფეროში შეთანხმებული პოლიტიკის განხორციელების შესახებ“ საერთაშორისო შეთანხმების (რომელიც საქართველოსთვის ძალაშია 1995 წლის 22 მაისიდან), საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-5, მე-13 მუხლის 1-ლი და მე-2 ნაწილების, 53-ე მუხლის მე-5 ნაწილის, 95-ე მუხლის მე-2 ნაწილის, 96-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილების, მე-60 მუხლის 1-ლი ნაწილისა და საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 22-ე მუხლის, საქართველოს საბაჟო კოდექსის 235-ე მუხლის მე-4 ნაწილის, საქართველოს მთავრობის 2006 წლის 24 თებერვლის №45 დადგენილებისა და საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2006 წლის 20 დეკემბრის №1755 ბრძანების შესაბამისად.

მონინალმდეგე მხარეების შეპასუხება:

სსიპ შემოსავლების სამსახურის ბათუმის რეგიონალურმა ცენტრმა და სსიპ შემოსავლების სამსახურმა, ასევე საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ შესაგებლებით სარჩელი არ ცნეს და მოითხოვეს მოსარჩელისათვის სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა.

საქმის გარემოებები:

შპს „...“ წარმოადგენს საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის 2006 წლის 21 მარტის №1-1/237 ბრძანების საფუძველზე 100% სახელმწიფო ნილობრივი მონაწილეობით დაფუძნებულ სანარმოს და მას საქართველოს პრეზიდენტის 2006 წლის 12 დეკემბრის №736 ბრძანებულების საფუძველზე მიენიჭა „...“ სტატუსი, დაკისრებული ვალდებულების შესაბამისად „...“ განკარგავს საქართველოში მოპოვებული ნავთობისა და გაზის სახელმწიფოს კუთვნილ წილს, ახორციელებს მაგისტრალური გაზსადენების, ნავთობსადენების მართვას და განვითარებას, რომელთა საშუალებით ხორციელდება ბუნებრივი გაზისა და ნავთობის საქართველოში იმპორტირება, საქართველოს მოსახლეობისა და სანარმოთა მომარაგება, აგრეთვე ბუნებრივი გაზისა და ნავთობის ტრანზიტი, როგორც მეზობელ, ასევე ევროპის ქვეყნებში.

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის ბათუმის რეგიონალური ცენტრის 2010 წლის 22 სექტემბრის №604/2035/10, №604/2048/10 და №604/2049/10 საბაჟო შეტყობინებებით „...“ დაეკისრა ჯარიმის – 3000 ლარის გადახდა, მითითებული შეტყობინება „...“ გაასაჩივრა შემოსავლების სამსახურში, რომლის 2010 წლის 26 ოქტომბრის №2110 ბრძანებით საჩივარი არ დაკმაყოფილდა.

შემოსავლების სამსახურის მითითებული ბრძანება შემოსავლების სამსახურის ბათუმის რეგიონალური ცენტრის საბაჟო შეტყობინებებთან ერთად, კანონმდებლობით დადგენილ ვადაში გაასაჩივრდა საქართველოს ფინანსთა სამინისტროსთან არსებული დავების განხილვის საბჭოში.

საქართველოს ფინანსთა სამინისტროსთან არსებული დავების განხილვის საბჭოს 2010 წლის 13 დეკემბრის №1632/2/10 გადაწყვეტილებით შპს „...“ საჩივარი შემოსავლების სამსახურის 2010 წლის 26 ოქტომბრის №2101 ბრძანებისა და ბათუმის რეგიონალური ცენტრის 2010 წლის 22 სექტემბრის №604/2035/10, №604/2048/10 და №604/2049/10 საბაჟო შეტყობინებების ბათილად ცნობის თაობაზე არ დაკმაყოფილდა.

მოსარჩელის მითითებით, აღმინისტრაციულმა ორგანოებმა არ გაითვალისწინეს „...“ ორი დასკვნა, რომლის შესაბამისად, ნავთობისა და ნავთობპროდუქტების მასისა და გაზომვების შესრულების მეთოდის მიმართ ზოგადი მოთხოვნები გადმოცემულია გოსტ 8.595-2004-ში, რომელიც ასევე ვრცელდება სასაქონლო ნავთობისა და ნავთობპროდუქტების მასის გაზომვების შესრულების მეთოდისაზე.

რაიონული /საქალაქო/ სასამართლოს გადაწყვეტილება/სარეზოლუციო/

ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2011 წლის 21 თებერვლის გადაწყვეტილებით შპს „...“ სარჩელი არ დაკმაყოფილდა უსაფუძვლობის მოტივით.

სასამართლოს მიერ უდავოდ მიჩნეული ფაქტები:

შპს „...“ წარმოადგენს საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის 21.03.06 წლის №1-1/237 ბრძანების საფუძველზე 100% სახელმწიფო ნილობრივი მონაწილეობით დაფუძნებულ სანარმოს და მას საქართველოს პრეზიდენტის 12.12.2006 წლის №736 ბრძანებულების საფუძველზე მიენიჭა „...“ სტატუსი. დაკისრებული ვალდებულებების შესაბამისად „...“ განკარგავს საქართველოში მოპოვებული ნავთობისა და გაზის სახელმწიფოს კუთვნილ წილს, ახორციელებს მაგისტრალური გაზსადენების, ნავთობსადენების მართვას და განვითარებას, რომელთა საშუალებით ხორციელდება ბუნებრივი გაზისა და ნავთობის საქართველოში იმპორტირება, საქართველოს მოსახლეობისა და სანარმოების მომარაგება, აგრეთვე ბუნებრივი გაზისა და ნავთობის ტრანზიტი, როგორც მეზობელ, ასევე ევროპის ქვეყნებში.

სსიპ შემოსავლების სამსახურის ბათუმის რეგიონალური ცენტრის 2010 წლის 22 სექტემბრის №604/2035/10, №604/2048/10 და №604/2049/10 საბაჟო შეტყობინებებით შპს „...“ ჯარიმის სახით დაეკისრა 3 000 ლარის გადახდა.

შპს „...“ მიერ შპს „ბ...“ ექსპორტის საბაჟო რეჟიმში განთავსებული დეკლარირებული ნავთობპროდუქტების ჩამოსხმისას გამოვლინდა დეკლარირებულთან შედარებით ნაკლები ტვირთი, კერძოდ, შპს „ბ...“ სსდრ-5505 (-1084) რეგისტრირებული ექსპორტის დეკლარაციის შემოსული რკინიგზის შემადგენლობა დატვირთული ნედლი ნავთობით, რეზერვუარში დაცლისას აღმოჩნდა 2 კგ/ით ნაკლები, ხოლო სსდრ-5495 (-1081) რეგისტრირებული ექსპორტის დეკლარაციით შემოსული ტვირთი – ნედლი ნავთობი რეზერვუარში დაცლისას აღმოჩნდა 82 კგ-ით ნაკლები, ხოლო სსდრ-10944 (-63916) რეგისტრირებული ექსპორტის დეკლარაციით შემოსული ტვირთი – ნედლი ნავთობი რეზერვუარში ჩამოსხმისას აღმოჩნდა 26 კგ-ით ნაკლები.

შპს „...“ საბაჟო კოდექსის 250-ე მუხლის შესაბამისად, რაც ითვალისწინებს პასუხისმგებლობას საბაჟო დეკლარაციაში საბაჟო ღირებულების თაობაზე არასწორი მონაცემების შეტანისათვის, რასაც არ გამოუწვევია საბაჟო გადასახადის შემცირება სსიპ შემოსავლების სამსახურის ბათუმის რეგიონალური ცენტრის 2010 წლის 22 სექტემბრის №604/2035/10, №604/202048/10 და №604/2049/10 საბაჟო შეტყობინებებით დაჯარიმდა – 3000 ლარით.

სასამართლოს მიერ სადავოდ მიჩნეული ფაქტები:

სასამართლოს განმარტებით, შპს „...“ სადავოდ ხდის საბაჟო დეკლარაციაში საბაჟო ღირებულების შესახებ არასწორი მონაცემების არსებობის ფაქტს და მიუთითებს, რომ საბაჟო დეკლარაციების შევსება და წარდგენა მოხდა დამოუკიდებელი და საერთაშორისო აღიარებული ინსპექტორის, „...“ მიერ გაცემულ სერთიფიკატებში მითითებული მონაცემების მიხედვით, რომელშიც აღნიშნულია, რომ ნავთობისა და ნავთობპროდუქტების მასისა და გაზომვების შესრულების მეთოდის ზოგადი მოთხოვნები გადმოცემულია

გოსტ 8.595-2004-ში, რომელიც ასევე ვრცელდება სასაქონლო ნავთობისა და ნავთობპროდუქტების მასის გაზომვის შესრულების მეთოდიკაზე.

ამასთან, მოსარჩელის მითითებით არ არსებობს შესაბამისი მტკიცებულება იმის თაობაზე, თუ რის საფუძველზე მოახდინა ბათუმის რეგიონალურმა ცენტრმა ექსპორტის რეჟიმში მყოფი ტვირთის შემოწმება და რა მტკიცებულებით დასტურდება „...“ მიერ სამართალდარღვევის განმეორებით ჩადენის ფაქტი.

სასამართლოს შეფასებები სადავო ფაქტებთან მიმართებაში:

საქალაქო სასამართლომ არ გაიზიარა მოსარჩელის არგუმენტები და დადგენილად მიიჩნია, ის ფაქტობრივი გარემოება, რომ შპს „...“ მიერ შპს „ბ...“ განთავსებული ექსპორტის საბაჟო რეჟიმში დეკლარირებული ტვირთის ნავთობპროდუქტების ჩამოსხმის შედეგად გამოვლინდა დეკლარირებულთან შედარებით ნაკლები ტვირთი. კერძოდ, შპს „ბ...“ სსდ C-5505 (D-1084) რეგისტრირებული ექსპორტის დეკლარაციით შემოსული ტვირთი – ნედლი ნავთობი რეზერვუარში დაცლისას აღმოჩნდა 82 კგ-ით ნაკლები, ხოლო სსდ C-10944 (D-63916) რეგისტრირებული ექსპორტის დეკლარაციით შემოსული ტვირთი – ნედლი ნავთობის რეზერვუარში ჩამოსხმისას აღმოჩნდა 26 კგ-ით ნაკლები.

შესაბამისად, სააპელაციო სასამართლოს განმარტებით, ზემოაღნიშნული წარმოადგენს საბაჟო კოდექსის 250-ე მუხლით გათვალისწინებულ სამართალდარღვევას, რაც ითვალისწინებს პასუხისმგებლობას საბაჟო დეკლარაციაში საბაჟო ღირებულების თაობაზე არასწორი მონაცემების შეტანისათვის, რასაც არ გამოუწვევია საბაჟო გადასახდის შემცირება.

სასამართლოს დასკვნები – სასამართლომ მიიჩნია, რომ სს „...“ სარჩელი უსაფუძვლოა და არ უნდა დაკმაყოფილდეს

სამართლებრივი შეფასება /კვალიფიკაცია/:

საქართველოს საბაჟო კოდექსის 250.2 მუხლის შესაბამისად, საბაჟო დეკლარაციასა და თანმხლებ დოკუმენტაციაში საბაჟო ღირებულების შესახებ არასწორი მონაცემის არსებობისას საბაჟო ღირებულების შემცირება ან გაზრდა დეკლარანტის/წარმომადგენლის მიერ, რასაც არ გამოუწვევია საბაჟო გადასახდელების ოდენობის შემცირება, იწვევს პირის დაჯარიმებას საბაჟო ღირებულებასა და შემცირებულ ან გაზრდილ საბაჟო ღირებულებას შორის სხვაობის თანხის 20% ოდენობით, მაგრამ არანაკლებ 1000 ლარისა.

ამავე კოდექსის 235.9 მუხლის თანახმად, საბაჟო სამართალდარღვევის ოქმის შედგენიდან 30 დღის ვადაში (გარდა ამ მუხლის მე-6 და მე-13 ნაწილებით გათვალისწინებული შემთხვევებისა) საქმის მასალების შესაბამისად, საბაჟო ორგანოს უფლებამოსილი პირი იღებს გადაწყვეტილებას, რომელიც ფორმდება შესაბამისი გადაწყვეტილებით/შეტყობინებით. საბაჟო სამართალდარღვევის ოქმის შედგენიდან 30 დღის შემდეგ მიღებული გადაწყვეტილება/შეტყობინება ბათილია.

„საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურში საბაჟო სამართალდარღვევის საქმის წარმოების წესის თაობაზე ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის №1755 ბრძანების 6.1 მუხლის შესაბამისად, საბაჟო სამართალდარღვევის საქმის წარმოების საფუძველია ცნობა (ინფორმაცია) საბაჟო სამართალდარღვევის ჩადენის შესახებ, რომელიც გამოვლენილია საბაჟო ორგანოს (საბაჟო ორგანოს მოხელის) მიერ სამსახურეობრივი უფლებამოსილების განხორციელებისას, ამავე მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად კი, ინფორმაციის მიმღები საბაჟო ორგანოს უფლებამოსილი თანამშრომელი ვალდებულია, გაატაროს ყველა აუცილებელი ღონისძიება საქმის გარემოებათა შესასწავლად და საბაჟო სამართალდარღვევის ოქმის შესადგენად.

საქალაქო სასამართლომ არ გაიზიარა მოსარჩელის მტკიცება იმის შესახებ, რომ საბაჟო სამართალდარღვევები არ არის გამოწვეული შპს „...“ ბრალეული ქმედებით, რადგან საბაჟო დეკლარაციების შევსება და წარდგენა მოხდა დამოუკიდებელი ინსპექტორის, „...“ მიერ გაცემულ სერთიფიკატებში მითითებული მონაცემების მიხედვით და მიიჩნია, რომ დეკლარაციაში საბაჟო ღირებულების თაობაზე სწორი მონაცემების მითითება საბაჟო კანონმდებლობის თანახმად, შპს „...“ ვალდებულია წარმოადგენდა.

აპელანტი: შპს „...“

მონინალმდევე მხარეები: სსიპ შემოსავლების სამსახურის ეკონომიკური საზღვრის დაცვის დეპარტამენტი; დასავლეთ „პორტალი“; პორტალი „ბათუმის პორტი“

აპელაციის საგანი და მოცულობა /ფარგლები/:

ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2011 წლის 21 თებერვლის გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით მისი სარჩელის დაკმაყოფილება.

აპელაციის მოტივები:

ფაქტობრივი: აპელანტის განმარტებით, არასწორია სასამართლოს მსჯელობა იმის თაობაზე, რომ შპს „...“ მიერ ბათუმის ნავთობტერმინალში განთავსებული ექსპორტის საბაჟო რეჟიმში დეკლარირებული ნავთობპროდუქტის ჩამოსხმის შედეგად აღმოჩნდა დეკლარირებულზე მეტი საქონლის ოდენობა. ვინაიდან, ნედლი ნავთობის ოდენობის, ანუ მასის დადგენა არ ხდება მისი პირდაპირი აწონვით. ვაგონ-ცისტერნებში ისევე, როგორც ჩამოსხმის დროს ხდება საქონლის აზომვა (მოცულობითი ერთეულების გამოყენებით) და შემდგომ მისი მასის განსაზღვრა შესაბამისი შეფარდებების გამოყენებით, რის თაობაზეც დეტალურად განმარტებულია მტკიცებულების სახით დართული სს „ს...“-ის წერილი. რეალურად სახეზეა ერთი და იგივე ტვირთი, ერთი და იგივე ოდენობით, უბრალოდ მასის განსაზღვრის დროს გამოყენებული ხელსაწყოების და საერთაშორისოდ აღიარებული გამოთვლის სტანდარტების დროს (ე.წ. „გოსტი“) შესაძლებელია ადგილი ჰქონდეს ცდომილებას. მოცემულ შემთხვევაში მოხდა აწონვა და არა გაზომვა.

სასამართლომ არ იმსჯელა და სათანადო შეფასება არ მისცა მტკიცებულების სახით წარმოდგენილ სს „ს...“-ის დასკვნას და მასში ასახულ განმარტებებს ე.წ. „გოსტის“ გამოყენების შესაძლებლობის შესახებ.

აპელანტის განმარტებით, ასევე არასწორია საქალაქო სასამართლოს მითითება, რომ საბაჟო ორგანოს მიმართ ვალდებულ პირს წარმოადგენს შპს „...“ და არა სს „ს...“, ვინაიდან, ნედლი ნავთობის წონის განსაზღვრა და შესაბამისი მონაცემების შეტანა დეკლარაციაში მოხდა მითითებული ფირმის მიერ განხორციელებული აზომვებისა და გამოთვლების მიხედვით. სს „ს...“ წარმოადგენს იმ ფირმას, რომელიც შესაბამისი ხელშეკრულების საფუძველზე ახორციელებდა ნედლი ნავთობის ოდენობების განსაზღვრას და „...“ ქმედების სამართლებრივი შეფასების დროს მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული მოცემული ფირმის წერილობითი დასკვნა მოქმედი სტანდარტებისა და შესაძლო ცდომილებების შესახებ.

სამართლებრივი: აპელანტის მითითებით, არასწორია სასამართლოს მსჯელობა საბაჟო კოდექსის 250.2 მუხლზე, ვინაიდან აღნიშნული ნორმით ქმედების მაკვალიფიცირებელ გარემოებას წარმოადგენს საბაჟო დეკლარაციასა და თანმხლებ დოკუმენტაციაში საბაჟო ღირებულების შესახებ არასწორი მონაცემების მითითება, სადავო აქტებში კი არსად მითითებული არ არის თუ რამდენად შემცირდა საბაჟო ღირებულება.

სასამართლომ სათანადო სამართლებრივი შეფასება არ მისცა მტკიცებულების სახით წარდგენილ „ს...“ დასკვნასა და ასევე დასკვნაში ასახულ განმარტებებს, ე.წ. „გოსტების“ გამოყენების შესაძლებლობების თაობაზე.

სასამართლომ ასევე არ იმსჯელა და არ მისცა სათანადო შეფასება „სტანდარტიზაციის, მეტროლოგიისა და სერთიფიკაციის სფეროში შეთანხმებული პოლიტიკის განხორციელების შესახებ“ 1992 წლის 13 მარტს ხელმოწერილ საერთაშორისო შეთანხმებას (რომელიც საქართველოსთვის ძალაშია 1995 წლის 22 მაისიდან) და მისი მოქმედების და გამოყენების აუცილებლობას ადმინისტრაციული ორგანოს მიერ.

ამასთან, აპელანტის განმარტებით, დღეს მოქმედი საქართველოს საგადასახადო კოდექსის 269-ე მუხლის 1-ლი ნაწილის შესაბამისად, „საგადასახადო სამართალდარღვევად ითვლება პირის მართლსაწინააღმდეგო ქმედება (მოქმედება ან უმოქმედობა), რომლისთვისაც ამ კოდექსით გათვალისწინებულია პასუხისმგებლობა“, ხოლო ეს კოდექსი ადმინისტრაციულ სამართალდარღვევად არ მიიჩნევა იმ ქმედებას, რომლის გამოც დაჯარიმდა „...“, კერძოდ, საბაჟო დეკლარაციისა და თანმხლებ დოკუმენტაციაში საბაჟო ღირებულების შესახებ არასწორი მონაცემის არსებობისას საბაჟო ღირებულების შემცირება ან გაზრდა დეკლარანტის/წარმომადგენლის მიერ, რასაც არ გამოუწვევია საბაჟო გადასახდელების ოდენობის შემცირება, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ასეთი მონაცემის არსებობა სავალდებულო არ არის. ამასთან, არ ითვალისწინებს პასუხისმგებლობას და პასუხისმგებლობის დამძიმების რეციდივს. საგადასახადო კოდექსის 269.2 მუხლის შესაბამისად, კი საგადასახადო სამართალდარღვევისათვის სანქციის შეფარდების დროს, თუ კანონით გაუქმებულია ან შემსუბუქებულია პასუხისმგებლობა, ასეთი ქმედების ჩადენისათვის მოქმედებს ახალი კანონით დადგენილი ნორმა, ხოლო ამავე კოდექსის მე-7 ნაწილის შესაბამისად, „საგადასახადო ორგანოს ხელმძღვანელი, დავის განმხილველი ორგანო უფლებამოსილია გაათავისუფლოს კეთილსინდისიერი გადამხდელი საგადასახადო სანქციისაგან თუ მის ქმედებას ზიანი არ მიუყენებია სახელმწიფო ბიუჯეტისათვის“. აპელანტის განმარტებით, კონკრეტულ შემთხვევაში გამოყენებულ უნდა იქნეს დღეს მოქმედი საქართველოს საგადასახადო კოდექსის ნორმები.

შემოსავლების სამსახურმა შპს „...“ სააპელაციო საჩივარი არ ცნო.

სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება /სარეზოლუციო ნაწილი/:

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2011 წლის 30 მაისის განჩინებით შპს „...“ სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა; უცვლელად დარჩა ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2011 წლის 21 თებერვლის გადაწყვეტილება.

გასაჩივრებული გადაწყვეტილების დასკვნების გაზიარების თაობაზე სასამართლოს მსჯელობა:

სააპელაციო სასამართლო დაეთანხმა საქალაქო სასამართლოს დასკვნებს საქმის ფაქტობრივ და სამართლებრივ საკითხებზე და დამატებით, მიუთითა საქართველოს საბაჟო კოდექსის 235-ე მუხლზე, რომლის თანახმად, საბაჟო სამართალდარღვევათა საქმეებს აწარმოებენ, განიხილვენ და შესაბამის გადაწყვეტილებებს იღებენ საბაჟო ორგანოები თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში, თუ ამ კოდექსით სხვა რამ არ არის დადგენილი. ამავე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, საბაჟო სამართალდარღვევის გამოვლენისას დგება საბაჟო სამართალდარღვევის ოქმი. საბაჟო სამართალდარღვევის ოქმი არ დგება, თუ სამართალდარღვევა დაფიქსირებულია შემონმების აქტში ან ქმედება შეიცავს დანაშაულის ნიშნებს.

ამავე კოდექსის 250-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, „საბაჟო დეკლარაციასა და თანმხლებ დოკუმენტაციაში საბაჟო ღირებულების შესახებ არასწორი მონაცემის არსებობისას საბაჟო ღირებულების შემცირება ან გაზრდა დეკლარანტის/წარმომადგენლის მიერ, რასაც არ გამოუწვევია საბაჟო გადასახდელების ოდენობის შემცირება იწვევს პირის დაჯარიმებას საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით განსაზღვრულ საბაჟო ღირებულებასა და შემცირებულ ან გაზრდილ საბაჟო ღირებულებას შორის სხვაობის თანხის 20 პროცენტის ოდენობით, მაგრამ არანაკლებ 1000 ლარისა“.

საქართველოს ფინანსთა მინისტრის №1755 ბრძანებით დამტკიცებული „საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურში საბაჟო სამართალდარღვევის საქმის წარმოების წესის თაობაზე ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ“ მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტის შესაბამისად, საბაჟო სამართალდარღვევის საქმის წარმოების საფუძველია ცნობები (ინფორმაცია) საბაჟო სამართალდარღვევის ჩადენის შესახებ, რომლებიც გამოვლენილია საბაჟო ორგანოს (საბაჟო ორგანოს მოხელის) მიერ სამსახურეობრივი უფლებამოსილების განხორციელებისას, ამავე მუხლის მე-5 ნაწილის შესაბამისად კი ინფორმაციის მიმ-

ლები საბაჟო ორგანოს უფლებამოსილი თანამშრომელი ვალდებულია, გაატაროს ყველა აუცილებელი ღონისძიება საქმის გარემოებათა შესასწავლად და საბაჟო სამართალდარღვევის ოქმის შესადგენად.

აპელაციის მოტივების არგაზიარების თაობაზე სააპელაციო სასამართლოს მსჯელობა:

სააპელაციო სასამართლოს განმარტებით, უსაფუძვლოა შპს „...“ მიერ სააპელაციო საჩივარში მოყვანილი მსჯელობა, რომ ვაგონ-ცისტერნების დაცლისას ნედლი ნავთობის წონის განსაზღვრა მოხდა აწონვით და არა გაზომვით, როგორც ამას ითვალისწინებს საერთაშორისოდ აღიარებული გამოთვლის სტანდარტები (გოსტი) და რასაც მოჰყვა შეუსაბამოა დეკლარირებულსა და რეალურ მასებს შორის და მიუთითებს, რომ „...“ მიერ წარმოდგენილ საბაჟო დეკლარაციებში ნედლი ნავთობის სუფთა წონა მითითებულია კილოგრამებში. შესაბამისად, ცისტერნის დაცლისას ნედლი ნავთობის სუფთა წონა ასევე განისაზღვრა კილოგრამებში და გამოვლინდა შეუსაბამოა. ამდენად, უსაფუძვლოა აპელანტის არგუმენტები, რომ დეკლარაციის მიხედვით ნედლეულის მასა განსაზღვრული იყო საერთაშორისო გამოთვლების სტანდარტების შესაბამისად, ე.წ. „გოსტებში“, რამაც გამოიწვია შეუსაბამოა ნედლეულის პირდაპირ აწონვის შედეგებთან.

რაც შეეხება „...“ არგუმენტებს, რომ ნედლი ნავთობის წონის განსაზღვრა და შესაბამისი მონაცემების შეტანა დეკლარაციაში მოხდა სს „ს...“ აზომვებისა და გამოთვლების შესაბამისად და რომ მითითებული კომპანია აღნიშნულ მომსახურებას ახორციელებს შესაბამისი ხელშეკრულების საფუძველზე, სააპელაციო პალატის განმარტებით, არც აღნიშნული არგუმენტი არ წარმოადგენს „...“ პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლების საფუძველს, ვინაიდან, დეკლარაციაში სწორი მონაცემების შეტანა საბაჟო კანონმდებლობის თანახმად არის არა სს „ს...“, არამედ, უშუალოდ „...“ ვალდებულება, შესაბამისად სწორედ ის წარმოადგენს საბაჟო ორგანოს წინაშე ვალდებულ პირს და არა სხვა, მესამე პირი, რომელთანაც აპელანტს აკავშირებს გარკვეული სახელშეკრულებო ურთიერთობები. შესაბამისად, არც ამ მესამე პირის აზომვები და დასკვნები არ წარმოადგენს „...“ ვალდებულებების და პასუხისმგებლობის საკითხის განსაზღვრისას მხედველობაში მისაღებ გარემოებებს.

ასევე, უსაფუძვლოა „...“ არგუმენტები, იმის თაობაზე, რომ ვინაიდან არც ერთ სადავო აქტში არ არის მითითებული თუ რამდენად შემცირდა საბაჟო ღირებულება დეკლარაციაში არასწორი მონაცემების შეტანით, არ არსებობს ქმედების საბაჟო კოდექსის 250-ე მუხლით დაკვალიფიცირების საფუძველები. აღნიშნულთან დაკავშირებით პალატა აღნიშნავს, რომ მოცემულ შემთხვევაში გამოვლინდა შეუსაბამოა დეკლარირებულსა და რეალურ მასას შორის, ანუ რეალური მასა იყო დეკლარირებულზე ნაკლები, შესაბამისად, დეკლარაციაში შეტანილ იქნა რეალურზე ნაკლები მონაცემები, რაც იწვევს შემცირებული ოდენობის პროპორციულად საბაჟო ღირებულების შემცირებას. დეკლარირებული ნედლეულის საბაჟო ღირებულება კი განსაზღვრულია საბაჟო დეკლარაციებით.

სააპელაციო სასამართლოს განმარტებით, აპელანტი მხარე თავის მოსაზრებებს ამყარებს საქართველოს მთავრობის 2006 წლის 24 თებერვლის №45 დადგენილებაზე (საქართველოს მიერ სხვა ქვეყნების ტექნიკური რეგლამენტების აღიარებისა და მოქმედების წესების შესახებ), რომლითაც გაგრძელებულ იქნა დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობასთან და მის წევრ სახელმწიფოებთან მოქმედი დოკუმენტების („გოსტები“, სამშენებლო ნორმები და წესები, სანიტარული წესები და ნორმები და სხვა) სრულყოფილებიანი მოქმედება. დადგენილების პირველი პუნქტით განსაზღვრულია, რომ „პროდუქციისა და მომსახურების სერტიფიკაციის შესახებ“ საქართველოს კანონის საფუძველზე აღიარებულ იქნა ტექნიკური რეგლამენტად და საქართველოში მოქმედი სხვა ტექნიკური რეგლამენტების პარალელურად სრულყოფილებიანად იქნა გამოყენებული ევროკავშირის, ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის წევრი და საქართველოს სავაჭრო ძირითადი პარტნიორი ქვეყნების (დანართი №1) პროდუქციისა და მომსახურების სფეროში მოქმედი ტექნიკური რეგულირების შემდეგი დოკუმენტების მხოლოდ ის ნაწილები და მოთხოვნები, რომლებიც ეხება პროდუქციის უსაფრთხოების უზრუნველყოფ მახასიათებლებს და მიჩნეულია სავალდებულოდ, კერძოდ, „ევროსაბჭოს ახალი და გლობალური დირექტივები“, მათთან პარამონიზირებული ევროპული ნორმები და დოკუმენტები და №1 დანართში მითითებული ქვეყნების ტექნიკური რეგულირების სფეროში მოქმედი დოკუმენტები, რომლებიც განსაზღვრავენ პროდუქციის მახასიათებლებს ან მასთან დაკავშირებულ პროცესებს და წარმოების მეთოდებს, შესაბამისი ადმინისტრაციული დებულებების ჩათვლით, რომელთა დაცვაც სავალდებულოა ამ ქვეყნებში. დადგენილების პირველი მუხლის მე-2 პუნქტით ასევე განისაზღვრა, რომ პირველი პუნქტში აღნიშნული დოკუმენტების პარალელურად უნდა გაგრძელდეს დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობასთან და მის წევრ სახელმწიფოებთან უკვე დადებული საერთაშორისო ხელშეკრულებების საფუძველზე ტექნიკური რეგლამენტების სფეროში დღეს მოქმედი დოკუმენტების სრულყოფილებიანი მოქმედება. დადგენილების მე-4 პუნქტის თანახმად გადაწყდა, შესაბამისი სამინისტროებსა და სახელმწიფო დაწესებულებებს საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროსათვის უნდა წარედგინათ საქართველოში მისაღები იმ ტექნიკური რეგლამენტების ჩამონათვალი (შესაბამისი დასაბუთებით), რომელთა მიღებაც განპირობებულია განსაკუთრებული სპეციფიკურობითა და აუცილებლობით და რომელთაც არ ითვალისწინებს ამ დადგენილების პირველი და მე-2 პუნქტებით განსაზღვრული დოკუმენტები.

სასამართლოს განმარტებით, ტექნიკური რეგლამენტის ის ჩამონათვალი თავის დასაბუთებით, რაც მთავრობის დადგენილებაშია მითითებული, ნავთობისა და ნავთობპროდუქტების მასისა და გაზომვების შესრულების მეთოდის მხრივ არ შექმნილა. ასევე, საქართველო დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის წევრი ქვეყანა აღარ არის და მითითებული ტექნიკური რეგლამენტები ვერ გავრცელდება საქართველოს შიდასახელმწიფოებრივ ურთიერთობებზე, მათ შორის – განსახილველ ურთიერთობაზე.

სადავო ურთიერთობაზე ასევე არ ვრცელდება საქართველოს მთავრობის 2009 წლის 30 დეკემბრის №263 დადგენილებით დამტკიცებული დებულება „ნავთობპროდუქტების ბუნებრივი დანაკარგის ნორმების დამტკიცების შესახებ“, რომელიც განსაზღვრავს ნავთობპროდუქტების ბუნებრივ დანაკარგებს, კერძოდ, ნავთობპროდუქტების რეზერვუარში მიღებისას, შენახვისას და ტრანსპორტირებისას დანაკარგების მაქსიმალურ ზღვრულ ნორმებს, რომლებიც გამოიყენება მხოლოდ ნავთობპროდუქტების ფაქტობრივი დანაკლისის შემთხვევაში. რაც შეეხება საერთაშორისო ხელშეკრულების გამოყენებას, სასამართლოს მითითებით, 1992 წლის 13 მარტს ხელმოწერილი „სტანდარტიზაციის, მეტროლოგიისა და სერტიფიკაციის სფეროში შეთანხმებული პოლიტიკის განხორციელების შესახებ“ საერთაშორისო შეთანხმება საქართველოსთვის ძალაშია 1995 წლის 22 მაისიდან. შეთანხმების პირველი მუხლის თანახმად, მხარეები, რომლებსაც აქვთ სრული დამოუკიდებლობა სტანდარტიზაციის, მეტროლოგიისა და სერტიფიკაციის სისტემების შექმნისა და რეალიზების საკითხებში და ამ სფეროში სამუშაოების ორგანიზებაში, აღიარებენ „გოსტის“ მოქმედ სტანდარტებს, როგორც სახელმწიფოთაშორის, ინარჩუნებენ აბრევიატურას „გოსტ“ ხელახლა შემოტანილ სახელმწიფოთაშორის სტანდარტებზე, ითვალისწინებენ მათი მოთხოვნების პარამონიზირებას საერთაშორისო, რეგიონული და მონინავე ეროვნულ სტანდარტებთან. ამასთან, 1997 წლის 16 ოქტომბრის „საერთაშორისო ხელშეკრულებების შესახებ“ კანონის მე-6 მუხლის 1-ლი და მე-2 ნაწილების თანახმად, საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულება საქართველოს კანონმდებლობის განუყოფელი ნაწილია, თუ იგი არ ეწინააღმდეგება საქართველოს კონსტიტუციას, კონსტიტუციურ კანონსა და კონსტიტუციურ შეთანხმებას, აქვს უპირატესი იურიდიული ძალა შიდასახელმწიფოებრივი ნორმატიული აქტების მიმართ. კანონის მე-3 მუხლის მიხედვით, ოფიციალურად გამოქვეყნებული საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებების დებულებები, რომლებიც ადგენენ კონკრეტული ხასიათის უფლებებსა და მოვალეობებს და არ საჭიროებენ დამაზუსტებელი შიდა სახელმწიფოებრივი ნორმატიული აქტების მიღებას, საქართველოში მოქმედებენ უშუალოდ.

1992 წლის 13 მარტს ხელმოწერილი „სტანდარტიზაციის, მეტროლოგიისა და სერტიფიკაციის სფეროში შეთანხმებული პოლიტიკის განხორციელების შესახებ“ საერთაშორისო შეთანხმების დებულებები, რომლებიც ეხება ე.წ. „გოსტის“ მოქმედ სტანდარტებს, ზოგადი ხასიათისაა და არ შეიცავს რაიმე მითითებას, თუ რა ფორმით და ვის მიერ უნდა იქნეს გამოყენებული ეს დებულება ეროვნულ დონეზე, ხელშეკრულება არ მიუთითებს, თუ ვის წარმოექმნება უფლება-მოვალეობები ამ დებულების შესაბამისად. გამომდინარე იქიდან, რომ საერთაშორისო ხელშეკრულების დებულებები არ ადგენს კონკრეტული ხასიათის უფლება-მოვალეობებს და ისინი საჭიროებს დაზუსტებას შიდასახელმწიფოებრივი ნორმატიული აქტების მეშვეობით, ხოლო საქართველოს შესაბამისი შიდასახელმწიფოებრივი აქტი არ აქვს მიღებული.

ასევე უსაფუძვლოა „...“ არგუმენტები, რომ არც ერთი სადავო აქტით არ არის განსაზღვრული საბაჟო კოდექსის 250-ე მუხლით გათვალისწინებული ქმედების განმეორებით ჩადენის შესახებ და არ არის მითითება შესაბამის გარემოებებსა და მტკიცებულებებზე. პალატა აღნიშნავს, რომ მართალია, სადავო აქტებში 250-ე მუხლით გათვალისწინებული საბაჟო სამართალდარღვევის განმეორებით ჩადენის შესახებ სიტყვიერად მითითებული არ არის, თუმცა, როგორც საბაჟო სამართალდარღვევის ოქმებში, ისე საბაჟო შეტყობინების დასაბუთებაში, მითითებულია „...“ მიერ საბაჟო კოდექსის 250.2 მუხლით გათვალისწინებული სამართალდარღვევის ჩადენის შესახებ და ამ კვალიფიკაციის შესაბამისად დაეკისრა ჯარიმა 1000 ლარის ოდენობით. ამდენად, მითითება საბაჟო კოდექსის 250.2 მუხლზე გულისხმობს სწორედ ამ ქმედების განმეორებით ჩადენას. რაც შეეხება „...“ მსჯელობას იმის შესახებ, რომ სამართალდარღვევის ფაქტის დადასტურების შემთხვევაში ქმედება მაინც უნდა დაკვალიფიცირდეს, როგორც პირველად ჩადენილი, ვინაიდან წინა შემთხვევაზე დავა დასრულებული არ არის და არ არის დადასტურებული ქმედების ჩადენის ფაქტი. პალატა მიუთითებს, საბაჟო კოდექსის 234-ე მუხლის მე-3 ნაწილზე, რომლის თანახმად რამდენიმე საბაჟო სამართალდარღვევის გამოვლენისას საბაჟო სანქცია გამოიყენება თითოეული სამართალდარღვევისათვის ცალ-ცალკე. შესაბამისად, თუ პირი გამოვლენილი იყო 250.1 მუხლით გათვალისწინებული სამართალდარღვევის ფაქტზე, ანალოგიურ ქმედებაზე 12 თვის განმავლობაში ხელახლა გამოვლენისას, მიუხედავად იმისა, დასრულებულია თუ არ დავა წინა სამართალდარღვევასთან დაკავშირებით, ადგილი აქვს სამართალდარღვევის განმეორებით ჩადენის ფაქტს და „...“ ქმედება სწორად დაკვალიფიცირდა საბაჟო კოდექსის 250-ე მუხლის მე-2 ნაწილით.

კასატორი: სს „...“

მონინალმდევე მხარეები: სსიპ შემოსავლების სამსახურის ეკონომიკური საზღვრის დაცვის დეპარტამენტი, „დასავლეთ პორტალი“, პორტალი „მათუმის პორტი“

საქართველოს ფინანსთა სამინისტრო

კასაციის საგანი და მოცულობა /ფარგლები/

სააპელაციო სასამართლოს 2011 წლის 30 მაისის განჩინების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით მისი სარჩელის დაკმაყოფილება.

კასატორი – სს „...“ საკასაციო საჩივარში ფაქტობრივად იმეორებს სასარჩელო და სააპელაციო სასამართლოში წარმოდგენილი ფაქტობრივ და სამართლებრივ მოტივებს.

ამასთან, კასატორის მითითებით, სააპელაციო სასამართლო განჩინებაში მიუთითებს, საქართველოს მთავრობის 2009 წლის 30 დეკემბრის №269 დადგენილებით დამტკიცებული „ნავთობპროდუქტების ბუნებრივი დანაკარგის ნორმების დამტკიცების შესახებ“ დებულებას, რომელსაც არანაირი კავშირი არ აქვს განსახილველ საქმესთან, ვინაიდან მითითებული დადგენილება გულისხმობს ნავთობპროდუქტების (როგორიცაა ბენზინი, ნავთი და დიზელი) ბუნებრივ დანაკარგებს, ხოლო კონკრეტულ შემთხვევაში საკითხი

ეხება არა ნავთობპროდუქტებს და მის ბუნებრივ დანაკარგებს, არამედ ნედლ ნავთობს, რომლის გადამუშავების შემდგომაც მიიღება ნავთობპროდუქტები და ნედლი ნავთობის აზომვის (და არა აწონვის) დროს შესაძლო ცდომილებას.

საკასაციო სასამართლოს მიერ საკასაციო საჩივრის დასაშვებობის პროცესუალური წინამძღვრები: (სასკ 34.3 მ.)

საკასაციო სასამართლომ 2011 წლის 1 ნოემბრის განჩინებით მიიჩნია, რომ კასატორის სს „...“ (შპს „...“) საკასაციო საჩივარი შეიცავს მითითებებს ადმინისტრაციულ საპროცესო კოდექსის 34.3 მუხლით, კერძოდ „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული საკასაციო საჩივრის დასაშვებობის საფუძვლის თაობაზე.

შპს „...“ განცხადება წარმოადგინა საკასაციო სასამართლოში, რომელშიც მიუთითა, რომ 2011 წლის 29 ივნისს სსიპ შემოსავლების სამსახურის მიერ გამოცემულ იქნა №3376 ბრძანება „ნავთობისა და ნავთობპროდუქტების რაოდენობის გაზომვის მეთოდების დასაშვები ცდომილების ნორმების“ განსაზღვრის შესახებ, რომელიც იდენტურია და ფაქტობრივად სრულად იმეორებს „გოსტებით“ დადგენილ ოდენობებს (საამზომველო ფირმების მიერ, როგორც ეს საქმეში წარმოდგენილი ექსპერტის დასკვნით დასტურდება ნედლი ნავთობის აზომვის დროს გამოიყენება სტატისტიკური მეთოდი. აღნიშნული მეთოდით, ნავთობის გაზომვის ცდომილება როგორც „გოსტებით“, ისე სსიპ შემოსავლების სამსახურის სამსახურის 2011 წლის 29 ივნისის №3376 ბრძანებით არის +/-0.5%.

ამასთან, მიუთითა, რომ განხორციელდა შპს „...“ რეორგანიზაცია და ... გარდაიქმნა სააქციო საზოგადოებად, რის საფუძველზეც მოითხოვა შპს „...“ უფლებამონაცვლედ სს „...“ ცნობა.

საკასაციო სასამართლოს 2011 წლის 30 სექტემბრის განჩინებით შპს „...“ უფლებამონაცვლედ დადგენილ იქნა სს „...“.

საკასაციო სასამართლომ საქმის განხილვისას მხარეებს შესთავაზა დავის მორიგებით დასრულება.

საკასაციო სასამართლოში საქმის განხილვის დროს მოწინააღმდეგე მხარემ შემოსავლების სამსახურმა წარადგინა შემოსავლების სამსახურის 2011 წლის 30 დეკემბრის ბრძანება №12346, რომლითაც დაკმაყოფილდა შპს „...“ საჩივარი და ძალადაკარგულად იქნა ცნობილი შემოსავლების სამსახურის 2010 წლის 26 ოქტომბრის №2110 ბრძანება და ასევე ძალადაკარგულად გამოცხადდა ბათუმის რეგიონალური ცენტრის 2010 წლის 22 სექტემბრის №604/2035/10, №604/2048/10 და №604/2049/10 საბაჟო შეტყობინებები და მომსახურების დეპარტამენტს დაევალა შესაბამისი კორექტირების განხორციელება გადასახადის გადამხდელის პირადი აღრიცხვის ბარათზე.

აღნიშნული ბრძანებით სადავო აქტები გამოცხადდა ძალადაკარგულად, თუმცა კასატორმა გამოხატა პროცესუალური ნება დავის გაგრძელებაზე, რაც დაასაბუთა, ფაქტობრივად იმავე გარემოებებზე დაყრდნობით, რაზეც მიუთითებდა საკასაციო საჩივარში და მოითხოვა გასაჩივრებული აქტების ბათილად ცნობა და მოპასუხეებისათვის საპროცესო ხარჯების დაკისრება. კასატორმა საქმის განხილვისას ვერ დაასაბუთა მისი სარჩელის დაკმაყოფილების თუ რა იურიდიული მატერიალურ-სამართლებრივი ინტერესი არსებობდა.

მოწინააღმდეგე მხარეებმა – სსიპ შემოსავლების სამსახურის ეკონომიკური საზღვრის დაცვის დეპარტამენტის, „დასავლეთ პორტალის“, პორტალი „ბათუმის პორტის“ და საქართველოს ფინანსთა სამინისტროს წარმომადგენლებმა სასამართლო სხდომაზე მოითხოვეს სარჩელზე საქმის წარმოების შეწყვეტა, იმ საფუძველით, რომ საკასაციო სასამართლოში დავის განხილვის დროს გასაჩივრებული აქტები ძალადაკარგულად იქნა ცნობილი და შესაბამისად აღარ არსებობდა მოთხოვნის კანონიერი ინტერესი.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საკასაციო საჩივრის მოტივების საფუძვლიანობის, მხარეთა მიერ წარმოდგენილი ახსნა-განმარტების, გასაჩივრებული განჩინების კანონიერება-დასაბუთებულობის შესწავლის შედეგად მივიდა იმ დასკვნამდე, რომ სს „...“ საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ, გაუქმდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2011 წლის 30 მაისის განჩინება და ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2011 წლის 21 თებერვლის გადაწყვეტილება, სს „...“ სარჩელზე შეწყდეს საქმის წარმოება დაუშვებლობის მოტივით, შემდეგ გარემოებათა გამო:

საქმის მასალებით დადასტურებულია, რომ საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის ბათუმის რეგიონალური ცენტრის 2010 წლის 22 სექტემბრის №604/2035/10, №604/2048/10 და №604/2049/10 საბაჟო შეტყობინებებით, შპს „...“ საქართველოს საბაჟო კოდექსის 250-ე მუხლის მე-2 ნაწილის საფუძველზე დაეკისრა ჯარიმის სახით – 1000 ლარის გადახდა.

სსიპ შემოსავლების სამსახურის უფროსის 2010 წლის 26 ოქტომბრის №2110 ბრძანებით არ დაკმაყოფილდა შპს „...“ საჩივარი საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის ბათუმის რეგიონალური ცენტრის 2010 წლის 22 სექტემბრის №604/2035/10, №604/2048/10 და №604/2049/10 საბაჟო შეტყობინებების გაუქმების თაობაზე.

საქართველოს ფინანსთა სამინისტროსთან არსებული დავების განხილვის საბჭოს 2010 წლის 13 დეკემბრის №1632/2/10 გადაწყვეტილებით კვლავ ძალაში დარჩა საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის ბათუმის რეგიონალური ცენტრის 2010 წლის 22 სექტემბრის №604/2035/10, №604/2048/10 და №604/2049/10 საბაჟო შეტყობინებები და სსიპ შემოსავლების სამსახურის უფროსის 2010 წლის 26 ოქტომბრის №2110 ბრძანება.

სს „...“ სარჩელით ითხოვდა საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის ბათუმის რეგიონალური ცენტრის 2010 წლის 22 სექტემბრის №604/2035/10, №604/2048/10 და №604/2049/10 სა-

ბაჟო შეტყობინებების, სსიპ შემოსავლების სამსახურის უფროსის 2010 წლის 26 ოქტომბრის №2110 ბრძანებისა და საქართველოს ფინანსთა სამინისტროსთან არსებული დავების განხილვის საბჭოს 2010 წლის 13 დეკემბრის №1632/2/10 გადაწყვეტილების ბათილად ცნობას და საპროცესო ხარჯების მოპასუხეებისათვის სოლიდარულად დაკისრებას.

საქმის მასალებით ასევე დადგენილია, რომ საკასაციო სასამართლოში მოწინააღმდეგე – მხარემ შემოსავლების სამსახურმა წარმოადგინა შემოსავლების სამსახურის 2011 წლის 30 დეკემბრის ბრძანება №12346, რომლითაც დაკმაყოფილდა შპს „...“ საჩივარი და ძალადაკარგულად გამოცხადდა შემოსავლების სამსახურის 2010 წლის 26 ოქტომბრის №2110 ბრძანება და ასევე ბათუმის რეგიონალური ცენტრის 2010 წლის 22 სექტემბრის №604/2035/10, №604/2048/10 და №604/2049/10 საბაჟო შეტყობინებები და მომსახურების დეპარტამენტს დაევალა შესაბამისი კორექტირება მოეხდინა გადასახადის გადამხდელის პირადი აღრიცხვის ბარათზე.

სს „...“ მიერ წარმოდგენილი იქნა ასევე შემოსავლების სამსახურის 2011 წლის 30 დეკემბრის ბრძანება №12346 და საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სსიპ შემოსავლების სამსახურის 2012 წლის 6 იანვრის საგადასახადო მოთხოვნები №094-2, №09-3, №94-4, რომელთა შესაბამისადაც, სს „...“ სრულად გაუქმდა სადავო აქტების საფუძველზე დარიცხული ჯარიმა.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ: ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 22-ე მუხლის მე-2 ნაწილი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობის მოთხოვნით აღძრულ სარჩელს დასაშვებად მიიჩნევს, თუ არსებობს ერთ-ერთი პირობა, როდესაც ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ან მისი ნაწილი:

1. პირდაპირ და უშუალო (ინდივიდუალურ) ზიანს აყენებს მოსარჩელის კანონიერ უფლებას;
2. პირდაპირ და უშუალო (ინდივიდუალურ) ზიანს აყენებს მოსარჩელის კანონიერ ინტერესს;
3. უკანონოდ ზღუდავს მოსარჩელის უფლებას.

ამდენად, კანონის ზემოაღნიშნული მოთხოვნიდან გამომდინარე, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობის მოთხოვნით აღძრული სარჩელის დასაშვებობისათვის აუცილებელია, გასაჩივრებული აქტით ზიანი ადგებოდეს მოსარჩელის კანონიერ უფლებას, ინტერესს ან უკანონოდ იზღუდებოდეს მისი რომელიმე უფლება. მხოლოდ აღნიშნული პირობების არსებობის შემთხვევაში შეუძლია მოსარჩელეს მოითხოვოს საქმის განხილვა ადმინისტრაციული აქტის ბათილად ცნობის მოთხოვნით აღძრულ სარჩელზე შეზღუდული ან სადავოდ ქცეული უფლების ან კანონიერი ინტერესის დაცვის მიზნით.

სასამართლო წესით სარჩელის აღძვრის შესაძლებლობა სუბიექტური უფლების განხორციელების ერთ-ერთი ფორმაა, რომელიც იცავს უფლებას გაქარწყლებისგან, არარად ქცევისგან. ამიტომ, რომ საპროცესო სამართალში სარჩელის აღძვრის უფლების (სარჩელზე უფლების) არსებითი ელემენტია, უზინარეს ყოვლისა, თავად უფლების არსებობა მატერიალური შინაარსით რომლის დაცვის ღირსი ინტერესიც მოსარჩელეს გააჩნია. თუკი განცხადებულ მოთხოვნაზე უფლება ნამდვილად ეკუთვნის მოსარჩელეს და მას ნამდვილად აქვს ამ უფლების დაცვაზე კანონიერი ინტერესი, ხოლო სადავოდ გამხდარ უფლებაზე ვალდებულ პირს ნამდვილად წარმოადგენს მოპასუხე, მაშინ საქმის განხილვისათვის ერთ-ერთი აუცილებელი პირობა – მხარეთა ლეგიტიმური შემადგენლობა სახეზეა.

ამდენად, სასამართლოსადმი მიმართვა უკავშირდება მხოლოდ „თავისი“ უფლების ან თავისუფლების დაცვის რეალურ საჭიროებას, რის გამოც სასამართლოში სარჩელის აღძვრის პროცესუალური უფლებით სარგებლობს მხოლოდ საამისო, ნამდვილი ინტერესის მქონე პირი და ამასთან, ეს ინტერესი უნდა იყოს კანონიერი. შესაძლებელია, თავისთავად, პირს ჰგონია, რომ ასეთი ინტერესი აქვს და მიმართავს სასამართლოს, მაგრამ პირის ასეთი სუბიექტური განწყობა ჯერ კიდევ არ ნიშნავს, რომ ობიექტურად იგი მართლაც დაინტერესებულია პროცესის წარმოების თვალსაზრისით. სწორედ აღნიშნული საკითხის გამორკვევას ემსახურება სარჩელის დასაშვებობის ინსტიტუტი ადმინისტრაციულ პროცესში, რომლის მიზანია, კანონით გათვალისწინებულ მთელ რიგ აუცილებელ საკითხებთან ერთად წინასწარ, საქმის არსებითი განხილვის დაწყებამდე გაირკვეს, სარჩელის აღძვრას აქვს თუ არა კანონიერი ინტერესი ანუ სარჩელის ბათილად ცნობის მოთხოვნით ფაქტობრივი მიზეზების არარსებობის გამო მის ბათილად ცნობას აქვს თუ არა მნიშვნელობა.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 22-ე მუხლით გათვალისწინებული სარჩელის დასაშვებობის საკითხის შემოწმებისას მოსარჩელის უფლებისა და კანონიერი ინტერესის არსებობის საკითხის გარკვევისას მნიშვნელოვანია, გაირკვეს უფლებისა და ინტერესის სუბიექტური ფარგლების საკითხი, რაც უკავშირდება მათ შორის ურთიერთმიმართებისა და განსხვავების გამორკვევას. საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ ამ თვალსაზრისით ინტერესი არ არის სუბიექტური უფლების შემადგენელი ელემენტი, წარმოადგენს მისი დაკმაყოფილების განმაპირობებელი სუბიექტური უფლების ნაწილს. ამ თვალსაზრისით სარჩელის აღძვრა შესაძლებელია მოსარჩელის კანონიერი ინტერესისათვის ზიანის მიყენების საფუძველი. ამდენად, ამ საკითხის სწორად გარკვევას უდიდესი მნიშვნელობა აქვს იმისათვის, რომ, ერთი მხრივ, მოსარჩელეს არ წაერთვას ნამდვილი უფლება სარჩელზე და შესაბამისად, სამართლიან სასამართლოზე და, მეორე მხრივ, შეცდომით არ მოხდეს სარჩელზე მოსარჩელის არარსებული უფლების განხორციელება და ამით გაუმართლებლად არ შეილახოს მოპასუხის ინტერესები და სამართლიან სასამართლოზე მისი შესაბამისი უფლება.

საკასაციო სასამართლო ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26²-ე მუხლის 1-ლი ნაწილის საფუძველზე განმარტავს, რომ ადმინისტრაციული სარჩელის დასაშვებობის დამოუკიდებელი პროცესუალური სტადიის (განმწესრიგებელი სხდომა, ხოლო საკასაციო სასამართლოს კომპეტენცია – 26^{2.6} მუხ-

ლით) დადგენა ემსახურება პირის სუბიექტური უფლების ეფექტიანი რეალიზაციის მიზანს, კერძოდ, ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 22-ე-25-ე მუხლებით განსაზღვრულია ადმინისტრაციული სარჩელის სახეები და დასაშვებობის კრიტერიუმები, სწორედ ამ სტანდარტის დაკმაყოფილების პირობებშია დასაშვები სასამართლო წესით დავა.

მოცემულ შემთხვევაში, სარჩელი აღძრულია ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 22-ე მუხლის საფუძველზე, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობის მოთხოვნით, ხოლო საკასაციო სასამართლოში საქმის განხილვისას შემოსავლების სამსახურმა წარმოადგინა შემოსავლების სამსახურის 2011 წლის 30 დეკემბრის ბრძანება №12346, რომლითაც დაკმაყოფილდა შპს „...“ საჩივარი და ძალადაკარგულად იქნა ცნობილი შემოსავლების სამსახურის 2010 წლის 26 ოქტომბრის №2110 ბრძანება და ასევე ძალადაკარგულად გამოცხადდა ბათუმის რეგიონალური ცენტრის 2010 წლის 22 სექტემბრის №604/2035/10, №604/2048/10 და №604/2049/10 საბაჟო შეტყობინებები და მომსახურების დეპარტამენტს დაევალა შესაბამისი კორექტირების განხორციელება გადასახადის გადამხდელის პირადი აღრიცხვის ბარათზე.

სს „...“ მიერ წარმოდგენილ იქნა ასევე შემოსავლების სამსახურის 2011 წლის 30 დეკემბრის ბრძანება №12346 და საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სსიპ შემოსავლების სამსახურის 2012 წლის 6 იანვრის საგადასახადო მოთხოვნები №094-2, №09-3, №94-4, რომელთა შესაბამისადაც, სს „...“ სრულად გაუქმდა სადავო აქტების საფუძველზე დარიცხული ჯარიმა.

შემოსავლების სამსახურის 2011 წლის 30 დეკემბრის №12346 ბრძანების გამოცემას საფუძველად დაედო „ნავთობისა და ნავთობპროდუქტების რაოდენობის გაზომვის მეთოდების დასაშვები ცდომილების ნორმების დამტკიცების შესახებ“ შემოსავლების სამსახურის 2011 წლის 29 ივნისის №3376 ბრძანება, რომლის შესაბამისად, დამტკიცდა ნავთობისა და ნავთობპროდუქტების რაოდენობის გაზომვის მეთოდების დასაშვები ცდომილების ნორმები დანართი №1-ის შესაბამისად.

საკასაციო სასამართლოს განმარტებით, მოსარჩელეს – სს „...“ გასაჩივრებული აქტებით ველარ მიადგება ზიანი და ვერც მისი უფლება შეიზღუდება.

საკასაციო სასამართლოს განმარტებით, ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გაუქმება ზოგადი ტერმინია და მოიცავს, როგორც აქტის ბათილად ისე ძალადაკარგულად გამოცხადებას. ორივე შემთხვევაში აქტი წყვეტს მოქმედებას, მაგრამ განსხვავება მდგომარეობს ძალადაკარგულად გამოცხადებული აქტის სამართლებრივ ბუნებაში. ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-60¹ და 61-ე მუხლების შინაარსიდან გამომდინარე, კანონმდებელმა ერთმანეთისგან გამიჯნა უკანონო და კანონიერი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტები.

ბათილად ცნობის ობიექტია უკანონო ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი, ხოლო ძალადაკარგულად ცხადდება კანონიერი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი. რაც შეეხება მათ სამართლებრივ შედეგებს, ბათილად ცნობა ავტომატურად არ იწვევს აქტის ძალაში შესვლის დღიდან წარმოშობილი სამართლებრივი შედეგების გაუქმებას. ადმინისტრაციული ორგანო ან სასამართლო ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობასთან ერთად განსაზღვრავს მისი მოქმედების შეწყვეტის სამართლებრივ შედეგებს, აქტის ძალადაკარგულად გამოცხადება კი იწვევს მისი მოქმედების შეწყვეტას აქტის ძალადაკარგულად გამოცხადების დღიდან. ამასთან, სასამართლოს განმარტებით, ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ძალადაკარგულად გამოცხადება შესაძლებელია მხოლოდ მაშინ, როდესაც სახეზეა კანონით გათვალისწინებული განსაკუთრებული წინაპირობები. განსხვავებით უკანონო ინდივიდუალური ადმინისტრაციული აქტის ბათილად ან ძალადაკარგულად გამოცხადებისაგან, კანონიერი ინდივიდუალური ადმინისტრაციული-სამართლებრივი აქტის ძალადაკარგულად გამოცხადება ხდება ძალადაკარგულად გამოცხადების წინაპირობების კანონმდებლის მიერ ამოწმწერავად განსაზღვრით.

საკასაციო სასამართლო ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 32.3 მუხლის საფუძველზე განმარტავს: სასამართლო გადაწყვეტილების გამოტანამდე ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად გამოცხადების შემთხვევაში სასამართლო უფლებამოსილია, მხარის კანონიერი ინტერესის არსებობისას და მისი მოთხოვნით, ბათილად ცნოს ეს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი. საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, მიუხედავად იმისა, რომ საპროცესო კანონი ამგვარ უფლებამოსილებაზე არ უთითებს სადავო აქტის ძალადაკარგულად გამოცხადების შემთხვევისას, ვითარების იდენტურობიდან გამომდინარე, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 7.2 მუხლის (კანონის ანალოგია) დანაწესის საფუძველზე იგივე მიდგომა შესაძლებელია გამოყენებულ იქნეს აქტის ძალადაკარგულად გამოცხადების შემთხვევაშიც, მაგრამ როგორც ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 32.3 მუხლის შინაარსიდან გამომდინარეობს, მხარის მოთხოვნით დავის გაგრძელებისა და აქტების ბათილად ცნობისათვის არსებითია არსებობდეს აქტების ბათილად ცნობის მხარის კანონიერი ანუ მატერიალურ-სამართლებრივი იურიდიული ინტერესი ე.ი აღნიშნული წარმოადგენს მოთხოვნის დაკმაყოფილების აუცილებელ პირობას.

საკასაციო სასამართლო განმარტავს: მოპასუხე ადმინისტრაციულმა ორგანომ სადავო აქტები ძალადაკარგულად გამოაცხადა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61-ე მუხლის (თუმცა მითითებული არ აქვს რომელი ნაწილით) საფუძველზე, რამდენადაც შემოსავლების სამსახურის 2011 წლის 29 ივნისის №3376 ბრძანებით დამტკიცდა რა ნავთობისა და ნავთობპროდუქტების გაზომვის მეთოდების დასაშვები ცდომილების ნორმები №1-ის შესაბამისად, ამ სამართლებრივი აქტით ამკარად გაუმჯობესდა მოსარჩელის სს „...“ სამართლებრივი მდგომარეობა, ვინაიდან მათ სადავო აქტები უკანონოდ მიაჩნდათ ამ

ბრძანების მიღებამდე არსებულ 1992 წლის 13 მარტის ხელმოწერილ „სტანდარტიზაციის, მეტროლოგიისა და სერთიფიკაციის სფეროში შეთანხმებული პოლიტიკის განხორციელების შესახებ“ საერთაშორისო შეთანხმების საფუძველზე, რომლის საქართველოში მოქმედებას და იურიდიულ ძალას არ აღიარებდა მოპასუხე, ხოლო №3376 ბრძანებით დადგენილი ცდომილების ნორმებთან მოსარჩელის ტვირთის ცდომილება შესაბამეა სტანდარტს. ამდენად, სასამართლო დავის გადაწყვეტის პროცესში ახლად განსაზღვრული ცდომილების ნორმების გავრცელება მოსარჩელის სადავო შემთხვევასთან აზრს უკარგავს დავის გაგრძელებას, რამდენადაც სარჩელის მიზანი პრაქტიკულად მიღწეულია.

ამდენად, სახეზეა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61-ე მუხლის „დ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული აქტის ძალადაკარგულად გამოცხადების საფუძველები, რითაც სადავო აქტების მოქმედება აღარ აყენებს ზიანს საზოგადოებრივ ინტერესებს, ადმინისტრაციული სამართლის უმნიშვნელოვანესი პრინციპების – კანონიერებისა და კანონის წინაშე თანასწორობის პრინციპების დაცვის საფუძველზე.

კონკრეტულ შემთხვევაში, კი სადავო აქტების ძალადაკარგულად გამოცხადებით დადგა სწორედ ის სამართლებრივი შედეგი, რაც სადავო აქტების ბათილად ცნობას მოჰყვებოდა და რაც სწორედ სს „...“ სარჩელის მიზანს წარმოადგენდა. ამავდროულად აღსანიშნავია, რომ მიუხედავად აქტის ძალადაკარგულად გამოცხადებისა მოპასუხე ადმინისტრაციულმა ორგანომ სრულად გააუქმა მისი სამართლებრივი შედეგები.

საკასაციო სასამართლოში საქმის განხილვისას მხარემ ვერ დაასაბუთა თუ რა იურიდიული ინტერესი გააჩნდა მას სადავო აქტების ბათილად ცნობისა და სასამართლოს მიერ სარჩელის დაკმაყოფილებისა და აქტების ბათილად ცნობის შემთხვევაში რა განსხვავებული სამართლებრივი შედეგი დადგებოდა. შესაბამისად, მოსარჩელეს აღარ აქვს სარჩელის დაკმაყოფილებისა და სადავო აქტების ბათილად ცნობის კანონიერი ინტერესი, მხოლოდ განეული სასამართლო ხარჯების მოპასუხისათვის დაკისრების შესაძლებლობა ვერ იქნება მიჩნეული სადავო აქტების ბათილად ცნობის კანონიერ ინტერესად. ვინაიდან სასამართლო ხარჯების სრულად მოპასუხისათვის დაკისრება ამ სახის სარჩელის მეშვეობით ვერ მიიღწევა.

რაც შეეხება საქართველოს ფინანსთა სამინისტროსთან არსებული დავების განხილვის საბჭოს 2010 წლის 13 დეკემბრის №1632/2/10 გადაწყვეტილების ბათილად ცნობას, საკასაციო სასამართლოს განმარტებით, მართალია, აღნიშნული გადაწყვეტილება არ გაუქმებულა, მაგრამ გაუქმდა და ძალადაკარგულად გამოცხადდა ის ბრძანება და საბაჟო შეტყობინებები, რომელთა გაუქმებასაც ითხოვდა სს „...“ საქართველოს ფინანსთა სამინისტროსთან არსებული დავების განხილვის საბჭოში წარდგენილი საჩივრით, შესაბამისად მას იურიდიული ძალა არ გააჩნია და რაიმე სამართლებრივი შედეგიც ვერ მოჰყვება.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ სს „...“ საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ, გაუქმდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2011 წლის 30 მაისის განჩინება და ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2011 წლის 21 თებერვლის გადაწყვეტილება, სს „...“ სარჩელზე საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26² მუხლის მე-6 ნაწილის საფუძველზე შეწყდეს საქმის წარმოება დაუშვებლობის მოტივით.

ამასთან, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 9.3 მუხლის შესაბამისად, სს „...“ უნდა დაუბრუნდეს საკასაციო საჩივარზე გადახდილი სახელმწიფო ბაჟის (300 ლარი) ნახევარი – 150 ლარი.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 1.2, 9.3, 26².6 მუხლებით, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე მუხლებით და

დ ა ა ღ გ ი ნ ა:

1. სს „...“ საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;
2. გაუქმდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2011 წლის 30 მაისის განჩინება და ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2011 წლის 21 თებერვლის გადაწყვეტილება;
3. სს „...“ სარჩელზე შეწყდეს საქმის წარმოება დაუშვებლობის გამო;
4. სს „...“ გაუნახევრდეს გადახდილი სახელმწიფო ბაჟი და დაუბრუნდეს სახელმწიფო ბიუჯეტიდან 150 ლარი;
5. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

საგაჟო სამართალდარღვევის გამო პასუხისმგებლობის სახეები

გადაწყვეტილება
საქართველოს სახელმწიფო

№ბს-1332-1317(კ-11)

28 მარტი, 2012 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატა
შემაღგებლობა: ნ. სხირტლაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),

ლ. მურუსიძე,
ნ. ქადაგიძე

დავის საგანი: ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების ბათილად ცნობა და ახალი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა

აღწერილობითი ნაწილი:

ნ. ჰ-მა 22.12.2010წ. სასარჩელო განცხადებით მიმართა რუსთავის საქალაქო სასამართლოს მოპასუხეების – საქართველოს ფინანსთა სამინისტროს, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის რუსთავის რეგიონული ცენტრის მიმართ და მოითხოვა საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის რუსთავის რეგიონული ცენტრის 26.10.10წ. №8005/21-18 საბაჟო შეტყობინების, შემოსავლების სამსახურის 09.11.10წ. №2237 ბრძანების და საქართველოს ფინანსთა სამინისტროსთან არსებული დავების განხილვის საბჭოს 06.12.10წ. გადაწყვეტილების ბათილად ცნობა და რუსთავის რეგიონული ცენტრისთვის ახალი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის დავალება.

მოსარჩელის განმარტებით, იგი სადავოდ არ ხდის მისი მხრიდან საბაჟო სამართალდარღვევის ჩადენის ფაქტს, თუმცა მიაჩნია, რომ ადმინისტრაციული ორგანოს მხრიდან მის მიმართ შეფარდებულ იქნა შეუსაბამოდ მკაცრი სანქცია ავტოსატრანსპორტო საშუალების ჩამორთმევის სახით, რაც მის ოჯახს მძიმე მატერიალურ მდგომარეობაში აყენებს. მოსარჩელე ითხოვს, რუსთავის რეგიონული ცენტრისთვის ახალი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის დავალებას, რომლითაც სანქციის სახით ავტოსატრანსპორტო საშუალების ჩამორთმევის ნაცვლად დაეკისრება ჯარიმა 1000 ლარის ოდენობით.

რუსთავის საქალაქო სასამართლოს 24.02.11წ. გადაწყვეტილებით ნ. ჰ-ის სარჩელი არ დაკმაყოფილდა. სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ საბაჟო გამშვები პუნქტის „წითელი ხიდის“ ტერიტორიაზე 26.10.10წ. აზერბაიჯანის მხრიდან შემოვიდა „გაზ 33021“ მარკის ავტომანქანა, რომელსაც მართავდა აზერბაიჯანის მოქალაქე ნ. ჰ-ი. ავტომანქანის საბაჟო დათვალიერებისას აღმოჩენილ იქნა არადეკლარირებული საქონელი, კერძოდ 21,7 კილოგრამი ბამბის ქსოვილი და 34,8 კილოგრამი სინთეზური ძაფების ქსოვილი, სულ 564,9 ლარის ღირებულების საქონელი. 26.10.10წ. საბაჟო გამშვები პუნქტის „წითელი ხიდის“ უფლებამოსილი პირის მიერ შედგა საბაჟო სამართალდარღვევის ოქმი №034760 მოსარჩელე ნ. ჰ-ის მიმართ საქართველოს საბაჟო კოდექსის 242-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული სამართალდარღვევის ფაქტზე. საბაჟო სამართალდარღვევის №034760 ოქმის საფუძველზე 26.10.10წ. გამოიცა №8005/21-18 საბაჟო შეტყობინება, რომლის მიხედვით ნ. ჰ-ს ჩამოერთვა საბაჟო სამართალდარღვევის საქონელი და ავტოსატრანსპორტო საშუალება. №8005/21-18 საბაჟო შეტყობინება მოსარჩელის მიერ გასაჩივრდა საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურში, რომელმაც 11.11.10წ. №2237 ბრძანებით არ დააკმაყოფილა საჩივარი. საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის №2237 ბრძანება გასაჩივრდა საქართველოს ფინანსთა სამინისტროს დავების განხილვის საბჭოში, რომლის მიერ 06.12.10წ. მიღებული გადაწყვეტილებით არ დაკმაყოფილდა წარდგენილი საჩივარი.

სასამართლომ მიიჩნია, რომ საკითხი განეკუთვნება ადმინისტრაციულ ორგანოს დისკრეციულ უფლებამოსილებას. სზაკ-ის მე-2 მუხლის თანახმად დისკრეციული უფლებამოსილება განმარტებულია, როგორც უფლებამოსილება, რომელიც ადმინისტრაციულ ორგანოს ან თანამდებობის პირს ანიჭებს თავისუფლებას საჯარო და კერძო ინტერესების დაცვის საფუძველზე კანონმდებლობის შესაბამისი რამდენიმე გადაწყვეტილებიდან შეარჩიოს ყველაზე მისაღები გადაწყვეტილება. სზაკ-ის მე-6 მუხლი ადგენს დისკრეციული უფლებამოსილების განხორციელების წესს, კერძოდ, თუ ადმინისტრაციულ ორგანოს რომელიმე საკითხის გადასაწყვეტად მინიჭებული აქვს დისკრეციული უფლებამოსილება, იგი ვალდებულია ეს უფლებამოსილება განახორციელოს კანონით დადგენილ ფარგლებში. ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია განახორციელოს დისკრეციული უფლებამოსილება მხოლოდ იმ მიზნით, რომლის მისაღწევაც დაკმაყოფილებული აქვს ეს უფლებამოსილება. საქართველოს საბაჟო კოდექსის 242-ე მუხლი, სანქციების რამდენიმე სახის განსაზღვრით, სწორედ დისკრეციულ უფლებამოსილებას ანიჭებს ადმინისტრაციულ ორგანოს, რათა თავად განსაზღვროს კონკრეტული სანქციის გამოყენების მიზანშეწონილობა კონკრეტული სამართალდამრღვევის მიმართ. განსახილველ შემთხვევაში, სასამართლომ მიიჩნია, რომ გასაჩივრებული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით არ არის დარღვეული საჯარო და კერძო ინტერესების ბალანსი და არ არის დაუსაბუთებლად შეზღუდული მოსარჩელის კანონიერი უფლებები და ინტერესები. მოცემულ შემთხვევაში, სასამართლომ მიიჩნია, რომ ადმინისტრაციული ორგანოს შემოსავლების სამსახურის რუსთავის რეგიონალური ცენტრის მიერ სადავო ადმინისტრაციული აქტის – საბაჟო შეტყობინების გამოცემისას, გამოკვლეულ იქნა საქმისათვის მნიშვნელობის მქონე ყველა გარემოება და გადაწყვეტილება მიღებულ იქნა ამ გარემოებათა შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე. სასამართლომ გაიზიარა რა მოპასუხეების პოზიცია, დადგენილად მიიჩნია, რომ გასაჩივრებული აქტები არ ეწინააღმდეგება კანონს, არ არის დარღვეული მისი მომზადების ან გამოცემის კანონმდებლობით დადგენილი სხვა მოთხოვნები, შესაბამისად, არ არსებობს მათი ბათილად ცნობის სამართლებრივი საფუძველები.

რუსთავის საქალაქო სასამართლოს 24.02.11წ. გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა ნ. ჰ-მა. აპელანტმა აღნიშნა, რომ სამართალდამრღვევის მიმართ საბაჟო კოდექსის 242-ე მუხლით გათვალისწინებული სანქცია გამოყენებულ იქნა ნაწილობრივ, სამართალდამრღვევს ჩამოერთვა სატრანსპორტო საშუალება, რომლითაც აღნიშნული საქონელი გადაადგილდებოდა. თუმცა გასაჩივრებულ აქტში არ არის დასაბუთებული, რატომ გამოიყენა საბაჟო ორგანომ სამართალდამრღვევის მიმართ აღნიშნული სანქცია და არა ფულადი ჯარიმა. დამრღვევის მიმართ გამოყენებული სანქცია არ არის მის მიერ ჩადენილი ქმედების

თანაზომიერი. სანქციის შეფარდებისას პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელ გარემოებად გათვალისწინებული უნდა ყოფილიყო უკანონოდ გადაადგილებული საქონლის მცირე მოცულობა და ღირებულება, ასევე ის გარემოება, რომ სამართალდარღვევა ჩადენილია პირველად.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 07.06.11წ. განჩინებით ნ. ჰ-ის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა, უცვლელად დარჩა რუსთავის საქალაქო სასამართლოს 24.02.11წ. გადაწყვეტილება.

სააპელაციო პალატა დაეთანხმება და გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს შეფასებები და დასკვნები გასაჩივრებული გადაწყვეტილების ფაქტობრივ და სამართლებრივ საკითხებთან დაკავშირებით. სააპელაციო პალატამ მიუთითა, რომ საქართველოს საბაჟო კოდექსის 242-ე მუხლი სანქციების რამდენიმე სახის განსაზღვრით ადმინისტრაციულ ორგანოს ანიჭებს დისკრეციულ უფლებამოსილებას კონკრეტული სანქციის გამოყენების მიზანშეწონილობის განსაზღვრაში. სააპელაციო პალატა აღნიშნავს, რომ საბაჟო ორგანოს დისკრეციულ უფლებამოსილებას განეკუთვნება სამართალდამრღვევს შეუფარდოს მხოლოდ ჯარიმა, თუ ამასთან ერთად განახორციელოს სატრანსპორტო საშუალების ან/და საქონლის ჩამორთმევა. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 2.1. მუხლის „ლ“ ქვეპუნქტის თანახმად, დისკრეციული უფლებამოსილება გულისხმობს ადმინისტრაციული ორგანოს უფლებას საჯარო და კერძო ინტერესების დაცვის საფუძველზე, კანონმდებლობის შესაბამისი რამდენიმე გადაწყვეტილებიდან შეარჩიოს ყველაზე მისაღები გადაწყვეტილება. ამავე კოდექსის მე-6 მუხლის თანახმად, თუ ადმინისტრაციულ ორგანოს რომელიმე საკითხის გადასაწყვეტად მინიჭებული აქვს დისკრეციული უფლებამოსილება, იგი ვალდებულია ეს უფლებამოსილება განახორციელოს კანონით დადგენილ ფარგლებში და მხოლოდ იმ მიზნით, რომლის მისაღწევადაც მინიჭებული აქვს ეს უფლებამოსილება. სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ გასაჩივრებული აქტი მიღებულია დისკრეციული უფლებამოსილების განხორციელებისას, დისკრეციული უფლებამოსილების გამოყენებით არ დარღვეულა საჯარო და კერძო ინტერესების ბალანსი და დაუსაბუთებლად არ შეზღუდულა მოსარჩელის კანონიერი უფლებები და ინტერესები. სააპელაციო პალატამ არ გაიზიარა აპელანტის მოსაზრება იმის თაობაზე, რომ გასაჩივრებულ აქტში არ არის დასაბუთებული, თუ რატომ გამოიყენა საბაჟო ორგანომ სამართალდამრღვევის მიმართ აღნიშნული სანქცია და არა ფულადი ჯარიმა. 26.10.10წ. №8005/21-18 საბაჟო შეტყობინების წერილობით დასაბუთებაში მითითებულია, რომ ნ. ჰ-ის მიერ „გაზ 33021“ მარკის სატვირთო ავტომანქანაში მოწყობილი სამალავი გამოყენებული იქნა საქონლის საბაჟო კონტროლისაგან მალულად გადასატანად, საქართველოს საბაჟო კოდექსის 235-ე მუხლის მე-9 ნაწილის საფუძველზე გამოცემული იქნა „საბაჟო შეტყობინება“, რომლითაც ნ. ჰ-ს საქართველოს საბაჟო კოდექსის 242-ე მუხლის 1-ელი ნაწილით გათვალისწინებული საბაჟო სამართალდარღვევისათვის სანქციის სახით ჩამოერთვა საბაჟო სამართალდარღვევის საქონელი – 21,7 კილოგრამი ბამბის ქსოვილი და 34,8 კილოგრამი სინთეზური ძაფების ქსოვილი და სატრანსპორტო საშუალება „გაზ 33021“ მარკის სატვირთო ავტომანქანა. იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ საქონელი მოთავსებული იყო სამალავში, საბაჟო ორგანომ გამოიყენა 242-ე მუხლით გათვალისწინებული სანქცია. სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში დასაბუთებულია აღნიშნული სანქციის გამოყენების საფუძველი, გასაჩივრებული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტები არ ეწინააღმდეგება კანონს.

აღნიშნული განჩინება საკასაციო წესით გასაჩივრდა ნ. ჰ-ის მიერ, რომელმაც გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და სარჩელის დაკმაყოფილება მოითხოვა. კასატორმა ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-7 და 53-ე მუხლებზე დაყრდნობით მიუთითა, რომ დისკრეციული უფლებამოსილების განხორციელებისას არ შეიძლება გამოიყენოს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი, თუ პირის კანონით დაცული უფლებებისა და ინტერესებისათვის მიყენებული ზიანი არსებითად აღემატება იმ სიკეთეს, რომლის მისაღებადაც ის გამოიყენა. სააპელაციო პალატის მითითება, რომ სატვირთო ავტომანქანაში მოწყობილი სამალავი იყო გამოყენებული სიმართლეს არ შეესაბამება, ვინაიდან არადეკლარირებული საქონელი მოთავსებული იყო ავტომანქანის საბარგულში და რაიმე სახის კუსტარულად დამზადებული სამალავი მოწყობილი არ ყოფილა. ავტომანქანაში მოწყობილი სამალავის არსებობა არ არის დადასტურებული, აღნიშნულის გასარკვევად საქმეზე შესაძლებელი იყო ექსპერტიზის ჩატარება. კასატორის განმარტებით, სამართალდამრღვევის მიმართ საბაჟო კოდექსის 242-ე მუხლით გათვალისწინებული საბაჟო სანქცია გამოყენებულ იქნა ნაწილობრივ, სამართალდამრღვევს ჩამოერთვა სატრანსპორტო საშუალება, თუმცა გასაჩივრებულ აქტში არ არის დასაბუთებული, რატომ გამოიყენა ადმინისტრაციულმა ორგანომ სამართალდამრღვევის მიმართ აღნიშნული სანქცია და არა ფულადი ჯარიმა. დამრღვევის მიმართ გამოყენებული სანქცია არ არის მის მიერ ჩადენილი ქმედების თანაზომადი. სანქციის შეფარდებისას პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელ გარემოებად გათვალისწინებული უნდა ყოფილიყო უკანონოდ გადაადგილებული საქონლის მცირე მოცულობა და ღირებულება, ასევე ის გარემოება, რომ სამართალდარღვევა ჩადენილია პირველად, გასათვალისწინებელია სამართალდამრღვევის ოჯახური მდგომარეობა, კერძოდ, ნ. ჰ-ს ჰყავს სამი მცირეწლოვანი შვილი, პენსიონერი დედა და მეუღლე, ხოლო ავტომანქანა არის მისი ოჯახისათვის შემოსავლის ერთადერთი წყარო.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო გაეცნო საქმის მასალებს, მოისმინა მხარეთა ახსნა-განმარტებანი, შეამოწმა საკასაციო საჩივრების საფუძვლიანობა, გასაჩივრებული გადაწყვეტილების კანონიერება და მიიჩნევს, რომ საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ შემდეგ გარემოებათა გამო:

საქმის მასალებით დასტურდება, რომ 26.10.106. საბაჟო გამშვები პუნქტის „წითელი ხიდის“ ტერიტორიაზე აზერბაიჯანის მხრიდან შემოვიდა „გაზ 33021“ მარკის ავტომანქანა, რომელსაც მართავდა აზერბაიჯანის მოქალაქე ნ. ჰ-ი. ავტომანქანის საბაჟო დათვალიერებისას, აღმოჩენილ იქნა არადეკლარირებული საქონელი, კერძოდ 21,7 კილოგრამი ბამბის ქსოვილი და 34,8 კილოგრამი სინთეზური ძაფების ქსოვილი, სულ 564,9 ლარის ღირებულების საქონელი. ნ. ჰ-ის მიერ არ იქნა შევსებული დეკლარაცია. 26.10.106. საბაჟო გამშვები პუნქტის „წითელი ხიდის“ უფლებამოსილი პირის მიერ შედგა საბაჟო სამართალდარღვევის ოქმი №034760 ნ. ჰ-ის მიმართ საქართველოს საბაჟო კოდექსის 242-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული სამართალდარღვევის ფაქტზე. საბაჟო სამართალდარღვევის №034760 ოქმის საფუძველზე, 26.10.106. გამოიცა №8005/21-18 საბაჟო შეტყობინება, რომლის მიხედვით ნ. ჰ-ს ჩამოერთვა საბაჟო სამართალდარღვევის საქონელი და ავტოსატრანსპორტო საშუალება. 26.10.106. №8005/21-18 საბაჟო შეტყობინება მოსარჩელის მიერ გასაჩივრდა საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურში, რომელმაც 11.11.106. №2237 ბრძანებით არ დააკმაყოფილა საჩივარი. საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის 11.11.106. №2237 ბრძანება გასაჩივრდა საქართველოს ფინანსთა სამინისტროს დავების განხილვის საბჭოში, რომლის მიერ 06.12.106. მიღებული გადაწყვეტილებით არ დაკმაყოფილდა წარდგენილი საჩივარი.

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ სადავო პერიოდში მოქმედი საბაჟო კოდექსის 242-ე მუხლის 1-ელი ნაწილის თანახმად, პირის მიერ საქართველოს საბაჟო საზღვარზე საქონლის გადატანა ან გადმოტანა საბაჟო კონტროლის გვერდის ავლით ან მისგან მალულად იწვევდა პირის დაჯარიმებას საბაჟო კონტროლის გვერდის ავლით ან მისგან მალულად გადატანილი ან გადმოტანილი საქონლის საბაჟო ღირებულების 100 პროცენტის ოდენობით, მაგრამ არანაკლებ 1 000 ლარისა, ან ამ საქონლის ან/და სატრანსპორტო საშუალების ჩამორთმევას. ამჟამად მოქმედი კანონმდებლობა (საგადასახადო კოდექსის 289-ე მუხლის მე-10, მე-14 ნაწილები) საქართველოს ეკონომიკური საზღვრის გადაკვეთასთან დაკავშირებით შემსუბუქებულ სანქციებს არ ითვალისწინებს.

ის გარემოება, რომ საბაჟო ორგანო სანქციის დაკისრებისას მოქმედებდა დისკრეციული უფლებამოსილების ფარგლებში არ გამორიცხავდა ადმინისტრაციული ორგანოს ვალდებულებას გაეთვალისწინებინა დისკრეციული უფლებამოსილების გამოყენების წესები სახდელის დაკისრებისას, მხედველობაში მიეღო მისი პროპორციულობა და თანაზომიერება, პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელი გარემოებანი, სამართალდარღვევის სიმძიმე, სამართალდარღვევის ჩამდენის პიროვნება, რაც საბოლოო ჯამში განაპირობებს გამოყენებული სანქციის ადეკვატურობას. დისკრეციული უფლებამოსილების ფარგლებში გადაწყვეტილების მიღება ავალდებულებდა ადმინისტრაციულ ორგანოს საჯარო და კერძო ინტერესების დაცვის საფუძველზე კანონმდებლობის შესაბამისად რამდენიმე გადაწყვეტილებიდან შეერჩია ყველაზე მისაღები. სზაკ-ის 7.1 მუხლის მიხედვით დისკრეციული უფლებამოსილების განხორციელებისას არ დაიშვება აქტის გამოცემა, თუ პირის კანონით დაცული უფლებებისა და ინტერესებისათვის მიყენებული ზიანი არსებითად აღემატება იმ სიკეთეს, რომლის მისაღებადაც იგი გამოიცა. ამასთანავე, წერილობითი ფორმით გამოცემული აქტი უნდა შეიცავდეს წერილობით დასაბუთებას (სზაკ-ის 53-ე მუხ.). ნორმაში ალტერნატიული სანქციის არსებობა მიუთითებს უფრო მკაცრი სახის სახდელის გამოყენების შესაძლებლობას იმ შემთხვევაში, უკეთეს ნაკლებად მკაცრი სახის სანქცია ვერ უზრუნველყოფს სახდელის მიზნის მიღწევის შესაძლებლობას. მოცემულ შემთხვევაში არ არის დასაბუთებული თუ რატომ ვერ იქნებოდა მიღწეული მიზანი მოსარჩელისათვის სატრანსპორტო საშუალების ჩამორთმევის გარეშე სანქციის შეფარდებით. 28.10.20106. საბაჟო შეტყობინების წერილობითი დასაბუთების, დავების განხილვის საბჭოს 01.12.106. გადაწყვეტილებით, ნ. ჰ-ის მიმართ გამოყენებული სანქცია მართებულად იქნა მიჩნეული იმ გარემოებიდან გამომდინარე, რომ საქონელი მოთავსებული იყო სამალავში, ამასთანავე, საბჭომ აღნიშნა, რომ საბაჟო კოდექსის 242-ე მუხლით გათვალისწინებული სანქციის გამოყენება არის საბაჟო ორგანოს დისკრეციული უფლებამოსილების სფერო, მის დისკრეციულ უფლებამოსილებას განეკუთვნება სამართალდარღვევისათვის მხოლოდ ჯარიმის თუ სატრანსპორტო საშუალების და საქონლის უსასყიდლოდ ჩამორთმევის გამოყენება. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ ადმინისტრაციული საჩივრის განხილვისას ადმინისტრაციული ორგანო ამოწმებს არა მხოლოდ კანონიერების, არამედ აგრეთვე მიზანშეწონილობის საკითხსაც, შესაბამისად, ქვედა ინსტანციის ადმინისტრაციული ორგანოს დისკრეციას შესაძლებელია ჩაენაცვლოს ზემდგომი ორგანოს დისკრეცია, ამდენად, საბჭოს მითითება 242-ე მუხლით გათვალისწინებული სანქციის გამოყენებაში საბაჟო ორგანოს დისკრეციული უფლებამოსილების შესახებ, არ წარმოადგენს ადმინისტრაციულ საჩივარზე უარის თქმის საკმარის საფუძველს.

სააპელაციო სასამართლომ მართებულად მიიჩნია ნ. ჰ-ის მიმართ გამოყენებული სანქცია იმ მოსაზრებიდან გამომდინარე, რომ საქონელი (21,7 კგ ბამბის ქსოვილი და 34,8 კგ სინთეზური ძაფების ქსოვილი) მოთავსებული იყო სამალავში. საკასაციო სასამართლო თვლის, რომ პალატის ეს მოსაზრება დაუსაბუთებელია, საქმის მასალებით არ დასტურდება სატვირთო ავტომანქანაში სამალავის ანუ მანქანის კონსტრუქციით გაუთვალისწინებელი, არაქარხნული, კუსტარულად დამზადებული დახურული სივრცის მოწყობა საქონლის ფარული გადაზიდვისათვის, ნ. ჰ-ის განცხადებით საქონელი იმყოფებოდა ავტომანქანის ძარაში განთავსებულ ყუთში, ავტომანქანაში განთავსებულ ყუთებში საქონლის მოთავსებაზე უთითებს აგრეთვე 28.10.106. საბაჟო შეტყობინების წერილობითი დასაბუთება, რაც არ ადასტურებს საბაჟო კონტროლისაგან მალულად საქონლის ფარული გადაზიდვისათვის სამალავის მოწყობას. სამალავის არსებობა, როგორც ერთ-ერთი ფაქტობრივი გარემოება, არ დასტურდება, სასამართლოების მიერ არ არის დადგენილი ავტომანქანაში მისი მოწყობის ადგილი, ქარხნულ პარამეტრებში შეტანილი ცვლილებების

არსებობა. ამდენად, საკასაციო პალატა თვლის, რომ საქმის აღნიშნული გარემოება არ არის ზედმინევნიტ და ობიექტურად შესწავლილი, არ დასტურდება ნ. ჰ-ის მიერ ავტოსატრანსპორტო საშუალების სამართალდარღვევის ჩადენის იარაღად გამოყენება. ამასთანავე, სააპელაციო სასამართლოს არ უმსჯელია პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელ გარემოებებზე, კერძოდ, საქონლის მცირე მოცულობაზე და ღირებულებაზე, მოსარჩელის მიერ სამართალდარღვევის პირველად ჩადენაზე, მის ოჯახურ მდგომარეობაზე (კმაყოფილება ჰყავს მეუღლე, სამი მცირეწლოვანი შვილი, პენსიონერი დედა), იმაზე, რომ გამოყენებული სანქციის შეფარდებით მოსარჩელეს შესაძლოა მოესპოს შემოსავლის წყარო და უკიდურესად გაუარესდეს მისი და მისი ოჯახის წევრების მატერიალური მდგომარეობა. საქმის მასალებით დასტურდება აგრეთვე, რომ ადმინისტრაციული წარმოება ჩატარდა თარჯიმნის მონაწილეობის გარეშე, ნ. ჰ-ის განმარტებით მისთვის უცნობ ენაზე შედგენილ დოკუმენტაციას მან ხელი იმ პირობით მოაწერა, რომ საბაჟო გამშვები პუნქტის მუშაკების დაპირებით დაუბრუნებდნენ ავტომანქანას.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა თვლის, რომ კასატორ ნ. ჰ-ის საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ, გაუქმდეს სააპელაციო პალატის გასაჩივრებული გადაწყვეტილება და საქმეზე მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება, სასკ-ის 32.4 მუხლის საფუძველზე, სადავო საკითხის გადაწყვეტლად, ბათილად უნდა იქნეს ცნობილი სადავო აქტები და ადმინისტრაციულ ორგანოს უნდა დაევალოს საქმის ყველა გარემოების გამოკვლევის, მტკიცებულებათა ობიექტური და მიუკერძოებელი შეფასების შედეგად გამოსცეს ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 1.2, 32.4 მუხლებით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე, 411-ე მუხლებით და

გ ა დ ა ნ ყ ვ ი ტ ა :

1. ნ. ჰ-ის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ, გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 07.06.11წ. განჩინება და საკასაციო სასამართლოს მიერ მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება. ნ. ჰ-ის სარჩელი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ, სადავო საკითხის გადაწყვეტლად ბათილად იქნეს ცნობილი საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სსიპ შემოსავლების სამსახურის რუსთავის რეგიონული ცენტრის 26.10.10წ. №8005/21-18 საბაჟო შეტყობინება, სსიპ შემოსავლების სამსახურის 09.11.10წ. №2237 ბრძანება, საქართველოს ფინანსთა სამინისტროსთან არსებული დავების განხილვის საბჭოს 06.12.10წ. გადაწყვეტილება;

2. საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სსიპ შემოსავლების სამსახურს დაევალოს საქმის გარემოებების გამოკვლევის საფუძველზე გამოსცეს ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ნ. ჰ-ის მიერ ჩადენილი საბაჟო სამართალდარღვევის მიმართ;

3. საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სსიპ შემოსავლების სამსახურს დაეკისროს ნ. ჰ-ის სასარგებლოდ მის მიერ სახელმწიფო ბაჟის სახით გადახდილი 300 ლარის ანაზღაურება;

4. საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და არ საჩივრდება.

დაჯარიმება საბაჟო სამართალდარღვევის გამო

გ ა ნ წ ი ნ ე ბ ა

№ბს-1274-1260(კ-11)

17 მაისი, 2012 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატა
შემადგენლობა: მ. ვაჩაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ლ. მურუსიძე,
პ. სილაგაძე

სარჩელის საგანი: ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების ბათილად ცნობა

აღწერილობითი ნაწილი:

2010 წლის 18 ნოემბერს შპს „...“ სასარჩელო განცხადებით მიმართა ბათუმის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას, მოპასუხეების – სსიპ შემოსავლების სამსახურის ბათუმის რეგიონალური ცენტრისა და საქართველოს ფინანსთა სამინისტროს დავების განხილვის საბჭოს მიმართ.

მოსარჩელის განმარტებით, შპს „...“ ახორციელებს ნავთობისა და ნავთობპროდუქტების ტრანზიტულ სარკინიგზო გადაზიდვას. 2010 წლის ივნის-სექტემბრის პერიოდში მოსარჩელემ შპს „...“ ტრანზიტულ რეჟიმში გადაზიდა და დაასაწყობა სხვადასხვა დასახელების ნავთობი და ნავთობპროდუქტები. ტვირთის მოცულობის გაზომვის შედეგად გამოვლინდა, რომ საქონლის აზომვის შედეგად დაფიქსირებული რაოდენობა აღემატებოდა მოსარჩელის მიერ ტრანზიტის საბაჟო რეჟიმში მოქცეული საქონლის დოკუმენტაციაში მითითებულ ოდენობას. ბათუმის რეგიონალურმა ცენტრმა მიიჩნია, რომ საბაჟო რეჟიმში მოქცეული სა-

ქონლის დოკუმენტაციაში მითითებულ ოდენობაზე რეზერვუარებში მეტის განთავსება წარმოადგენდა საბაჟო კონტროლის გვერდის ავლით ტრანზიტული გადაადგილებისათვის განკუთვნილი, სატრანსპორტო საშუალებებში განთავსებული საქონლის გადმოტანას, რაც დაკვალიფიცირდა საქართველოს საბაჟო კოდექსის 242-ე მუხლის მე-4 ნაწილით გათვალისწინებულ სამართალდარღვევად და თითოეულ შემთხვევაზე ცალ-ცალკე შედგა სამართალდარღვევის ოქმი. აღნიშნული სამართალდარღვევის ოქმების განხილვის შედეგად, ბათუმის რეგიონალური ცენტრის მიერ მიღებულ იქნა საბაჟო შეტყობინებები და შპს „...“ თითოეულ შემთხვევაზე სანქციის სახით დაერიცხა ჯარიმა 2000 ლარის ოდენობით. ბათუმის რეგიონალური ცენტრის (საგადასახადო ინსპექციის) სამართალდარღვევის ოქმები და აღნიშნული სამართალდარღვევის ოქმების საფუძველზე მიღებული საბაჟო შეტყობინებები შპს „...“ მიერ გასაჩივრდა შემოსავლების სამსახურში, შემდგომ კი საქართველოს ფინანსთა სამინისტროს დავების განხილვის საბჭოში. საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის 2010 წლის 29 ივლისის №1317, №1318, №1319; 2010 წლის 19 აგვისტოს №1543, №1544; 2010 წლის 6 სექტემბრის №1659; 2010 წლის 15 სექტემბრის №1731, №1733, 2010 წლის 8 ოქტომბრის №1949, №1959 ბრძანებებით და საქართველოს ფინანსთა სამინისტროს დავების განხილვის საბჭოს 2010 წლის 1 ნოემბრის გადაწყვეტილებით შპს „...“ საჩივარი არ დაკმაყოფილდა.

მოსარჩელის ჩგანმარტებით, დოკუმენტებში მითითებული საქონლისა და აზომვის შედეგად გამოვლენილი საქონლის ოდენობის ცდომილება იყო დასაშვებ ფარგლებში და არ აღემატებოდა „ნავთობი და ნავთობპროდუქტების მასის გაზომვის მეთოდების“ ე.წ. გოსტ 26976-86-ით დაშვებულ ცდომილებას, რომელიც საქართველოს ტერიტორიაზე დსთ-ს ქვეყნების მთავრობათა 1992 წლის 13 მარტის „სტანდარტიზაციის, მეტროლოგიის და სერტიფიკაციის სფეროში შეთანხმებული პოლიტიკის გატარების შესახებ“ შეთანხმების საფუძველზე იყო დადგენილი, რომელსაც საქართველო 1995 წელს შეუერთდა. მოსარჩელის მოსაზრებით, საერთაშორისო შეთანხმება საქართველოს კანონმდებლობის განუყოფელ ნაწილს წარმოადგენდა და მას შიდასახელმწიფოებრივ ნორმატიულ აქტებთან მიმართებაში უპირატესი იურიდიული ძალა ენიჭებოდა.

აღნიშნულიდან გამომდინარე, მოსარჩელემ ბათუმის რეგიონალური ცენტრის 2010 წლის 15, 26, 27, 28 და 31 მაისის; 1, 8, 9, 10, 11, 19, 16, 26 და 29 ივნისის; 1, 7, 15, 19, 20, 23, 24, 25, 26, 30, 31 აგვისტოს და 2, 4, 6, 7, 12, 13, 15, 20, 21 სექტემბრის სამართალდარღვევის ოქმების, აღნიშნული სამართალდარღვევის ოქმების საფუძველზე მიღებული 2010 წლის 1 ივლისის №604/1270/10, №604/1272/10, №604/1278/10, №604/1322/10, №604/1323/10; 2010 წლის 29 ივნისის №604/1356/10; 2010 წლის 24 ივნისის №604/1380/10, 2010 წლის 11 ივნისის №604/1083/10, №604/1092/10; 2010 წლის 7 ივნისის №604/1194/10, №604/1201/10, №604/1213/10, 2010 წლის 28 მაისის №604/1088/10, №604/1089/10, №604/1091/10, №604/1093/10, №604/1096/10, №604/1082/10, №604/1084/10, №604/1086/10, 2010 წლის 27 მაისის №604/1068/10, №604/1081/10, №604/1120/10, №604/1127/10; 2010 წლის 23 ივლისის №604/1376/10, №604/1377/10, №604/1414/10; 2010 წლის 7 ივლისის №604/1279/10; 2010 წლის 2 აგვისტოს №604/1497/10, №604/1525/10, №604/1527/10, №604/1529/10, №604/1548/10, №604/1565/10, №604/1566/10, №604/1569/10, №604/1570/10, №604/1571/10, №604/1577/10; 2010 წლის 30 ივლისის №604/1399/10, 2011 წლის 11 აგვისტოს №604/1608/10, №604/1611/10, №604/1643/10, №604/1645/10, №604/1649/10; 2010 წლის 2 აგვისტოს №604/1428/10, №604/1529/10; 2010 წლის 19 აგვისტოს №604/1701/10; 2010 წლის 20 აგვისტოს №604/1731/10, №604/1686/10, №604/1688/10, №604/1718/10, №604/1720/10, №604/1723/10, №604/1724/10; 2010 წლის 31 აგვისტოს №604/1762/10, №604/1774/10, №604/1775/10, №604/1779/10, №604/1781/10, №604/1782/10, №604/2055/10, №604/1807/10; 2010 წლის 22 სექტემბრის №604/1762/10, №604/2067/10, №604/1775/10; 2010 წლის 17 სექტემბრის №604/2017/10; 2010 წლის 16 სექტემბრის №604/1998/10, №604/2000/10, №604/1978/10; 2010 წლის 10 სექტემბრის №604/1961/10, №604/1940/10, №604/1890/10, №604/1929/10, №604/1886/10, 2010 წლის 9 სექტემბრის №604/1841/10, №604/1887/10 საბაჟო შეტყობინებების, ასევე საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის 2010 წლის 29 ივლისის №1317, №1318, №1319; 2010 წლის 19 აგვისტოს №1543, №1544; 2010 წლის 6 სექტემბრის №1659; 2010 წლის 15 სექტემბრის №1731, №1733, 2010 წლის 8 ოქტომბრის №1949, №1951 ბრძანებების და საქართველოს ფინანსთა სამინისტროს დავების განხილვის საბჭოს 2010 წლის 1 ნოემბრის გადაწყვეტილების ბათილად ცნობა მოითხოვა.

ბათუმის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2011 წლის 28 იანვრის გადაწყვეტილებით შპს „...“ სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

საქალაქო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ შპს „...“ სადავოდ ხდიდა იმ ფაქტს, რომ დოკუმენტებში მითითებული საქონლისა და აზომვის შედეგად გამოვლენილი საქონლის ოდენობის ცდომილება იყო დასაშვებ ფარგლებში და არ აღემატებოდა „ნავთობის და ნავთობპროდუქტების მასის გაზომვის მეთოდების“ ე.წ. გოსტ 26976-86-ით დაშვებულ სტანდარტებს.

საქალაქო სასამართლომ განმარტა, რომ 1992 წლის 13 მარტს ხელმოწერილი „სტანდარტიზაციის, მეტროლოგიისა და სერტიფიკაციის სფეროში შეთანხმებული პოლიტიკის გატარების შესახებ“ საერთაშორისო შეთანხმება საქართველოსათვის ძალაში იყო 1995 წლის 22 მაისიდან. აღნიშნული შეთანხმების პირველი მუხლის თანახმად, მხარეები, რომლებსაც ჰქონდათ სრული დამოუკიდებლობა სტანდარტიზაციის, მეტროლოგიისა და სერტიფიკაციის სისტემის შექმნისა და რეალიზების საკითხებში და ამ სფეროში მუშაობის ორგანიზაციებში აღიარებდნენ გოსტ-ის სტანდარტებს, როგორც სახელმწიფოთაშორის - ინარჩუნებდნენ აბრევიატურას „გოსტ“ ხელახლა შემოტანილ სახელმწიფოთაშორის სტანდარტებზე, ითვალისწინ-

ნებდნენ მათი მოთხოვნების ჰარმონიზირებას საერთაშორისო, რეგიონულ და მონინავე ეროვნულ სტანდარტებთან.

საქალაქო სასამართლოს მითითებით, 1997 წლის 16 ოქტომბრის „საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის პირველი და მე-2 ნაწილების თანახმად, საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულება იყო საქართველოს კანონმდებლობის განუყოფელი ნაწილი, თუ იგი არ ეწინააღმდეგებოდა საქართველოს კონსტიტუციას, კონსტიტუციურ კანონს და კონსტიტუციურ შეთანხმებას, მას უპირატესი იურიდიული ძალა ენიჭებოდა შიდასახელმწიფოებრივი ნორმატიული აქტების მიმართ. აღნიშნული კანონის მე-3 მუხლის თანახმად, ოფიციალურად გამოქვეყნებული საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულების დებულებები, რომლებიც ადგენდნენ კონკრეტული ხასიათის უფლებებსა და მოვალეობებს და არ საჭიროებდნენ დამაზუსტებელი შიდასახელმწიფოებრივი ნორმატიული აქტების მიღებას, საქართველოში მოქმედებდნენ უშუალოდ. „სტანდარტიზაციის, მეტროლოგიისა და სერტიფიკაციის სფეროში შეთანხმებული პოლიტიკის გატარების შესახებ“ შეთანხმების დებულებები, რომელიც ეხებოდა ე.წ. „გოსტ“-ის მოქმედ სტანდარტებს ზოგადი ხასიათის იყო და არ შეიცავდა რაიმე მითითებას თუ რა ფორმით და ვის მიერ უნდა განხორციელებულიყო აღნიშნული დებულების ეროვნულ დონეზე გამოყენება. გამომდინარე იქიდან, რომ ზემოხსენებული დებულებები არ ადგენდნენ კონკრეტული ხასიათის უფლება-მოვალეობებს და საჭიროებდნენ დამაზუსტებელი შიდასახელმწიფოებრივი ნორმატიული აქტის მიღებას, განსახილველ შემთხვევაში იგი უშუალოდ ვერ იქნებოდა გამოყენებული შიდასახელმწიფოებრივ ურთიერთობებში.

საქალაქო სასამართლომ მიუთითა საქართველოს საბაჟო კოდექსის 233-ე მუხლზე და განმარტა, რომ საბაჟო სამართალდარღვევისათვის პირს შეიძლება დაკისრებოდა პასუხისმგებლობა, მხოლოდ ამ კოდექსით დადგენილი საფუძვლით და წესით. საქართველოს ფინანსთა მინისტრის №1755 ბრძანებით დამტკიცებული „საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურში საბაჟო სამართალდარღვევის საქმის წარმოების წესის თაობაზე ინსტრუქციის“ მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტის შესაბამისად, საბაჟო სამართალდარღვევის საქმის წარმოების საფუძველი იყო ცნობები (ინფორმაცია) საბაჟო სამართალდარღვევის ჩადენის შესახებ, რომელიც გამოვლენილი იყო საბაჟო ორგანოს (საბაჟო ორგანოს მოხელის) მიერ სამსახურებრივი უფლებამოსილების განხორციელებისას, ამავე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად კი ინფორმაციის მიმღები საბაჟო ორგანოს უფლებამოსილი თანამშრომელი, ვალდებული იყო გაეტარებინა ყველა აუცილებელი ღონისძიება საქმის გარემოებათა შესასწავლად და საბაჟო სამართალდარღვევის ოქმის შესადგენად.

საქალაქო სასამართლომ მიიჩნია, რომ საქმეში წარმოდგენილი საბაჟო დეკლარაციებით, ვაგონ-ცისტერნის დაცლის აქტებით ირკვეოდა, რომ შპს „...“ მიერ ბათუმის ნავთობტერმინალში განთავსებული ტრანზიტის საბაჟო რეჟიმში დეკლარირებული ნავთობპროდუქტის აზომვის შედეგად აღმოჩნდა თანხლებ დოკუმენტებში მითითებულ ოდენობასთან შედარებით მეტი ოდენობა. დასახელებული გარემოება წარმოადგენდა საბაჟო სამართალდარღვევის საქმის წარმოების დაწყების საფუძველს. ამდენად, კანონშესაბამისი იყო ბათუმის რეგიონალური ცენტრის საბაჟო საგუშაგო „ბათუმის პორტის“ ინსპექტორის მიერ შედგენილი საბაჟო სამართალდარღვევის ოქმები.

საქალაქო სასამართლომ აღნიშნა, რომ საქართველოს საბაჟო კოდექსის მე-7 მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, საბაჟო დეკლარირება ნიშნავდა მოქმედებას, რომლითაც პირი საქართველოს საბაჟო კანონმდებლობით დადგენილი ფორმისა და წესის შესაბამისად აცხადებდა საქონლის მიმართ საბაჟო დამუშავების ოპერაციის გამოყენების განზრახვას. ამავე მუხლის 29-ე პუნქტის მიხედვით, საბაჟო დამუშავების ოპერაცია იყო საქონლის მიმართ საბაჟო რეჟიმის გამოყენება, საქონლის გადატანა თავისუფალ ზონაში ან თავისუფალ სანჯოში, საქართველოს საბაჟო ტერიტორიიდან საქონლის რეექსპორტი, საქონლის განადგურება საბაჟო ზედამხედველობის ქვეშ ან საქონლის გადაცემა სახელმწიფო საკუთრებაში. ამავე მუხლის 31-ე ნაწილის მიხედვით კი ვალდებული პირი იყო პირი, რომელსაც ეკისრებოდა საბაჟო ვალდებულების შესრულება. საქართველოს საბაჟო კოდექსის 70-ე მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, დეკლარანტი და პირი, რომლის მაგივრადც ირიბი წარმომადგენლობისას წარადგინეს საბაჟო დეკლარაცია, პასუხისმგებელი იყვნენ დეკლარირებული მონაცემების სისწორეზე, წარმოდგენილი დოკუმენტების ნამდვილობასა და საბაჟო დეკლარაციასთან საქონლის შესაბამისობაზე.

საქალაქო სასამართლომ მიიჩნია, რომ მოსარჩელე ვალდებული იყო ტრანზიტის საბაჟო რეჟიმში მოქცეული საქონლის დოკუმენტებში ზუსტად მიეთითებინა საქონლის ოდენობა. საქართველოს საბაჟო კოდექსის 242-ე მუხლის მე-3 და მე-4 ნაწილით, პირის მიერ საქართველოს საბაჟო საზღვარზე ტრანზიტული გადაადგილებისათვის განკუთვნილ სატრანსპორტო საშუალებებში განთავსებული საქონლის გადატანა ან გადმოტანა, ჩადენილი საბაჟო კონტროლის გვერდის ავლით ან მისგან მალულად, იწვევდა პირის დაჯარიმებას 1000 ლარით, ხოლო ამ მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებული ქმედება, ჩადენილი განმეორებით, იწვევდა პირის დაჯარიმებას 2000 ლარით.

საქალაქო სასამართლომ გაიზიარა მოპასუხის პოზიცია იმის თაობაზე, რომ მოსარჩელეს განმეორებით ჩადენილი ქმედებისათვის პასუხისმგებლობა უნდა დაკისრებოდა საბაჟო კოდექსის 242-ე მუხლის მე-4 ნაწილით გათვალისწინებული სანქციის ფარგლებში. ამდენად, საქალაქო სასამართლომ მიიჩნია, რომ სადავო აქტები მიღებული იყო კანონმდებლობის მოთხოვნათა სრული დაცვით და არ არსებობდა მათი ბათილად ცნობის სამართლებრივი საფუძველი.

ბათუმის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2011 წლის 28 იანვრის გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა შპს „...“, რომელმაც გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილება მოითხოვა.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2011 წლის 7 ივნისის განჩინებით შპს „...“-ს სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა; უცვლელად დარჩა ბათუმის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2011 წლის 28 იანვრის გადაწყვეტილება.

სააპელაციო სასამართლო საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 390-ე მუხლის მე-3 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, დაეთანხმა და გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს შეფასებები და დასკვნები გასაჩივრებული გადაწყვეტილების ფაქტობრივ და სამართლებრივ საკითხებთან დაკავშირებით და მიუთითა მათზე.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2011 წლის 7 ივნისის განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა შპს „...“, რომელმაც გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილება მოითხოვა.

კასატორი სადავოდ ხდის არა საქმის ფაქტობრივ გარემოებებს, არამედ მათ სამართლებრივ შეფასებას და გასაჩივრებულ გადაწყვეტილებას იურიდიულად დაუსაბუთებლად მიიჩნევს.

კასატორის განმარტებით, ტრანზიტის დოკუმენტებში მითითებული საქონლის ოდენობისა და ტრანზიტული გადაადგილებისათვის განკუთვნილ სატრანსპორტო საშუალებებში განთავსებული საქონლის ოდენობის ცდომილება თავსდება „ნავთობისა და ნავთობპროდუქტების მასის გაზომვის მეთოდებით“ გოსტ 26976-86-ით განსაზღვრული დასაშვები ცდომილების ფარგლებში, რაც მოპასუხე ადმინისტრაციულ ორგანოებს უნდა გაეთვალისწინებინათ.

კასატორის მითითებით, „საერთაშორისო ხელშეკრულების შესახებ“ ვენის კონვენციის 27-ე მუხლი განსაზღვრავდა, რომ ხელშეკრულების მონაწილემ არ შეიძლება მიუთითოს თავისი შიდასახელმწიფოებრივი სამართლის დებულებებზე, მის მიერ ხელშეკრულების შეუსრულებლობის გასამართლებლად. ამდენად, კასატორის მოსაზრებით, სასამართლოს უნდა გაეზიარებინა მისი არგუმენტაცია სადავო ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების ბათილად ცნობის თაობაზე და უნდა დაეკმაყოფილებინა სარჩელი.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2011 წლის 19 ოქტომბრის განჩინებით, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, დასაშვებობის შესამოწმებლად წარმოებაში იქნა მიღებული შპს „...“ საკასაციო საჩივარი.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2011 წლის 10 ნოემბრის განჩინებით შპს „...“ საკასაციო საჩივარი საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად მიჩნეულ იქნა დასაშვებად და მისი განხილვა დაინიშნა მხარეთა დასწრებით 2012 წლის 12 იანვარს 12:00 საათზე.

2012 წლის 17 მაისის სასამართლო სხდომაზე კასატორის – შპს „...“ წარმომადგენელმა გ. ფ-ემ უარი თქვა სარჩელზე ნაწილობრივ, კერძოდ, ბათუმის რეგიონალური ცენტრის №011651, №011650, №011649, №011648, №011647, №011637, №011636, №008257, №008253, №008251, №008249, №008247, №044267, №044264, №044263, №044261, №044275, №044276, №044277, №044281, №044283, №044284, №044296, №044369, №044374, №044387, №044388, №044404, №044419, №044422, №044435, №044436, №044438, №044439, №044440, №044442, №044403, №044407, №044408, №044455, №044461, №044447, №044448, №044449, №044487, №044489, №044491, №044494, №044495, №044502, №044515, №044516, №044512, №044507, №044508, №044504, №044520, №044521, №044524, №044529, №044530, №044531, №044548, №044538, №044541, №044542, №044543, №044564, №044565, №044566, №044567, №044568, №044569, №044576, №044570, №044571, №044572, №044573, №044574, №044575 სამართალდარღვევის ოქმების, №604/1079/10, №604/1075/10, №604/1073/10, №604/1071/10, №604/1069/10, №604/1096/10, №604/1095/10, №604/1094/10, №604/1093/10, №604/1092/10, №604/1083/10, №604/1082/10, №604/1127/10, №604/1124/10, №604/1123/10, №604/1121/10, №604/1194/10, №604/1201/10, №604/1213/10, №604/1200/10, №604/1198/10, №604/1195/10, №604/1196/10, №604/1272/10, №604/1278/10, №604/1322/10, №604/1323/10, №604/1414/10, №604/1399/10, №604/1527/10, №604/1529/10, №604/1548/10, №604/1565/10, №604/1566/10, №604/1569/10, №604/1570/10, №604/1571/10, №604/1577/10, №604/1428/10, №604/1429/10, №604/1649/10, №604/1643/10, №604/1611/10, №604/1610/10, №604/1609/10, №604/1731/10, №604/1687/10, №604/1718/10, №604/1720/10, №604/1723/10, №604/1724/10, №604/1782/10, №604/1805/10, №604/1779/10, №604/1775/10, №604/1774/10, №604/1762/10, №604/1829/10, №604/1886/10, №604/1940/10, №604/1961/10, №604/1890/10, №604/1978/10, №604/1998/10, №604/1999/10, №604/2000/10, №604/2017/10, №604/2055/10, №604/2056/10, №604/2057/10, №604/2058/10, №604/2059/10, №604/2060/10, №604/2061/10, №604/2062/10, №604/2063/10, №604/2064/10, №604/2065/10, №604/2066/10, №604/2067/10, №604/1841/10 საბაჟო შეტყობინებების და საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის 2010 წლის 29 ივლისის №1317, №1318, №1319; 2010 წლის 19 აგვისტოს №1543, №1544; 2010 წლის 6 სექტემბრის №1659; 2010 წლის 15 სექტემბრის №1731, №1733, 2010 წლის 8 ოქტომბრის №1949, №1951 ბრძანებების (ზემოაღნიშნული საბაჟო შეტყობინებების ნაწილში) ბათილად ცნობის მოთხოვნის ნაწილში და აღნიშნულ ნაწილში საქმის წარმოების შეწყვეტა მოითხოვა. ამასთან, მან 2012 წლის 17 მაისს ამავე შინაარსის წერილობითი შუამდგომლობით მომართა საქართველოს უზენაეს სასამართლოს.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ განიხილა შპს „...“ საკასაციო საჩივარი ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2011 წლის 7 ივნისის განჩინების გაუქმებისა და ბათუმის რეგიონალური ცენტრის №604/1078/10, №604/1077/10, №604/1076/10, №604/1074/10, №604/1072/10, №604/1070/10, №604/1068/10, №604/1091/10, №604/1089/10, №604/1088/10, №604/1086/10, №604/1085/10, №604/1084/10, №604/1081/10, №604/1080/10, №604/1126/10, №604/1125/10, №604/1122/10, №604/1120/10, №604/1120/10, №604/1199/10, №604/1197/10, №604/1270/10, №604/1271/10, №604/1356/10, №604/1380/10, №604/1279/10, №604/1376/10, №604/1377/10, №604/1497/10, №604/1525/10, №604/1645/10, №604/1608/10, №604/1686/10, №604/1688/10, №604/1701/10, №604/1807/10, №604/1781/10, №604/1887/10 საბაჟო შეტყობინებების, ბათუმის რეგიონალური ცენტრის №011646, №011644, №011642, №011640, №011639, №011638, №011635, №011634, №008255, №008254, №008252, №008250, №008248, №008246, №044266, №044265, №044262, №044260, №044278, №044282, №044279, №044371, №044372, №044373, №044416, №044418, №044370, №044400, №044401, №044459, №044451, №044486, №044488, №044473, №044514, №044518, №044525 სამართალდარღვევის ოქმების, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის 2010 წლის 29 ივლისის №1317, №1318, №1319; 2010 წლის 19 აგვისტოს №1543, №1544; 2010 წლის 6 სექტემბრის №1659; 2010 წლის 15 სექტემბრის №1731, №1733, 2010 წლის 8 ოქტომბრის №1949, №1951 ბრძანებებისა და საქართველოს ფინანსთა სამინისტროს დავების განხილვის საბჭოს 2010 წლის 1 ნოემბრის გადაწყვეტილების (ზემოაღნიშნული საბაჟო შეტყობინებების ნაწილში) ბათილად ცნობის თაობაზე (სულ 76 000 ლარის ღირებულებით) და მიიჩნევს, რომ საკასაციო საჩივარი აღნიშნულ ნაწილში არ უნდა დაკმაყოფილდეს.

ამასთან, საკასაციო სასამართლომ ასევე განიხილა შპს „...“ შუამდგომლობა ბათუმის რეგიონალური ცენტრის №011651, №011650, №011649, №011648, №011647, №011637, №011636, №008257, №008253, №008251, №008249, №008247, №044267, №044264, №044263, №044275, №044276, №044277, №044281, №044283, №044284, №044296, №044369, №044374, №044387, №044388, №044404, №044419, №044422, №044435, №044436, №044438, №044439, №044440, №044442, №044403, №044407, №044408, №044455, №044461, №044447, №044448, №044449, №044487, №044489, №044491, №044494, №044495, №044502, №044515, №044516, №044512, №044507, №044508, №044504, №044520, №044521, №044524, №044529, №044530, №044531, №044548, №044538, №044541, №044542, №044543, №044564, №044565, №044566, №044567, №044568, №044569, №044576, №044570, №044571, №044572, №044573, №044574, №044575 სამართალდარღვევის ოქმების, №604/1079/10, №604/1075/10, №604/1073/10, №604/1071/10, №604/1069/10, №604/1096/10, №604/1095/10, №604/1094/10, №604/1093/10, №604/1092/10, №604/1083/10, №604/1082/10, №604/1127/10, №604/1124/10, №604/1123/10, №604/1121/10, №604/1194/10, №604/1201/10, №604/1213/10, №604/1200/10, №604/1198/10, №604/1195/10, №604/1196/10, №604/1272/10, №604/1278/10, №604/1322/10, №604/1323/10, №604/1414/10, №604/1399/10, №604/1527/10, №604/1529/10, №604/1548/10, №604/1565/10, №604/1566/10, №604/1569/10, №604/1570/10, №604/1571/10, №604/1577/10, №604/1428/10, №604/1429/10, №604/1649/10, №604/1643/10, №604/1611/10, №604/1610/10, №604/1609/10, №604/1731/10, №604/1687/10, №604/1718/10, №604/1720/10, №604/1723/10, №604/1724/10, №604/1782/10, №604/1805/10, №604/1779/10, №604/1775/10, №604/1774/10, №604/1762/10, №604/1829/10, №604/1886/10, №604/1940/10, №604/1961/10, №604/1890/10, №604/1978/10, №604/1998/10, №604/1999/10, №604/2000/10, №604/2017/10, №604/2055/10, №604/2056/10, №604/2057/10, №604/2058/10, №604/2059/10, №604/2060/10, №604/2061/10, №604/2062/10, №604/2063/10, №604/2064/10, №604/2065/10, №604/2066/10, №604/2067/10, №604/1841/10 საბაჟო შეტყობინებებისა და საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის 2010 წლის 29 ივლისის №1317, №1318, №1319; 2010 წლის 19 აგვისტოს №1543, №1544; 2010 წლის 6 სექტემბრის №1659; 2010 წლის 15 სექტემბრის №1731, №1733, 2010 წლის 8 ოქტომბრის №1949, №1951 ბრძანებების (ზემოაღნიშნული საბაჟო შეტყობინებების ნაწილში) ბათილად ცნობის მოთხოვნის ნაწილში სარჩელზე უარის თქმის თაობაზე და მიიჩნევს, რომ შპს „...“ შუამდგომლობა უნდა დაკმაყოფილდეს და აღნიშნულ ნაწილში შპს „...“ მიერ სარჩელზე უარის თქმის გამო უნდა შეწყდეს საქმის წარმოება.

საკასაციო სასამართლო თავდაპირველად აღნიშნავს, რომ მოცემულ საქმეზე დავის საგანს ბათუმის რეგიონალური ცენტრის 2010 წლის 15, 26, 27, 28 და 31 მაისის; 1, 8, 9, 10, 11, 19, 16, 26 და 29 ივნისის; 1, 7, 15, 19, 20, 23, 24, 25, 26, 30, 31 აგვისტოს და 2, 4, 6, 7, 12, 13, 15, 20, 21 სექტემბრის სამართალდარღვევის ოქმების, აღნიშნული სამართალდარღვევის ოქმების საფუძველზე მიღებული 2010 წლის 1 ივლისის №604/1270/10, №604/1272/10, №604/1278/10, №604/1322/10, №604/1323/10; 2010 წლის 29 ივნისის №604/1356/10; 2010 წლის 24 ივნისის №604/1380/10, 2010 წლის 11 ივნისის №604/1083/10, №604/1092/10; 2010 წლის 7 ივნისის №604/1194/10, №604/1201/10, №604/1213/10, 2010 წლის 28 მაისის №604/1088/10, №604/1089/10, №604/1091/10, №604/1093/10, №604/1096/10, №604/1082/10, №604/1084/10, №604/1086/10, 2010 წლის 27 მაისის №604/1068/10, №604/1081/10, №604/1120/10, №604/1127/10; 2010 წლის 23 ივლისის №604/1376/10, №604/1377/10, №604/1414/10; 2010 წლის 7 ივლისის №604/1279/10; 2010 წლის 2 აგვისტოს №604/1497/10, №604/1525/10, №604/1527/10, №604/1529/10, №604/1548/10, №604/1565/10, №604/1566/10, №604/1569/10, №604/1570/10, №604/1571/10, №604/1577/10; 2010 წლის 30 ივლისის №604/1399/10, 2011 წლის 11 აგვისტოს №604/1608/10, №604/1611/10, №604/1643/10, №604/1645/10, №604/1649/10; 2010 წლის 2 აგვისტოს №604/1428/10, №604/1529/10; 2010 წლის 19 აგვისტოს №604/1701/10; 2010 წლის 20 აგვისტოს №604/1731/10, №604/1686/10, №604/1688/10, №604/1718/10, №604/1720/10, №604/1723/10, №604/1724/10;

2010 წლის 31 აგვისტოს №604/1762/10, №604/1774/10, №604/1775/10, №604/1779/10, №604/1781/10, №604/1782/10, №604/2055/10, №604/1807/10; 2010 წლის 22 სექტემბრის №604/1762/10, №604/2067/10, №604/1775/10; 2010 წლის 17 სექტემბრის №604/2017/10; 2010 წლის 16 სექტემბრის №604/1998/10, №604/2000/10, №604/1978/10; 2010 წლის 10 სექტემბრის №604/1961/10, №604/1940/10, №604/1890/10, №604/1929/10, №604/1886/10, 2010 წლის 9 სექტემბრის №604/1841/10, №604/1887/10 საბაჟო შეტყობინებების, ასევე საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის 2010 წლის 29 ივლისის №1317, №1318, №1319; 2010 წლის 19 აგვისტოს №1543, №1544; 2010 წლის 6 სექტემბრის №1659; 2010 წლის 15 სექტემბრის №1731, №1733, 2010 წლის 8 ოქტომბრის №1949, №1951 ბრძანებების და საქართველოს ფინანსთა სამინისტროს დავების განხილვის საბჭოს 2010 წლის 1 ნოემბრის გადაწყვეტილების ბათილად ცნობა წარმოადგენს.

საკასაციო სასამართლო ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ სსიპ შემოსავლების სამსახურის 2012 წლის 18 აპრილის №6338 ბრძანებით (აღნიშნულ ბრძანებაში სსიპ შემოსავლების სამსახურის 2012 წლის 3 მაისის №7299 ბრძანებით გასწორდა ტექნიკური ხარვეზი) ძალადაკარგულად გამოცხადდა ბათუმის რეგიონალური ცენტრის №604/1079/10, №604/1075/10, №604/1073/10, №604/1071/10, №604/1069/10, №604/1096/10, №604/1095/10, №604/1094/10, №604/1093/10, №604/1092/10, №604/1083/10, №604/1082/10, №604/1127/10, №604/1124/10, №604/1123/10, №604/1121/10, №604/1194/10, №604/1201/10, №604/1213/10, №604/1200/10, №604/1198/10, №604/1195/10, №604/1196/10, №604/1272/10, №604/1278/10, №604/1322/10, №604/1323/10, №604/1414/10, №604/1399/10, №604/1527/10, №604/1529/10, №604/1548/10, №604/1565/10, №604/1566/10, №604/1569/10, №604/1570/10, №604/1571/10, №604/1577/10, №604/1428/10, №604/1429/10, №604/1649/10, №604/1643/10, №604/1611/10, №604/1610/10, №604/1609/10, №604/1731/10, №604/1687/10, №604/1718/10, №604/1720/10, №604/1723/10, №604/1724/10, №604/1782/10, №604/1805/10, №604/1779/10, №604/1775/10, №604/1774/10, №604/1762/10, №604/1829/10, №604/1886/10, №604/1940/10, №604/1961/10, №604/1890/10, №604/1978/10, №604/1998/10, №604/1999/10, №604/2000/10, №604/2017/10, №604/2055/10, №604/2056/10, №604/2057/10, №604/2058/10, №604/2059/10, №604/2060/10, №604/2061/10, №604/2062/10, №604/2063/10, №604/2064/10, №604/2065/10, №604/2066/10, №604/2067/10, №604/1841/10 საბაჟო შეტყობინებები, ასევე ძალადაკარგულად გამოცხადდა საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის 2010 წლის 29 ივლისის №1317, №1318, №1319; 2010 წლის 19 აგვისტოს №1543, №1544; 2010 წლის 6 სექტემბრის №1659; 2010 წლის 15 სექტემბრის №1731, №1733, 2010 წლის 8 ოქტომბრის №1949, №1951 ბრძანებები (ნავთობპროდუქტების ნაწილში). ამასთან, მართალია ძალაშია და არ გაუქმებულია საქართველოს ფინანსთა სამინისტროსთან არსებული დავების განხილვის საბჭოს 2010 წლის 1 ნოემბრის გადაწყვეტილება, რომლითაც ძალაში დარჩა საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის 2010 წლის 29 ივლისის №1317, №1318, №1319; 2010 წლის 19 აგვისტოს №1543, №1544; 2010 წლის 6 სექტემბრის №1659; 2010 წლის 15 სექტემბრის №1731, №1733, 2010 წლის 8 ოქტომბრის №1949, №1951 ბრძანებები, მაგრამ საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ იმ პირობებში როდესაც გაუქმებულია აღნიშნული გადაწყვეტილების საფუძვლები (შესაბამისი საბაჟო შეტყობინებები და სსიპ შემოსავლების სამსახურის ბრძანებები (ნავთობპროდუქტების ნაწილში) საქართველოს ფინანსთა სამინისტროსთან არსებული დავების განხილვის საბჭოს 2010 წლის 1 ნოემბრის გადაწყვეტილებას (ნავთობპროდუქტების ნაწილში) იურიდიული ძალა არ გააჩნია და შესაბამისად, მას სამართლებრივი შედეგი ვერ მოჰყვება.

ამდენად, საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ მოსარჩელეს აღნიშნულ ნაწილში აღარ აქვს გასაჩივრებული აქტების ბათილად ცნობის კანონიერი ინტერესი, ვინაიდან, საქმის მასალებით დასტურდება, რომ სახეზე გვაქვს სწორედ ის სამართლებრივი მდგომარეობა, რაც სადავო აქტების ბათილად ცნობას მოჰყვებოდა და რაც შპს „...“ სარჩელის მიზანს წარმოადგენდა.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, თუ ამ კოდექსით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის დებულებანი.

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-3 მუხლის შესაბამისად, ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში მხარეები სარგებლობენ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-3 მუხლით მინიჭებული უფლება-მოვალეობებით, რაც ნიშნავს მხარეთა თავისუფლებას, შეხედულებისამებრ, განკარგონ თავიანთი მატერიალური და საპროცესო უფლებები, კერძოდ, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-3 მუხლის თანახმად, მხარეები იწყებენ საქმის წარმოებას სასამართლოში, ამ კოდექსში ჩამოყალიბებული წესების შესაბამისად, სარჩელის ან განცხადების შეტანის გზით. ისინი განსაზღვრავენ დავის საგანს და თვითონვე იღებენ გადაწყვეტილებას სარჩელის (განცხადების) შეტანის შესახებ. მხარეებს შეუძლიათ საქმის წარმოება მორიგებით დაამთავრონ. მოსარჩელეს შეუძლია უარი თქვას სარჩელზე, ხოლო მოპასუხეს – ცნოს სარჩელი.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 272-ე მუხლის „გ“ ქვეპუნქტის თანახმად, სასამართლო მხარეთა განცხადებით შეწყვეტს საქმის წარმოებას, თუ მოსარჩელემ უარი თქვა სარჩელზე. ამავე კოდექსის 273-ე მუხლის 1-ლი ნაწილის მიხედვით, საქმეზე წარმოება შეწყდება სასამართლო განჩინებით.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ მოცემულ შემთხვევაში მოსარჩელე შპს „...“ სარჩელზე უარის თქმით მოახდინა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-3 მუხლით მინიჭებული საპროცესო უფლების რეალიზაცია, რაც სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის, როგორც პროცე-

სის მონაწილე მხარის ნების გამოვლენა. ამასთან, იურიდიული (ფიზიკური) პირის მიერ სარჩელზე უარის თქმის შემთხვევაში, ადმინისტრაციული ორგანოს მიერ სარჩელზე უარის თქმისგან განსხვავებით, ადმინისტრაციული საქმის განმხილველი სასამართლო შეწყვეტს საქმის წარმოებას და არ ამოწმებს სარჩელზე უარის თქმის კანონიერებას.

საკასაციო სასამართლო ასევე მიუთითებს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 273-ე მუხლის მე-2 ნაწილზე, რომლის თანახმად, საქმის წარმოების შეწყვეტის შემთხვევაში სასამართლოსათვის ხელმეორედ მიმართვა დავაზე იმავე მხარეებს შორის, იმავე საგანზე და იმავე საფუძვლით არ დაიშვება.

ამასთან, რაც შეეხება შპს „...“ საკასაციო საჩივარს დარჩენილი სადავო აქტების ბათილად ცნობის მოთხოვნის ნაწილში, საკასაციო სასამართლო სრულად იზიარებს სააპელაციო სასამართლოს შეფასებებს და დასკვნებს საქმის ფაქტობრივ და სამართლებრივ საკითხებთან დაკავშირებით.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს იმ გარემოებაზე, რომ შპს „...“ სადავოდ ხდის არა დოკუმენტებში მითითებული საქონლისა და აზომვის შედეგად გამოვლენილი საქონლის ოდენობის ცდომილების არსებობის ფაქტს, არამედ იმ ფაქტს, რომ გამოვლენილი ცდომილება არის დასაშვებ ფარგლებში და არ აღემატება „ნავთობის და ნავთობპროდუქტების მასის გაზომვის მეთოდების“ ე.წ. გოსტ 26976-86-ით დაშვებულ ცდომილებას.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ მოცემული დავის სწორად გადაწყვეტის მიზნით არსებითი მნიშვნელობა ენიჭება იმ გარემოების დადგენას, ტრანზიტულ დოკუმენტებში მითითებული საქონლისა და აზომვის შედეგად გამოვლენილი საქონლის ცდომილებაზე ვრცელდება თუ არა ე.წ. გოსტ 26976-86-ით დადგენილი მოთხოვნები.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ 1992 წლის 13 მარტს ხელმოწერილი „სტანდარტიზაციის, მეტროლოგიისა და სერტიფიკაციის სფეროში შეთანხმებული პოლიტიკის გატარების შესახებ“ საერთაშორისო შეთანხმება საქართველოსათვის ძალაში არის 1995 წლის 22 მაისიდან. აღნიშნული შეთანხმების 1-ელი მუხლის თანახმად, „მხარეები, რომლებსაც ჰქონდათ სრული დამოუკიდებლობა სტანდარტიზაციის, მეტროლოგიისა და სერტიფიკაციის სისტემისა და რეალიზების საკითხებში და ამ სფეროში მუშაობის ორგანიზაციებში აღიარებდნენ გოსტ-ის სტანდარტებს როგორც სახელმწიფოთაშორის – ინარჩუნებდნენ აბრევიატურას „გოსტ“ ხელახლა შემოტანილ სახელმწიფოთაშორის სტანდარტებზე, ითვალისწინებდნენ მათი მოთხოვნების ჰარმონიზირებას საერთაშორისო, რეგიონულ და მონიწივე ეროვნულ სტანდარტებთან“.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს „საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის 1-ელ და მე-2 ნაწილებზე, რომელთა თანახმად, საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულება არის საქართველოს კანონმდებლობის განუყოფელი ნაწილი, თუ იგი არ ეწინააღმდეგება საქართველოს კონსტიტუციას, კონსტიტუციურ კანონს და კონსტიტუციურ შეთანხმებას, მას უპირატესი იურიდიული ძალა ენიჭება შიდასახელმწიფოებრივი ნორმატიული აქტების მიმართ. საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ მოცემულ შემთხვევაში შეფასებას მოითხოვს ის გარემოება, არის თუ არა თვითშესრულებადი განსახილველი საერთაშორისო ხელშეკრულებების დებულებები და შესაძლებელია თუ არა მათი პირდაპირი გამოყენება ეროვნულ დონეზე.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ საერთაშორისო ხელშეკრულების უშუალო გამოყენების შესაძლებლობა განისაზღვრება მისი უნარიანობით შიდასახელმწიფოებრივი სამართლის სუბიექტებისთვის შექმნას კონკრეტული უფლება-მოვალეობები.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ „საერთაშორისო ხელშეკრულების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის თანახმად, ოფიციალურად გამოქვეყნებული საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულების დებულებები, რომლებიც ადგენენ კონკრეტული ხასიათის უფლებებსა და მოვალეობებს და არ საჭიროებენ დამაზუსტებელი შიდასახელმწიფოებრივი ნორმატიული აქტების მიღებას, საქართველოში მოქმედებენ უშუალოდ.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს „სტანდარტიზაციის, მეტროლოგიისა და სერტიფიკაციის სფეროში შეთანხმებული პოლიტიკის გატარების შესახებ“ საერთაშორისო შეთანხმებაზე (რომელიც ეხება ე.წ. „გოსტ“ მოქმედ სტანდარტებს) და განმარტავს, რომ აღნიშნული შეთანხმების დებულებები არის ზოგადი, არ ადგენს კონკრეტული ხასიათის უფლება-მოვალეობებს და საჭიროებს დამაზუსტებელი შიდასახელმწიფოებრივი ნორმატიული აქტის მიღებას. ამდენად, აღნიშნული შეთანხმება არის არათვითშესრულებადი და იგი უშუალოდ ვერ იქნება გამოყენებული შიდასახელმწიფოებრივ ურთიერთობებში.

საკასაციო სასამართლო იზიარებს სააპელაციო სასამართლოს მსჯელობას იმის თაობაზე, რომ საქმეში წარმოდგენილი საბაჟო დეკლარაციებით და ვაგონ-ცისტერნის დაცლის აქტებით ირკვევა, რომ შპს „...“ მიერ ბათუმის ნავთობტერმინალში განთავსებული ტრანზიტის საბაჟო რეჟიმში დეკლარირებული ნავთობპროდუქტის აზომვის შედეგად აღმოჩნდა თანხლებ დოკუმენტებში მითითებულ ოდენობასთან შედარებით მეტი ოდენობა, რაც საბაჟო სამართალდარღვევის საქმის წარმოების დაწყების საფუძველს წარმოადგენდა. საქართველოს საბაჟო კოდექსის მე-7 მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, საბაჟო დეკლარირება ნიშნავს მოქმედებას, რომლითაც პირი საქართველოს საბაჟო კანონმდებლობით დადგენილი ფორმისა და ნების შესაბამისად აცხადებს საქონლის მიმართ საბაჟო დამუშავების ოპერაციის გამოყენების განზრახვას. ამავე მუხლის 29-ე პუნქტის მიხედვით, საბაჟო დამუშავების ოპერაცია არის საქონლის მიმართ საბაჟო რეჟიმის გამოყენება, საქონლის გადატანა თავისუფალ ზონაში ან თავისუფალ საწყობში, საქართველოს საბაჟო ტერიტორიიდან საქონლის რეექსპორტი, საქონლის განადგურება საბაჟო ზედამხედველობის

ქვეშ ან საქონლის გადაცემა სახელმწიფო საკუთრებაში. ამავე მუხლის 31-ე ნაწილის მიხედვით კი ვალდებული პირი არის პირი, რომელსაც ეკისრება საბაჟო ვალდებულების შესრულება. საქართველოს საბაჟო კოდექსის 70-ე მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, დეკლარანტი და პირი, რომლის მაგივრადაც ირიბი წარმომადგენლობისას წარადგინეს საბაჟო დეკლარაცია, პასუხისმგებელი არიან დეკლარირებული მონაცემების სისწორეზე, წარმოდგენილი დოკუმენტების ნამდვილობასა და საბაჟო დეკლარაციასთან საქონლის შესაბამისობაზე.

საკასაციო სასამართლო ეთანხმება სააპელაციო სასამართლოს მსჯელობას იმის შესახებ, რომ კასატორი ვალდებული იყო ტრანზიტის საბაჟო რეჟიმში მოქცეული საქონლის დოკუმენტებში ზუსტად მიეთითებინა საქონლის ოდენობა.

საქართველოს საბაჟო კოდექსის 242-ე მუხლის მე-3 და მე-4 ნაწილით, პირის მიერ საქართველოს საბაჟო საზღვარზე ტრანზიტული გადაადგილებისათვის განკუთვნილ სატრანსპორტო საშუალებებში განთავსებული საქონლის გადატანა ან გადმოტანა, ჩადენილი საბაჟო კონტროლის გვერდის ავლით ან მისგან მაღულად, იწვევს პირის დაჯარიმებას 1000 ლარით, ხოლო ამ მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებული ქმედება, ჩადენილი განმეორებით, იწვევს პირის დაჯარიმებას 2000 ლარით.

საკასაციო სასამართლო იზიარებს მონიშნულ დეკლარაციას პოზიციას იმის თაობაზე, რომ შპს „...“ განმეორებით ჩადენილი ქმედებისათვის პასუხისმგებლობა უნდა დაკისრებოდეს საბაჟო კოდექსის 242-ე მუხლის მე-4 ნაწილით გათვალისწინებული სანქციის ფარგლებში. ამდენად, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სადავო აქტები მიღებული არის კანონმდებლობის მოთხოვნათა სრული დაცვით და არ არსებობს მათი ბათილად ცნობის სამართლებრივი საფუძველი.

რაც შეეხება სახელმწიფო ბაჟის საკითხს, საკასაციო სასამართლო მიუთითებს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 39-ე მუხლის პირველი ნაწილის „გ“ ქვეპუნქტზე და განმარტავს, რომ სახელმწიფო ბაჟის ოდენობა საკასაციო საჩივრისათვის შეადგენს დავის საგნის ღირებულების 5%-ს, მაგრამ არანაკლებ 300 ლარს, რომელიც კასატორმა უნდა შეიტანოს შესაბამის ანგარიშზე.

საკასაციო სასამართლო დადგენილად მიიჩნევს იმ გარემოებას, რომ შპს „...“ მიერ საკასაციო საჩივარზე გადახდილია სახელმწიფო ბაჟი 8000 ლარის ოდენობით.

საკასაციო სასამართლო ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებას, რომ სასამართლომ შპს „...“ საკასაციო საჩივარი განიხილა მხოლოდ 76 000 ლარის ღირებულების ნაწილში (აღნიშნულ თანხაზე გადასახდელი სახელმწიფო ბაჟის ოდენობა შეადგენს 3800 ლარს), დანარჩენ ნაწილში კი შპს „...“ უარი თქვა სარჩელზე.

ამდენად, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ შპს „...“ მის მიერ საკასაციო საჩივარზე სახელმწიფო ბაჟის სახით გადახდილი 8000 ლარიდან უნდა დაუბრუნდეს 4200 ლარი.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 272-ე მუხლის „გ“ ქვეპუნქტით, 273-ე, 410-ე, 39-ე მუხლებით და

დ ა ა დ გ ი ნ ა:

1. დაკმაყოფილდეს შპს „...“ შუამდგომლობა სარჩელზე ნაწილობრივ უარი თქმის თაობაზე და შეწყდეს საქმის წარმოება სარჩელის იმ ნაწილზე, რომლითაც შპს „...“ ითხოვდა საქართველოს ფინანსთა სამინისტროს დავების განხილვის საბჭოს 2010 წლის 1 ნოემბრის გადაწყვეტილების და საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის 2010 წლის 29 ივლისის №1317, №1318, №1319; 2010 წლის 19 აგვისტოს №1543, №1544; 2010 წლის 6 სექტემბრის №1659; 2010 წლის 15 სექტემბრის №1731, №1733, 2010 წლის 8 ოქტომბრის №1949, №1951 ბრძანებების (ქვემოთ ჩამოთვლილი საბაჟო შეტყობინებების ნაწილში), ასევე ბათუმის რეგიონალური ცენტრის №011651, №011650, №011649, №011648, №011647, №011637, №011636, №008257, №008253, №008251, №008249, №008247, №044267, №044264, №044263, №044261, №044275, №044276, №044277, №044281, №044283, №044284, №044296, №044369, №044374, №044387, №044388, №044404, №044419, №044422, №044435, №044436, №044438, №044439, №044440, №044442, №044403, №044407, №044408, №044455, №044461, №044447, №044448, №044449, №044487, №044489, №044491, №044494, №044495, №044502, №044515, №044516, №044512, №044507, №044508, №044504, №044520, №044521, №044524, №044529, №044530, №044531, №044548, №044538, №044541, №044542, №044543, №044564, №044565, №044566, №044567, №044568, №044569, №044576, №044570, №044571, №044572, №044573, №044574, №044575 სამართალდარღვევის ოქმების და №604/1079/10, №604/1075/10, №604/1073/10, №604/1071/10, №604/1069/10, №604/1096/10, №604/1095/10, №604/1094/10, №604/1093/10, №604/1092/10, №604/1083/10, №604/1082/10, №604/1127/10, №604/1124/10, №604/1123/10, №604/1121/10, №604/1194/10, №604/1201/10, №604/1213/10, №604/1200/10, №604/1198/10, №604/1195/10, №604/1196/10, №604/1272/10, №604/1278/10, №604/1322/10, №604/1323/10, №604/1414/10, №604/1399/10, №604/1527/10, №604/1529/10, №604/1548/10, №604/1565/10, №604/1566/10, №604/1569/10, №604/1570/10, №604/1571/10, №604/1577/10, №604/1428/10, №604/1429/10, №604/1649/10, №604/1643/10, №604/1611/10, №604/1610/10, №604/1609/10, №604/1731/10, №604/1687/10, №604/1718/10, №604/1720/10, №604/1723/10, №604/1724/10, №604/1782/10, №604/1805/10, №604/1779/10, №604/1775/10, №604/1774/10, №604/1762/10, №604/1829/10,

№604/1886/10, №604/1940/10, №604/1961/10, №604/1890/10, №604/1978/10, №604/1998/10, №604/1999/10, №604/2000/10, №604/2017/10, №604/2055/10, №604/2056/10, №604/2057/10, №604/2058/10, №604/2059/10, №604/2060/10, №604/2061/10, №604/2062/10, №604/2063/10, №604/2064/10, №604/2065/10, №604/2066/10, №604/2067/10, №604/1841/10 საბაჟო შეტყობინებების ბათილად ცნობას;

2. ამ ნაწილში გაუქმდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2011 წლის 28 იანვრის გადაწყვეტილება და ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2011 წლის 7 ივნისის განჩინება;

3. მხარეებს განემარტოთ, რომ სასამართლოსათვის ხელმეორედ მიმართვა იმავე დავაზე, იმავე მხარეებს შორის, იმავე საგანზე და იმავე საფუძვლით არ დაიშვება;

4. შპს „...“ საკასაციო საჩივარი დანარჩენ ნაწილში – ბათუმის რეგიონალური ცენტრის №604/1078/10, №604/1077/10, №604/1076/10, №604/1074/10, №604/1072/10, №604/1070/10, №604/1068/10, №604/1091/10, №604/1089/10, №604/1088/10, №604/1086/10, №604/1085/10, №604/1084/10, №604/1081/10, №604/1080/10, №604/1126/10, №604/1125/10, №604/1122/10, №604/1120/10, №604/1120/10, №604/1199/10, №604/1197/10, №604/1270/10, №604/1271/10, №604/1356/10, №604/1380/10, №604/1279/10, №604/1376/10, №604/1377/10, №604/1497/10, №604/1525/10, №604/1645/10, №604/1608/10, №604/1686/10, №604/1688/10, №604/1701/10, №604/1807/10, №604/1781/10, №604/1887/10 საბაჟო შეტყობინებების, ბათუმის რეგიონალური ცენტრის №011646, №011644, №011642, №011640, №011639, №011638, №011635, №011634, №008255, №008254, №008252, №008250, №008248, №008246, №044266, №044265, №044262, №044260, №044278, №044282, №044279, №044371, №044372, №044373, №044416, №044418, №044370, №044400, №044401, №044459, №044451, №044486, №044488, №044473, №044514, №044518, №044525 სამართალდარღვევის ოქმების, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის 2010 წლის 29 ივლისის №1317, №1318, №1319; 2010 წლის 19 აგვისტოს №1543, №1544; 2010 წლის 6 სექტემბრის №1659; 2010 წლის 15 სექტემბრის №1731, №1733, 2010 წლის 8 ოქტომბრის №1949, №1951 ბრძანებებისა და საქართველოს ფინანსთა სამინისტროს დავების განხილვის საბჭოს 2010 წლის 1 ნოემბრის გადაწყვეტილების (ზემოაღნიშნული საბაჟო შეტყობინებების ნაწილში) ბათილად ცნობის თაობაზე (სულ 76 000 ლარის ღირებულებით) არ დაკმაყოფილდეს;

5. ამ ნაწილში უცვლელად დარჩეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2011 წლის 7 ივნისის განჩინება;

6. შპს „...“ დაუბრუნდეს მის მიერ საკასაციო საჩივარზე გადახდილი 8000 ლარიდან – 4200 ლარი;

7. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

დაჯარიმება საბაჟო დეკლარაციის წარუდგენლობის გამო

გადანყვეტილება საქართველოს სახელით

№ბს-1686-1658 (2კ-11) 23 მაისი, 2012 წ., ქ. თბილისი
საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატა
შემადგენლობა: ნ. ქადაგიძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ლ. მურუსიძე,
ნ. სხირტლაძე

დავის საგანი: ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების ბათილად ცნობა

აღწერილობითი ნაწილი:

2011 წლის 18 თებერვალს რუსთავის საქალაქო სასამართლოს სარჩელით მიმართა შპს „...-ს“ წარმომადგენელმა მოპასუხეების საქართველოს ფინანსთა სამინისტროსა და სსიპ შემოსავლების სამსახურის მიმართ.

მოსარჩელე სარჩელით ითხოვდა სსიპ შემოსავლების სამსახურის რუსთავის რეგიონალური ცენტრის 2010 წლის 9 აგვისტოს №4905/21-18 საბაჟო შეტყობინების, 2010 წლის 11 ივლისის საბაჟო სამართალდარღვევის ოქმის №035541, სსიპ შემოსავლების სამსახურის 2010 წლის 16 დეკემბრის №2541 ბრძანებისა და საქართველოს ფინანსთა სამინისტროს 2011 წლის 31 იანვრის გადაწყვეტილების ბათილად ცნობას.

რუსთავის საქალაქო სასამართლოს 2011 წლის 7 ივნისის გადაწყვეტილებით შპს „...-ს“ სარჩელი დაკმაყოფილდა; ბათილად იქნა ცნობილი სსიპ შემოსავლების სამსახურის რუსთავის რეგიონალური ცენტრის 2010 წლის 9 აგვისტოს №4905/21-18 საბაჟო შეტყობინება, 2010 წლის 11 ივლისის საბაჟო სამართალდარღვევის ოქმი №035541, სსიპ შემოსავლების სამსახურის 2010 წლის 16 დეკემბრის №2541 ბრძანება და საქართველოს ფინანსთა სამინისტროს 2011 წლის 31 იანვრის გადაწყვეტილება.

პირველი ინსტანციის სასამართლომ დადგენილად მიიჩნია შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

2010 წლის 15 თებერვალს გ/ჯ ფოთში გამონერილი დ10671 აღრიცხვის მოწმობის თანახმად შპს „...-ს“ ეკისრებოდა ვალდებულება „...“-ის მარკის მექანიკური სატრანსპორტო საშუალების დანიშნულების საბაჟო ორგანოში წარდგენა 2010 წლის 7 მარტს საბაჟო დეკლარირების განხორციელების მიზნით.

2010 წლის 11 ივლისს რუსთავის რეგიონული ცენტრის თანამშრომლების მიერ შედგენილ იქნა საბაჟო სამართალდარღვევის №034541 ოქმი. აღნიშნული ოქმის საფუძველზე სსიპ შემოსავლების სამსახურის რუსთავის რეგიონალური ცენტრის მიერ 2010 წლის 9 აგვისტოს გამოცემულ იქნა №4905/21-18 საბაჟო შეტყობინება, რომლის თანახმად სამართალდამრღვევი დაჯარიმებულ იქნა 1 500 ლარით.

საბაჟო შეტყობინება მოსარჩელის მიერ გასაჩივრებულ იქნა სსიპ შემოსავლების სამსახურში, რაც 2010 წლის 16 დეკემბრის №2541 ბრძანებით არ დაკმაყოფილდა. ბრძანება გასაჩივრდა საქართველოს ფინანსთა სამინისტროსთან არსებულ დავების განხილვის საბჭოში. დავების განხილვის საბჭოს აპარატის მიერ 2011 წლის 31 იანვარს მიღებულ იქნა გადაწყვეტილება შპს „...-ს“ ადმინისტრაციული საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ.

საქმეზე წარმოდგენილია მექანიკურ სატრანსპორტო საშუალებაზე საკუთრების უფლების გადაცემის თაობაზე სსიპ საქართველოს შს სამინისტროს მომსახურების სააგენტოს მიერ 2010 წლის 21 თებერვალს დამოწმებული გარიგება შპს „...-ს“ და სომხეთის მოქალაქე ე. ჰ-ის შორის.

საქართველოს შს სამინისტროს ინფორმაციული უზრუნველყოფისა და ანალიზის სამმართველოს 2010 წლის 30 ნოემბრის №12/5/8/1/793583 წერილით დასტურდება, რომ 2010 წლის 14 თებერვლიდან სომხეთის მოქალაქე ე. ჰ-ის მიერ „...-ის“ მარკის ავტომანქანით საქართველოს სახელმწიფო საზღვრის კვეთა არ ფიქსირდება.

სსიპ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს თბილისის სამმართველოს 2011 წლის 7 ივნისის №663447 წერილით დასტურდება, რომ 2010 წლის 21 თებერვალს სსიპ საქართველოს შსს მომსახურების სააგენტოს მიერ კანონმდებლობით დადგენილი წესით დადასტურებულ იქნა რეექსპორტის სასაქონლო ოპერაციისთვის განკუთვნილ ავტოსატრანსპორტო საშუალებაზე საკუთრების უფლების №115765 გარიგებაზე ხელმოწერების ნამდვილობა შპს „...-ს“ წარმომადგენლის მ. ვ-ის ვ-ს და ე. ჰ-ის შორის, ხოლო მონაცემები რეექსპორტის საბაჟო დამუშავების ოპერაციის შესახებ ზემოაღნიშნული ბრძანების შესაბამისად მიეწოდა საბაჟოშორგანოს.

პირველი ინსტანციის სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს საბაჟო კოდექსის 29-ე, 45.1, 47.1.2, 61-ე, 116.1 მუხლებით, საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2006 წლის 20 დეკემბრის (სადავო ურთიერთობის დროს მოქმედი) №1745 ბრძანების 1-ელი მუხლის მე-3 და მე-4 პუნქტებით და განმარტა, რომ ე. ჰ-ი გახდა ის პირი, რომელმაც იკისრა უკვე რეექსპორტის საბაჟო რეჟიმში მოქცეული საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე შემოტანილი საქონლის შემდგომი ტრანსპორტირება და შესაბამისად მასზე და არა მოსარჩელე შპს „...-ზე“ ვრცელდება საქართველოს საბაჟო კოდექსის 45-ე მუხლით დადგენილი ვალდებულებები. ამასთან შპს „...“, როგორც პირი, რომლის საქონელიც მოექცა რეექსპორტის საბაჟო რეჟიმში, განთავისუფლდა საბაჟო ორგანოში დეკლარაციის წარდგენის ვალდებულებისაგან, საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2006 წლის 20 დეკემბრის (სადავო ურთიერთობის დროს მოქმედი) №1745 ბრძანების პირველი მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად. სასამართლოს განმარტებით, მოსარჩელის მიერ საბაჟო ორგანოში საქონლის წარდგენისთანავე განხორციელდა ზოგადი დეკლარირება, თუმცა მის მიერ წინასწარ არ ყოფილა განსაზღვრული საქონელი რეექსპორტის რეჟიმში მოექცეოდა თუ დაექვემდებარებოდა საბაჟო დეკლარაციის წარდგენის სავალდებულობას.

პირველი ინსტანციის სასამართლომ საქართველოს საბაჟო კოდექსის 238-ე, 246-ე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე, 201-ე, 202-ე მუხლებზე მითითებითა და მიიჩნია, რომ შპს „...-ს“ მიერ აღნიშნული საბაჟო სამართალდარღვევის ჩადენას ადგილი არ ჰქონია. საქართველოს ფინანსთა სამინისტროს და შემოსავლების სამსახურის მიერ წარდგენილი საჩივრების განხილვისის გამოკვლეულ არ იქნა საქმისათვის მნიშვნელობის მქონე ყველა გარემოება და გადაწყვეტილება მიღებულ იქნა ამ გარემოებათა შეფასებისა და ურთიერთშეჯერების გარეშე. ამდენად სსიპ შემოსავლების სამსახურის ბრძანება და საქართველოს ფინანსთა სამინისტროსთან არსებული დავების განხილვის საბჭოს გადაწყვეტილება ვერ აკმაყოფილებს კანონით დადგენილ მოთხოვნებს.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით პირველი ინსტანციის სასამართლომ მიიჩნია, რომ გასაჩივრებული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტები ეწინააღმდეგება კანონს, რის გამოც არსებობს მათი ბათილად ცნობის საკმარისი საფუძველი.

მითითებული გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრეს საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ და სსიპ შემოსავლების სამსახურმა.

აპელანტები სააპელაციო საჩივრით ითხოვდნენ გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმებასა და საქმეზე ახალი გადაწყვეტილების მიღებით სასარჩელო მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე უარის თქმას.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2011 წლის 10 ნოემბრის განჩინებით საქართველოს ფინანსთა სამინისტროსა და სსიპ შემოსავლების სამსახურის სააპელაციო საჩივრები არ დაკმაყოფილდა; უცვლელად დარჩა რუსთავის საქალაქო სასამართლოს 2011 წლის 7 ივნისის გადაწყვეტილება.

სააპელაციო სასამართლომ სრულად გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს შეფასებები საქმის ფაქტობრივ გარემოებებთან დაკავშირებით.

სააპელაციო სასამართლომ ასევე სრულად გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს შეფასებები და დასკვნები საქმის სამართლებრივ საკითხებთან დაკავშირებით.

სააპელაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ფინანსთა მინისტრისა და საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2008 წლის 9 ივნისის №500-№653 ერთობლივი ბრძანებით დამტკიცებული „საბაჟო კონტროლის ზონაში სატრანსპორტო საშუალებების მიმართ საბაჟო პროცედურებისა და სავალ-

დებულო რეგისტრაციის ერთი ფანჯრის პრინციპით განხორციელების წესის შესახებ“ პირველი მუხლის პირველი პუნქტით, 24.1, 25.1.2. მუხლებით და განმარტა, რომ საქმეზე დადგენილად მიჩნეული ფაქტობრივი გარემოებების გათვალისწინებით შპს „...-მ“ სრულად შეასრულა იმ პერიოდისათვის მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი ვალდებულებები, მან კანონმდებლობის მოთხოვნათა შესაბამისად მოახდინა ავტომანქანის გასხვისება უცხო ქვეყნის მოქალაქეზე, რაც დადასტურდა სსიპ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს თბილისის სამმართველოს მიერ. ამის შემდეგ საქართველოს ფინანსთა მინისტრისა და საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2008 წლის 9 ივნისის №500-№653 ერთობლივი ბრძანებით დამტკიცებული „საბაჟო კონტროლის ზონაში სატრანსპორტო საშუალებების მიმართ საბაჟო პროცედურებისა და სავალდებულო რეგისტრაციის ერთი ფანჯრის პრინციპით განხორციელების წესის შესახებ“ 25-ე მუხლის შესაბამისად საქონელი ჩაითვალა საქონლის რეექსპორტის საბაჟო დამუშავების ოპერაციაში მოქცეულად და როგორც თვითონ სსიპ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს თბილისის სამმართველოს 2011 წლის 7 ივნისის №663447 წერილშია აღნიშნული, მონაცემები რეექსპორტის საბაჟო დამუშავების ოპერაციის შესახებ ანუ შევსებული დეკლარაცია სააგენტოს მიერ ელექტრონულად მიენიჭა საბაჟო ორგანოს. სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ შპს „...“ აღარ იყო ვალდებული საბაჟო ორგანოში წარედგინა დამატებითი რაიმე დეკლარაცია, ვინაიდან ავტომანქანის შესახებ ასეთი დეკლარაცია და მონაცემები რეექსპორტის საბაჟო დამუშავების ოპერაციის შესახებ, ზემოაღნიშნული ინსტრუქციის 25-ე მუხლით დადგენილი წესით, საბაჟო ორგანოს წარედგინა სსიპ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს თბილისის სამმართველომ. ვინაიდან სსიპ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს თბილისის სამმართველოში რეგისტრაციის შემდეგ შპს „...-ს“ საქონელი მოექცა რეექსპორტის საბაჟო რეჟიმში, ამიტომ იგი საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2006 წლის 20 დეკემბრის (სადავო ურთიერთობის დროს მოქმედი) №1745 ბრძანების პირველი მუხლის მე-3 ნაწილის საფუძველზე გათავისუფლდა საბაჟო ორგანოში დეკლარაციის წარდგენის ვალდებულებისაგან.

სააპელაციო სასამართლომ ყურადღება მიაქცია იმ გარემოებას, რომ 2010 წლის 21 თებერვალს სსიპ საქართველოს შსს მომსახურების სააგენტოს მიერ კანონმდებლობით დადგენილი წესით დადასტურებულ იქნა რეექსპორტის სასაქონლო ოპერაციისთვის განკუთვნილ ავტოსატრანსპორტო საშუალებაზე საკუთრების უფლების №115765 გარიგებაზე ხელმოწერების ნამდვილობა შპს „...-ს“ წარმომადგენლის მ. ვ-ის ვ-ს და ე. ჰ-ს შორის. მხარეთა შორის გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე ე. ჰ-ი გახდა ის პირი, რომელმაც იკისრა უკვე რეექსპორტის საბაჟო რეჟიმში მოქცეული საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე შემოტანილი საქონლის შემდგომი ტრანსპორტირების ვალდებულება. აქედან გამომდინარე სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს მიერ კანონით დადგენილი წესით ხელშეკრულების დადასტურებისა და საბაჟო ორგანოში ელექტრონული ინფორმაციის წარდგენის მიუხედავად, დამატებით აუცილებელიც რომ ყოფილიყო საბაჟო ორგანოში ფიზიკური პირის მიერ დეკლარაციის წარდგენა, 2010 წლის 21 თებერვლის შემდეგ ასეთი ვალდებულება უკვე ეკისრებოდა არა შპს „...-ს“, არამედ ე. ჰ-ს, რომელიც გახდა ავტომანქანის მესაკუთრე და იკისრა მის ტრანსპორტირებასთან დაკავშირებული ნებისმიერი ვალდებულების შესრულება. შესაბამისად საბაჟო სამართალდარღვევის არსებობის შემთხვევაშიც კი, მის სუბიექტს წარმოადგენდა არა შპს „...“, არამედ ე. ჰ-ი.

აღნიშნული განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრეს საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ და სსიპ შემოსავლების სამსახურმა.

კასატორი – საქართველოს ფინანსთა სამინისტრო საკასაციო საჩივარში აღნიშნავდა, სასამართლომ არ გაითვალისწინა ის გარემოება, რომ 2010 წლის 15 თებერვალს გ/პ „ფოთში“ გამოწერილი №10671 აღრიცხვის მოწმობის მიხედვით, შპს „...-ს“ ეკისრებოდა ვალდებულება „...-ს მარკის მექანიკური სატრანსპორტო საშუალების დანიშნულების საბაჟო ორგანოში წარედგინა 2010 წლის 7 მარტს და განესორცდებინა საბაჟო დეკლარირება, რაც მისი მხრიდან არ შესრულებულა. აღნიშნულ საბაჟო სამართალდარღვევის ფაქტზე შედგა ოქმი №034541, რომლის განხილვის შედეგად შპს „...-ს“ პასუხისმგებლობის ზომად განესაზღვრა სანქცია იმ დროისათვის მოქმედი საქართველოს საბაჟო კოდექსის 238-ე და 246-ე მუხლების შესაბამისად, 1500 ლარის ოდენობით.

კასატორის განმარტებით, სადავო პერიოდისათვის მოქმედი საქართველოს საბაჟო კოდექსის 45.1, 47.1, 65.1, 246.1, 238-ე მუხლების შესაბამისად, მოსარჩელის განცხადება, რომ ავტომობილის წარდგენაზე ვალდებული იყო ახალი მეპატრონე, ვერ გახდება დაკისრებული საგადასახადო ვალდებულების გაუქმების საფუძველი, ვინაიდან სადავო საქონლის თანმხლებ დოკუმენტაციაში საბაჟო პროცედურების განმახორციელებელ პირად მითითებულია შპს „...-ს“ დირექტორი მ. ვ-ის ვ-ი.

კასატორი – შემოსავლების სამსახურის მოსაზრებით, სასამართლოს მიერ საქმეზე არასწორად იქნა დადგენილი მთელი რიგი ფაქტობრივი გარემოებები, შესაბამისად, არასწორი შეფასება მიეცა საქმის ირგვლივ არსებულ გარემოებებს. კასატორის მითითებით, საქმის მასალებიდან ირკვევა, რომ მოსარჩელემ 2010 წლის 15 თებერვალს საქართველოში შემოიყვანა ავტომანქანა. იმავე დღეს საბაჟო ორგანოს მიერ გამოიწერა აღრიცხვის მოწმობა №10671, რომელშიც საბაჟო ორგანოში გამოცხადების ვადა მიეთითა იმავე წლის 7 მარტი. სადავო პერიოდში მოქმედი საქართველოს საბაჟო კოდექსის 45-ე, 47-ე, 65-ე მუხლებზე, ასევე საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2006 წლის 20 დეკემბრის №1764 ბრძანებით დამტკიცებული აღრიცხვის მოწმობის შევსების წესის შესახებ ინსტრუქციის საფუძველზე კასატორი მიიჩნევს, რომ არ არის შესრულებული საბაჟო კოდექსის 65-ე მუხლის მოთხოვნები, რომლის მიხედვით საქონელზე, რომლის მი-

მართაც გამოყენებული უნდა იქნეს საბაჟო რეჟიმი, სავალდებულოა გამოყენებული იქნეს საბაჟო დეკლარაცია. საქმეში წარმოდგენილი მასალებით უდავოდ დასტურდება, რომ მოსარჩელის მიერ საბაჟო ორგანოში დადგენილ ვადაში არ იქნა წარდგენილი სატვირთო საბაჟო დეკლარაცია. ამდენად, მოსარჩელეზე საბაჟო კოდექსის 238-ე და 246-ე მუხლებით დადგენილი პასუხისმგებლობის დაკისრება კანონშესაბამისია.

ამასთან კასატორის მითითებით, საპედაციო სასამართლოს მოსაზრება იმასთან დაკავშირებით, რომ ავტოსატრანსპორტო საშუალებაზე (საქონელზე) დადებული ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულებაზე ხელმოწერების ნამდვილობის დადასტურება შს სამინისტროს მომსახურების სააგენტოს მიერ, იმავდროულად ნიშნავდა ე. წ. მიერ რეექსპორტის საბაჟო რეჟიმში მოქცეული საქონლის შემდგომი ტრანსპორტირების თავის თავზე აღებას, არ შეესაბამება არსებულ რეალობას. მსგავსი ვალდებულების თაობაზე რაიმე განაცხადი არც ერთ დოკუმენტში არ ფიქსირდება.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, კასატორები საკასაციო საჩივრით ითხოვდნენ გასაჩივრებული განჩინების გაუქმებასა და საქმეზე ახალი გადაწყვეტილების მიღებით სასარჩელო მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე უარის თქმას.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების გაცნობის, მხარეთა ახსნა-განმარტებების მოსმენისა და გასაჩივრებული განჩინების კანონიერება-დასაბუთებულობის შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ საქართველოს ფინანსთა სამინისტროსა და სსიპ შემოსავლების სამსახურის საკასაციო საჩივრები უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ, გასაჩივრებული განჩინების შეცვლით საქმეზე მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება, შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო სასამართლო სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 407.2 მუხლის საფუძველზე დადგენილად მიიჩნევს შემდეგ ფაქტობრივ გარემოებებს: 2010 წლის 15 თებერვალს გ/ჯ ფოთში გამოწერილი №10671 აღრიცხვის მონომბის თანახმად, შპს „...ს“, საბაჟო დეკლარირების განხორციელების მიზნით დაეკისრა „...ის“ მარკის მექანიკური სატრანსპორტო საშუალება 2010 წლის 7 მარტისათვის წარედგინა დანიშნულების საბაჟო ორგანოში.

სსიპ საქართველოს შს სამინისტროს მომსახურების სააგენტოს მიერ 2010 წლის 21 თებერვალს დამონ-მდა გარიგება შპს „...სა“ და სომხეთის მოქალაქე ე. წ. შორის, რომლის საფუძველზეც მექანიკური სატრანსპორტო საშუალება საკუთრებაში გადაეცა ე. წ. შს.

შს სამინისტროს ინფორმაციული უზრუნველყოფისა და ანალიზის სამმართველოს 2010 წლის 30 ნოემბრის №12/5/8/1/793583 წერილით დადასტურებულია, რომ სომხეთის მოქალაქე ე. წ. მიერ „...ის“ მარკის ავტომანქანით საქართველოს სახელმწიფო საზღვრის კვეთა არ დაფიქსირებულა.

2010 წლის 11 ივლისს რუსთავის რეგიონალური ცენტრის თანამშრომლების მიერ შედგა საბაჟო სამართალდარღვევის ოქმი №034541, რის საფუძველზეც სსიპ შემოსავლების სამსახურის რუსთავის რეგიონალურმა ცენტრმა 2010 წლის 9 აგვისტოს გამოსცა №4905/21-18 საბაჟო შეტყობინება, რომლითაც შპს „...“ დაჯარიმდა 1 500 ლარით. დაჯარიმების საფუძველი გახდა საბაჟო კოდექსის 238-ე და 246-ე მუხლები.

საკასაციო სასამართლო საკითხის არსებითად გადაწყვეტისათვის მნიშვნელოვნად მიიჩნევს განისაზღვროს, შპს „...“ წარმოადგენს თუ არა საბაჟო კოდექსის 238-ე და 246-ე მუხლებით განსაზღვრული სამართალდარღვევის სუბიექტს და არსებობს თუ არა მის მიმართ საჯარიმო სანქციების გამოყენების სამართლებრივი საფუძველი.

საქართველოს საბაჟო კოდექსის 50-ე მუხლის 1-ელი ნაწილის შესაბამისად, ზოგადი დეკლარირება ნიშნავს საქონელზე იმ ზოგადი მონაცემების წარდგენას, რომლებიც აუცილებელია საბაჟო ზედამხედველობისა და საბაჟო კონტროლის განხორციელებისათვის, საბაჟო დამუშავების ოპერაციის შერჩევამდე მისი იდენტიფიკაციისათვის.

საკასაციო სასამართლო წარმოდგენილი მტკიცებულებების საფუძველზე დადგენილად მიიჩნევს, რომ შპს „...ს“ მიერ საბაჟო ორგანოში საქონლის წარდგენისთანავე განხორციელდა ზოგადი დეკლარირება, რაც მას აძლევდა საშუალებას, კანონით დადგენილ ვადაში, შეერჩია საბაჟო დამუშავების ოპერაცია.

სსიპ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს თბილისის სამმართველოს 2011 წლის 7 ივნისის №663447 წერილით დასტურდება, რომ 2010 წლის 21 თებერვალს სსიპ საქართველოს შსს მომსახურების სააგენტოს მიერ კანონმდებლობით დადგენილი წესით დადასტურდა რეექსპორტის სასაქონლო ოპერაციისათვის განკუთვნილ ავტოსატრანსპორტო საშუალებაზე საკუთრების უფლების №115765 გარიგებაზე ხელმოწერების ნამდვილობა შპს „...ს“ წარმომადგენელსა და ე. წ. შორის, ხოლო მონაცემები რეექსპორტის საბაჟო დამუშავების ოპერაციის შესახებ მიეწოდა საბაჟო ორგანოს.

საკასაციო სასამართლო მართებულად მიიჩნევს სადავო საკითხის რეგულირების მიზნით „საბაჟო კონტროლის ზონაში სატრანსპორტო საშუალებების მიმართ საბაჟო პროცედურებისა და სავალდებულო რეგისტრაციის ერთი ფანჯრის პრინციპით განხორციელების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის და საქართველოს შსს მინისტრის 2008 წლის 9 ივნისის №500-№653 ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქციის გამოყენებას და აღნიშნავს, რომ მითითებული ინსტრუქციის მიზანს წარმოადგენს ხელი შეუწყოს საქართველოს შს სამინისტროს და საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შესაბამისი ორგანოების შეთანხმებულ და კოორდინირებულ თანამშრომლობას, ფიზიკური და იურიდიული პირებისათვის ავტოსატრანსპორტო საშუალებების მიმართ საქონლის თავისუფალ მიმოქცევაში გაშვების (იმპორტის), საბაჟო სანჯოში საქონლის შენახვის, საქონლის ექსპორტის რეჟიმის და საქონლის რეექსპორტის საბაჟო და-

მუშავეების ოპერაციის გამოყენებისა და სავალდებულო რეგისტრაციის პროცედურების გამარტივების უზრუნველსაყოფად.

იმავე ინსტრუქციით განსაზღვრულია სსიპ საქართველოს შს სამინისტროს მომსახურების სააგენტოს განყოფილებებში განთავსებული საბაჟო ორგანოების საბაჟო დამუშავეების ოპერაციების განმახორციელებელი ჯგუფის განლაგების ადგილებში შექმნილი საბაჟო კონტროლის ზონაში ავტოსატრანსპორტო საშუალებების მიმართ საქონლის თავისუფალ მიმოქცევაში გაშვების (იმპორტის), საბაჟო საწყობში საქონლის შენახვის, საქონლის ექსპორტის საბაჟო რეჟიმის და საქონლის რეექსპორტის საბაჟო დამუშავეების ოპერაციის გამოყენების და საბაჟო ვალდებულებების შესრულებასთან დაკავშირებული ურთიერთობები, აგრეთვე საქართველოს შს და საქართველოს ფინანსთა სამინისტროების შესაბამისი ორგანოების, ფიზიკური და იურიდიული პირების უფლება-მოვალეობები, საბაჟო დეკლარაციის წარდგენისა და სარეგისტრაციო დოკუმენტაციის გაფორმების წესი.

როგორც ზემოაღნიშნული ინსტრუქციის 24-ე მუხლის 1-ელი ნაწილი მიუთითებს, პირი, რომელსაც განსაზღვრული აქვს საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე შემოტანილი ავტოსატრანსპორტო საშუალებების რეექსპორტის, ვალდებულია, აღრიცხვის მოწმობით გადაადგილებული ან მონაცემთა ავტომატიზირებულ ბაზაში რეგისტრირებული ან დროებით დასაწყობებული ავტოსატრანსპორტო საშუალება საექსპორტო შემოწმებისათვის (გარდა იურიდიული პირების მიერ შემოტანილი ახალი ავტოსატრანსპორტო საშუალებისა) და საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2006 წლის 20 დეკემბრის №1764 ბრძანებით დამტკიცებული „საბაჟო კონტროლის ქვეშ მყოფი სატრანსპორტო საშუალების აღრიცხვის მოწმობის ფორმა №2-ის“, გამომწერის მიზნით, წარუდგინოს სააგენტოს საბაჟო კონტროლის ზონაში. ხოლო ინსტრუქციის 25-ე მუხლი ადგენს, რომ შევსებული დეკლარაცია სააგენტოს მიერ ელექტრონულად მიეწოდება საბაჟო ორგანოს; საბაჟო ორგანო ასევე ელექტრონულად ახორციელებს დეკლარაციაზე ნომრის მინიჭებას, რის შემდეგაც საქონელი ჩაითვლება საქონლის რეექსპორტის საბაჟო დამუშავეების ოპერაციაში მოქცეულად.

საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2006 წლის 20 დეკემბრის №1754 ბრძანების 1.3 მუხლის თანახმად, რეექსპორტის საბაჟო დამუშავეების ოპერაციის განხორციელების დროს საბაჟო ორგანოს დეკლარაცია არ წარედგინება, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ხორციელდება საბაჟო საწყობში საქონლის შენახვის, საბაჟო ტერიტორიაზე საქონლის გადამუშავების ან საქონლის დროებითი შემოტანის საბაჟო რეჟიმში მოქცეული ან თავისუფალ საწყობში არსებული საქონლის ან საქართველოს საქონლის რეექსპორტი.

საკასაციო სასამართლო მხედველობაში იღებს ზემოაღნიშნულ ნორმებს და საჭიროდ მიიჩნევს მითითებულ ნორმებსა და საბაჟო კოდექსის 238-ე მუხლის დისპოზიციის გათვალისწინებით გამოკვლეულ და დასაბუთებულ იქნეს სახეზეა თუ არა საბაჟო სამართალდარღვევის ფაქტი და დადებით შემთხვევაში ვის მიერაა აღნიშნული ჩადენილი. საბაჟო კოდექსის 238-ე მუხლის შესაბამისად, პირის დაჯარიმებას იწვევს ამ უკანასკნელის მიერ დეკლარირების დადგენილ ვადაში განუხორციელებლობა.

როგორც უკვე აღინიშნა, „საბაჟო კონტროლის ზონაში სატრანსპორტო საშუალებების მიმართ საბაჟო პროცედურებისა და სავალდებულო რეგისტრაციის ერთი ფანჯრის პრინციპით განხორციელების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის და საქართველოს შსს მინისტრის 2008 წლის 9 ივნისის №500-№653 ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქციის 25-ე მუხლი ადგენს დეკლარირების განხორციელების გამარტივებულ ელექტრონულ მომსახურებას. წინამდებარე საქმეში დადგენილია, რომ „...ის“ მარკის ავტოსატრანსპორტო საშუალებასთან დაკავშირებით შსს მომსახურების სააგენტომ დეკლარაცია გადაუგზავნა საბაჟო ორგანოს, რომელმაც მოახდინა მისთვის შესაბამისი ნომრის მინიჭება. ამდენად, სატრანსპორტო საშუალება მოექცა საქონლის რეექსპორტის დამუშავეების ოპერაციაში.

არსებული სამართლებრივი ბაზისა და დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების გათვალისწინებით საკასაციო სასამართლო საჭიროდ მიიჩნევს ადმინისტრაციულმა ორგანომ ადმინისტრაციული წარმოების პროცესში დაადასტუროს, რომ საქონლის რეექსპორტის დამუშავეების ოპერაციაში მოქცევის შემდგომ, საბაჟო კოდექსის მოთხოვნებიდან გამომდინარე, „...ს“ კვლავ რჩებოდა დეკლარირების განხორციელების ვალდებულება.

ანალოგიური მოსაზრება გააჩნია საკასაციო სასამართლოს საბაჟო კოდექსის 246-ე მუხლის დისპოზიციასთან მიმართებაში. აღნიშნული მუხლის 1-ელი ნაწილის შესაბამისად, დანიშნულების საბაჟო ორგანოში/დანიშნულების ადგილას საქონლის ან/და სატრანსპორტო საშუალების გამოცხადების ვადის დარღვევა იწვევს პირის დაჯარიმებას 100 ლარით ყოველ დაგვიანებულ სრულ (არასრულ) დღეზე, მაგრამ არა უმეტეს 1000 ლარისა.

საკასაციო სასამართლო კვლავაც ყურადღებას მიაქცევს დადგენილ ფაქტობრივ გარემოებას იმის თაობაზე, რომ 2010 წლის 21 თებერვალს შსს მომსახურების სააგენტოს მიერ რეექსპორტის სასაქონლო ოპერაციისათვის განკუთვნილ ავტოსატრანსპორტო საშუალებაზე შევსებული დეკლარაცია ელექტრონული ფორმით მიეწოდა საბაჟო ორგანოს. უდავოა, აღნიშნულის საფუძველზე საბაჟო ორგანოსთვის ცნობილი გახდა ავტოსატრანსპორტო საშუალებაზე მესაკუთრის შეცვლის ფაქტი.

საბაჟო კოდექსის 47-ე მუხლის 1-ელი ნაწილის შესაბამისად, საქონლის წარდგენის ვალდებულება ეკისრება პირს, რომელმაც იგი შემოიტანა საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე ან საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე საქონლის შემოტანის შემდგომ აიღო ვალდებულება მის შემდგომ ტრანსპორტირებაზე.

აქვე საკასაციო სასამართლო ყურადღებას მიაქცევს საქართველოს ფინანსთა მინისტრის №1754 ბრძანების მე-13 მუხლის მე-2 ნაწილზე, რომლის შესაბამისადაც, იმ შემთხვევაში, როდესაც ხორციელდება საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე შემოტანიდან საბაჟო დამუშავეების ოპერაციის განხორციელების ადგილამდე ან არასაბაჟო ორგანომდე მიტანის 20-დღიანი ვადით გადაადგილებული, ან ტრანზიტის საბა-

ყო რეჟიმში მოქცეული, ან სხვა საბაჟო დამუშავების ოპერაციისათვის განკუთვნილი, საქართველოში არარეგისტრირებული ავტოსატრანსპორტო საშუალების რეექსპორტი, საქონლის რეექსპორტი საბაჟო დამუშავების მიზნით ავტოსატრანსპორტო საშუალების გადამაადგილებელი პირის მიერ სასაზღვრო საბაჟო ორგანოს წარედგინება სსიპ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს მიერ ავტოსატრანსპორტო საშუალებაზე გამოწერილი აღრიცხვის მონომობის ფორმა №2. ზემოაღნიშნული ორივე ნორმა შეიცავს მითითებას სატრანსპორტო საშუალების გადამაადგილებელი პირის ვალდებულებაზე, რა პირობებშიც ადმინისტრაციულმა ორგანომ უნდა დაასაბუთოს და მიუთითოს ნორმა, რომელიც შპს „...ს“, როგორც სატრანსპორტო საშუალების შემომტან პირს ავალდებულებს, ნივთის გასხვისების შემთხვევაში, უზრუნველყოს საქონლის საბაჟო დამუშავების ოპერაციის დასრულება და სატრანსპორტო საშუალების საზღვარზე გადაადგილება.

საქართველოს საბაჟო კოდექსის 232-ე მუხლის შესაბამისად, საბაჟო სამართალდარღვევად ითვლება პირის მართლსაწინააღმდეგო ქმედება; ხოლო ამავე კოდექსის 233.1 მუხლის თანახმად, საბაჟო სამართალდარღვევისთვის პირს შეიძლება დაეკისროს პასუხისმგებლობა მხოლოდ ამ კოდექსით დადგენილი საფუძველით და ნესით.

საკასაციო სასამართლო ყურადღებას ამახვილებს მითითებული მუხლების მოთხოვნებზე და განმარტავს, სამართალდარღვევისათვის გათვალისწინებული პასუხისმგებლობის დადგენისათვის კანონით გათვალისწინებული მართლსაწინააღმდეგო ქმედების (მოქმედების ან უმოქმედობის) გარდა საჭიროა სახეზე იყოს ის კონკრეტული სუბიექტი, რომელმაც ჩაიდინა სამართალდარღვევა და რომლის მიერ ჩადენილ ქმედებასა და დამდგარ შედეგს შორის არსებობს მიზეზ-შედეგობრივი კავშირი, წინააღმდეგ შემთხვევაში საკასაციო სასამართლო გამორიცხავს პირის მიმართ პასუხისმგებლობის საკითხის დაყენების შესაძლებლობას.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ გასაჩივრებული ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ სამართლებრივი აქტები არ შეიცავენ ყოველივე ზემოაღნიშნულის დასაბუთებას, გასაჩივრებული აქტები გამოცემულია საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებების გამოკვლევისა და შეფასების გარეშე, რაც საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 32.4 მუხლის საფუძველზე იძლევა აქტების ბათილად ცნობისა და ადმინისტრაციული ორგანოსათვის დასაბუთებული აქტების გამოცემის დავების საფუძველს.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, 32-ე მუხლის მე-4 ნაწილით, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 411-ე მუხლით და

გ ა დ ა ნ ყ ვ ი ტ ა :

1. საქართველოს ფინანსთა სამინისტროსა და სსიპ შემოსავლების სამსახურის საკასაციო საჩივრები დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;
2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2011 წლის 10 ნოემბრის განჩინება და საქმეზე მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება;
3. შპს „...ს“ სარჩელი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;
ბათილად იქნეს ცნობილი სსიპ შემოსავლების სამსახურის რუსთავის რეგიონალური ცენტრის 2010 წლის 9 აგვისტოს №4905/21-18 საბაჟო შეტყობინება, 2010 წლის 11 ივლისის საბაჟო სამართალდარღვევის ოქმი №035541, სსიპ შემოსავლების სამსახურის 2010 წლის 16 დეკემბრის №2541 ბრძანება და საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2011 წლის 31 იანვრის გადაწყვეტილება; სსიპ შემოსავლების სამსახურს დაევალოს შპს „...სთან“ მიმართებაში მიიღოს ახალი ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი.
4. სსიპ შემოსავლების სამსახურს შპს „...ს“ სასარგებლოდ დაეკისროს ამ უკანასკნელის მიერ სახელმწიფო ბაჟის სახით გადახდილი 100 ლარის დაბრუნება;
5. საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და არ საჩივრდება.

დაჯარიმება საბაჟო სამართალდარღვევის გამო

გ ა დ ა ნ ყ ვ ე ტ ი ლ ა ბ ა ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო ს სა ხ ე ლ ი თ

№ბს-310-306(კ-12) 12 ივლისი, 2012 წ., ქ. თბილისი
საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატა
შემადგენლობა: მ. ვაჩაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ნ. ქადაგიძე,
ლ. მურუსიძე

სარჩელის საგანი: ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების ბათილად ცნობა

აღწერილობითი ნაწილი:

2010 წლის 11 ივნისს ი. ს-მა სასარჩელო განცხადებით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს აღმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას, მოპასუხეების – რუსთავის რეგიონალური ცენტრის, შემოსავლების სამსახურისა და საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიმართ.

მოსარჩელემ აღნიშნა, რომ 2008 წლის 16 მაისს ს. ბ-საგან შეიძინა 1997 წელს გამოშვებული ავტომანქანა „ოპელ ასტრა“ საიდენტიფიკაციო კოდით №... ვინაიდან, ხსენებულ ავტომანქანას დაზიანებული ჰქონდა ძრავი და მისი შეცვლა დაკავშირებული იყო გარკვეულ პრობლემებთან, ბ-მა ი. ს-ს ამ საკითხის მოგვარების მიზნით მინდობილობის გაფორმება სთხოვა. მინდობილობა 2008 წლის 16 სექტემბერს გაფორმდა, თუმცა აღნიშნული მინდობილობა სანოტარო ბიუროდან არ გატანილა.

მოსარჩელის განმარტებით, მან 2010 წლის 4 თებერვალს მიიღო რუსთავის რეგიონალური ცენტრის 2009 წლის 28 სექტემბრის №16-18/1765/04 საბაჟო შეტყობინება ავტომანქანა „ოპელის“ განსაბაჟებლად წარდგენის შესახებ. აღნიშნული შეტყობინების თანახმად, ი. ს-ს საქართველოს საბაჟო კოდექსის 246-ე და 238-ე მუხლების საფუძველზე დაერიცხა ჯარიმა 1500 ლარის ოდენობით. ჯარიმის დარიცხვის საფუძველად მითითებული იყო ის გარემოება, რომ 2008 წლის 6 სექტემბერს ი. ს-მა საქართველოს საბაჟო საზღვარზე (ფოთის გავლით) შემოიყვანა ავტომანქანა ისე, რომ არ გაუვლია საბაჟო კონტროლი და არ წარუდგენია შესაბამისი დეკლარაცია.

მოსარჩელე სადავოდ ხდიდა იმ გარემოებას, რომ მას ავტომანქანა საქართველოს საბაჟო საზღვარზე არ შემოუყვანია და არც ხელი მოუწერია საბაჟო კონტროლის ქვეშ მყოფი საქონლისა და სატრანსპორტო საშუალების აღრიცხვის მონმობაზე. შესაბამისად, მისთვის ცნობილი არ იყო იმ საბაჟო ვალდებულებების შესახებ, რომლის დარღვევისთვისაც მას საჯარიმო სანქცია დაეკისრა. ამდენად, მოსარჩელე 2009 წლის 10 სექტემბრის საბაჟო სამართალდარღვევის №003997 ოქმის, რუსთავის რეგიონალური ცენტრის 2009 წლის 28 სექტემბრის №16-18/1765/04 საბაჟო შეტყობინების, 2009 წლის 15 მარტის №1257 ბრძანებისა და საქართველოს ფინანსთა სამინისტროსთან არსებული დავების განხილვის საბჭოს 2010 წლის 24 მაისის გადაწყვეტილების ბათილად ცნობას ითხოვდა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს აღმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2010 წლის 14 ივნისის განჩინებით საქმე განსჯადობით განსახილველად გადაეგზავნა რუსთავის საქალაქო სასამართლოს.

რუსთავის საქალაქო სასამართლოს 2011 წლის 25 აგვისტოს გადაწყვეტილებით ი. ს-ის სასარჩელო მოთხოვნა დაკმაყოფილდა; ბათილად იქნა ცნობილი რუსთავის რეგიონალური ცენტრის 2009 წლის 10 სექტემბრის საბაჟო სამართალდარღვევის №003997 ოქმი, 2009 წლის 28 სექტემბრის №16-18/17365/04 საბაჟო შეტყობინება, შემოსავლების სამსახურის 2010 წლის 15 მარტის №1257 ბრძანება და საქართველოს ფინანსთა სამინისტროსთან არსებული დავების განხილვის საბჭოს 2010 წლის 24 მაისის გადაწყვეტილება.

საქალაქო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია ის გარემოება, რომ 2009 წლის 10 სექტემბერს შედგა №003997 საბაჟო სამართალდარღვევის ოქმი. აღნიშნული ოქმის საფუძველზე, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის რუსთავის რეგიონალური ცენტრის მიერ 2009 წლის 28 სექტემბერს გამოცემული იქნა №16-18/17365/04 საბაჟო შეტყობინება, რომლის საფუძველზეც, ი. ს-ს საქართველოს საბაჟო კოდექსის 246-ე და 238-ე მუხლების შესაბამისად დაერიცხა ჯარიმა 1500 ლარის ოდენობით. ჯარიმის დარიცხვის საფუძველად მითითებული იყო ის გარემოება, რომ 2008 წლის 6 სექტემბერს ი. ს-მა საქართველოს საბაჟო საზღვარზე (ფოთის გავლით) შემოიყვანა ავტომანქანა ისე, რომ არ გაუვლია საბაჟო კონტროლი და არ წარუდგენია შესაბამისი დეკლარაცია. საბაჟო შეტყობინება მოსარჩელის მიერ გასაჩივრდა საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურში, რომელმაც 2010 წლის 15 მარტის №1257 ბრძანებით საჩივარი არ დააკმაყოფილა. აღნიშნული ბრძანება გასაჩივრდა საქართველოს ფინანსთა სამინისტროსთან არსებულ დავების განხილვის საბჭოში. დავების განხილვის საბჭოს მიერ 2010 წლის 10 მაისის გადაწყვეტილებით საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურიდან შესაბამისი ინფორმაციის მიღებამდე შეჩერდა საქმის განხილვა, ხოლო 2010 წლის 24 მაისის მიღებული იქნა გადაწყვეტილება საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ.

საქალაქო სასამართლომ ასევე დადგენილად მიიჩნია ის გარემოება, რომ 2010 წლის 2 სექტემბერს ი. ს-მა წინასწარი გამოძიების დაწყების მიზნით, განცხადებით მიმართა საქართველოს შსს-ს ქ. თბილისის მთავარი სამმართველოს გლდანი-ნაძალადევის სამმართველოს. საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის 2010 წლის 29 ოქტომბრის წერილის თანახმად, ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის საგამოძიებო დეპარტამენტის საბაჟო წესების დარღვევის წინააღმდეგ ბრძოლის სამმართველოში 2010 წლის 14 ივნისს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 362-ე მუხლის 1-ლი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ნიშნებით, დაიწყო წინასწარი გამოძიება №... სისხლის სამართლის საქმეზე, მოქალაქე ი. ს-ის სახელით შემოსული ა/მანქანა „ოპელ ვექტრაზე“ გამოწერილი აღრიცხვის მონმობის გაყალბების ფაქტზე. აღნიშნული საქმე ქვემდებარეობით გამოძიების ჩასატარებლად გადაგზავნილი იქნა საქართველოს მთავარი პროკურატურიდან შს სამინისტროს ფოთის საქალაქო სამმართველოში. შს სამინისტროს ფოთის საქალაქო სამმართველოს მიერ დანიშნული საექსპერტო დასკვნის მიხედვით (ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს 2011 წლის 4 ივლისის ექსპერტიზის დასკვნა №011056-2011/02/1) ხელმოწერა ი. ს-ის სახელით, განლაგებული საქონლისა და სატრანსპორტო საშუალების აღრიცხვის მონმობაზე – №59740, 06.09.08 წლის თარიღით, ქვედა მარჯვენა კუთხეში შესრულებული იყო არა ი. ს-ის, არამედ სხვა პირის მიერ.

საქალაქო სასამართლომ ასევე მიუთითა 2008 წლის 16 სექტემბრის სანოტარო აქტზე, რომლითაც ი. ს-მა რწმუნება გასცა ვინმე გ. კ-ზე. აღნიშნულ მინდობილობის გაფორმებას და სანოტარო აქტზე ხელმოწე-

რის ფაქტს ი. ს-ი ადასტურებდა, თუმცა აცხადებდა, რომ ისე მოაწერა ხელი სანოტარო აქტს, რომ არ გაცნობია მის შინაარსს და დარწმუნებული იყო, რომ სხვა შინაარსის მინდობილობას აწერდა ხელს, რომელიც გულისხმობდა არა ავტომატური, არამედ მის მფლობელობაში არსებული სხვა ავტომატური ძრავის განკარგვას.

საქალაქო სასამართლომ აღნიშნა, რომ ი. ს-მა სანოტარო აქტის ხელმოწერისას გამოიჩინა ერთგვარი დაუდევრობა და არ გაეცნო ყურადღებით მის შინაარსს, წინააღმდეგ შემთხვევაში, იგი ხელს არ მოაწერდა მინდობილობას ავტომატური მინდობილ საკუთრებაში გადაცემის შესახებ. ამასთან, სანოტარო აქტში ავტომატური მოხსენიებული იყო მხოლოდ როგორც „ოპელი“ და მისი კონკრეტული მარკა განსაზღვრული არ იყო, შესაბამისად, სასამართლომ ჩათვალა, რომ იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ ი. ს-ი ვარაუდობდა სწორედ მისი კუთვნილი ავტომატური „ოპელ-ასტრას“ ძრავის პრობლემის მოგვარებას, არსებობდა დიდი ალბათობა იმისათვის, რომ იგი შესულიყო შეცდომაში.

საქალაქო სასამართლოს მსჯელობით, სანოტარო აქტის შინაარსის გაცნობის შემთხვევაშიც, ამ მინდობილობით ი. ს-ი თავისუფლდებოდა საბაჟო ორგანოში დადგენილ ვადაში ავტომატური ნარდგენის ვალდებულებისგან და ეს პასუხისმგებლობა გადადიოდა იმ პირზე ვინც მიიღო საკუთრება მინდობილი სახით.

საქალაქო სასამართლომ მიუთითა საქართველოს საგადასახადო კოდექსის 310-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტზე, რომლის შესაბამისად, საქართველოს საბაჟო კოდექსი ძალადაკარგულად გამოცხადდა 2011 წლის 1 იანვრიდან დაწყებული საგადასახადო პერიოდებისათვის, შესაბამისად, 2011 წლამდე საგადასახადო პერიოდში წარმოშობილ ურთიერთობებზე ვრცელდებოდა კვლავ საქართველოს საბაჟო კოდექსით დადგენილი დებულებები და ამ პერიოდში გამოცემული ადმინისტრაციული აქტების შესაბამისობაც განხილული უნდა ყოფილიყო ამ კოდექსთან მიმართებაში. 2011 წლის 1 იანვრამდე მოქმედი საქართველოს საბაჟო კოდექსის 45-ე მუხლის 1-ლი ნაწილის შესაბამისად, პირი, რომელსაც საქონელი შემოქონდა საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე, ვალდებული იყო საქართველოს საბაჟო საზღვრის გადმოკვეთის შემდეგ, საქონელი დადგენილი წესით მიეტანა საბაჟო ორგანოს მიერ შერჩეულ ან საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ ადგილზე. ამავე კოდექსის 47-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, საქონელი ამ კოდექსის 45-ე მუხლის 1-ლი ნაწილით განსაზღვრულ ადგილზე მიტანისთანავე წარედგინებოდა საბაჟო ორგანოს. საქონლის წარდგენის ვალდებულება ეკისრებოდა პირს, რომელმაც იგი შემოიტანა საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე, ან რომელმაც საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე საქონლის შემოტანის შემდეგ აიღო პასუხისმგებლობა მის შემდგომ ტრანსპორტირებაზე. აღნიშნული ნორმის მეორე ნაწილი ადგენდა, რომ პირზე, რომელიც იღებდა საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე შემოტანილი საქონლის შემდგომი ტრანსპორტირების პასუხისმგებლობას, ვრცელდებოდა ამ მუხლის პირველი ნაწილით დადგენილი ვალდებულება.

საქალაქო სასამართლომ მიუთითა საქართველოს საბაჟო კოდექსის 238-ე მუხლზე, რომლის თანახმად, პირის მიერ დეკლარირების დადგენილ ვადაში განუხორციელებლობა, იწვევდა პირის დაჯარიმებას 100 ლარით ყოველ დაგვიანებულ სრულ (არასრულ) დღეზე, მაგრამ არა უმეტეს 500 ლარისა. ამავე კოდექსის 246-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, დანიშნულების საბაჟო ორგანოში/დანიშნულების ადგილას საქონლის ან/და სატრანსპორტო საშუალების გამოცხადების ვადის დარღვევა, იწვევდა პირის დაჯარიმებას 100 ლარით ყოველ დაგვიანებულ სრულ (არასრულ) დღეზე, მაგრამ არა უმეტეს 1000 ლარისა.

საქალაქო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ 2008 წლის 6 სექტემბერს საბაჟო გამშვები პუნქტის „ფოთის“ გავლით საქართველოს ტერიტორიაზე ავტომატური „ოპელ ასტრა“ ი. ს-ის მიერ არ ყოფილა შემოყვანილი და მის მიერ არ იყო ხელმოწერილი საქონლისა და სატრანსპორტო საშუალების აღრიცხვის მოწმობა, რაც დასტურდებოდა ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს 2011 წლის 4 ივლისის №011056-2011/02/1 ექსპერტიზის დასკვნით, რომლის თანახმადაც, ხელმოწერა, ი. ს-ის სახელით, განლაგებული: საქონლისა და სატრანსპორტო საშუალების აღრიცხვის მოწმობაზე – №59740, 06.09.08 წლის თარიღით, ქვედა მარჯვენა კუთხეში შესრულებული იყო არა ი. ს-ის, არამედ სხვა პირის მიერ.

საქალაქო სასამართლომ მიიჩნია, რომ გასაჩივრებული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტები ეწინააღმდეგებოდა კანონს, რადგან ადმინისტრაციული ორგანოს მიერ მათი გამოცემისას ჯეროვნად არ ყოფილა გამოკვლეული ყველა ფაქტობრივი გარემოება.

საქალაქო სასამართლომ მიუთითა, რომ 2011 წლის 1 იანვრამდე მოქმედი საქართველოს საბაჟო კოდექსის 232-ე მუხლის თანახმად, საბაჟო სამართალდარღვევად ითვლებოდა პირის მართლსაწინააღმდეგო ქმედება (მოქმედება ან უმოქმედობა), რომლისთვისაც ამ კოდექსის XXXIV თავით გათვალისწინებული იყო პასუხისმგებლობა.

სამართალდარღვევის არსიდან გამომდინარე, არავის არ შეიძლება შეფარდვოდა ზემოქმედების ზომის სამართალდარღვევის გამო, თუ არა კანონმდებლობით დადგენილ საფუძველზე და წესით. სამართალდარღვევის საქმეები უნდა წარმოებულიყო კანონიერების მკაცრი დაცვის საფუძველზე, საამისოდ უფლებამოსილ ორგანოებს ზემოქმედების ზომები უნდა შეეფარდებინათ სამართალდარღვევის სუბიექტისთვის კანონმდებლობის ზუსტი შესაბამისობით.

საქალაქო სასამართლომ მიიჩნია, რომ განსახილველ შემთხვევაში ი. ს-ს ისე შეეფარდა საჯარიმო სანქცია, რომ მიუხედავად მისი გაცხადებისა, არ ყოფილა დადგენილი რეალურად მან შემოიყვანა თუ არა ავტოსატრანსპორტო საშუალება საბაჟო ორგანოში და მან მოაწერა თუ არა ხელი აღრიცხვის მოწმობას. ამდენად, არ ყოფილა გამოკვლეული ი. ს-ის ბრალეულობის საკითხი.

საქალაქო სასამართლომ ყურადღება გაამახვილა იმ გარემოებაზეც, რომ ადმინისტრაციულ ორგანოს შესაბამისი შეფასების გარეშე არ უნდა დაეტოვებინა 2008 წლის 16 სექტემბრის მინდობილობა, რომელიც არსებობდა ადმინისტრაციული წარმოების მასალებში და რომლითაც, ი. ს-ი, როგორც მინდობილ საკუთრებას ავტოსატრანსპორტო საშუალებას გადასცემდა სხვა პირს.

საქალაქო სასამართლომ მიუთითა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 724-ე მუხლზე, რომლის შესაბამისად, საკუთრების მინდობის ხელშეკრულებით მიმდინარე გადასცემდა ქონებას მინდობილ მესაკუთრეს, რომელიც იღებდა და მართავდა მას საკუთრების მიმდინარე ინტერესების შესაბამისად. ამავე კოდექსის 725-ე მუხლის მე-2 ნაწილით, მინდობილი მესაკუთრე მესამე პირებთან ურთიერთობაში სარგებლობდა მესაკუთრის უფლებამოსილებით, ხოლო ამავე კოდექსის 728-ე მუხლი მე-3 პირებთან ურთიერთობაში პასუხს აგებდა მინდობილი მესაკუთრე. სწორედ აღნიშნული დებულებები იყო გათვალისწინებული 2008 წლის 16 სექტემბრის მინდობილობაშიც, ამასთან, აღნიშნული მინდობილობა გაცემული იყო ავტოსატრანსპორტო საშუალების საბაჟო ორგანოში წარდგენის ვადის გასვლამდე, შესაბამისად, ის ვალდებულებები, რაც ეკისრებოდა სააღრიცხვო მოწმობაში დაფიქსირებულ პირს, გადავიდა მინდობილ მესაკუთრეზე, რომელიც უკვე პასუხისმგებელი იყო მესამე პირებთან.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქალაქო სასამართლომ მიიჩნია, რომ ადმინისტრაციული ორგანოების მიერ არ იქნა გამოკვლეული საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე ყველა გარემოება და გადაწყვეტილება მიღებულ იქნა ამ გარემოებათა შეფასებისა და ურთიერთშეჯერების გარეშე, რაც სადავო ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების ბათილად ცნობის საფუძველს წარმოადგენდა.

რუსთავის საქალაქო სასამართლოს 2011 წლის 25 აგვისტოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით ცალკე გაასაჩივრეს საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ და სსიპ შემოსავლების სამსახურმა. აპელანტებმა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა მოითხოვეს.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2012 წლის 8 თებერვლის გადაწყვეტილებით საქართველოს ფინანსთა სამინისტროს და სსიპ შემოსავლების სამსახურის სააპელაციო საჩივრები დაკმაყოფილდა; რუსთავის საქალაქო სასამართლოს 2011 წლის 25 აგვისტოს გადაწყვეტილების შეცვლით მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება; ი. ს-ის სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

სააპელაციო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია ის გარემოება, რომ 2008 წლის 6 სექტემბერს საბაჟო გამშვები პუნქტი „ფოთის“ გავლით, საქართველოს ტერიტორიაზე შემოტანილი იქნა ავტომანქანა. ამავე დღეს, საბაჟო ორგანოს მიერ გამოიწერა საბაჟო კონტროლის ქვეშ მყოფი საქონლისა და სატრანსპორტო საშუალების აღრიცხვის №59740 მოწმობა, რომლითაც ავტომანქანის საბაჟო ორგანოში წარდგენის ვადად განისაზღვრა 2008 წლის 26 სექტემბერი. 2008 წლის 26 სექტემბერს საბაჟო ორგანოში ავტომანქანა არ წარდგენილა.

სააპელაციო სასამართლომ ასევე დადგენილად მიიჩნია ის გარემოება, რომ 2009 წლის 10 სექტემბრის საბაჟო სამართალდარღვევის №003997 ოქმის საფუძველზე, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის რუსთავის რეგიონალური ცენტრის მიერ 2009 წლის 28 სექტემბერს გამოცემული იქნა №16-18/17365/04 საბაჟო შეტყობინება, რომლის თანახმად ი. ს-ი ცნობილი იქნა დამრღვევად საბაჟო კოდექსის 246-ე და 238-ე მუხლებით გათვალისწინებული სამართალდარღვევის ჩადენაში და სანქციის სახით შეეფარდა ჯარიმა 1 500 ლარი. საბაჟო შეტყობინება მოსარჩელის მიერ გასაჩივრდა საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურში, რომელმაც 2010 წლის 15 მარტის №1257 ბრძანებით ადმინისტრაციული საჩივარი არ დააკმაყოფილა. აღნიშნული ბრძანება გასაჩივრდა დავების განხილვის საბჭოში. დავების განხილვის საბჭოს 2010 წლის 10 მაისის გადაწყვეტილებით ადმინისტრაციული წარმოება შეჩერდა საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურიდან შესაბამისი ინფორმაციის მიღებამდე, ხოლო 2010 წლის 24 მაისის გადაწყვეტილებით ადმინისტრაციული საჩივარი არ დაკმაყოფილდა.

სააპელაციო სასამართლომ მიუთითა იმ გარემოებაზეც, რომ საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის 2010 წლის 29 ოქტომბრის წერილის თანახმად, ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის საგამოძიებო დეპარტამენტის საბაჟო წესების დარღვევის წინააღმდეგ ბრძოლის სამართლებლოში 2010 წლის 14 ივნისს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 362-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ნიშნებით დაიწყო წინასწარი გამოძიება №092100495 სისხლის სამართლის საქმეზე, მოქალაქე ი. ს-ის სახელით შემოსული ა/მანქანა „ოპელ ვექტრაზე“ გამოწერილი აღრიცხვის მოწმობის გაყალბების ფაქტზე. აღნიშნული საქმე ქვემდებარეობით გამოძიების ჩასატარებლად გადაგზავნილი იქნა საქართველოს მთავარი პროკურატურიდან შს სამინისტროს ფოთის საქალაქო სამართლებლოში.

ამასთან, საქმეში წარმოდგენილი შს სამინისტროს ფოთის საქალაქო სამართლებლოში მიერ დანიშნული ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს 2011 წლის 4 ივლისის ექსპერტიზის დასკვნის №011056-2011/02/1 თანახმად, ხელმოწერა ი. ს-ის სახელით, განლაგებული საქონლისა და სატრანსპორტო საშუალების აღრიცხვის მოწმობაზე №59740, 06.09.08 წლის თარიღით, ქვედა მარჯვენა კუთხეში შესრულებული იყო არა ი. ს-ის, არამედ სხვა პირის მიერ. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის საექსპერტო-კრიმინალისტიკური მთავარი სამმართველოს ექსპერტის 2011 წლის 20 იანვრის დასკვნის თანახმად კი, დადგენა საკითხისა, ვის მიერ იყო შესრულებული საბაჟო კონტროლის ქვეშ საქონლისა და სატრანსპორტო საშუალების აღრიცხვის

№59740 მონმობაზე ქვედა მარჯვენა კუთხეში ი. ს-ის გვართ შესრულებული ხელმოწერა შეუძლებელი იყო დასკვნის კვლევით ნაწილში მითითებულ მიზეზთა გამო, კერძოდ, ... ხელმოწერის ელემენტების შესრულებისას აღინიშნებოდა საწერი საშუალებების ხელმეორედ შემოვლის კვალი, უსაფუძვლო შეჩერებები, შტრიხების კლაკილობა, რაც საფუძველს იძლეოდა ვარაუდისათვის, რომ გამოსაკვლევი ხელმოწერა შესრულებული იყო ხელის შეგნებულად შეცვლის მცდელობით.

სააპელაციო სასამართლომ ასევე აღნიშნა, რომ საქმეში წარმოდგენილი 2008 წლის 16 სექტემბრის სანოტარო აქტით, ი. ს-მა, როგორც „საკუთრების მიმდობმა“, გასცა მინდობილობა გ. კ-ზე და მართვისა და განკარგვის უფლებით გადასცა ავტომანქანა ოპელი. ამ მინდობილობაში მითითებული იყო, რომ ი. ს-მა პირადად წაიკითხა ეს მინდობილობა და განაცხადა, რომ იგი სრულად შეესაბამებოდა მის ნებას და პირადად მოაწერა ხელი მას. თვითონ ი. ს-ი სადავოდ არ ხდოდა იმ ფაქტს, რომ მინდობილობაზე ხელმოწერა მის მიერ იყო შესრულებული.

სააპელაციო სასამართლოს განმარტებით, საქმეში წარმოდგენილი იყო ორი ექსპერტიზის დასკვნა. ერთ შემთხვევაში ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს 2011 წლის 4 ივლისის ექსპერტიზის №011056-2011/02/1 დასკვნის მიხედვით, საქონლისა და სატრანსპორტო საშუალების აღრიცხვის №59740 მონმობაზე ხელმოწერა ი. ს-ის სახელით, შესრულებული არ იყო ი. ს-ის მიერ. მეორე შემთხვევაში – საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის საექსპერტო-კრიმინალისტიკური მთავარი სამმართველოს ექსპერტის 2011 წლის 20 იანვრის დასკვნის თანახმად კი, ვის მიერ იყო შესრულებული საბაჟო კონტროლის ქვეშ საქონლისა და სატრანსპორტო საშუალების აღრიცხვის №59740 მონმობაზე ქვედა მარჯვენა კუთხეში ი. ს-ის გვართ შესრულებული ხელმოწერა, დადგენა შეუძლებელი იყო. ანუ ერთ შემთხვევაში ექსპერტიზის დასკვნა ადასტურებდა, რომ საქონლისა და სატრანსპორტო საშუალების აღრიცხვის №59740 მონმობაზე შესრულებული არ იყო ი. ს-ის ხელმოწერა, ხოლო მეორე შემთხვევაში – ი. ს-ის მიერ იყო თუ არა ხელმოწერა შესრულებული, დადგენა შეუძლებელი იყო.

სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ ექსპერტის დასკვნა, საპროცესო კანონმდებლობის თანახმად, მართალია, წარმოადგენდა დამოუკიდებელი მტკიცების საშუალებას, მაგრამ ყოველთვის არ შეიძლება მიჩნეულიყო ცალსახა დადასტურებად საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებების დასადგენად, ამასთან, ექსპერტიზის დასკვნა ფასდებოდა სასამართლოს შინაგანი რწმენით, საქმეში არსებულ სხვა მტკიცებულებებთან ერთობლიობაში.

სააპელაციო სასამართლომ მართებულად მიიჩნია, რომ ზემოთ მითითებულ ექსპერტიზის დასკვნებთან ერთად შეფასება უნდა მისცემოდა 2008 წლის 16 სექტემბრის სანოტარო აქტს, რომელიც საქართველოს ტერიტორიაზე ავტომანქანის შემოტანიდან რამდენიმე დღეში იყო შედგენილი და რომლის თანახმადაც ი. ს-მა, სადავო ავტომანქანაზე, როგორც „საკუთრების მიმდობმა“, მინდობილობა გასცა გ. კ-ზე სადავო ავტომანქანის მართვისა და განკარგვის უფლებით გადაცემის შესახებ, რაც ნიშნავდა იმას, რომ ი. ს-ის დამოკიდებულება სადავო ავტომანქანის მიმართ გაცხადებული იყო სადავო ავტომანქანის საკუთარი შეხედულებისამებრ განკარგვის უფლების შესაძლებლობით.

სააპელაციო სასამართლომ საქმეზე შეკრებილი მტკიცებულებების ერთობლიობაში ვერ გაიზიარა მოსარჩელის განმარტება იმის თაობაზე, რომ მისთვის ცნობილი არ იყო იმ საბაჟო ვალდებულების შესახებ, რომლის დარღვევისთვისაც დაეკისრა საჯარიმო სანქცია.

სააპელაციო სასამართლო არ დაეთანხმება პირველი ინსტანციის სასამართლოს მოსაზრებას იმ საკითხთან დაკავშირებით, რომ 2008 წლის 16 სექტემბრის მინდობილობის გათვალისწინებით, სააღრიცხვო მონმობაში დაფიქსირებული პირი – ი. ს-ი, აღარ წარმოადგენდა პასუხისმგებელ პირს ადმინისტრაციულ ორგანოსთან და მისი ეს ვალდებულება გადავიდა მინდობილ მესაკუთრეზე. სადავო აქტების გამოცემის დროს მოქმედი საქართველოს საბაჟო კოდექსის 45-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, პირი, რომელსაც საქონელი შემოქმედდა საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე, ვალდებული იყო, საქართველოს საბაჟო საზღვრის გადმოკვეთის შემდეგ საქონელი დადგენილი წესით მიეტანა საბაჟო ორგანოს მიერ შერჩეულ ან საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ ადგილზე. ამავე კოდექსის 47-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, საქონელი ამ კოდექსის 45-ე მუხლის 1-ლი ნაწილით განსაზღვრულ ადგილზე მიტანისთანავე წარედგინებოდა საბაჟო ორგანოს. საქონლის წარდგენის ვალდებულება ეკისრებოდა პირს, რომელმაც იგი შემოიტანა საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე ან რომელმაც საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე საქონლის შემოტანის შემდეგ აიღო პასუხისმგებლობა მის შემდგომ ტრანსპორტირებაზე.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ სააღრიცხვო მონმობაში დაფიქსირებულ პირს წარმოეშვა ვალდებულება, საქართველოს საბაჟო საზღვრის გადმოკვეთის შემდეგ საქონელი დადგენილი წესით მიეტანა საბაჟო ორგანოს მიერ შერჩეულ ან საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ ადგილზე. ის გარემოება, რომ ი. ს-მა სანოტარო აქტით 2008 წლის 16 სექტემბრის, მართვისა და განკარგვის უფლებით სადავო ავტომანქანა გადასცა გ. კ-ეს, როგორც „საკუთრების მიმდობმა“, არ შეიძლება გამხდარიყო სადავო აქტების გამოცემის დროს მოქმედი საქართველოს საბაჟო კოდექსის 45-ე და 65-ე მუხლების საფუძველზე წარმოშობილი ვალდებულების სხვა პირზე გადაკისრების საფუძველი, მით უფრო, რომ მტკიცებულება იმის თაობაზე, რომ საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე საქონლის შემოტანის შემდეგ გ. კ-ემ ან სხვა პირმა აიღო პასუხისმგებლობა მის შემდგომ ტრანსპორტირებაზე, საქმეში არ მოიპოვებოდა.

სააპელაციო სასამართლომ საქმის მასალებით დადგენილად მიიჩნია, რომ ი. ს-მა, რომლის ხელმოწერითაც მოხდა 2008 წლის 6 სექტემბრის საქართველოს ტერიტორიაზე საბაჟო კონტროლის ქვეშ მყოფი

ა/მანქანის შემოყვანა, არ წარადგინა ეს უკანასკნელი საბაჟო ორგანოში მითითებულ ვადაში და არ მოახდინა მისი დეკლარირება, რაზედაც საქართველოს საბაჟო კოდექსის 238-ე და 246-ე მუხლების შესაბამისად, შეეფარდა ჯარიმა 1500 ლარის ოდენობით.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2012 წლის 8 თებერვლის გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრა ი. ს-მა, რომელმაც გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილება მოითხოვა.

კასატორის მოსაზრებით, სააპელაციო სასამართლომ სრულყოფილად არ გამოიკვლია საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებები და არასწორი სამართლებრივი შეფასება მისცა მათ.

კასატორი სადავოდ ხდოდა იმ გარემოებას, რომ მას ავტომანქანა საქართველოს საბაჟო საზღვარზე არ შემოუყვანია და არც ხელი მოუწერია საბაჟო კონტროლის ქვეშ მყოფი საქონლისა და სატრანსპორტო საშუალების აღრიცხვის მონომოზაზე. აღნიშნულ გარემოებას ადასტურებდა, ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს 2011 წლის 4 ივლისის ექსპერტიზის №011056-2011/02/1 დასკვნა, რომლის თანახმადაც, ხელმოწერა ი. ს-ის სახელით, განლაგებული საქონლისა და სატრანსპორტო საშუალების აღრიცხვის მონომოზაზე – №59740, 06.09.08 წლის თარიღით, ქვედა მარჯვენა კუთხეში შესრულებული იყო არა ი. ს-ის, არამედ სხვა პირის მიერ. ამასთან, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის 2010 წლის 29 ოქტომბრის წერილის თანახმად, ი. ს-ის სახელით შემოსული ა/მანქანა „ოპელ ვექტრაზე“ გამოწერილი აღრიცხვის მონომოზის გაყალბების ფაქტზე მიმდინარეობდა წინასწარი გამოძიება.

ამდენად, კასატორის მოსაზრებით, საქმეში წარმოდგენილი მასალებით უდავოდ დასტურდებოდა ის გარემოება, რომ მისთვის ცნობილი არ იყო იმ საბაჟო ვალდებულების შესახებ, რომლის დარღვევისთვისაც მას საჯარიმო სანქცია დაეკისრა.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2012 წლის 23 მარტის განჩინებით, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, დასაშვებობის შესამოწმებლად წარმოებაში იქნა მიღებული ი. ს-ის საკასაციო საჩივარი.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2012 წლის 17 მაისის განჩინებით, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, ი. ს-ის საკასაციო საჩივარი მიჩნეულ იქნა დასაშვებად და მისი განხილვა დაინიშნა მხარეთა დასწრებით 2012 წლის 14 ივნისს 13:30 საათზე.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების გაცნობის, მხარეთა ახსნა-განმარტებების მოსმენის, საკასაციო საჩივრის საფუძვლიანობის შესწავლის, გასაჩივრებული გადაწყვეტილების კანონიერება-დასაბუთებულობის შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ ი. ს-ის საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს საქმის მასალებში არსებულ შემდგომ ფაქტობრივ გარემოებებზე: 2008 წლის 6 სექტემბერს საბაჟო გამშვები პუნქტი „ფოთის“ გავლით, საქართველოს ტერიტორიაზე შემოტანილი იქნა ავტომანქანა. ამავე დღეს, საბაჟო ორგანოს მიერ გამოიწერა საბაჟო კონტროლის ქვეშ მყოფი საქონლისა და სატრანსპორტო საშუალების აღრიცხვის №59740 მონომოზა, რომლითაც ავტომანქანის საბაჟო ორგანოში წარდგენის ვადად განისაზღვრა 2008 წლის 26 სექტემბერი. ავტომანქანა 2008 წლის 26 სექტემბერს საბაჟო ორგანოში არ წარდგენილა. 2009 წლის 10 სექტემბრის საბაჟო სამართალდარღვევის №003997 ოქმის საფუძველზე, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის რუსთავის რეგიონალური ცენტრის მიერ 2009 წლის 28 სექტემბერს გამოცემული იქნა №16-18/17365/04 საბაჟო შეტყობინება, რომლის თანახმად ი. ს-ი ცნობილი იქნა დამრღვევად საბაჟო კოდექსის 246-ე და 238-ე მუხლებით გათვალისწინებული სამართალდარღვევის ჩადენაში და სანქციის სახით შეეფარდა ჯარიმა 1 500 ლარი. საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის 2010 წლის 15 მარტის №1257 ბრძანებით ი. ს-ის ადმინისტრაციული საჩივარი საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის რუსთავის რეგიონალური ცენტრის 2009 წლის 28 სექტემბრის №16-18/17365/04 საბაჟო შეტყობინების ბაზაზე ცნობის თაობაზე არ დაკმაყოფილდა. საქართველოს ფინანსთა სამინისტროსთან არსებული დავების განხილვის საბჭოს 2010 წლის 24 მაისის №534 გადაწყვეტილებით ი. ს-ის ადმინისტრაციული საჩივარი არ დაკმაყოფილდა; უცვლელად დარჩა საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის 2010 წლის 15 მარტის №1257 ბრძანება.

საკასაციო სასამართლო ასევე დადგენილად მიიჩნევს იმ გარემოებას, რომ 2010 წლის 2 სექტემბერს ი. ს-მა წინასწარი გამოძიების დაწყების მიზნით, განცხადებით მიმართა საქართველოს შს-ს ქ. თბილისის მთავარი სამმართველოს გლდანი-ნაძალადევის სამმართველოს. საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის 2010 წლის 29 ოქტომბრის წერილის თანახმად, ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის საგამოძიებო დეპარტამენტის საბაჟო წესების დარღვევის წინააღმდეგ ბრძოლის სამმართველოში 2010 წლის 14 ივნისს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 362-ე მუხლის 1-ლი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ნიშნებით დაიწყო წინასწარი გამოძიება №092100495 სისხლის სამართლის საქმეზე, მოქალაქე ი. ს-ის სახელით შემოსული ა/მანქანა „ოპელ ვექტრაზე“ გამოწერილი აღრიცხვის მონომოზის გაყალბების ფაქტზე. აღნიშნული საქმე ქვემდებარეობით გამოძიების ჩასატარებლად საქართველოს მთავარი პროკურატურიდან გადაგზავნილი იქნა შს სამინისტროს ფოთის საქალაქო სამმართველოში.

საკასაციო სასამართლო ყურადღებას ამახვილებს შს სამინისტროს ფოთის საქალაქო სამმართველოს მიერ დანიშნული ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს 2011 წლის 4 ივლისის ექსპერტიზის №011056-2011/02/1 დასკვნაზე, რომლის თანახმადაც, ხელმოწერა ი. ს-ის სახელით, განლაგებული საქონლისა და სატრანსპორტო საშუალების აღრიცხვის მონმობაზე №59740, 06.09.08 წლის თარიღით, ქვედა მარჯვენა კუთხეში შესრულებული იყო არა ი. ს-ის, არამედ სხვა პირის მიერ. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის საექსპერტო-კრიმინალისტიკური მთავარი სამმართველოს ექსპერტის 2011 წლის 20 იანვრის დასკვნის თანახმად კი, დადგენა საკითხისა, ვის მიერ იყო შესრულებული საბაჟო კონტროლის ქვეშ საქონლისა და სატრანსპორტო საშუალების აღრიცხვის №59740 მონმობაზე ქვედა მარჯვენა კუთხეში ი. ს-ის გვარით შესრულებული ხელმოწერა შეუძლებელი იყო.

საქმეში ასევე წარმოდგენილია 2008 წლის 16 სექტემბრის სანოტარო აქტი, რომლის თანახმადაც, ი. ს-მა რწმუნება გასცა ვინმე გ. კ-ზე. აღნიშნული მინდობილობის გაფორმებას და სანოტარო აქტზე ხელმოწერის ფაქტს ი. ს-ი ადასტურებს, თუმცა აცხადებს, რომ ისე მოაწერა ხელი სანოტარო აქტს, რომ არ გასცნობოდა მის შინაარსს და დარწმუნებული იყო, რომ სხვა შინაარსის მინდობილობას აწერდა ხელს, რომელიც გულისხმობდა არა ავტომანქანის, არამედ მის მფლობელობაში არსებული სხვა ავტომანქანის ძრავის განკარგვას. საგულისხმოა, ის გარემოება, რომ აღნიშნული მინდობილობა სანოტარო ბიუროდან არ გატანილა და მისი გამოყენება არ მომხდარა.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს საქართველოს საგადასახადო კოდექსის 310-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტზე, რომლის შესაბამისად, საქართველოს საბაჟო კოდექსი ძალადაკარგულად გამოცხადდა 2011 წლის 1 იანვრიდან დაწყებული საგადასახადო პერიოდებისათვის, შესაბამისად, 2011 წლამდე საგადასახადო პერიოდში წარმოშობილ ურთიერთობებზე ვრცელდება კვლავ საქართველოს საბაჟო კოდექსით დადგენილი დებულებები და ამ პერიოდში გამოცემული ადმინისტრაციული აქტების შესაბამისობაშია განხილული უნდა იყო ამ კოდექსთან მიმართებაში.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ 2011 წლის 1 იანვრამდე მოქმედი საქართველოს საბაჟო კოდექსის 45-ე მუხლის 1-ლი ნაწილის შესაბამისად, პირი, რომელსაც საქონელი შემოაქვს საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე, ვალდებული არის საქართველოს საბაჟო საზღვრის გადმოკვეთის შემდეგ, საქონელი დადგენილი წესით მიიტანოს საბაჟო ორგანოს მიერ შერჩეულ ან საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ ადგილზე. ამავე კოდექსის 47-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, საქონელი ამ კოდექსის 45-ე მუხლის 1-ლი ნაწილით განსაზღვრულ ადგილზე მიტანისთანავე წარედგინება საბაჟო ორგანოს. საქონლის წარდგენის ვალდებულება ეკისრება პირს, რომელმაც იგი შემოიტანა საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე, ან რომელმაც საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე საქონლის შემოტანის შემდეგ აიღო პასუხისმგებლობა მის შემდგომ ტრანსპორტირებაზე. აღნიშნული ნორმის მეორე ნაწილი ადგენს, რომ პირზე, რომელიც იღებს საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე შემოტანილი საქონლის შემდგომი ტრანსპორტირების პასუხისმგებლობას, ვრცელდება ამ მუხლის პირველი ნაწილით დადგენილი ვალდებულება.

ამასთან, საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ 2011 წლის 1 იანვრამდე მოქმედი საქართველოს საბაჟო კოდექსის 232-ე მუხლის თანახმად, საბაჟო სამართალდარღვევად ითვლება პირის მართლსაწინააღმდეგო ქმედება (მოქმედება ან უმოქმედობა), რომლისთვისაც ამ კოდექსის XXXIV თავით გათვალისწინებული არის პასუხისმგებლობა. ამავე კოდექსის 233-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად კი, საბაჟო სამართალდარღვევისთვის პირს შეიძლება დაეკისროს პასუხისმგებლობა, მხოლოდ ამ კოდექსით დადგენილი საფუძვლით და წესით.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს მითითებული მუხლების მოთხოვნებზე და განმარტავს, რომ სამართალდარღვევისთვის გათვალისწინებული პასუხისმგებლობის დადგენისათვის კანონით გათვალისწინებული მართლსაწინააღმდეგო ქმედების (მოქმედების ან უმოქმედობის) გარდა საჭიროა სახეზე იყოს ის კონკრეტული სუბექტი, რომელმაც ჩაიდინა სამართალდარღვევა და უდავოდ იყოს დადგენილი მისი ბრალეულობა, წინააღმდეგ შემთხვევაში პირის მიმართ პასუხისმგებლობის გამოყენება დაუშვებელია.

საკასაციო სასამართლო ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ მართლაც, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის საექსპერტო-კრიმინალისტიკური მთავარი სამმართველოს ექსპერტის 2011 წლის 20 იანვრის დასკვნით ვერ დადგინდა, თუ ვის მიერ იყო შესრულებული საბაჟო კონტროლის ქვეშ საქონლისა და სატრანსპორტო საშუალების აღრიცხვის №59740 მონმობაზე ქვედა მარჯვენა კუთხეში ი. ს-ის გვარით შესრულებული ხელმოწერა, მაგრამ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს 2011 წლის 4 ივლისის №011056-2011/02/1 ექსპერტიზის დასკვნით უდავოდ დადგინდა ის გარემოება, რომ საქონლისა და სატრანსპორტო საშუალების აღრიცხვის მონმობაზე – №59740, 06.09.08 წლის თარიღით, ქვედა მარჯვენა კუთხეში ი. ს-ის სახელით შესრულებული ხელმოწერა ეკუთვნოდა არა ი. ს-ის, არამედ სხვა პირს.

ამასთან, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის 2010 წლის 29 ოქტომბრის წერილის თანახმად, ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის საგამოძიებო დეპარტამენტის საბაჟო წესების დარღვევის წინააღმდეგ ბრძოლის სამმართველოში 2010 წლის 14 ივნისს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 362-ე მუხლის 1-ლი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ნიშნებით დაინიშნა წინასწარი გამოძიება №092100495 სისხლის სამართლის საქმეზე, მოქალაქე ი. ს-ის სახელით შემოსული ა/მანქანა „ოპელ ვექტრაზე“ გამოწერილი აღრიცხვის მონმობის გაყალბების ფაქტზე.

საგულისხმოა ის გარემოებაც, რომ სსიპ შსს მომსახურების სააგენტოს დასავლეთ საქართველოს სამმართველოს ფოთის განყოფილების უფროსის 2011 წლის 21 მარტის წერილის თანახმად, 1992 წლის 10 დე-

კემბერს გამოშვებული ავტომანქანა „ოპელ-ვექტრას“ (შასის ქოლ000089 5096834) რეგისტრაცია სსიპ შსს სოციალური მომსახურების სააგენტოს მონაცემებით არ განხორციელებულა, ანუ ი. ს-ს მიერ სადავო ავტომანქანის გასხვისება ან სხვაგვარი განკარგვა არ მომხდარა.

ამდენად, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ განსახილველ შემთხვევაში საქმეში წარმოდგენილი მასალებით არ დგინდება ი. ს-ის ბრალეულობის საკითხი. საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ ი. ს-ს ისე შეეფარდა საჯარიმო სანქცია, რომ მიუხედავად მისი განცხადებისა, არ ყოფილა დადგენილი რეალურად მან შემოიყვანა თუ არა ავტოსატრანსპორტო საშუალება საბაჟო ორგანოში და მან მოაწერა თუ არა ხელი აღრიცხვის მოწმობას. ამდენად, საერთოდ არ ყოფილა გამოკვლეული ი. ს-ის ბრალეულობის საკითხი, რაც გასაჩივრებული ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების ბათილად ცნობის სამართლებრივ საფუძველს წარმოადგენს.

აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ მოცემულ შემთხვევაში არსებობს გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმებისა და ი. ს-ის საკასაციო საჩივრის დაკმაყოფილების სამართლებრივი საფუძველი.

ამასთან, საკასაციო სასამართლო ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ კასატორი სხვა სადავო აქტებთან ერთად ითხოვს რუსთავის რეგიონალური ცენტრის 2009 წლის 10 სექტემბრის საბაჟო სამართალდარღვევის №003997 ოქმის ბათილად ცნობას. საკასაციო სასამართლო კასატორს განუმარტავს, რომ საბაჟო სამართალდარღვევის ოქმი ცალკე ინდივიდუალურ-ადმინისტრაციულ სამართლებრივ აქტს არ წარმოადგენს, მას ცალკე სამართლებრივი შედეგი არ მოჰყვება და იგი საბაჟო შეტყობინების უშუალო შემადგენელი ნაწილია. ამდენად, არ არსებობს საბაჟო სამართალდარღვევის №003997 ოქმის ცალკე ბათილად ცნობის სამართლებრივი საფუძველი.

საკასაციო სასამართლო ასევე განმარტავს, რომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე მუხლის 1-ლი პუნქტის შესაბამისად, იმ მხარის მიერ გაღებული ხარჯების გადახდა, რომლის სასარგებლოდაც იქნა გამოტანილი გადაწყვეტილება, ეკისრება მეორე მხარეს, თუნდაც ეს მხარე განთავისუფლებული იყოს სახელმწიფოს ბიუჯეტში სასამართლო ხარჯების გადახდისაგან. ამავდროულად კოდექსის 37-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, სასამართლოსგარეშე ხარჯებს წარმოადგენს ადვოკატისათვის განეული ხარჯები, დაკარგული ხელფასი (განაცდური), მტკიცებულებათა უზრუნველსაყოფად განეული ხარჯები, აგრეთვე მხარეთა სხვა აუცილებელი ხარჯები.

აღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე მუხლის გათვალისწინებით, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ მოპასუხეებს – საქართველოს ფინანსთა სამინისტროსა და სსიპ შემოსავლების სამსახურს თანაბარწილად ი. ს-ის სასარგებლოდ უნდა დაეკისროთ – 400 ლარის გადახდა მის მიერ უკვე გადახდილი სახელმწიფო ბაჟისა (პირველი ინსტანციის სასამართლოში – 100 ლარის ოდენობით; საკასაციო სასამართლოში – 300 ლარის ოდენობით) და 300 ლარის გადახდა მის მიერ განეული სასამართლოსგარეშე ხარჯების (ადვოკატის ხარჯების) ანაზღაურების მიზნით.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 1-ლი მუხლით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 411-ე მუხლით და

გ ა დ ა ნ ე ვ ი ტ ა :

1. ი. ს-ის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს;
2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციული საქმეთა პალატის 2012 წლის 8 თებერვლის გადაწყვეტილება და მიღებულ იქნას ახალი გადაწყვეტილება;
3. ი. ს-ის სარჩელი დაკმაყოფილდეს;
4. ბათილად იქნეს ცნობილი საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის რუსთავის რეგიონალური ცენტრის 2009 წლის 28 სექტემბრის №16-18/17365/04 საბაჟო შეტყობინება, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის 2010 წლის 15 მარტის №1257 ბრძანება და საქართველოს ფინანსთა სამინისტროსთან არსებული დავების განხილვის საბჭოს 2010 წლის 24 მაისის №534 გადაწყვეტილება;
5. მოპასუხეებს – საქართველოს ფინანსთა სამინისტროს და სსიპ შემოსავლების სამსახურს თანაბარწილად ი. ს-ს სასარგებლოდ დაეკისროთ – 400 ლარის გადახდა მის მიერ გადახდილი სახელმწიფო ბაჟისა და 300 ლარის გადახდა მის მიერ გადახდილი სასამართლოს გარეშე ხარჯების ანაზღაურების მიზნით;
6. საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და არ საჩივრდება.

2. საგადასახადო პასუხისმგებლობა

მინის გადასახადი და იჯარის ქირა

ბანკინება

№ბს-882-844(კ-09)

25 თებერვალი, 2010 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატა
შემადგენლობა: მ. ვაჩაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),

ნ. ქადაგიძე,
პ. სილაგაძე

სარჩელის საგანი: დარიცხული მიწის გადასახადის გაუქმება

აღწერილობითი ნაწილი:

2004 წლის 27 აპრილს შპს „...“ სარჩელით მიმართა წალკის რაიონულ სასამართლოს, მოპასუხეების – წალკის რაიონული საგადასახადო ინსპექციისა და წალკის მიწის მართვის სამმართველოს მიმართ.

მოსარჩელის განმარტებით, 1997 წლის 12 მარტს შპს „...“ და წალკის რაიონის გამგეობას შორის გაფორმდა სასოფლო-სამეურნეო მიწის იჯარის ხელშეკრულება, რომლის რეგისტრაცია 1998 წლის 2 თებერვალს განხორციელდა. აღნიშნული ხელშეკრულების საფუძველზე, შპს „...“ გადაეცა 206,5 ჰა – მეორე კატეგორიის სახნავი მიწა, 85,5 ჰა – მესამე კატეგორიის სახნავი მიწა, 11,8 ჰა – სათიბი და 6,4 ჰა – საძოვარი, საერთო ჯამში 310,5 ჰა მიწა. იჯარის წლიური თანხა განისაზღვრა 4578 ლარით. რუსთავის საოლქო საგადასახადო ინსპექციისადმი წალკის რაიონული საგადასახადო ინსპექციის უფროსის 2004 წლის 29 მარტის წერილის თანახმად, შპს „...“ 1997-2000 წლების ჩათვლით დაერიცხა მიწის გადასახადი, 1997 წლის – 4585 ლარი, 1998 წლის – 7811 ლარი, 1999 წლის – 8710 ლარი, 2000 წლის – 8710 ლარი, საერთო ჯამში – 24 866 ლარის ოდენობით.

მოსარჩელემ აღნიშნა, რომ 1997 წლის 12 მარტის იჯარის ხელშეკრულების პირველი მუხლის მე-3 პუნქტის საფუძველზე იჯარით აღებული მიწის ფართობი, მოსარჩელეს უნდა გადასცემოდა ამ ხელშეკრულების რეგისტრაციიდან ხუთი დღის ვადაში. რეგისტრაცია განხორციელდა მიწის მართვის სამმართველოში 1998 წლის 2 თებერვალს, ამიტომ ხელშეკრულებით გათვალისწინებული გადასახადის გადახდა მას 1998 წლიდან უნდა დაკისრებოდა. მოსარჩელის მოსაზრებით, 1997 წელს შპს „...“ მიწის გადასახადი არ ეკისრებოდა, რადგან საქართველოს საგადასახადო კოდექსის (1997 წლის 13 ივნისის რედაქცია) მე-6 კარი მიწის გადასახადის შესახებ ამოქმედდა 1998 წლიდან. ამავე დროს მოქმედი საქართველოს სახელმწიფო მეთაურის 1994 წლის 18 დეკემბრის №398 ბრძანებულების „საქართველოს რესპუბლიკაში სასოფლო-სამეურნეო მიწებით სარგებლობისათვის გადასახადის შესახებ“ მე-3 პუნქტში კი მითითებული იყო, რომ ფიზიკური და იურიდიული პირები, რომლებსაც იჯარით ან ქვეიჯარით ჰქონდათ აღებული სასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთები, მიწის გადასახადს არ იხდიდნენ.

მოსარჩელის განმარტებით, ასევე არასწორად იყო მითითებული 1998 წლის მიწის გადასახადის ოდენობა – 7 311 ლარი. იჯარის ხელშეკრულებით განსაზღვრული საიჯარო თანხის – 4 578 ლარის შეცვლა მხოლოდ კანონის ან ხელშეკრულების საფუძველზე შეიძლებოდა. მოცემულ შემთხვევაში კი, გადასახადის შეცვლა მოხდა მოსარჩელესთან შეთანხმების გარეშე, რაც ეწინააღმდეგებოდა ხელშეკრულების მე-2 მუხლის მე-5 პუნქტით გათვალისწინებულ პირობებს.

მოსარჩელემ ასევე აღნიშნა, რომ 1999 წელს შპს „...“ რიცხული საიჯარო ფართობიდან 292,0 ჰა სახნავი მიწის ფართობი ეროვნის შედეგად გადაყვანილ იქნა სათიბ კატეგორიაში, შესაბამისად, მიწის გადასახადი 7 476 ლარით ნაკლები, ანუ 1 234 ლარი უნდა დარიცხვოდა. მოსარჩელის განმარტებით, იქიდან გამომდინარე, რომ წალკის რაიონულმა სასამართლომ 2000 წლის 31 მაისის გადაწყვეტილებით გააუქმა იჯარის ხელშეკრულება, შპს „...“ 2000 წელს 8 710 ლარის ნაცვლად 617 ლარი უნდა დარიცხვოდა.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მოსარჩელემ დარიცხული მიწის გადასახადის – 24 866 ლარის 1 979 ლარამდე შემცირება მოითხოვა.

წალკის რაიონული სასამართლოს 2004 წლის 22 ივლისის გადაწყვეტილებით სასარჩელო მოთხოვნა დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; შპს „...“ დარიცხული მიწის გადასახადი 24 866 ლარი შემცირდა 19 543 ლარით და გადასახდელად დაერიცხა 5 323 ლარი; შპს „...“ სასარჩელო მოთხოვნას დანარჩენ ნაწილში უარი ეთქვა დაკმაყოფილებაზე.

წალკის რაიონული სასამართლოს 2004 წლის 22 ივლისის გადაწყვეტილება სარჩელის დაკმაყოფილების ნაწილში სააპელაციო წესით გაასაჩივრა საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგადასახადო დეპარტამენტის რუსთავის საგადასახადო ინსპექციამ, რომელმაც გასაჩივრებულ ნაწილში გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე მთლიანად უარის თქმა მოითხოვა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2005 წლის 24 ნოემბრის განჩინებით სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; გაუქმდა წალკის რაიონული სასამართლოს 2004 წლის 22 ივლისის გადაწყვეტილება და საქმე განსახილველად გადაეცა რუსთავის საქალაქო სასამართლოს.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2005 წლის 24 ნოემბრის განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა შპს „...“, რომელმაც გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით საქმის ხელახლა განსახილველად იმავე სასამართლოსთვის დაბრუნება მოითხოვა.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2006 წლის 19 ივნისის განჩინებით შპს „...“ საკასაციო საჩივარი დაუშვებლობის გამო დარჩა განუხილველი.

რუსთავის საქალაქო სასამართლოს 2006 წლის 14 თებერვლის განჩინებით მოცემულ საქმეში მესამე პირად წალკის რაიონის გამგეობა იქნა ჩამოშლილი.

რუსთავის საქალაქო სასამართლოს 2006 წლის 11 სექტემბრის გადაწყვეტილებით სარჩელი დაკმაყოფილდა; შპს „...“ დარიცხული მიწის გადასახადი 24 866 ლარი შემცირდა 19 543 ლარით და გადასახდელად დაერიცხა 5 323 ლარი; შპს „...“ სასარჩელო მოთხოვნა დანარჩენ ნაწილში არ დაკმაყოფილდა.

რუსთავის საქალაქო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ 1997 წლის 12 მარტს შპს „...“ და წალკის რაიონის გამგეობას შორის დაიდო სასოფლო-სამეურნეო მიწის იჯარის ხელშეკრულება. ხელშეკრულების 1-ლი მუხლის 1-ლი პუნქტის თანახმად, ხელშეკრულების საგანს წარმოადგენდა 326,93 ჰა სასოფლო-სამეურნეო მიწის იჯარით გადაცემა. ხელშეკრულების პირველი მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, ხელშეკრულება დაიდო 10 წლის ვადით და ძალაში შევიდა მიწის რესურსებისა და მიწის კადასტრის სამსახურში რეგისტრაციის მომენტიდან. ხელშეკრულების მე-2 მუხლის 1-ლი პუნქტის შესაბამისად, იჯარით აღებული მიწის ნაკვეთებით სარგებლობისათვის ქირის ყოველწლიური თანხა შეადგენდა 4578 ლარს. საქალაქო სასამართლომ ასევე დადგენილად მიიჩნია, რომ შპს „...“ 1997 წელს გადაიხადა მიწის გადასახადი 4450 ლარის ოდენობით, ხოლო წალკის მიწის მართვის სამმართველოს მიერ გაცემული ცნობის საფუძველზე შპს „...“ დაერიცხა მიწის გადასახადი 24 866 ლარის ოდენობით.

საქალაქო სასამართლომ განმარტა, რომ მოცემულ შემთხვევაში მხარეთა შორის გაფორმებული იჯარის ხელშეკრულება წარმოადგენდა ადმინისტრაციულ ხელშეკრულებას, რომლის ერთი მხარე იყო წალკის რაიონის გამგეობა, რომელიც „სასოფლო-სამეურნეო მიწის იჯარის შესახებ“ საქართველოს კანონის (1996 წლის 28 ივნისის რედაქცია) მე-3 მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, უფლებამოსილი იყო წალკის რაიონის გამგებლობის ტერიტორიის ფარგლებში იჯარით გაეცა სახელმწიფო საკუთრების სასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთი.

საქალაქო სასამართლომ მიუთითა „სასოფლო-სამეურნეო მიწის იჯარის შესახებ“ საქართველოს კანონის (1996 წლის 28 ივნისის რედაქცია) მე-4 მუხლის პირველ ნაწილზე, რომლის თანახმად, მოიჯარე მიწის ნაკვეთის უფლებას მოიპოვებდა ხელშეკრულების საფუძველზე. იჯარის ხელშეკრულება იყო მე-იჯარისა და მოიჯარის საიჯარო ურთიერთობათა განმსაზღვრელი დოკუმენტი, რომელიც იდებოდა განსაზღვრული ვადით ნებაყოფლობისა და მხარეთა თანხმობის საფუძველზე, წერილობითი ფორმით, ამ კანონისა და საქართველოს სხვა ნორმატიული აქტების შესაბამისად. საქალაქო სასამართლომ არ გაიზიარა მოპასუხის მოსაზრება იმის თაობაზე, რომ შპს „...“ მიწის გადასახადი უნდა დარიცხვოდა 1997 წლიდან და 1997 წელს გადახდილი თანხის ჩათვლა 1998 წლის გადასახადში ხანდაზმული იყო.

საქალაქო სასამართლომ ყურადღება გაამახვილა ხელშეკრულების 1-ლი მუხლის მე-2 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის მიხედვითაც, წინამდებარე ხელშეკრულება დადებული იყო 10 წლის ვადით და ძალაში შედიოდა წალკის რაიონის მიწის რესურსებისა და მიწის კადასტრის სამსახურში რეგისტრაციის მომენტიდან. საქართველოს სოფლის მეურნეობისა და სურსათის სამინისტროს 1996 წლის 6 აგვისტოს „სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის იჯარის შესახებ“ საქართველოს კანონის ამოქმედების ღონისძიებათა თაობაზე №2-202 ბრძანების თანახმად, იჯარის ხელშეკრულების რეგისტრაცია ევალებოდა მიწის რესურსებისა და მიწის კადასტრის შესაბამის რაიონულ სამსახურებს. მოცემულ შემთხვევაში ხელშეკრულება წალკის რაიონის მიწის რესურსებისა და მიწის კადასტრის სამსახურის რეგისტრაციაში 1998 წლის 2 თებერვალს გატარდა. საქალაქო სასამართლომ მიუთითა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის (1997 წლის 26 ივნისის რედაქცია) 328-ე მუხლის 1-ლ ნაწილზე, რომლის თანახმად, თუ კანონით ხელშეკრულების ნამდვილობისათვის დადგენილი იყო განსაზღვრული ფორმა, ან მხარეებმა ხელშეკრულებისათვის გათვალისწინეს ასეთი ფორმა, მაშინ ხელშეკრულება ძალაში შედიოდა მხოლოდ ამ ფორმის შესახებ მოთხოვნის დასრულების შემდეგ. საქალაქო სასამართლოს განმარტებით, აღნიშნული ნორმის შესაბამისად შპს „...“ საიჯარო ქირა უნდა გადაეხადა 1998 წლის 2 თებერვლიდან. საქალაქო სასამართლომ არ გაიზიარა მოპასუხის მოსაზრება იმის თაობაზე, რომ შპს „...“ 1997 წლიდან ფაქტობრივად ფლობდა და სარგებლობდა საიჯარო მიწის ნაკვეთით, რადგან აღნიშნული გარემოების დამადასტურებელი მტკიცებულებები მხარის მიერ არ იქნა წარმოდგენილი.

საქალაქო სასამართლომ მიუთითა საქართველოს სახელმწიფო მეთაურის 1994 წლის 18 დეკემბრის №398 ბრძანებულების მე-3 პუნქტზე, რომლის საფუძველზეც ფიზიკური ან იურიდიული პირები, რომლებსაც იჯარით ან ქვეიჯარით ჰქონდათ აღებული სასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთები, მიწის გადასახადს არ იხდიდნენ და ამ ნაკვეთებზე მიწის გადასახადის გადახდა ეკისრებოდათ მეიჯარე-ფიზიკურ პირებს და მიწის იჯარით გაცემისათვის სახელმწიფოსგან უფლებამოსილ პირებს. ამდენად, საქალაქო სასამართლომ აღნიშნა, რომ განსახილველ შემთხვევაში მიწის გადასახადის გადახდა ეკისრებოდა წალკის რაიონის გამგეობას და არა შპს „...“.

საქალაქო სასამართლომ 1998-1999 წლებში შპს „...“ გაზრდილი ქირის დარიცხვასთან დაკავშირებით მიუთითა „სასოფლო-სამეურნეო მიწის იჯარის შესახებ“ საქართველოს კანონის (1996 წლის 28 ივნისის რედაქცია) მე-5 მუხლის პირველ ნაწილზე, რომლის თანახმად, იჯარით აღებული მიწით და სხვა ქონებით სარგებლობისათვის მოიჯარე მეიჯარის სასარგებლოდ იხდიდა სასოფლო-სამეურნეო იჯარის ქირას. ამავე მუხლის მე-4 და მე-5 ნაწილების თანახმად, იჯარის ქირის ოდენობა განისაზღვრებოდა იჯარის ხელშეკრულებით, ამასთან სახელმწიფო საკუთრების სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის იჯარის ყოველწლიურ ქირად ითვლებოდა ამავე მიწით სარგებლობისათვის მოქმედი წესით დადგენილი გადასახადი. სასოფლო-სამეურნეო იჯარის ქირა შეიძლებოდა შეცვლილიყო მხარეთა შეთანხმებით. საქალაქო სასამართლომ აღნიშნა, რომ განსახილველ შემთხვევაში ხელშეკრულების მე-2 მუხლის 1-ლი პუნქტის თანახმად, მხარეთა მიერ საიჯარო ქირა განისაზღვრა ყოველწლიურად 4578 ლარის ოდენობით. ხელშეკრულების მე-2 მუხლის მე-5 პუნქტი ითვალისწინებდა მიწის იჯარის ქირის შეცვლას საქართველოს კანონმდებ-

ლობით და ხელშეკრულებით გათვალისწინებულ შემთხვევებში, მაგრამ იმის გათვალისწინებით, რომ საიჯარო ქირის ოდენობა მოცემული ხელშეკრულების ერთ-ერთ არსებით პირობას წარმოადგენდა. საქალაქო სასამართლომ მიუთითა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 327-ე მუხლის 1-ლ ნაწილზე, რომლის თანახმად, ხელშეკრულება დადებულია ითვლებოდა, მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მხარეები მის ყველა არსებით პირობაზე შეთანხმდებოდნენ საამისოდ გათვალისწინებული ფორმით. საქალაქო სასამართლომ მიიჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში საიჯარო ქირის გაზრდა უნდა მომხდარიყო მხარეთა შეთანხმებით, საიჯარო ხელშეკრულებაში შესაბამისი ცვლილებების შეტანის გზით და არა ცალმხრივი წესით.

საქალაქო სასამართლომ არ გაიზიარა მოსარჩელის მსჯელობა იმ საკითხთან დაკავშირებით, რომ საქართველოს მიწის მართვის სახელმწიფო დეპარტამენტის მიერ შპს „...“ რიცხული იჯარით არსებული ფართობიდან 292,0 ჰა გადაყვანილ იქნა სათიბ კატეგორიაში და შესაბამისად, ამ წელს საიჯარო ქირის გადასახადი 1234 ლარის ოდენობით უნდა დარიცხვოდა, რადგან მიწის დაბალი ხარისხის კატეგორიაში გადაყვანა მეიჯარის მონაწილეობის გარეშე მოხდა და შესაბამისი ცვლილებების შეტანა მხარეთა შორის გაფორმებულ ხელშეკრულებაში არ განხორციელებულა.

საქალაქო სასამართლომ ასევე არ გაიზიარა მოპასუხის მოსაზრება, შპს „...“ 2000 წლის მიწის გადასახადის 8 710 ლარის ოდენობით დაკისრებასთან დაკავშირებით, რადგან წალკის რაიონული სასამართლოს 2000 წლის 31 მაისის გადაწყვეტილებით მხარეთა შორის 1997 წლის 12 მარტს გაფორმებული ხელშეკრულება გაუქმდა, შესაბამისად, 2000 წელს შპს „...“ საიჯარო ქირის გადასახადი 617 ლარის ოდენობით უნდა დაკისრებოდა.

ამდენად, საქალაქო სასამართლომ მიიჩნია, რომ შპს „...“ დარიცხული მიწის გადასახადი 24 866 ლარი უნდა შემცირებულიყო 19 543 ლარით და შპს „...“ გადასახდელად უნდა დაკისრებოდა 5 323 ლარი.

რუსთავის საქალაქო სასამართლოს 2006 წლის 11 სექტემბრის გადაწყვეტილება სარჩელის დაკმაყოფილების ნაწილში სააპელაციო წესით გაასაჩივრა საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგადასახადო დეპარტამენტის რუსთავის საგადასახადო ინსპექციამ, რომელმაც გასაჩივრებულ ნაწილში გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე მთლიანად უარის თქმა მოითხოვა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2008 წლის 15 ივლისის საოქმო განჩინებით საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგადასახადო დეპარტამენტის რუსთავის საგადასახადო ინსპექციის უფლებამონაცვლედ დადგენილ იქნა საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის რუსთავის რეგიონალური ცენტრი (საგადასახადო ინსპექცია); წალკის გამგეობის უფლებამონაცვლედ დადგენილ იქნა წალკის მუნიციპალიტეტი (მუნიციპალიტეტის გამგეობა და მუნიციპალიტეტის საკრებულო).

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2008 წლის 23 დეკემბრის განჩინებით სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა; უცვლელად დარჩა რუსთავის საქალაქო სასამართლოს 2006 წლის 11 სექტემბრის გადაწყვეტილება გასაჩივრებულ ნაწილში.

სააპელაციო სასამართლო საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 390-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, დაეთანხმა და გაიზიარა საქალაქო სასამართლოს შეფასებები და დასკვნები საქმის ფაქტობრივ და სამართლებრივ საკითხებთან დაკავშირებით.

სააპელაციო სასამართლომ დამატებით აღნიშნა, რომ საქართველოს საგადასახადო კოდექსის (1997 წლის 13 ივნისის რედაქცია) 237-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, საგადასახადო ორგანოს შეეძლო დაერიცხა და გადაესინჯა გადასახადის დარიცხული თანხის დარიცხვა და გადასინჯვა საგადასახადო პერიოდის დამთავრებიდან 6 წლის განმავლობაში. ამ მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, გადასახადის გამძვინვარეული უფლებამოსილი იყო საგადასახადო პერიოდის დამთავრებიდან 6 წლის განმავლობაში მოეთხოვა ზედმეტად გადახდილი გადასახადის დაბრუნება ან ჩათვლა. ამავდროულად 256-ე მუხლის მე-9 ნაწილის თანახმად კი, ამ კოდექსის 237-ე მუხლის 1-ლი ნაწილიდან გამომდინარე, გადახდილს უფლება ჰქონდა გაე-საჩივრებინა დარიცხული გადასახადის თანხა ან საგადასახადო ორგანოს გადაწყვეტილება გადასახადის დარიცხვის ან სხვა გადაწყვეტილების შესახებ შეტყობინების მიღებიდან 6 წლის განმავლობაში. აღნიშნულიდან გამომდინარე, სააპელაციო სასამართლომ უსაფუძვლობის გამო ვერ გაიზიარა აპელანტის მოსაზრება სარჩელის ხანდაზმულობასთან დაკავშირებით.

სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ სასამართლოში წარმოდგენილი იყო 2008 წლის 11 ნოემბრის პერიოდისათვის შედგენილი შედარების აქტი, რომლის თანახმადაც, შპს „...“ (ს/ნ ...; თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტი) 1999 წლის 1 იანვრიდან 2004 წლის 1 იანვრამდე პერიოდში მიწის გადასახადი არ ერიცხებოდა.

სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ საქალაქო სასამართლომ დავა არსებითად სწორად გადან-ყვიტა, შესაბამისად, არ არსებობდა საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილების გაუქმების და სააპელა-ციო საჩივრის დაკმაყოფილების სამართლებრივი საფუძვლები.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2008 წლის 23 დეკემბრის განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახუ-რის რუსთავის რეგიონალურმა ცენტრმა (საგადასახადო ინსპექციამ), რომელმაც გასაჩივრებული განჩი-ნების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა მოითხოვა.

კასატორმა აღნიშნა, რომ სააპელაციო სასამართლომ არ გამოიყენა საქართველოს საგადასახადო კო-დექსის ნორმები და არასწორად დაადგინა საქმის ფაქტობრივი გარემოებები. კასატორმა ყურადღება გაა-მახვილა იმ გარემოებაზე, რომ შპს „...“ სარჩელი აღძრა 2004 წლის 27 აპრილს. იმ დროს მოქმედი საქარ-

თველოს საგადასახადო კოდექსის 1-ლი მუხლის თანახმად, კოდექსი არეგულირებდა საგადასახადო კანონმდებლობის დარღვევისათვის პასუხისმგებლობას, საგადასახადო ორგანოებისა და მათი თანამდებობის პირების არამართლზომიერ ქმედებათა გასაჩივრების წესსა და პირობებს. ამავე კოდექსმა იმპერატიულად განსაზღვრა საგადასახადო ორგანოების მიერ დარიცხული გადასახადების გასაჩივრების ვადები, კერძოდ, საქართველოს საგადასახადო კოდექსის 256-ე მუხლის მე-9 ნაწილის თანახმად, გადამხდელს უფლება ჰქონდა გაესაჩივრებინა დარიცხული გადასახადის თანხა ან საგადასახადო ორგანოს გადაწყვეტილება გადასახადის დარიცხვის ან სხვა გადაწყვეტილების შესახებ შეტყობინების მიღებიდან 6 წლის განმავლობაში. კასატორის მოსაზრებით, სასამართლომ არ გამოიყენა სპეციალური კანონი და არასწორად იმსჯელა შპს „...“-ზე 1997-1998 წლებში დარიცხული მინის გადასახადის კანონიერებაზე მისი გადასინჯვის ხანდაზმულობის ვადის გასვლის გამო.

კასატორმა აღნიშნა, რომ სასამართლომ სადავო გადაწყვეტილებაში მიუთითა საქართველოს სახელმწიფო მეთაურის 1994 წლის 18 დეკემბრის №398-ე ბრძანებულების მე-3 პუნქტზე, რომლის საფუძველზეც ფიზიკური და იურიდიული პირები, რომლებსაც იჯარით ჰქონდათ აღებული სასოფლო-სამეურნეო მიწები, მინის გადასახადს არ იხდიდნენ და ამ ნაკვეთებზე მინის გადასახადის გადახდა ეკისრებოდა მეიჯარე ფიზიკურ პირებსა და სახელმწიფოსაგან უფლებამოსილ პირებს, კონკრეტულ შემთხვევაში – ნალკის რაიონულ გამგეობას. კასატორის მოსაზრებით, გასათვალისწინებელია 1996 წლის 11 თებერვალს აღნიშნულ ბრძანებულებაში შესული ცვლილებების (საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულება №166) მე-6 პუნქტი, რომლის თანახმადაც, სასოფლო რაიონის ტერიტორიას მიკუთვნებული სასოფლო-სამეურნეო სარგებლობისათვის გადასახადს იხდიდა მოსარგებლე და აღნიშნული მიწებით სარგებლობისათვის გადასახადი ჩაირიცხებოდა იმ რაიონის სპეციალურ საბიუჯეტო ანგარიშზე, რომლის ადმინისტრაციულ საზღვრებშიც იყო მოქცეული ეს მიწები. კასატორმა აღნიშნა, რომ გადასახადის გადამხდელს წარმოადგენს მოსარგებლე და როგორც წარმოდგენილი ინფორმაციით დასტურდება, 1997 წლიდან აღნიშნული მინის მოსარგებლეს სწორედ შპს „...“ წარმოადგენდა.

კასატორის განმარტებით, სააპელაციო სასამართლომ საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილების გაზიარებით მიუთითა იმ მტკიცებულებების არარსებობის შესახებ, რომელიც 1997 წლიდან შპს „...“-ს მინის ფაქტობრივ მფლობელობას დაადასტურებდა. კასატორმა მიიჩნია, რომ სასამართლომ საქმის მასალები სრულად არ გამოიკვლია, რადგან მინის ფაქტობრივი მფლობელობა (სარგებლობა) დასტურდებოდა მხარის მიერ წარმოდგენილი 1997 წლის ნალკის რაიონის მინის მოსარგებლეთა სიის მიხედვით, სადაც აღნიშნული იყო თუ რა რაოდენობისა და ხარისხის მინას ფლობდა შპს „...“ 1997 წელს.

კასატორის განმარტებით, სააპელაციო სასამართლომ ასევე არასწორად შეაფასა 1998-1999 წლებში შპს „...“ გაზრდილი მინის გადასახადების დაკისრების კანონიერება, რადგან აღნიშნული უფლების გამოყენება ფორმულირებულია მხარეებს შორის დადებული ხელშეკრულებისა და „სასოფლო-სამეურნეო მიწის იჯარის შესახებ“ საქართველოს კანონის 56-ე მუხლის მე-5 პუნქტით, რომლის თანახმადაც, იჯარის ქირის გაზრდა დასაშვებია რეგულირებადი სახელმწიფო ფასებისა და ტარიფების შეცვლისას, აგრეთვე საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში. კასატორმა აღნიშნა, რომ საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ „სხვა შემთხვევებში“ მოიაზრებოდა 1997 წლის 13 ივნისის მიღებული საგადასახადო კოდექსი, ვინაიდან ახალმა საგადასახადო კოდექსმა განსაზღვრა მინის გადასახადის ახალი განაკვეთები, შესაბამისად, გაიზარდა მინის იჯარის ქირა, ე.ი. მოქმედი წესით მინით სარგებლობისათვის დადგენილი გადასახადი.

კასატორის მოსაზრებით, სააპელაციო სასამართლომ არასწორად შეაფასა საქმის ფაქტობრივი გარემოებები, არასწორად განმარტა კანონი და არ გამოიყენა კანონი, რომელიც უნდა გამოეყენებინა, შესაბამისად, მიიღო უკანონო და დაუსაბუთებელი გადაწყვეტილება.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2009 წლის 6 ივლისის განჩინებით საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, დასაშვებობის შესაბამისად წარმოებაში იქნა მიღებული საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის რუსთავის რეგიონალური ცენტრის (საგადასახადო ინსპექციის) საკასაციო საჩივარი.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2009 წლის 9 სექტემბრის განჩინებით საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის რუსთავის რეგიონალური ცენტრის (საგადასახადო ინსპექციის) საკასაციო საჩივარი მიჩნეულ იქნა დასაშვებად საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო გაეცნო საქმის მასალებს, შეამოწმა გასაჩივრებული განჩინების კანონიერება-დასაბუთებულობა, წარმოდგენილი საკასაციო საჩივრის საფუძვლიანობა და მიიჩნია, რომ საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს საქმის მასალებში ასახულ შემდეგ ფაქტობრივ გარემოებებზე: 1997 წლის 12 მარტს შპს „...“ და ნალკის რაიონის გამგეობას (უფლებამონაცვლე – ნალკის მუნიციპალიტეტი) შორის გაფორმდა სასოფლო-სამეურნეო მიწის იჯარის ხელშეკრულება 10 წლის ვადით. აღნიშნული ხელშეკრულების საფუძველზე, შპს „...“ გადაეცა 206,5 ჰა – მეორე კატეგორიის სახნავი მიწა, 85,5 ჰა – მე-

სამე კატეგორიის სახნავი მიწა, 11,8 ჰა – სათიბი და 6,4 ჰა – საძოვარი, საერთო ჯამში – 310,5 ჰა მიწა. იჯარის წლიური თანხა განისაზღვრა 4578 ლარით.

საკასაციო სასამართლო ასევე მიუთითებს შპს „...“ და წალკის რაიონის გამგეობას (უფლებამონაცვლე – წალკის მუნიციპალიტეტი) შორის 1997 წლის 12 მარტს გაფორმებული სასოფლო-სამეურნეო მიწის იჯარის ხელშეკრულების მე-2 მუხლის 1-ლ და მე-3 პუნქტებზე, რომელთა თანახმად, იჯარით აღებული მიწის ნაკვეთებით სარგებლობისათვის ქირის ყოველწლიური თანხა შეადგენდა 4578 ლარს. მიწის იჯარის ყოველწლიური ქირის 50% შეიტანებოდა მეიჯარის ანგარიშზე შესაბამისი წლის 1 აგვისტომდე, დანარჩენი ნაწილი კი – იმავე წლის 1 ნოემბრამდე. წალკის რაიონული სასამართლოს 2000 წლის 31 მაისის გადაწყვეტილებით 1997 წლის 12 მარტს შპს „...“ და წალკის რაიონის გამგეობას შორის დადებული სასოფლო-სამეურნეო მიწის იჯარის ხელშეკრულება გაუქმდა.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს საქმის მასალებში ასახულ იმ გარემოებაზეც, რომ რუსთავის საოლქო საგადასახადო ინსპექციის უფროსისადმი წალკის რაიონული საგადასახადო ინსპექციის უფროსის 2004 წლის 29 მარტის წერილის თანახმად, შპს „...“ 1997-2000 წლების ჩათვლით დაერიცხა მიწის გადასახადი, 1997 წლის – 4585 ლარი, 1998 წლის – 7811 ლარი, 1999 წლის – 8710 ლარი, 2000 წლის – 8710 ლარი, საერთო ჯამში – 24 866 ლარის ოდენობით.

საკასაციო სასამართლო დადგენილად მიიჩნევს და არც მხარეები ხდიან სადავოდ მოცემულ საქმეზე დადგენილ იმ ფაქტობრივ გარემოებას, რომ 1997 წელს შპს „...“ გადაიხადა მიწის გადასახადი 4450 ლარის ოდენობით.

საკასაციო სასამართლო იზიარებს სააპელაციო სასამართლოს მსჯელობას, იმ საკითხთან დაკავშირებით, რომ შპს „...“ 1997 წელს მიწის გადასახადის გადახდა არ ეკისრებოდა. საკასაციო სასამართლო ყურადღებას ამახვილებს, ხელშეკრულების 1-ლი მუხლის მე-2 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის მიხედვითაც, წინამდებარე ხელშეკრულება დაიდო 10 წლის ვადით და ძალაში შედიოდა წალკის რაიონის მიწის რესურსებისა და მიწის კადასტრის სამსახურში რეგისტრაციის მომენტიდან. საქართველოს სოფლის მეურნეობისა და სურსათის სამინისტროს 1996 წლის 6 აგვისტოს „სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის იჯარის შესახებ“ საქართველოს კანონის ამოქმედების ღონისძიებათა თაობაზე №2-202 ბრძანების თანახმად, იჯარის ხელშეკრულების რეგისტრაცია ევალებოდა მიწის რესურსებისა და მიწის კადასტრის შესაბამის რაიონულ სამსახურებს. დადგენილია და არც მხარეები ხდიან სადავოდ, რომ ხელშეკრულება წალკის რაიონის მიწის რესურსებისა და მიწის კადასტრის სამსახურის რეგისტრაციაში 1998 წლის 2 თებერვალს გატარდა. საკასაციო სასამართლო მიუთითებს საქართველოს სამოქალაქო კოდექსის (1997 წლის 26 ივნისის რედაქცია) 328-ე მუხლის 1-ლ ნაწილზე, რომლის თანახმად, თუ კანონით ხელშეკრულების ნამდვილობისათვის დადგენილია განსაზღვრული ფორმა, ან მხარეებმა ხელშეკრულებისათვის გაითვალისწინეს ასეთი ფორმა, მაშინ ხელშეკრულება ძალაში შედის მხოლოდ ამ ფორმის შესახებ მოთხოვნის დასრულების შემდეგ. საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ იჯარის ხელშეკრულების რეგისტრაცია, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის (1997 წლის 26 ივნისის) 328-ე მუხლის შესაბამისად, მხარის მიერ ხელშეკრულების ნამდვილობისათვის დადგენილ განსაზღვრულ ფორმას წარმოადგენდა, რომლის შესრულებაზეც ხელშეკრულების ძალაში შესვლის საავალდებულო პირობა იყო.

აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ შპს „...“ მიწის გადასახადის გადახდა, ხელშეკრულების წალკის რაიონის მიწის რესურსებისა და მიწის კადასტრის სამსახურში რეგისტრაციის მომენტიდან ანუ 1998 წლის 2 თებერვლიდან ეკისრებოდა. საკასაციო სასამართლო აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით დამატებით განმარტავს, რომ საქალაქო სასამართლომ, რომელსაც შემდგომ დაეთანხმა სააპელაციო სასამართლო, საკითხის გადაწყვეტისას არასწორად მიუთითა საქართველოს სახელმწიფო მეთაურის 1994 წლის 18 დეკემბრის №398 ბრძანებულების მე-3 პუნქტზე, რადგან 1996 წლის 11 თებერვალს (საქართველოს პრეზიდენტის №166 ბრძანებულება მე-6 პუნქტი) აღნიშნულ ბრძანებულებაში შევიდა ცვლილება, რომლის საფუძველზეც განისაზღვრა, რომ სასოფლო რაიონის ტერიტორიას მიკუთვნებული სასოფლო-სამეურნეო სარგებლობისათვის გადასახადს იხდის მოსარგებლე და აღნიშნული მიწებით სარგებლობისათვის გადასახადი ჩაირიცხება იმ რაიონის სპეციალურ საბიუჯეტო ანგარიშზე, რომლის ადმინისტრაციულ საზღვრებშიც არის მოქცეული ეს მიწები. საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ დავის გადაწყვეტისას გამოიყენება სადავო პერიოდში მოქმედი მატერიალური სამართლებრივი ნორმები. აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლოს საქმის განხილვისას უნდა გამოყენებინა არა სახელმწიფო მეთაურის 1994 წლის 18 დეკემბრის №398 ბრძანებულების მე-3 პუნქტი, არამედ სადავო პერიოდში მოქმედი საქართველოს პრეზიდენტის №166 ბრძანებულების მე-6 პუნქტი.

საკასაციო სასამართლო ვერ გაიზიარებს კასატორის მოსაზრებას, იმ საკითხთან დაკავშირებით, რომ შპს „...“ 1997 წლიდან ფაქტიურად ფლობდა და სარგებლობდა საიჯარო მიწის ნაკვეთით, რადგან მხარის მიერ წარმოდგენილი 1997 წლის წალკის რაიონის მიწის მოსარგებლეთა სიის მიხედვით ვერ დასტურდება 1997 წელს შპს „...“ მიერ მიწის ფაქტობრივი მფლობელობის (სარგებლობის) ფაქტი, ხოლო აღნიშნული გარემოების დამადასტურებელი სხვა მტკიცებულებები მხარის მიერ არ იქნა წარმოდგენილი.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ სააპელაციო სასამართლომ არ დაადგინა და არ შეაფასა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლოს საერთოდ არ გაუმიჯნავს ერთმანეთისაგან მიწის გადასახადი, როგორც გადასახადის ერთ-ერთი სახე და საიჯარო ქირის გადასახადი, როგორც შპს „...“ და წალკის რაიონის გამგეობას (უფლებამონაცვლე – წალკის მუნიციპალიტეტი) შორის

1997 წლის 12 მარტს გაფორმებული სასოფლო-სამეურნეო მიწის იჯარის ხელშეკრულების მე-2 მუხლის 1-ლი პუნქტით კონკრეტულად განსაზღვრული, მოიჯარის მიერ მეიჯარისათვის გადასახდელი მიწის ნაკვეთის სარგებლობის ყოველწლიური ქირა, რაც შეადგენდა 4578 ლარს. შესაბამისად, მოცემული საქმის მასალებიდან არ ირკვევა, გადახდილი აქვს თუ არა მოსარჩელეს იჯარის გადასახადი, ანუ გადაიხადა თუ არა მან იგი საერთოდ და თუ გადაიხადა, როდის, ხოლო, თუ შპს „...“ არ გააჩნდა საიჯარო ქირის დავალიანება, მაშინ მის მიერ 1997 წელს გადახდილი თანხა წარმოადგენდა მიწის გადასახადს თუ საიჯარო ქირის გადასახადს.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ მიწის გადასახადი და იჯარის ქირა არ წარმოადგენს იდენტურ ცნებებს, რადგან გადასახადი არის საქართველოს საგადასახადო კოდექსის მიხედვით ბიუჯეტსა და სპეციალურ სახელმწიფო ფონდებში სავალდებულო შენატანი, რომელსაც იხდის გადასახადის გამამხდელი, გადასახადის აუცილებელი, არაეკვივალენტური და უსასყიდლო ხასიათიდან გამომდინარე, ხოლო იჯარის ქირა წარმოადგენს სასყიდლიან, ეკვივალენტურ, მხარეთა შეთანხმებით განსაზღვრულ თანხას, რომელსაც მოიჯარე უხდის მეიჯარეს ხელშეკრულებით განსაზღვრულ დროსა და ადგილას.

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ აღნიშნული ფაქტობრივი გარემოების გარკვევას არსებითი და გადადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს მხარეთა შორის არსებული დავის სამართლებრივი რეგულირებისათვის.

საკასაციო სასამართლო ასევე მიუთითებს საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-4 მუხლზე, რომლის თანახმად, ადმინისტრაციული საქმის განხილვისას მხარეები სარგებლობენ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-4 მუხლით მინიჭებული უფლება-მოვალეობებით, ამასთან სასამართლო უფლებამოსილია თავისი ინიციატივით მიიღოს გადაწყვეტილება დამატებითი ინფორმაციის ან მტკიცებულებების წარმოსადგენად. ამავ კოდექსის მე-19 მუხლის 1-ლი და მე-2 ნაწილების თანახმად საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 103-ე მუხლით მინიჭებული უფლებამოსილების გარდა, სასამართლო უფლებამოსილია საკუთარი ინიციატივით შეაგროვოს ფაქტობრივი გარემოებები და მტკიცებულებები. საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ სააპელაციო სასამართლომ არა-თუ არ გამოიყენა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-4 და მე-19 მუხლებით მინიჭებული უფლებამოსილება, არამედ მიუთითა ისეთ მტკიცებულებაზე, რომელიც საქმეში საერთოდ არ არის წარმოდგენილი. სააპელაციო სასამართლომ სამოტივაციო ნაწილში მიუთითა საქმეში წარმოდგენილ 2008 წლის 11 ნოემბრის პერიოდისათვის შედგენილ შედარების აქტზე, თუმცა აღნიშნულ საქმის ფურცელზე წარმოდგენილია არა 2008 წლის 11 ნოემბრის პერიოდისათვის შედგენილი შედარების აქტი, არამედ გადამხდელის დარიცხვის დროებითი ბარათი (ს/ნ ...).

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ სააპელაციო სასამართლომ საქმის ხელახალი განხილვისას უნდა გამოიყენოს საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-4 მუხლით მინიჭებული უფლებამოსილება, რომლის თანახმად, ადმინისტრაციული საქმის განხილვისას მხარეები სარგებლობენ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-4 მუხლით მინიჭებული უფლება-მოვალეობებით, ამასთან სასამართლო უფლებამოსილია თავისი ინიციატივით მიიღოს გადაწყვეტილება დამატებითი ინფორმაციის ან მტკიცებულებების წარმოსადგენად. ამავ კოდექსის მე-19 მუხლის 1-ლი და მეორე ნაწილების თანახმად, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 103-ე მუხლით მინიჭებული უფლებამოსილების გარდა, სასამართლო უფლებამოსილია საკუთარი ინიციატივითაც შეაგროვოს ფაქტობრივი გარემოებები და მტკიცებულებები. მხარეს უფლება აქვს ამ ფაქტობრივი გარემოებების გამოყენებამდე და მტკიცებულებების შემოწმებამდე წარადგინოს საკუთარი მოსაზრება მათ თაობაზე. ზემოაღნიშნული ნორმის შინაარსიდან გამომდინარე, სასამართლომ უნდა მოიპოვოს შესაბამისი მტკიცებულებები და გამოიკვლიოს, შპს „...“ ასრულებდა საქართველოს საგადასახადო კოდექსით განსაზღვრულ საგადასახადო ვალდებულებას, თუ იხდიდა შესაბამისი საიჯარო ხელშეკრულებით განსაზღვრულ საიჯარო ქირას.

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ სააპელაციო სასამართლოს მოცემული საქმის განხილვისას საერთოდ არ გამოუკვლევია ზემოაღნიშნული, ამ საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები, რომელთა ყოველმხრივი და სრულყოფილი გამოკვლევა და ობიექტური სამართლებრივი შეფასება აუცილებელია წინამდებარე დავის სწორად გადაწყვეტისათვის.

ამდენად, საკასაციო სასამართლო იზიარებს კასატორის მოსაზრებას, რომ გასაჩივრებული განჩინება დაუსაბუთებელია. საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ კასატორმა სწორად გააკეთა კასაციის განაცხადი და სრულიად საფუძვლიანად მოითხოვა საქმის ხელახლა განსახილველად იმავე სასამართლოსთვის დაბრუნება.

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 1-ლი მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით, თუ ამ კოდექსით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის დებულებანი.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 105-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, სასამართლო აფასებს მტკიცებულებებს თავისი შინაგანი რწმენით, რომელიც უნდა ემყარებოდეს მათ ყოველმხრივ, სრულ და ობიექტურ განხილვას, რის შედეგადაც მას გამოაქვს დასკვნა საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებების არსებობის ან არარსებობის შესახებ. ამავ კოდექსის 412-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტის მიხედვით, საკასაციო სასამართლო აუქმებს გადაწყვეტილებას (განჩინებას) და საქმეს ხელახლა განსახილველად აბრუნებს სააპელაციო სასამართლოში, თუ არსებობს ამ კოდექსის 394-ე მუხლით გათვალისწინებული საფუძვლები, გარდა აღნიშნული მუხლის „გ“ და „ე“ ქვეპუნქტებისა. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 394-ე მუხლის „ე“ ქვეპუნქტის თანახმად კი, გადაწყვეტილება ყოველთვის ჩაითვლება კანონის დარღვევით მიღებულად, თუ გა-

დანყვეტილების დასაბუთება იმდენად არასრულია, რომ მისი სამართლებრივი საფუძვლიანობის შემოწმება შეუძლებელია.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლომ დაარღვია საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 105-ე მუხლის მე-2 ნაწილი – სრულყოფილად არ გამოიკვლია საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებები და შესაბამისად, არ მისცა მათ სწორი სამართლებრივი შეფასება, რის გამოც სახეზეა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 394-ე მუხლის „ე“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული საკასაციო საჩივრის აბსოლუტური საფუძველი, შესაბამისად, საკასაციო სასამართლო თვითონ ვერ მიიღებს გადაწყვეტილებას საქმეზე, რადგან არსებობს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე მუხლით გათვალისწინებული საქმის ხელახლა განსახილველად დაბრუნების საფუძველი.

ამდენად, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ მოცემული საქმის ხელახლა განხილვისას სააპელაციო სასამართლომ, ზემოხსენებულის გათვალისწინებით, ყოველმხრივ უნდა გამოიკვლიოს საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებები, სრულყოფილად დაადგინოს საქმის ფაქტობრივი გარემოებები და მისცეს მათ სწორი სამართლებრივი შეფასება.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს, გაუქმდეს გასაჩივრებული განჩინება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 408-ე მუხლის მე-3 ნაწილით, 412-ე მუხლით და

და ა დ გ ი ნ ა:

1. საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის რუსთავის რეგიონალური ცენტრის (საგადასახადო ინსპექციის) საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;
2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2008 წლის 23 დეკემბრის განჩინება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს;
3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

გადასახადის გადახდელის სასაქონლო-მატერიალურ ფასეულობათა ინვენტარიზაცია

ბანკინება

№ბს-1248-1234(კ-11)

20 დეკემბერი, 2011 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატა
შემადგენლობა: ნ. წკებლაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
მ. ვაჩაძე,
პ. სილაგაძე

დავის საგანი: ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების ნაწილობრივ ბათილად ცნობა

აღწერილობითი ნაწილი:

მოსარჩელე: სს „...“

მოპასუხე: სსიპ შემოსავლების სამსახური

სარჩელის სახე: საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 22-ე მუხლის მე-2 ნაწილის საფუძველზე ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების ბათილად ცნობა.

სარჩელის საგანი:

- 1) შემოსავლების სამსახურის 2010 წლის 23 სექტემბრის №1796 ბრძანების ბათილად ცნობა;
- 2) შემოსავლების სამსახურის თბილისის რეგიონული ცენტრის 2010 წლის 20 აგვისტოს №2395, №2397, №2396 საბაჟო შეტყობინებების ბათილად ცნობა;
- 3) საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის 2010 წლის 29 ივლისის საბაჟო სამართალდარღვევის №031635 და №031593 ოქმების ბათილად ცნობა.

სარჩელის საფუძველი:

ფაქტობრივი: მოსარჩელის მითითებით, საბაჟო საწყოში მწარე ნაყენი „...“ – 1274,82 ლიტრისა და ეთილის სპირტის – 2135,059 ლიტრის არ არსებობა არ ნიშნავს დეკლარაციის გარეშე საქონლის თავისუფალ მიმოქცევაში გაშვებას, ვინაიდან, უფლებამოსილი ორგანოს მიერ დადგენილია ამ საქონელზე დანაკარგების ზღვრული ოდენობა და რეალური დანაკარგი არ არის ამ ოდენობაზე მეტი.

საბაჟო საწყოში 1400 ცალი ბოთლის არსებობა, რომელიც თითქმის რეალურად არ უნდა ყოფილიყო საბაჟო საწყოში (ანუ 1400 ცალი ბოთლის თითქმის ზედმეტობა), განპირობებულია იმით, რომ მოცემულ

შემთხვევაში არ მომხდარა აღწერის შედეგების ბუღალტრულ ჩანაწერებთან შედარება, იმის გამო, რომ აღწერის ჩატარების დროისათვის სს „...“ გატანილი იყო საბუღალტრო დოკუმენტები.

ამასთან, სს „...“ გაფორმდა საგადასახადო შეთანხმება, რაც გამორიცხავს გადამხდელისათვის სხვა არ აღიარებული საგადასახადო ვალდებულების დაკისრებას.

სამართლებრივი: მოსარჩელე თვლის რომ ბათილად უნდა იქნეს ცნობილი სადავო ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტები ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 60.1 მუხლის, საგადასახადო კოდექსის 12.26 მუხლის, „ვაზისა და ღვინის შესახებ“ კანონის 33.6.3 მუხლის, საბაჟო კოდექსის 105.2 მუხლის, „გადასახადის გადამხდელის სასაქონლო-მატერიალურ ფასეულობათა ინვენტარიზაციის ჩატარების წესის შესახებ“ ინსტრუქციის 2009 წლის 23 ივლისის საქართველოს ფინანსთა მინისტრის №472 ბრძანების 1-ლი მუხლის „ბ“ ქვეპუნქტის, „საგადასახადო შეთანხმების გაფორმების წესისა და პირობების“ (საქართველოს მთავრობის 2009 წლის 15 დეკემბრის №230 დადგენილება); საქართველოს მთავრობის 2010 წლის 25 აგვისტოს №1127 განკარგულების; 2010 წლის 6 სექტემბრის №169-10 შეთანხმების საფუძველზე.

მოპასუხე: შემოსავლების სამსახური; თბილისის რეგიონალურმა ცენტრმა სარჩელი არ ცნო და მოითხოვა მოსარჩელისათვის სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა.

ფაქტობრივი: მოპასუხე არ დაეთანხმა მოსარჩელის მიერ სარჩელში მითითებულ გარემოებას, რომ საბაჟო სანჯოში საქონლის დანაკლისის ადგილი არ ჰქონია და შემომწმებლის მიერ არ იქნა გათვალისწინებული ყურძნისა და ყურძნისეული წარმოშობის ღვინო-მასალებზე (საკონიაკე სპირტზე) ბუნებრივი დანაკარგების ზღვრული ნორმები, რომელიც დადგენილია „ვაზისა და ღვინის შესახებ“ საქართველოს კანონით და ძალაშია ბუნებრივი დანაკლისების რეგლამენტური ნორმების დადგენამდე, ასევე არამართებულია მოსარჩელის მოსაზრება, რომ საბუღალტრო მონაცემები დამატებით გადამოწმებას საჭიროებს.

სამართლებრივი: საბაჟო კოდექსის 248-ე მუხლის შესაბამისად, საბაჟო ზედამხედველობის ქვეშ მყოფი საქონლის ან/და სატრანსპორტო საშუალების საბანკო ზედამხედველობიდან გატანა/გასვლა, რასაც თან ახლავს საქართველოს საბაჟო კანონმდებლობით დადგენილი პირობების დარღვევა და რამაც გამოიწვია საბაჟო ზედამხედველობის ქვეშ მყოფი საქონლის ან/და სატრანსპორტო საშუალების დაკარგვა, განადგურება და უკანონო განკარგვა, იწვევს საქონლის ან/და სატრანსპორტო საშუალების მფლობელის დაჯარიმებას იდენტიურ/მსგავს საქონელზე ან/და სატრანსპორტო საშუალებაზე გადასახდელი იმპორტის გადასახდელების თანხის 100%-ის ოდენობით და შესაბამისად, სანქციის თანხამ შეადგინა 9229 ლარი, ამასთან, სწარმოს დაეკისრა საბაჟო გადასახდელების ძირითადი თანხა – 9229 ლარის ოდენობით და საურავი 237-ე მუხლის გათვალისწინებით 3757,30 ლარის ოდენობით. ამავე კოდექსის 252-ე მუხლის შესაბამისად, საბაჟო სანჯოში, თავისუფალი სანჯოში ან უბაჟო ვაჭრობის პუნქტის საქმიანობის ნებართვის მფლობელის მიერ საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი დაჯარიმებას ყოველ შემდგომ განმეორებაზე იწვევს 900 ლარით, ხოლო 242-ე მუხლით, კი პირის მიერ საქართველოს საბაჟო საზღვარზე საქონლის გატანა ან გადმოტანა საბაჟო კონტროლის გვერდის ავლით ან მისგან მალულად, ჩადენილი განმეორებით, პირის დაჯარიმებას საბაჟო კონტროლის გვერდის ავლით ან მისგან მალულად გადატანილი ან გადმოტანილი საქონლის საბაჟო ღირებულების 100%-ის ოდენობით, მაგრამ არანაკლებ 4000 ლარისა, აგრეთვე საქონლის ან/და სატრანსპორტო საშუალების ჩამორთმევას.

საქმის გარემოებები: თბილისის რეგიონული ცენტრის 2010 წლის 29 აპრილის №11/03-104 ბრძანების საფუძველზე სს „...“ უფლებამოსილი პირის 2010 წლის 30 აპრილის №7 ბრძანებით შექმნილი საინვენტარიზაციო კომისიის მიერ ჩატარდა საბაჟო კონტროლს დაქვემდებარებული სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების ინვენტარიზაცია. ვინაიდან, საინვენტარიზაციო კომისიის მიერ ვერ მოხერხდა ბუღალტრული ნაშთის წარმოდგენა და შესაბამისად, შედეგების გამოყვანა სასაქონლო-მატერიალური ფასეულობის ფაქტიური აღწერა მოხდა კომისიის წევრებისა და სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს ექსპერტების მიერ. საბაჟო ბაზის ფაქტიური აღწერის მონაცემებთან შედარების გამოვლინდა გარკვეული სახის სხვაობები: კერძოდ, რექტიფიცირებული ეთილის სპირტის (96.7%) დანაკლისი – 2 135,064 ლიტრი, მწარე ნაყენის „...“-ის (40%) დანაკლისი – 1 274,89 ლიტრი, მწარე ნაყენის „...“-ის (63%) ზედმეტობა – 517,007 ლიტრი; გამოვლინდა აგრეთვე 1 400 ცალი 0,5-ლიტრიანი მინის ბოთლის ზედმეტობა.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, 2010 წლის 29 ივლისის №031592 ოქმით, ვინაიდან მოსარჩელის საბაჟო სანჯოში არ აღმოჩნდა მწარე ნაყენი „...“ და ეთილის სპირტი, აღნიშნული ჩაითვალა დეკლარირების გარეშე თავისუფალ მიმოქცევაში გაშვებულ საქონლად და 2010 წლის 20 აგვისტოს №2395 საბაჟო შეტყობინებით დაეკისრა 22215,30 ლარი, 2010 წლის 29 ივლისის №031635 ოქმით, ვინაიდან მოსარჩელის საბაჟო სანჯოში აღმოჩნდა 1400 ცალი მინის ბოთლი, რომელიც რეალურად არ უნდა ყოფილიყო, აღნიშნული ჩაითვალა საბაჟო კონტროლის გვერდის ავლით საქართველოს საბაჟო საზღვარზე საქონლის გადმოტანად და ამისათვის 2010 წლის 20 აგვისტოს №2397 საბაჟო შეტყობინებით დაეკისრა – 4000 ლარი, 2010 წლის 29 ივლისის №031593 ოქმით ზემოაღნიშნული ზედმეტობა-დანაკლისისათვის 2010 წლის 20 აგვისტოს №2396 საბაჟო შეტყობინებით დაეკისრა 9000 ლარის გადახდა.

მოსარჩელემ 2010 წლის 11 აგვისტოს შემოსავლების სამსახურს საჩივრით მიმართა და მოითხოვა თბილისის რეგიონალური ცენტრის 2010 წლის 29 ივლისის №031635 და №031593 სამართალდარღვევის ოქმების ბათილად ცნობა.

შემოსავლების სამსახურის 2010 წლის 23 სექტემბრის №1796 ბრძანებით ზემოაღნიშნული საჩივარი არ დაკმაყოფილდა.

რაიონული /საქალაქო/ სასამართლოს გადაწყვეტილება/სარეზოლუციო/:

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2011 წლის 14 თებერვლის გადაწყვეტილებით საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 32.4 მუხლის თანახმად, სადავო საკითხის გადაწყვეტილად ბათილად იქნა ცნობილი მოპასუხის – საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის თბილისის რეგიონალური ცენტრის 2010 წლის 20 აგვისტოს №2397 საბაჟო შეტყობინება (დაკისრებული თანხა – 4 000 ლარი), აგრეთვე 2010 წლის 20 აგვისტოს №2396 საბაჟო შეტყობინება (დაკისრებული თანხა – 9 000 ლარი); შესაბამისად, მოპასუხეს – საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის თბილისის რეგიონალური ცენტრის დაევალა სადავო საკითხებთან დაკავშირებული ფაქტებისა და გარემოებების გამოკვლევის, შესწავლისა და შეფასების შედეგად ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის (აქტების) გამოცემა; მოსარჩელეს – ს.ს. „...“ უარი ეთქვა მოპასუხის – საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის თბილისის რეგიონალური ცენტრის 2010 წლის 20 აგვისტოს №2395 საბაჟო შეტყობინების ბათილად ცნობაზე; საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 32.4 მუხლის თანახმად, ნაწილობრივ ბათილად იქნა ცნობილი მოპასუხის – საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის 2010 წლის 23 სექტემბრის №1796 ბრძანება, იმ ნაწილში, რომლითაც არ დაკმაყოფილდა მოსარჩელის – ს.ს. „...“ ადმინისტრაციული საჩივარი მოპასუხის – საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის თბილისის რეგიონალური ცენტრის 2010 წლის 20 აგვისტოს №2397 საბაჟო შეტყობინებისა (დაკისრებული თანხა – 4 000 ლარი) და 2010 წლის 20 აგვისტოს №2396 საბაჟო შეტყობინების (დაკისრებული თანხა – 9 000 ლარი) ბათილად ცნობის თაობაზე; მოსარჩელეს – ს.ს. „...“ უარი ეთქვა მოპასუხის – საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის 2010 წლის 23 სექტემბრის №1796 ბრძანების იმ ნაწილში ბათილად ცნობაზე, რომლითაც არ დაკმაყოფილდა მოსარჩელის – ს.ს. „...“ ადმინისტრაციული საჩივარი მოპასუხის – საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის თბილისის რეგიონალური ცენტრის 2010 წლის 20 აგვისტოს №2395 საბაჟო შეტყობინების ბათილად ცნობის თაობაზე.

სასამართლოს მიერ უდავოდ მიჩნეული ფაქტები:

თბილისის რეგიონალური ცენტრის 2010 წლის 29 აპრილის №11/03-104 ბრძანების საფუძველზე ჩატარდა ს.ს. „...“ კუთვნილ საბაჟო კონტროლს დაქვემდებარებული სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების ინვენტარიზაცია; მოსარჩელის – ს.ს. „...“ კუთვნილი საბაჟო საწყობის აღწერის შედეგად გამოვლინდა გარკვეული სახის სხვაობები.

2010 წლის 29 ივლისის შემოსავლების სამსახურის თბილისის რეგიონალურმა ცენტრმა გამოსცა №031592 საბაჟო სამართალდარღვევის ოქმი საქართველოს საბაჟო კოდექსის 248-ე მუხლის შესაბამისად, კერძოდ, მოსარჩელემ უკანონოდ განკარგა საბაჟო ზედამხედველობის ქვეშ მყოფი საქონელი, აღნიშნული სამართალდარღვევის ოქმის საფუძველზე გამოიცა 2010 წლის 20 აგვისტოს №2395 საბაჟო შეტყობინება, რომლითაც მოსარჩელეს სახელმწიფო ბიუჯეტში გადასახდელად დაეკისრა – 22 215,30 ლარი.

შემოსავლების სამსახურის თბილისის რეგიონალურმა ცენტრმა 2010 წლის 29 ივლისის გამოსცა №031593 საბაჟო სამართალდარღვევის ოქმი საქართველოს საბაჟო კოდექსის 252-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული საბაჟო სამართალდარღვევის გამო, კერძოდ, მოსარჩელემ არ შეასრულა საბაჟო საწყობის მფლობელობისთვის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნები, რომლის საფუძველზეც 2010 წლის 20 აგვისტოს №2396 საბაჟო შეტყობინებით მოსარჩელეს დაეკისრა ჯარიმის – 9 000 ლარის გადახდა.

შემოსავლების სამსახურის თბილისის რეგიონალურმა ცენტრმა შეადგინა ს.ს. „...“ მიმართ 2010 წლის 29 ივლისის №031635 საბაჟო სამართალდარღვევის ოქმი მასზედ, რომ მოსარჩელემ ჩაიდინა საქართველოს საბაჟო კოდექსის 242-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული საბაჟო სამართალდარღვევა; კერძოდ, მოსარჩელემ საბაჟო კონტროლის გარეშე გადმოიტანა საქონელი საქართველოს საბაჟო საზღვარზე და მის საფუძველზე გამოსცა 2010 წლის 20 აგვისტოს №2397 საბაჟო შეტყობინება, რომლითაც მოსარჩელეს სახელმწიფო ბიუჯეტში გადასახდელად დაეკისრა ჯარიმის თანხა – 4 000 ლარი;

ს.ს. „...“ საბაჟო საწყობში ინვენტარიზაციის ჩატარების დროს თბილისის რეგიონალურმა ცენტრმა განცხადებით მიმართა საექსპერტო დაწესებულებას და მოითხოვა მოსარჩელის საწყობში არსებული სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების მოცულობებისა და რაოდენობების დადგენა, აგრეთვე ადგილზე არსებული საქონლის სახეობათა მიხედვით დიფერენცირება; 2010 წლის 30 ივნისის №6285/03/2/1-04/2 ექსპერტიზის დასკვნით ირკვევა, რომ ექსპერტებმა საწარმოს ტერიტორიაზე არსებულ 22 ცალ რეზერვუარში არსებული საქონლის (სითხის) რაოდენობა დაადგინეს ამ რეზერვუარების შიგთავსის ჩაზომვის გზით, საქართველოს სტანდარტიზაციის, მეტროლოგიისა და სერტიფიკაციის დეპარტამენტის მიერ 2004 წლის 6 ივნისს შედგენილი გრადუირების ცხრილებზე დაყრდნობით; ამდენად, სასამართლო დაეყრდნო ზემოაღნიშნულ ექსპერტიზის დასკვნას და ინვენტარიზაციის შედეგებს, დადგენილად მიიჩნია ის გარემოება, რომ მოსარჩელის – ს.ს. „...“ კუთვნილი საბაჟო საწყობის აღწერის შედეგად გამოვლინდა გარკვეული სახის სხვაობები; კერძოდ, რექტიფიცირებული ეთილის სპირტის (96.7%) დანაკლისი – 2 135,064 ლიტრი, მწარე ნაყენის „...“-ის (40%) დანაკლისი – 1 274,89 ლიტრი;

სითხეების – მწარე ნაყენის „...“-ისა და რექტიფიცირებული ეთილის სპირტის ფაქტიური ოდენობები, რაც დადგენილ იქნა ინვენტარიზაციის დროს, მოსარჩელის მხრიდან სადავო არ არის;

სასამართლოს მიერ სადავოდ მიჩნეული ფაქტები:

სასამართლოს განმარტებით, სითხეების – მწარე ნაყენის „...“-ისა და რექტიფიცირებული ეთილის სპირტის ფაქტიური ოდენობები, რაც დადგენილ იქნა ინვენტარიზაციის დროს, მოსარჩელის მხრიდან სადავო არ არის, კონკრეტულ შემთხვევაში სადავოა საკითხის სამართლებრივი შეფასება, ხოლო რაც შეეხე-

ბა სს „...“ კუთვნილ საწყობში აღმოჩენილი 1 400 ცალ ბოთლს, მოსარჩელის განმარტებით, იგი არ წარმოადგენს ზედმეტობას, ვინაიდან, ბუღალტრული ჩანაწერების მიხედვით ეს ბოთლები საწარმოს აღრიცხული აქვს; ზედმეტობის საფუძველი ის არის, რომ საინვენტარიზაციო კომისიამ ფაქტობრივი აღწერის შედეგები ვერ შეუდარა საწარმოს ბუღალტრულ ნაშთებს, რადგან ინვენტარიზაციის დაწყების მომენტში საგადასახადო ორგანოს სრულად ჰქონდა ამოღებული და წაღებული საწარმოს საბუღალტრო დოკუმენტაცია.

საქმის სასამართლო განხილვის დროს მხარეებს შორის დავა გამოიწვია იმ ფაქტმა, თუ სს „...“ კუთვნილ საწყობში ჩატარებული ინვენტარიზაციის შედეგად ადგილზე რომელი სახეობის მინის ბოთლები აღმოჩნდა აღურიცხავი საქონლის სახით 0,5 ლიტრის თუ 0,7 ლიტრის ტევადობის. №3 დანართში (იგივე სასაქონლო – მატერიალური ფასეულობების აღრიცხვის შესახებ 2010 წლის 07 მაისს შედგენილ ოქმში) მითითებულია, რომ სს „...“ კუთვნილ საბაჟო საწყობში ჩატარებული ფაქტიური აღწერის შედეგად აღმოჩნდა, რომ ადგილზე საწყობში ინახებოდა 1 400 ცალი 0,7 ლ. ტევადობის მინის ბოთლი; ხოლო თბილისის რეგიონული ცენტრის კონტროლის სამმართველოს მთავარი ოფიცერისა და საბაჟო დამუშავების ოპერაციების 2010 წლის 9 სექტემბრის მოხსენებით ბარათში მითითებულია, რომ სს „...“ საწყობში აღმოჩენილია 1 400 ცალი 0,5 ლიტრი ტევადობის მინის ბოთლი.

სასამართლოს მიერ თავისი ინიციატივით მოპოვებული და დადგენილი ფაქტების შეფასება:

სასამართლომ, 2009 წლის 19 ივნისის საბაჟო დეკლარაციაზე, სს „...“ 2009 წლის მე-3 და მე-4 კვარტლებისა და 2010 წლის 1-ლი და მე-2 კვარტლების ანგარიშებზე დაყრდნობით დადგენილად მიიჩნია, რომ ინვენტარიზაციის პროცესში შედგენილ დოკუმენტში – №3 დანართში (იგივე სასაქონლო – მატერიალური ფასეულობების აღრიცხვის შესახებ 2010 წლის 7 მაისს შედგენილ ოქმში) მითითებული მატერიალური ფასეულობა – 1 400 ცალი 0,7 ლ. ტევადობის მინის ბოთლი არც ინვენტარიზაციის პროცესში და არც მანამდე არ წარმოადგენდა აღურიცხავ საქონელს; მოსარჩელემ წარმოდგენილი დოკუმენტებით შეძლო იმ გარემოების დადასტურება, რომ 1 400 ცალი 0,7 ლიტრი ტევადობის ბოთლი წარმოადგენდა 2009 წლის 19 ივნისის იმპორტირებული 0,7 ლიტრი ტევადობის 29 358 ცალი ბოთლის ნარჩენ ნაწილს, რომლის შესახებ ინფორმაცია რეგულარულად აღირიცხებოდა და მიენოღებოდა შემოსავლების სამსახურს. სასამართლოს განმარტებით, მოპასუხეს უნდა ეხელმძღვანელა სს „...“ 2009 წლის მე-3 და მე-4 კვარტლების, აგრეთვე 2010 წლის 1-ლი და მე-2 კვარტლების ანგარიშებით და ინვენტარიზაციის შედეგების გადამოწმების მიზნით მარტო ელექტრონული ბაზის მონაცემებით არ უნდა შემოფარგულიყო, მით უფრო, რომ მოსარჩელეს მითითებულ პერიოდში არ გააჩნდა თავისი საბუღალტრო დოკუმენტაცია.

სასამართლოს დასკვნები – სასამართლომ მიიჩნია, რომ სს „...“ სარჩელის მოთხოვნა ნაწილობრივ საფუძვლიანია.

სამართლებრივი შეფასება /კვალიფიკაცია/:

საქართველოს საგადასახადო კოდექსის 110-ე მუხლის 1-ლი ნაწილით დადგენილია, რომ საგადასახადო ორგანოს უფროსს უფლება აქვს, სასამართლოს გადაწყვეტილების გარეშე გამოსცეს აქციზური საქონლის მფლობელი პირის სასაქონლო-მატერიალური ფასეულობის ინვენტარიზაციის ჩატარების ბრძანება.

საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2009 წლის 23 ივლისის №472 ბრძანებით დამტკიცებული „გადასახადის გადამხდელის სასაქონლო-მატერიალურ ფასეულობათა ინვენტარიზაციის ჩატარების წესის შესახებ“ ინსტრუქციის მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, სასაქონლო-მატერიალურ ფასეულობათა ინვენტარიზაციის (შემდგომში – ინვენტარიზაცია) მიზანია დროის გარკვეულ პერიოდისთვის გადასახადის გადამხდელის მფლობელობაში არსებული სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების ფაქტიური მდგომარეობის, სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების წარმოებისა და მათი შენახვის ადგილზე, სამეურნეო საქმიანობის პროცესში გამოყენებული ნედლეულის, მასალების, ნახევარფაბრიკატების, მარაგ-ნაწილების, ტარისა და მზა პროდუქციის (საქონლის) ნაშთების, სააღრიცხვო (საბუღალტრო) ჩანაწერებთან შედარება.

საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2009 წლის 23 ივლისის №472 ბრძანებით დამტკიცებული „გადასახადის გადამხდელის სასაქონლო-მატერიალურ ფასეულობათა ინვენტარიზაციის ჩატარების წესის შესახებ“ ინსტრუქციის მე-6 მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, საინვენტარიზაციო კომისიის მიერ განსახორციელებელ სასაქონლო-მატერიალურ ფასეულობათა ინვენტარიზაციის პროცედურა მოიცავს შემდეგ ეტაპებს: ა) სასაქონლო-მატერიალურ ფასეულობათა ნაშთის სააღრიცხვო (საბუღალტრო) მონაცემების დადგენას; ბ) სასაქონლო-მატერიალურ ფასეულობათა ფაქტიური მდგომარეობის აღრიცხვას; გ) ფაქტიური და სააღრიცხვო (საბუღალტრო) მონაცემების ურთიერთშედარება და შედეგების გამოყვანას.

საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2009 წლის 23 ივლისის №472 ბრძანებით დამტკიცებული „გადასახადის გადამხდელის სასაქონლო-მატერიალურ ფასეულობათა ინვენტარიზაციის ჩატარების წესის შესახებ“ ინსტრუქციის მე-7 მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, გადასახადის გადამხდელი ვალდებულია საინვენტარიზაციო კომისიას წარუდგინოს ინფორმაცია სასაქონლო-მატერიალურ ფასეულობათა დასახელების, რაოდენობის, ამ ფასეულობათა მიღების თარიღის, სასაქონლო ზედნადებების ელექტრონული რეესტრის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ან/და საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის ან საბაჟო დოკუმენტაციის თარიღისა და ნომრების, თვითღირებულებისა და სხვა მონაცემების ჩვენებით. საინვენტარიზაციო კომისია, საინვენტარიზაციო კომისიის შექმნის ბრძანებით განსაზღვრულ ვადაში გადასახადის გადამხდელთან ერთად ადგენს ამ ფასეულობების ნაშთების სააღრიცხვო (საბუღალტრო) მონაცემებს. ამავე ინსტრუქციის მე-7 მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების ნაშთების

სააღრიცხვო (საბუღალტრო) მონაცემების დაზუსტების შემდეგ, საინვენტარიზაციო კომისია ადგენს ოქმს „საბუღალტრო დოკუმენტებში აღრიცხული სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების ნაშთის შესახებ“ (დანართი №1), ხოლო მე-9 მუხლის 1-ლი პუნქტის თანახმად, კი საინვენტარიზაციო კომისიის მუშაობა ფორმდება შემაჯამებელი ოქმით, რომელშიც აისახება ინვენტარიზაციის შედეგები.

იმავე ინსტრუქციის მე-9 მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების საბუღალტრო დოკუმენტებში აღრიცხული და ფაქტიური მდგომარეობის აღრიცხვის მონაცემების შედარების მიზნით, საინვენტარიზაციო კომისია ადგენს ოქმს „სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების ბუღალტრული აღრიცხვისა და ფაქტიური აღრიცხვის მონაცემების შედარების შესახებ“ (დანართი №4). ამავე ინსტრუქციის მე-9 მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად, გადასახადის გადამხდელის მფლობელობაში არსებული სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების ინვენტარიზაციის პროცედურის შედეგებზე საინვენტარიზაციო კომისიის მიერ პროცედურის დასრულებისთანავე დგება ოქმი დანართი №6-ის შესაბამისად. იმავე ინსტრუქციის მე-9 მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, დანართი №6-ში შეიტანება ის მონაცემები, რომლებიც გამოვლინდა №4 და №5 დანართებში, მხოლოდ დანაკლისის და აღურიცხავი სასაქონლო-მატერიალური ფასეულობის მიხედვით.

სასამართლოს განმარტებით, სანარმოს საბაჟო სანყობში ჩატარებული ინვენტარიზაციის მიუხედავად, საინვენტარიზაციო კომისიამ ვერ შეადგინა საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2009 წლის 23 ივლისის №472 ბრძანებით დამტკიცებული „გადასახადის გადამხდელის სასაქონლო-მატერიალურ ფასეულობათა ინვენტარიზაციის ჩატარების წესის შესახებ“ ინსტრუქციით გათვალისწინებული №1, №4 და №6 დანართები; სასამართლოს მიაჩნია, რომ სანარმოში გამოვლენილი ზედმეტობის (1 400 ცალი ბოთლის) გამო წარმოშობილი დავის გადაწყვეტის პროცესში დასახელებული დანართები შეასრულებდა არსებით როლს; კერძოდ, №1 დანართი, მისი არსებობის შემთხვევაში, ცხადყოფდა, ბუღალტრულ ნაშთებში ჰქონდა თუ არა აღრიცხული მოსარჩელეს 1 400 ცალი 0,7 ლიტრი ტევადობის მინის ბოთლი; №1 და №3 დანართების ერთობლიობა (მათი ურთიერთშედარების შედეგი) ასევე განსაზღვრავდა №4 და №6 დანართების შინაარსს;

სასამართლოს მოსაზრებით, იმის გამო, რომ საინვენტარიზაციო კომისიამ ვერ შეადგინა №1, №4 და №6 დანართები, მოპასუხის მიერ №3 დანართის მონაცემების შედარება მარტო საბაჟო ორგანოს ელექტრონული ბაზის მონაცემებთან არასწორი და დაუსაბუთებელია.

საქალაქო სასამართლოს განმარტებით, თბილისის რეგიონული ცენტრის 2010 წლის 20 აგვისტოს №2397 საბაჟო შეტყობინებასთან (ჯარიმის თანხა – 4 000 ლარი) მიმართებაში მოპასუხემ ხელახლა უნდა გამოიკვლიოს მოცემულ სადავო საკითხთან დაკავშირებული ფაქტები და გარემოებები და ისე გადაწყვიტოს ამ სახეობის საქონლის (1 400 ცალი ბოთლის) ნაწილში მოსარჩელის პასუხისმგებლობის საკითხი;

რაც შეეხება თბილისის რეგიონული ცენტრის 2010 წლის 20 აგვისტოს №2396 საბაჟო შეტყობინებას (დაკისრებული თანხა – 9 000 ლარი), სასამართლოს განმარტებით, საქართველოს საბაჟო კოდექსის 252-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, საბაჟო სანყობის, თავისუფალი სანყობის ან უბაჟო ვაჭრობის პუნქტის საქმიანობის ნებართვის მფლობელის მიერ საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი სანებართვო პირობების შეუსრულებლობა, – ინვეს ნებართვის მფლობელის დაჯარიმებას 3 000 ლარით, ამავე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, ამ მუხლის 1-ლი ნაწილით გათვალისწინებული ქმედება, ჩადენილი განმეორებით, – ინვეს ნებართვის მფლობელის დაჯარიმებას ყოველ შემდგომ განმეორებაზე 9000 ლარით.

თბილისის რეგიონული ცენტრის 2010 წლის 20 აგვისტოს №2396 საბაჟო შეტყობინების გამოცემას საფუძვლად დაედო ის ფაქტი, რომ მოსარჩელეს ინვენტარიზაციის შედეგად აღმოაჩნდა როგორც დანაკლისი, ისე – ზედმეტობა, ანუ ამ ორი ფაქტორის გათვალისწინებით მოპასუხემ მიიჩნია, რომ მოსარჩელის მხრიდან ადგილი ჰქონდა ერთი და იგივე სახეობის საბაჟო გადაცდომის – სანებართვო პირობების შეუსრულებლობის (საქართველოს საბაჟო კოდექსის 252-ე მუხლის 1-ლი ნაწილით გათვალისწინებული გადაცდომის) განმეორებით ჩადენას; იმის გათვალისწინებით, რომ მოცემული გადაწყვეტილებით სადავო საკითხის გადაწყვეტლად ბათილად იქნა ცნობილი სს „...“ საბაჟო სანყობში გამოვლენილი ზედმეტობის (ანუ ერთი გადაცდომის) გამო გამოცემული ადმინისტრაციული აქტი - 2010 წლის 20 აგვისტოს №2397 საბაჟო შეტყობინება (ჯარიმის თანხა – 4 000 ლარი), მოპასუხე მხარემ უნდა გამოარკვიოს, ნამდვილად ჰქონდა თუ არა მოსარჩელის მხრიდან ადგილი საქართველოს საბაჟო კოდექსის 252-ე მუხლის 1-ლი ნაწილით გათვალისწინებულ გადაცდომის განმეორებითობას და თუკი აღმოჩნდება, რომ მოსარჩელეს არ ჰქონია 1400 ცალი, 0,7 ლიტრი ტევადობის ბოთლების ზედმეტობა და მას მხოლოდ ჰქონდა ეთილის სპირტისა და მწარე ნაყენის დანაკლისი, მაშინ მოპასუხემ მოსარჩელის ქმედება უნდა დააკვალიფიციროს საქართველოს საბაჟო კოდექსის 252-ე მუხლის 1-ლი და არა მე-2 ნაწილით.

სასამართლომ, თბილისის რეგიონული ცენტრის 2010 წლის 20 აგვისტოს №2395 საბაჟო შეტყობინებასთან დაკავშირებით განმარტა, რომ – საქართველოს საბაჟო კოდექსის 248-ე მუხლით დადგენილია, რომ საბაჟო ზედამხედველობის ქვეშ მყოფი საქონლის ან/და სატრანსპორტო საშუალების საბაჟო ზედამხედველობიდან გატანა/გასვლა, რასაც თან ახლავს საქართველოს საბაჟო კანონმდებლობით დადგენილი პირობების დარღვევა და რამაც გამოიწვია საბაჟო ზედამხედველობის ქვეშ მყოფი საქონლის ან/და სატრანსპორტო საშუალების დაკარგვა, განადგურება ან უკანონო განკარგვა, – ინვეს საქონლის ან/და სატრანსპორტო საშუალების მფლობელის დაჯარიმებას იდენტურ/მსგავს საქონელზე ან/და სატრანსპორტო საშუალებაზე გადასახდელი იმპორტის გადასახდელების თანხის 100 პროცენტის ოდენობით.

საქართველოს საბაჟო კოდექსის 237-ე მუხლით დადგენილია, რომ თუ საბაჟო გადასახდელების თანხები გადახდილი არ არის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ ვადაში, პირი ვალდებულია ამ თან-

ხებთან ერთად გადაიხადოს საურავი საქართველოს საგადასახადო კოდექსის 129-ე მუხლით გათვალისწინებული ოდენობითა და წესით.

საქართველოს საგადასახადო კოდექსის მე-12 მუხლის 26-ე პუნქტით დადგენილია, რომ დანაკლისი – ეს არის გადასახადის გადამხდელის ბუღალტრულ ჩანაწერებთან შედარებისას გამოვლენილი სასაქონლო-მატერიალურ ფასეულობათა ნაკლებობა (მათ შორის, ინვენტარიზაციის საშუალებით). ისეთ სასაქონლო-მატერიალურ ფასეულობათა მიმართ, რომელთა დასაწყობება ფიზიკურად შეუძლებელია (ელექტრო-და თბოენერგია, გაზი და წყალი), დანაკლისად ჩაითვლება სხვაობა შეძენილ (შეძენის დამადასტურებელი დოკუმენტის მიხედვით) და რეალიზებულ (გადასახადის გადამხდელისგან ფაქტობრივად გასულ) სასაქონლო-მატერიალურ ფასეულობათა შორის, თუ ვერ დგინდება დებიტორი (ამნაზღაურებელი) ან/და მიმთვისებელი. ამასთან, თუ უფლებამოსილი ორგანოს მიერ დადგენილია დანაკარგის მაქსიმალური ზღვრული ოდენობა, დანაკლისად ჩაითვლება ამ ოდენობაზე მეტი ნაკლებობა.

სასამართლომ დადგენილად მიიჩნია ის გარემოება, რომ ინვენტარიზაციის დროს გამოვლინდა სხვაობები მოსარჩელის ბუღალტრული ჩანაწერების მონაცემებსა და ფაქტობრივად არსებულ ოდენობებს შორის, ამასთან, არსებითია, რომ არც ინვენტარიზაციის ჩატარებისა და არც შემდგომ პერიოდში არ არსებობდა და დღემდე არ არსებობს უფლებამოსილი ორგანოს მიერ დადგენილი დანაკარგის მაქსიმალური ზღვრული ოდენობები, რის გამოც შეუძლებელია, დადგინდეს, მოსარჩელის საბაჟო საწყობში ჩატარებული ინვენტარიზაციის პროცესში გამოვლენილი სხვაობები თავსდება თუ არა დანაკარგის ზღვრულ ფარგლებში, რის გამოც სარჩელი თბილისის რეგიონული ცენტრის 2010 წლის 20 აგვისტოს №2395 საბაჟო შეტყობინების ბათილად ცნობისა და მის ნაწილში საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ შემოსავლების სამსახურის 2010 წლის 23 სექტემბრის №1796 ბრძანების ბათილად ცნობის ნაწილი არ უნდა დაკმაყოფილდეს.

აპელანტი: სს „...“

მონინალმდევე მხარე: სსიპ შემოსავლების სამსახური (თბილისის რეგიონული ცენტრი)

აპელაციის საგანი და მოცულობა /ფარგლები/

სს „...“ ახალი გადაწყვეტილებით მოითხოვდა სსიპ შემოსავლების სამსახურის თბილისის რეგიონული ცენტრის 2010 წლის 20 აგვისტოს №2395 საბაჟო შეტყობინების, სსიპ შემოსავლების სამსახურის 2010 წლის 23 სექტემბრის №1796 ბრძანების, სსიპ შემოსავლების სამსახურის თბილისის რეგიონული ცენტრის 2010 წლის 20 აგვისტოს №2395 საბაჟო შეტყობინების ბათილად ცნობაზე უარის თქმის ნაწილში ბათილად ცნობა

აპელაციის მოტივები:

ფაქტობრივი: სასამართლოს მიერ საქმეზე არასწორად იქნა დადგენილი მთელი რიგი ფაქტობრივი გარემოებები, შესაბამისად არასწორი შეფასება მიეცა საქმის ირგვლივ არსებულ ფაქტობრივ გარემოებებს. არ გამოიყენა კანონი, რომელიც უნდა გამოეყენებინა და არასწორად განმარტა იგი, რამაც საქმეზე უკანონო გადაწყვეტილების მიღება გამოიწვია.

სამართლებრივი: სასამართლომ არ გაითვალისწინა „ვაზისა და ღვინის შესახებ“ საქართველოს კანონის (12.06.1998წ.) 33⁶ მუხლის მე-3 პუნქტის მოთხოვნა, რომლის შესაბამისად, სათანადო ნორმატიული აქტების ამოქმედებამდე ძალაშია ღვინის მრეწველობაში არსებული ნორმატივები, ძალაშია აგრეთვე, საქართველოს მთავრობის 2006 წლის 24 თებერვლის №45 დადგენილების მე-2 პუნქტი, რომლის შესაბამისადაც გაგრძელებულია ისეთი დოკუმენტების მოქმედება, როგორიცაა „გოსტები“ №346-79, რომლის მიხედვით კი არსებული დანაკლისი თავსდება ცდომილების ნორმის ფარგლებში არსებულად, ისევე, როგორც სსტ.8.11: 2006 (რეგისტრაციის თარიღი: 28.06.2006წ) მიხედვითაა დასაშვები ფარდობითი ცდომილების არსებობა სითხეების მოცულობის განსაზღვრის დროს, რაც აგრეთვე თავსდება არსებული დანაკლისის ოდენობაში. აღნიშნული ცდომილება ფაქტობრივად გაიგივებულია დანაკარგის მაქსიმალურ ზღვრულ ოდენობასთან, რადგან სითხეების მოცულობის აბსოლუტურად ზუსტი განსაზღვრა, ობიექტური პირობებიდან გამომდინარე, შეუძლებელია;

აპელანტის განმარტებით, სასამართლოს ინიციატივით, 2007 წლის 17 დეკემბერს სასამართლო სხდომაზე დაკითხულმა სასამართლო ექსპერტის ეროვნული ბიუროს ექსპერტმა გ. კ-ემ დაადასტურა, რომ ე.წ. „გოსტები“ ამჟამადც ხმარებაშია და რომ სსტ 8.011:06-ის მიხედვით სითხეების აზომვის დროს ცდომილების ზღვარი განსაზღვრულია 2%-მდე.

მეორე აპელანტი – სსიპ შემოსავლების სამსახური; თბილისის რეგიონული ცენტრი

აპელაციის საგანი და მოცულობა /ფარგლები/

საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილების გაუქმება სარჩელის დაკმაყოფილებულ ნაწილში და ახალი გადაწყვეტილებით მოსარჩელისათვის სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა.

აპელაციის მოტივები:

ფაქტობრივი: სასამართლოს მიერ საქმეზე არასწორად იქნა დადგენილი მთელი რიგი ფაქტობრივი გარემოებები, შესაბამისად არასწორი შეფასება მიეცა საქმის ირგვლივ არსებულ ფაქტობრივ გარემოებებს. ასევე მის მიერ არ იქნა გამოყენებული კანონი, რომელიც უნდა გამოეყენებინა და არასწორად განმარტა იგი, რამაც საქმეზე უკანონო გადაწყვეტილების მიღება გამოიწვია.

აპელანტის განმარტებით, არასწორია სასამართლოს მიერ დადგენილად მიჩნეული ფაქტობრივი გარემოება, რომ საწყობში აღმოჩენილი 1400 ბოთლი არ წარმოადგენს ზედმეტობას იქიდან გამომდინარე, რომ ეს ბოთლები აღრიცხული იყო ბუღალტრული ჩანაწერების მიხედვით. ზედმეტობის საფუძვლად კი იყო ის ფაქტობრივი გარემოება, რომ თითქოს ინვენტარიზაციის დაწყების მომენტში საგადასახადო ორგანოს

სრულად ჰქონდა ამოღებული და წაღებული საწარმოს საბუღალტრო დოკუმენტაცია. ვინაიდან, საგადასახადო ორგანოს არც ინვენტარიზაციის დაწყებამდე, არც დაწყების მომენტში და არც შემდგომ საწარმოდან არანაირი დოკუმენტები არ ამოუღია. საწარმოს თავად ეკისრებოდა ვალდებულება ინვენტარიზაციის დაწყების მომენტში საგადასახადო ორგანოს თანამშრომლებისათვის წარედგინა საბუღალტრო დოკუმენტაცია, რაც მას არ განუხორციელებია. მოსარჩელეს არც სასამართლოში წარმოუდგენია მტკიცებულება, რომლითაც დადასტურდებოდა საბუღალტრო დოკუმენტაციის ინვენტარიზაციის პროცესში წარუდგენლობის საპატიო მიზეზი.

შემოსავლების სამსახურის საბაჟო ბაზის ელექტრონულ მონაცემებში არსებული ინფორმაციით სასაქონლო-მატერიალურ ფასეულობათა ინვენტარიზაციის ჩატარების მომენტისათვის საბაჟო საწყობში არც ერთი ბოთლი არ უნდა ყოფილიყო დასაწყობებული. ამდენად, აპელანტის განმარტებით, ბოთლის მოცულობის გარკვევას არსებითი მნიშვნელობა არ გააჩნია, ვინაიდან 0.5 ლიტრის მოცულობის ბოთლი იქნებოდა საწყობში თუ 0.7 ლიტრის მოცულობის ბოთლი, ორივე შემთხვევაში ბოთლი უნდა ჩათვლილიყო ზედმეტობაში.

არამართებულია ასევე სასამართლოს მითითება იმ გარემოებაზე, რომ მოპასუხემ ვერ ახსნა რა გარემოებით იყო გამოწვეული №3 დანართსა და საგადასახადო ორგანოს თანამშრომლების მოხსენებით ბარათის შორის წინააღმდეგობის არსებობა, ვინაიდან, ფინანსთა მინისტრის 2009 წლის 23 ივლისის №472 ბრძანებით დამტკიცებული „გადასახადის გადამხდელის სასაქონლო-მატერიალურ ფასეულობათა ინვენტარიზაციის ჩატარების წესის“ შესახებ ინსტრუქციის მიხედვით, №3 დანართს ადგენს საინვენტარიზაციო კომისია, რომელიც შექმნილია საწარმოს ხელმძღვანელის მიერ. ამდენად, მასში მითითებული გარემოების ახსნა შემოსავლების სამსახურის ვალდებულებას არანაირად არ წარმოადგენს. აღნიშნული ინსტრუქციის მე-8 მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სასაქონლო-მატერიალურ ფასეულობათა ფაქტიური მდგომარეობის აღრიცხვა ხორციელდება მათი ადგილმდებარეობისა და საწარმოში სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების შენახვაზე პასუხისმგებელი პირების უშუალო მონაწილეობით და არა საგადასახადო ორგანოს თანამშრომლების მონაწილეობით, როგორც ეს სასამართლომ მიიჩნია. სასამართლომ ასევე მითითა ამავე ინსტრუქციის მე-8 მუხლის მე-10 ნაწილზე, რომლის მიხედვით სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების ფაქტიური მდგომარეობის აღრიცხვის შემდეგ საინვენტარიზაციო კომისია ადგენს ოქმს „სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების აღრიცხვის შესახებ დანართი №3-ის შესაბამისად, საიდანაც დასტურდება, რომ საგადასახადო ორგანო არც ამ ოქმის შედგენაში არ იღებს მონაწილეობას ინვენტარიზაციის ჩატარების დროს.

სასამართლოს მითითება, რომ სს „...“ საბაჟო საწყობში ფაქტობრივად აღმოჩენილი 1400 ცალი მინის ბოთლი შემოსავლების სამსახურმა იმ მოტივით მიიჩნია ზედმეტობად, რომ „ამ სახისა და ოდენობის“ ბოთლის სასაქონლო-მატერიალური ფასეულობა არ იყო აღრიცხული საბაჟო ორგანოს კომპიუტერულ ბაზაში არ გამოძიწვადი ფაქტობრივი გარემოებიდან, ვინაიდან მსგავსი განმარტება შემოსავლების სამსახურის არ გაუკეთებია, რამდენადაც ბოთლის სახეობას და მოცულობას, მნიშვნელობა არ აქვს. ასევე გაურკვეველია, რა გარემოებებზე და მტკიცებულებებზე დაყრდნობით მიიჩნია სასამართლომ დადგენილად ის გარემოება, რომ მოსარჩელეს აღრიცხული ჰქონდა ინვენტარიზაციის ჩატარების მომენტში 1400 ცალი 0.7 ლიტრი ტევადობის მინის ბოთლი. საბაჟო ელექტრონულ ბაზაში არსებული ინფორმაციის მიხედვით, ინვენტარიზაციის ჩატარებამდე შემოტანილი ნებისმიერი სახის მინის ბოთლი, რომელიც საბაჟო საწყობში დასაწყობების საბაჟო რეჟიმით ჰქონდა შეტანილი, სს „...“ მიერ ამ საქონლის იმპორტის საბაჟო რეჟიმში მოქცევის შედეგად საბაჟო საწყობიდან ინვენტარიზაციის ჩატარებამდე გატანილი ჰქონდა და სადავო პერიოდში ყველა ბოთლი განაშთული იყო, რაც იმას ნიშნავს, რომ საბაჟო საწყობში არც ერთი მინის ბოთლი (მიუხედავად მისი მოცულობისა) არ უნდა ყოფილიყო დასაწყობებული.

სააპელაციო სასამართლომ დადგენილი გარემოების დამადასტურებლად მიუთითა კვარტალურ ანგარიშებზე, რომელიც არ წარმოადგენს არც სააღრიცხვო დოკუმენტს, არც სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების ფაქტიური აღწერის და არც ამ ფასეულობების საბუღალტრო დოკუმენტების ჩამნაცვლებელ დოკუმენტს. კვარტალური ანგარიშების წარმოდგენა საბაჟო საწყობის მფლობელის ვალდებულებაა, რომელშიც უნდა ასახოს ინფორმაცია საბაჟო საწყობში წარმოებული ოპერაციის თაობაზე. სს „...“ მიერ კვარტალური ანგარიშის შედგენა, რომელიც არის ინფორმაციული ხასიათის და სავსებით შესაძლებელია არ ეყრდნობოდეს სააღრიცხვო დოკუმენტებს, ხოლო შემდგომ მისი შემოსავლების სამსახურში წარდგენა სულაც არ ნიშნავს იმას, რომ გადამხდელმა უტყუარი ინფორმაცია წარადგინა გადამხდელის და მას უნდა მიენიჭოს მკაცრი აღრიცხვის ან პირველადი დოკუმენტის ძალა.

აპელანტის მითითებით, კვარტალური ანგარიშის წარდგენის დებულებები რეგლამენტირებული იყო საქართველოს მთავრობის 2006 წლის 20 დეკემბრის №240 დადგენილებით, რომლითაც დამტკიცებული იყო „საბაჟო საწყობის ტექნიკური და უსაფრთხოების მოთხოვნების განსაზღვრისა და შესაბამისი ნებართვების გაცემის წესის შესახებ“ ინსტრუქცია. ამ ინსტრუქციის თანახმად, საბაჟო საწყობის ნებართვის მფლობელი ვალდებული იყო განეხორციელებინა ყოველკვარტალური ანგარიშგება დადგენილი ფორმით, რომელიც დანართი №2-ის სახით იყო მოცემული. აღნიშნული ინსტრუქცია ძალადაკარგულია 2010 წლის 23 თებერვლის საქართველოს მთავრობის №50 დადგენილებით და ამავე დადგენილებით დამტკიცდა სადავო პერიოდში მოქმედი „საბაჟო საწყობის საქმიანობის ნებართვის გაცემის წესისა და პირობების განსაზღვრის შესახებ“ ინსტრუქცია, რომლის მიხედვით ნებართვის მფლობელი ნებართვის მოქმედების მთელი ვადის განმავლობაში ვალდებულია აწარმოოს საწყობში საქონლის საბაჟო საწყობში საქონლის შენახვის საბაჟო რეჟიმში და დროებით დასაწყობებული საქონლის, სატრანსპორტო საშუალების აღრიცხვა მონა-

ცემთა დამუშავების ავტომატიზებული სისტემის მეშვეობით დადგენილი ფორმით (დანართი №1). სწორედ ავტომატიზებული სისტემა წარმოადგენს საბაჟო ელექტრონულ ბაზას. ამდენად, ინვენტარიზაციის ჩატარების მომენტში ანგარიშგების წარდგენის ვალდებულება და მისი ფორმა იმ სახით, როგორც ამას მოსარჩელე აწარმოებდა, აღარ არსებობდა, შესაბამისად, სს „...“ მიერ შედგენილი კვარტალური ანგარიში არ წარმოადგენს რეგლამენტირებულ დოკუმენტს და მას არანაირი იურიდიული ძალა არ გააჩნია.

შესაბამისად არამართებულია მისი გათანაბრება საბუღალტრო მონაცემებთან და შემოსავლების სამსახურში არსებულ საბაჟო ელექტრონულ ბაზასთან შედარებით უპირატესი ძალის მინიჭება.

შემოსავლების სამსახურში არსებულ საბაჟო ელექტრონულ ბაზასთან ფაქტიური მონაცემების შედარება, დელეგირებულია საგადასახადო კოდექსის 104-ე მუხლით, რომლის მიხედვით თუ გადასახადის გადამხდელი არ ახორციელებს ბუღალტრულ აღრიცხვას კანონმდებლობით გათვალისწინებული ფორმითა და წესით ან არ ახორციელებს მას საერთოდ, ან სააღრიცხვო დოკუმენტაცია დაკარგული ან/და განადგურებულია, რის გამოც შეუძლებელია დაბეგვრის ობიექტის, დაბეგვრასთან დაკავშირებული ობიექტისა და საგადასახადო ვალდებულებების განსაზღვრა, მაშინ საგადასახადო ორგანოს გადასახადის ოდენობის დადგენის მიზნით უფლება აქვს გადასახადის გადამხდელს გადასახადი დაარიცხოს არსებული მასალების საფუძველზე შესაბამისი ფაქტებისა და გარემოებების გათვალისწინებით, პირდაპირი და არაპირდაპირი მეთოდების გამოყენებით (აქტივების სიდიდის, საოპერაციო შემოსავლებისა და ხარჯების გათვალისწინებით, აგრეთვე სხვა მსგავსი ინფორმაციის ანალიზის საფუძველზე). საგადასახადო ორგანოში არსებული ყველაზე უტყუარი ინფორმაცია კი სწორედ საბაჟო ელექტრონულ ბაზაში არსებული ინფორმაცია იყო რომელიც შედარდა სს „...“ საინვენტარიზაციო კომისიის მიერ სასაქონლო-ფასეულობათა ფაქტიური აღწერის ოქმს.

აპელანტის განმარტებით, საქალაქო სასამართლომ არასწორად დაადგინა ფაქტობრივი გარემოებანი და შესაბამისად არასწორი შეფასება მისცა მას. არასწორად განმარტა ფინანსთა მინისტრის 2009 წლის 23 ივლისის №472 ბრძანებით დამტკიცებული „გადასახადის გადამხდელის სასაქონლო-მატერიალურ ფასეულობათა ინვენტარიზაციის ჩატარების წესის“ შესახებ ინსტრუქციის მთელი რიგი ნორმები და შედეგად მიიღო დაუსაბუთებელი და უკანონო გადაწყვეტილება.

სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება /სარეზოლუციო ნაწილი/ თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2011 წლის 6 ივლისის განჩინებით სს „...“ და სსიპ შემოსავლების სამსახურის სააპელაციო საჩივრები არ დაკმაყოფილდა; უცვლელად დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2011 წლის 14 თებერვლის გადაწყვეტილება.

გასაჩივრებული გადაწყვეტილების დასკვნების გაზიარების თაობაზე სასამართლოს მსჯელობა:

სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ სააპელაციო საჩივარში მითითებული გარემოებები არ ქმნიან საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 393-ე და 394-ე მუხლებით გათვალისწინებულ შემადგენლობას. საქალაქო სასამართლომ არსებითად სწორად იმსჯელა მოცემული სადავო აქტის ირგვლივ და არ არსებობს სააპელაციო საჩივრის დაკმაყოფილების და გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმების პროცესუალურ-სამართლებრივი საფუძვლები.

სააპელაციო სასამართლო დაეთანხმა პირველი ინსტანციის სასამართლოს დასკვნებს მთლიანად და აღნიშნა რომ საქალაქო სასამართლომ გამოიყენა კანონი, რომლიც უნდა გამოეყენებინა, სწორად განმარტა და სწორი სამართლებრივი შეფასება მისცა საქმეზე დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებს.

სააპელაციო საჩივრების მოტივების არ გაზიარების თაობაზე სასამართლოს მსჯელობა:

სააპელაციო სასამართლომ არ გაიზიარა აპელანტის სს „...“ მოსაზრება, რომ საწარმოში აღმოჩენილი დანაკლისი არ უნდა შეფასდეს, როგორც დეკლარირების გარეშე ამ საქონლის თავისუფალ მიმოქცევაში გაშვება იმდენად, რამდენადაც, ეს დანაკლისი წარმოადგენს ამ სახის საქონელზე უფლებამოსილი ორგანოს მიერ დადგენილი დანაკარგის ზღვრულ ოდენობას; სააპელაციო სასამართლომ მიაჩნია, რომ საქალაქო სასამართლომ ლევან სამხარაულის სახელობის ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს 2010 წლის 30 ივნისის №6285/03/2/1-04/2 ექსპერტიზის დასკვნის საფუძველზე სწორად დაადგინდა ის ფაქტობრივი გარემოება, რომ სს „...“ კუთვნილი საბაჟო საწყობის აღწერის შედეგად გამოვლინდა გარკვეული სახის სხვაობები: კერძოდ, რექტიფიცირებული ეთილის სპირტის (96.7%) დანაკლისი – 2 135,064 ლიტრი, მწარე ნაყენის „...“-ის (40%) დანაკლისი – 1 274,89 ლიტრი; სააპელაციო სასამართლო მიუთითებს, რომ სითხეების – მწარე ნაყენის „...“-ისა და რექტიფიცირებული ეთილის სპირტის ფაქტიური ოდენობები, რაც დადგენილ იქნა ინვენტარიზაციის დროს, მოსარჩელის მხრიდან სადავო არ არის.

სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ ზემოთ აღნიშნული ფაქტობრივი გარემოებები ასაბუთებენ თბილისის რეგიონული ცენტრის 2010 წლის 20 აგვისტოს №2395 საბაჟო შეტყობინების კანონიერებას და მის შესაბამისობას საქართველოს საბაჟო კოდექსის 248-ე მუხლითან.

სააპელაციო სასამართლომ ასევე არ გაიზიარა აპელანტის მოსაზრება იმის შესახებ, რომ საწარმოში გამოვლენილი დანაკლისი რექტიფიცირებული ეთილის სპირტის (96.7%) დანაკლისი – 2 135,064 ლიტრი, მწარე ნაყენის „...“-ის (40%) დანაკლისი – 1 274,89 ლიტრი, წარმოადგენს დანაკარგის მაქსიმალურ ზღვრულ ოდენობაზე ნაკლებს და შესაბამისად, მასზე არ უნდა მოხდეს გადასახადების დარიცხვა. სააპელაციო სასამართლომ მიუთითა საქართველოს საგადასახადო კოდექსის მე-12 მუხლის 26-ე პუნქტზე და აღნიშნა, რომ დანაკლისი – ეს არის გადასახადის გადამხდელის ბუღალტრულ ჩანაწერებთან შედარებისას გამოვლენილი სასაქონლო-მატერიალურ ფასეულობათა ნაკლებობა (მათ შორის, ინვენტარიზაციის საშუალებით). ისეთ სასაქონლო-მატერიალურ ფასეულობათა მიმართ, რომელთა დასაწყობება ფიზიკურად შე-

უძლებელია (ელექტრო და თბოენერგია, გაზი და წყალი), დანაკლისად ჩაითვლება სხვაობა შეძენილ (შეძენის დამადასტურებელი დოკუმენტის მიხედვით) და რეალიზებულ (გადასახადის გადამხდელისგან ფაქტობრივად გასულ) სასაქონლო-მატერიალურ ფასეულობათა შორის, თუ ვერ დგინდება დებიტორი (ამნაზღაურებელი) ან/და მიმთვისებელი. ამასთანავე, თუ უფლებამოსილი ორგანოს მიერ დადგენილია დანაკარგის მაქსიმალური ზღვრული ოდენობა, დანაკლისად ჩაითვლება ამ ოდენობაზე მეტი ნაკლებობა. სააპელაციო სასამართლომ გაიზიარა საქალაქო სასამართლოს დასკვნა იმის შესახებ, რომ ვინაიდან არც ინვენტარიზაციის ჩატარების და არც შემდგომ პერიოდში არ არსებობდა და დღემდე არ არსებობს უფლებამოსილი ორგანოს მიერ დადგენილი დანაკარგის მაქსიმალური ზღვრული ოდენობები მოცემულ სფეროში, შეუძლებელია, დადგინდეს, მოსარჩელის საბაჟო საწყობში ჩატარებული ინვენტარიზაციის პროცესში გამოვლენილი სხვაობები თავსდება თუ არა დანაკარგის ზღვრულ ფარგლებში. შესაბამისად, სასამართლოს მიაჩნია, რომ ინვენტარიზაციის დროს გამოვლენილი სხვაობები მოსარჩელის ბუღალტრული ჩანაწერების მონაცემებსა და ფაქტობრივად არსებულ ოდენობებს შორის ქმნის საქართველოს საბაჟო კოდექსის 248-ე და 237-ე მუხლების გამოყენების წინაპირობებს.

სააპელაციო სასამართლომ არ გაიზიარა აპელანტის - სს „...“ მოსაზრება, რომ სასამართლოს დანაკლისის ზღვრული ოდენობის დასადგენად უნდა ეხელმძღვანელოს საქართველოს კანონის „ვაზისა და ღვინის შესახებ“ (12.06.1998წ.) 33⁶ მუხლის მე-3 პუნქტით, რომლის მიხედვით სათანადო ნორმატიული აქტების ამოქმედებამდე ძალაშია ღვინის მრეწველობაში არსებული ნორმატივები, ასევე საქართველოს მთავრობის 2006 წლის 24 თებერვლის №45 დადგენილების მე-2 პუნქტით, რომლის შესაბამისადაც, გაგრძელებულია ისეთი დოკუმენტების მოქმედება, როგორიცაა „გოსტები“ №346-79, რომლის მიხედვით არსებული დანაკლისი თავსდება ცდომილების ნორმის ფარგლებში არსებულად, ისევე, როგორც სსტ.8.11: 2006 (რეგისტრაციის თარიღი: 28.06.2006წ), რომლის მიხედვითაც დასაშვებია ფარდობითი ცდომილების არსებობა სითხეების მოცულობის განსაზღვრის დროს, ვინაიდან, მოცემული სადავო ურთიერთობა წესრიგდება სპეციალური საგადასახადო კანონმდებლობით, რომელიც იმპერატიულად ადგენს დანაკარგის ზღვრული ოდენობის განსაზღვრას უფლებამოსილი ორგანოს მიერ.

კასატორი: სსიპ შემოსავლების სამსახური

მონინალმდევე მხარე: სს „...“

კასაციის საგანი და მოცულობა /ფარგლები/

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2011 წლის 6 ივლისის განჩინების გაუქმება შემოსავლების სამსახურის სააპელაციო საჩივრის დაუკმაყოფილებელ ნაწილში და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა.

კასაციის მოტივები: სამართლებრივი:

პროცესუალური: კასატორის მითითებით გადაწყვეტილება იურიდიულად არ არის საკმარისად დასაბუთებული. გადაწყვეტილების დასაბუთება იმდენად არასრულია, რომ მისი სამართლებრივი საფუძვლიანობის შემოწმება შეუძლებელია საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 394-ე მუხლის „ე“ და „ე1“ ქვეპუნქტების შესაბამისად.

მატერიალური: სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმეზე არასწორად იქნა დადგენილი მთელი რიგი ფაქტობრივი გარემოებები, რის შედეგადაც არასწორი შეფასება მიეცა საქმის ირგვლივ არსებულ ფაქტობრივ გარემოებებს. არ გამოიყენა კანონი, რომელიც უნდა გამოეყენებინა და არასწორად განმარტა იგი, რამაც საქმეზე უკანონო გადაწყვეტილების გამოტანა გამოიწვია.

საგადასახადო კოდექსის 104-ე მუხლი შესაძლებლობას იძლევა საბუღალტრო მონაცემების არარსებობის პირობებში ფაქტიური მონაცემები შედარებულიყო საგადასახადო ორგანოში აღნიშნულ ინფორმაციას. სასამართლომ კი მიიჩნია, რომ მონაცემების შედარება მარტოოდენ საბაჟო ორგანოს ელექტრონული ბაზის მონაცემებთან არასწორი და დაუსაბუთებელია. საგადასახადო კოდექსის 104-ე მუხლი შესაძლებლობას იძლევა საბუღალტრო მონაცემების არარსებობის პირობებში ფაქტიური მონაცემები შედარებულიყო საგადასახადო ორგანოში აღნიშნულ ინფორმაციას. საგადასახადო კოდექსის 104-ე მუხლის მიხედვით, თუ გადასახადის გადამხდელი არ ახორციელებს ბუღალტრულ აღრიცხვას კანონმდებლობით გათვალისწინებული ფორმითა და წესით, ან არ ახორციელებს მას საერთოდ, ან სააღრიცხვო დოკუმენტაცია დაკარგულია ან/და განადგურებულია, რის გამოც შეუძლებელია დაბეგვრის ობიექტს, დაბეგვრასთან დაკავშირებული ობიექტისა და საგადასახადო ვალდებულებების განსაზღვრა, მაშინ საგადასახადო ორგანოს გადასახადის ოდენობის დადგენის მიზნით უფლება აქვს გადასახადის გადამხდელს გადასახადი დაარიცხოს არსებული მასალების საფუძველზე შესაბამისი ფაქტებისა და გარემოებების გათვალისწინებით, პირდაპირი და არაპირდაპირი მეთოდების გამოყენებით. საგადასახადო ორგანოში არსებული ყველაზე უტყუარი ინფორმაცია კი სწორედ საბაჟო ელექტრონულ ბაზაში არსებული ინფორმაციაა, რომელიც შედარდა სს „...“ საინვენტარიზაციო კომისიის მიერ სასაქონლო-ფასეულობათა ფაქტიური აღწერის ოქმს.

საგადასახადო კოდექსის 51-ე მუხლის მიხედვით, საგადასახადო ორგანოს უფლებაა ინვენტარიზაციით მოახდინოს საქონლის მარაგების აღრიცხვა, ჩაატაროს შემოწმება და დარღვევის გამოვლენის შემთხვევაში გაატაროს კანონმდებლობით დადგენილი პასუხისმგებლობის ზომები. აქვე მითითებულია, რომ ინვენტარიზაციის ჩატარების წესსა და პირობებს განსაზღვრავს საქართველოს ფინანსთა მინისტრი. სსკ-ის 110-ე მუხლით კი დადგენილია, რომ საგადასახადო გადამხდელის ხელმძღვანელმა (დირექტორმა) ინვენტარიზაციის გონივრულ ვადაში ჩატარების მიზნით, ბრძანების ჩაბარებიდან 2 სამუშაო დღის ვადაში უნდა შექმნას საინვენტარიზაციო კომისია. საინვენტარიზაციო კომისიაში შეყვანილი უნდა იყვნენ ის პირები, რომლებიც კარგად იცნობენ საინვენტარიზაციო ქონებას, იციან მისი ფასი და პირველადი აღრიცხვა, აგ-

რეთვე საგადასახადო ორგანოს მოთხოვნის შემთხვევაში საგადასახადო ორგანოს თანამშრომლები ან/და მის მიერ მოწვეული სპეციალისტები. საინვენტარიზაციო კომისია ვალდებულია სრულად და დროულად აღრიცხოს სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების წარმოებისა და შენახვის ადგილზე, შეუდაროს აღრიცხვის შედეგები ბუღალტრული აღრიცხვის შესაბამის მონაცემებს და ყოველივე ეს შეიტანოს სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების აღწერის ოქმში.

საინვენტარიზაციო კომისია ვალდებულია სრულად და დროულად აღრიცხოს სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები წარმოებისა და შენახვის ადგილზე, შეუდაროს აღრიცხვის შედეგები ბუღალტრული აღრიცხვის შესაბამის მონაცემებს. ვინაიდან საინვენტარიზაციო კომისიის მიერ კანონის აღნიშნული მოთხოვნა ვერ/არ იქნა განხორციელებული, ფაქტიური მონაცემები შედარდა საბაჟო ელექტრონულ ერთიან სისტემატიზირებულ მონაცემთა ბაზაში არსებულ მონაცემთა არსებულ ინფორმაციასთან, რის შემდეგაც გამოვლენილ შეუსაბამოების გამო კანონის მოთხოვნების დაცვით შედგა საბაჟო სამართალდარღვევის ოქმები და შესაბამისი გადაწყვეტილებები.

არც სპეციალური კანონმდებლობა და არც ფინანსთა მინისტრის 2009 წლის 29 ივლისის №472 ბრძანებით დამტკიცებული „გადასახადის გადამხდელის სასაქონლო-მატერიალური ფასეულობათა ინვენტარიზაციის ჩატარების წესის შესახებ“ ინსტრუქცია არ ითვალისწინებს ინვენტარიზაციის დროს საინვენტარიზაციო კომისიის მიერ სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების ფაქტიურ აღრიცხვის დოკუმენტაციის კვარტალურ ანგარიშთან შედარების არა თუ ვალდებულებას, არამედ შესაძლებლობასაც კი.

სასამართლომ არასწორად მიუთითა იმ გარემოებაზე, თითქოს ინვენტარიზაციის დაწყების მომენტში საგადასახადო ორგანოს სრულად ჰქონდა ამოღებული და წაღებული საწარმოს საბუღალტრო დოკუმენტაცია. სასამართლოს მიერ დადგენილად მიჩნეული აღნიშნული სადავო ფაქტობრივი გარემოება არ შეესაბამება სინამდვილეს, ვინაიდან საგადასახადო ორგანოს საწარმოდან არანაირი დოკუმენტები არ ამოუღია.

ფინანსთა მინისტრის 2009 წლის 23 ივლისის №472 ბრძანებით დამტკიცებული „გადასახადის გადამხდელის სასაქონლო-მატერიალური ფასეულობათა ინვენტარიზაციის ჩატარების წესის შესახებ“ ინსტრუქციის მიხედვით მე-3 დანართს ადგენს საინვენტარიზაციო კომისია და იგი პასუხისმგებელია მასში ასახულ მონაცემებზე. აღნიშნული ინსტრუქციის მე-8 მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, სასაქონლო-მატერიალური ფასეულობათა ფაქტიური მდგომარეობის აღრიცხვა ხორციელდება მათი ადგილმდებარეობისა და საწარმოში სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების შენახვაზე პასუხისმგებელი პირების უშუალო მონაწილეობით და არა საგადასახადო ორგანოს თანამშრომლების მონაწილეობით, როგორც ეს საქალაქო სასამართლომ მიიჩნია. ამავე ინსტრუქციის მე-8 მუხლის მე-10 ნაწილის მიხედვით, სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების ფაქტიური მდგომარეობის აღრიცხვის შემდეგ საინვენტარიზაციო კომისია ადგენს ოქმს „სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების აღრიცხვის შესახებ“ დანართი 3. აღნიშნული ნორმიდან გამომდინარე, არც ამ ოქმის შედგენაში არ იღებს მონაწილეობას საგადასახადო ორგანო. ამდენად, სასამართლოს მიერ არასწორად იქნა განმარტებული მითითებული ნორმები ოქმის შედგენაში საგადასახადო ორგანოს მონაწილედ მიჩნევის გამო.

სასამართლომ საწყობის ნებართვის მფლობელის მიერ შედგენილი კვარტალური ანგარიში, რასაც არანაირი იურიდიული ძალა არ გააჩნდა, არ ემყარებოდა მკაცრი აღრიცხვის ან პირველად დოკუმენტს და ასევე არ შეესაბამებოდა ფაქტიურ რეალობას გაუთანაბრა საბუღალტრო მონაცემებს და უპირატესი ძალა მიანიჭა, ვიდრე შემოსავლების სამსახურში არსებულ საბაჟო ელექტრონულ ბაზას. აღნიშნული კი არ გამომდინარეობს საგადასახადო კანონმდებლობიდან.

სასამართლომ არასწორად დაადგინა ფაქტობრივი გარემოებები და არასწორი შეფასება მისცა მათ. არასწორად განმარტა ფინანსთა მინისტრის 2009 წლის 23 ივლისის 472 ბრძანებით დამტკიცებული „გადასახადის გადამხდელი სასაქონლო-მატერიალურ ფასეულობათა ინვენტარიზაციის წესის შესახებ“ ინსტრუქციის მთელი რიგი ნორმები, არ გამოიყენა საგადასახადო კოდექსის 204-ე და 51-ე მუხლები.

საკასაციო სასამართლოს მიერ საკასაციო საჩივრის დასაშვებობის პროცესუალური წანამძღვრები: (სასკ 34.3 მ.)

საკასაციო სასამართლომ 2011 წლის 11 ნოემბრის განჩინებით მიიჩნია, რომ კასატორის სსიპ შემოსავლების სამსახურის საკასაციო საჩივარი შეიცავს მითითებებს ადმინისტრაციულ საპროცესო კოდექსის 34.3 მუხლით, კერძოდ „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული საკასაციო საჩივრის დასაშვებობის საფუძვლის თაობაზე – სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმე განხილულია მნიშვნელოვანი საპროცესო დარღვევით, რომელსაც შეეძლო არსებითად ემოქმედა საქმის განხილვის შედეგზე, რაც საკასაციო სასამართლოს მიერ ექვემდებარება გადამოწმებას საქმის სასამართლო განხილვის გზით.

საკასაციო სასამართლოში წარმოდგენილი მოსაზრებით სსიპ შემოსავლების სამსახურმა მოითხოვა მისი საკასაციო საჩივრის დასაშვებად ცნობა და მიუთითა, რომ სამართლის განვითარებისა და ერთგვაროვანი პრაქტიკის ჩამოყალიბების მიზნით მნიშვნელოვანია უზენაესმა სასამართლომ ერთობლიობაში განიხილოს აღნიშნულ საქმეზე გადაწყვეტილების მიღებისას საბაჟო და საგადასახადო კანონმდებლობის რიგი ნორმების გამოყენება, კერძოდ, საგადასახადო კოდექსის 51-ე, 104-ე და 110-ე მუხლებზე და ასევე სწორედ იქნეს შეფასებული და განმარტებული სააპელაციო სასამართლოს მიერ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2009 წლის 23 ივლისის №472 ბრძანებით დამტკიცებული „გადასახადის გადამხდელის სასაქონლო-მატერიალურ ფასეულობათა ინვენტარიზაციის ჩატარების წესის შესახებ“ ინსტრუქციის მთელი რიგი ნორმები.

მონინალმდევე მხარემ – სს „...“ საკასაციო სასამართლოში წარმოდგენილი მოსაზრებით მოითხოვა სსიპ შემოსავლების სამსახურის საკასაციო საჩივრის დაუშვებლად ცნობა.

სამოტივაციო ნაწილი:

სარეზოლუციო ნაწილის შინაარსი:

საკასაციო სასამართლოს 2011 წლის 20 დეკემბრის განჩინებით სსიპ შემოსავლების სამსახურის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა და უცვლელად დარჩა თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2011 წლის 6 ივლისის განჩინება.

კასაციის დაშვების წანამძღვარის განმარტება კონკრეტულ საქმეზე:

საკასაციო საჩივარი მიჩნეულ იქნა დასაშვებად, როგორც პროცესუალური კასაცია, კასაციის მიზანს წარმოადგენდა შემომწმებინა რამდენად სწორად შეუფარდეს საქალაქო და სააპელაციო სასამართლოებმა სადავო სამართალურთიერთობას გამოყენებული სამართლის ნორმები.

საკასაციო სასამართლოს შეფასებით, სადავო სამართალურთიერთობა წარმოშობილია საბაჟო სამართალურთიერთობათა სფეროში, დავის საგანს წარმოადგენს სს „...“ კუთვნილ საბაჟო კონტროლს დაქვემდებარებული სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების ინვენტარიზაციის შედეგად სს „...“ კუთვნილ საბაჟო საწყობში აღწერის შედეგად გამოვლენილი გარკვეული სახის სხვაობების გამო თბილისის რეგიონული ცენტრის 2010 წლის 20 აგვისტოს №2395, №2396 და №2397 საბაჟო შეტყობინებების კანონიერება.

საკასაციო სასამართლოს შეფასებით: ქვემდგომი სასამართლოების მიერ სწორად არის სადავო სამართალურთიერთობა გადანყვეტილი, საქალაქო სასამართლომ სწორად გამოიყენა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 32.4 მუხლით მინიჭებული უფლებამოსილება, როცა სადავო საკითხის გადაწყვეტლად ბათილად ცნო საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის თბილისის რეგიონული ცენტრის 2010 წლის 20 აგვისტოს №2397 საბაჟო შეტყობინება (დაკისრებული თანხა – 4 000 ლარი) და 2010 წლის 20 აგვისტოს №2396 საბაჟო შეტყობინება (დაკისრებული თანხა – 9 000 ლარი) და საგადასახადო ორგანოს დაავალა ხელახლა გარემოებების გამოკვლევის, შესწავლისა და შეფასების შედეგად ახალი ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა, შემდეგ გარემოებათა გამო:

საგადასახადო კოდექსის 51-ე მუხლის 1-ლი პუნქტის შესაბამისად, საგადასახადო ორგანოებს თავისი კომპეტენციის ფარგლებში და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით უფლება აქვთ გამოიკვლიონ საწარმოთა, ორგანიზაციების და მენარმე ფიზიკურ პირთა საწარმოო, სასაწყობო, სავაჭრო და სხვა სათავსები, შექმნან საგადასახადო საგუშაგოები, ინვენტარიზაციით მოახდინონ საქონლის მარაგების აღრიცხვა, ჩაატარონ დაკვირვება ქრონომეტრაჟის ან სხვა მეთოდის გამოყენებით და განსაზღვრონ დასაბეგრი ობიექტების ოდენობა, ჩაატარონ კამერალური, გეგმური და საგადასახადო შემოწმება, უზრუნველყონ გადასახადის გადამხდელის მიერ საკონტროლო-საღარი აპარატების გამოყენების წესების დაცვის კონტროლი და მათი დარღვევის შემთხვევაში შესაბამისი პირების მიმართ გაატარონ საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი პასუხისმგებლობის ზომები. ინვენტარიზაციის ჩატარების წესსა და პირობებს განსაზღვრავს საქართველოს ფინანსთა მინისტრი.

ინვენტარიზაციის ჩატარების წესი და პირობები მოწესრიგებულია საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2009 წლის 23 ივლისის №472 ბრძანებით დამტკიცებული „გადასახადის გადამხდელის სასაქონლო-მატერიალურ ფასეულობათა ინვენტარიზაციის ჩატარების წესის შესახებ“ ინსტრუქციით, რომლის მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, სასაქონლო-მატერიალურ ფასეულობათა ინვენტარიზაცია ტარდება დროის გარკვეული პერიოდისათვის გადასახადის გადამხდელის მფლობელობაში არსებული სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების ფაქტიური მდგომარეობის, სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების წარმოების და მათი შენახვის ადგილზე, სამეურნეო საქმიანობის პროცესში გამოყენებული ნედლეულის, მასალების, ნახევარფაბრიკატების, მარაგ-ნაწილების, ტარისა და მზა პროდუქციის (საქონლის) ნაშთების, სააღრიცხვო (საბუღალტრო) ჩანაწერებთან შედარების მიზნით.

საქმის მასალებით დადგენილია, რომ თბილისის რეგიონული ცენტრის 2010 წლის 29 აპრილის №11/03-104 ბრძანების საფუძველზე სს „...“ უფლებამოსილი პირის 2010 წლის 30 აპრილის №7 ბრძანების საფუძველზე შეიქმნა საინვენტარიზაციო კომისია.

საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2009 წლის 23 ივლისის №472 ბრძანებით დამტკიცებული „გადასახადის გადამხდელის სასაქონლო-მატერიალურ ფასეულობათა ინვენტარიზაციის ჩატარების წესის შესახებ“ ინსტრუქციის 6.2 მუხლის თანახმად, საინვენტარიზაციო კომისია ახორციელებს: ა) სასაქონლო-მატერიალურ ფასეულობათა ნაშთის სააღრიცხვო (საბუღალტრო) მონაცემების დადგენას; ბ) სასაქონლო-მატერიალურ ფასეულობათა ფაქტიური მდგომარეობის აღრიცხვას; გ) ფაქტიური და სააღრიცხვო (საბუღალტრო) მონაცემების ურთიერთშედარებასა და შედეგების გამოყენებას.

ამავე ინსტრუქციის 7.3 თანახმად, გადასახადის გადამხდელი ვალდებულია საინვენტარიზაციო კომისიას წარუდგინოს ინფორმაცია სასაქონლო-მატერიალურ ფასეულობათა დასახელების, რაოდენობის, ამ ფასეულობათა მიღების თარიღის, სასაქონლო ზედნადებების ელექტრონული რეესტრის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ან/და საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის ან საბაჟო დოკუმენტაციის თარიღისა და ნომრების, თვითღირებულების და სხვა მონაცემების ჩვენებით. საინვენტარიზაციო კომისია, გადასახადის გადამხდელთან ერთად ადგენს ამ ფასეულობების ნაშთების სააღრიცხვო (საბუღალტრო) მონაცემებს და სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების ნაშთების სააღრიცხვო (საბუღალტრო) მონაცემების დაზუსტე-

ბის შემდეგ ადგენს ოქმს „საბუღალტრო დოკუმენტებში აღრიცხული სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების ნაშთის შესახებ“ (დანართი №1).

საქმის მასალებით ასევე დადგენილია, რომ საინვენტარიზაციო კომისიამ საგადასახადო ორგანოს ვერ წარუდგინა სს „...“ კუთვნილი სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების ბუღალტრული ნაშთები, ვინაიდან, მოსარჩელის განმარტებით, იგი სრულად ამოღებული და წაღებული ჰქონდა საგადასახადო ორგანოს საგამოძიებო სამსახურს, რის გამოც ვერ შედგა ზემოაღნიშნული დანართი №1.

ინსტრუქციის 8.1 მუხლის შესაბამისად, სასაქონლო-მატერიალურ ფასეულობათა ფაქტიური მდგომარეობის აღრიცხვა ხდება მათი ადგილმდებარეობის მიხედვითა და საწარმოში სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების შენახვაზე პასუხისმგებელი პირების უშუალო მონაწილეობით, სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების ფაქტიური მდგომარეობის აღრიცხვის შემდეგ, საინვენტარიზაციო კომისია ადგენს ოქმს „სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების აღრიცხვის შესახებ“ (დანართი №3), ხოლო სასაქონლო-მატერიალურ ფასეულობებზე, რომელიც ეკუთვნის სხვა პირებს და მიღებულია შესანახად – დგება ცალკე საინვენტარიზაციო აღრიცხვის ოქმი (დანართი №5).

ამავე ინსტრუქციის 9.1 მუხლის თანახმად, საინვენტარიზაციო კომისიის მუშაობა ფორმდება შემაჯამებელი ოქმით, რომელშიც აისახება ინვენტარიზაციის შედეგები. 9.2 მუხლის შესაბამისად, სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების საბუღალტრო დოკუმენტებში აღრიცხული და ფაქტიური მდგომარეობის აღრიცხვის მონაცემების შედარების მიზნით, საინვენტარიზაციო კომისია ადგენს ოქმს „სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების ბუღალტრული აღრიცხვისა და ფაქტიური აღრიცხვის მონაცემების შედარების შესახებ“ (დანართი №4).

იმავე ინსტრუქციის 9.4 მუხლის თანახმად, გადასახადის გადამხდელის მფლობელობაში არსებული სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების ინვენტარიზაციის პროცედურის შედეგებზე საინვენტარიზაციო კომისიის მიერ პროცედურის დასრულებისთანავე დგება ოქმი (დანართი №6) რომელშიც შეიტანება ის მონაცემები, რომლებიც გამოვლინდა №4 და №5 დანართებში, მხოლოდ დანაკლისის და აღურიცხავი სასაქონლო-მატერიალური ფასეულობის მიხედვით.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების ინვენტარიზაციის დროს შედგენილ ოქმებს და მათში შეტანილ მონაცემებს მნიშვნელოვანი როლი ენიჭებათ საბოლოო ინვენტარიზაციის შედეგების განსაზღვრაზე.

საინვენტარიზაციო კომისიამ აღწერა მოსარჩელის კუთვნილ საბაჟო საწყობში ფაქტიურად არსებული ნაშთები (ანუ სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები). ამ აღწერის შედეგად შეადგინა დანართი №3, ხოლო საინვენტარიზაციო კომისიამ სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების ბუღალტრული ნაშთების უქონლობის გამო ვერ გამოიყვანა ვერც ინვენტარიზაციის შედეგები და შესაბამისად, ვერ შედგა იმავე ინსტრუქციით გათვალისწინებული დანართი №4 და დანართი №6.

საბოლოოდ ინვენტარიზაციის შედეგების განსაზღვრისათვის სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების ფაქტიური აღწერის შედეგები შედარდა მოპასუხის – თბილისის რეგიონული ცენტრის საბაჟო ბაზის (ელექტრონული ბაზის) მონაცემებს და ამ შედარების შედეგად იქნა მიღებული სხვაობები (ზედმეტობა და დანაკლისი) და შედგა სამართალდარღვევის ოქმებიც.

საკასაციო სასამართლოს შეფასებით: მხარეთა შორის დავას ქმნის ის გარემოება, რომ „...“ მტკიცებით, მის კუთვნილ საწყობში აღმოჩენილი 1 400 ცალი ბოთლი არ წარმოადგენს ზედმეტობას, რადგან საწარმოს ბუღალტრული ჩანაწერების მიხედვით აღნიშნული ბოთლები სს „...“ აღრიცხული აქვს საბაჟო დეკლარაციებში. ამასთან, სადავოა ასევე ის გარემოება, ს.ს. „...“ კუთვნილ საწყობში ჩატარებული ინვენტარიზაციის შედეგად ადგილზე რომელი სახეობის მინის ბოთლები აღმოჩნდა აღურიცხავი საქონლის სახით 0,5 ლიტრის თუ 0,7 ლიტრის ტევადობის.

ზემოაღნიშნული სადავო გახდა იმ გარემოების გამო, რომ საინვენტარიზაციო კომისიამ ფაქტობრივი აღწერის შედეგები ვერ შეუდარა საწარმოს ბუღალტრულ ნაშთებს, რადგან ინვენტარიზაციის დაწყების მომენტში საგადასახადო ორგანოს სრულად ჰქონდა ამოღებული და წაღებული საწარმოს საბუღალტრო დოკუმენტაცია.

აღნიშნულს არ დაეთანხმა სსიპ შემოსავლების სამსახურის საკასაციო საჩივარში წამოყენებული საკასაციო პრეტენზიით, ვინაიდან მისი განმარტებით, არასწორია ის ფაქტობრივი გარემოება, რომ სს „...“ საბუღალტრო დოკუმენტაცია ამოღებული ჰქონდა საგადასახადო ორგანოს, რადგან სასაქონლო-მატერიალურ ფასეულობათა ინვენტარიზაციის ჩატარების დაწყების მომენტში მენარმე თვითონ არის ვალდებული საგადასახადო ორგანოს თანამშრომლებს წარუდგინოს საბუღალტრო დოკუმენტაცია, რაც სს „...“ არ განუხორციელებია და კონკრეტულ შემთხვევაში საგადასახადო კოდექსის 104-ე მუხლის საფუძველზე, კი საგადასახადო ორგანომ საბუღალტრო დოკუმენტების მონაცემების არ არსებობის შემთხვევაში ინვენტარიზაციის შედეგები მართებულად შეუდარა საგადასახადო ინსპექციაში არსებულ ინფორმაციას.

საკასაციო სასამართლო არ იზიარებს კასატორის ზემოაღნიშნულ არგუმენტაციას და მიაჩნია, რომ გასაჩივრებული აქტის მიღების დროს მოპასუხე ორგანოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის II თავით დადგენილი ნორმების შესაბამისად, სამართლებრივი დახმარების მოთხოვნით უნდა მიემართა საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო ორგანოებისათვის ზემოაღნიშნული კოდექსის 17.2 მუხლის საფუძველიდან გამომდინარე, გამოეთხოვა სს „...“ კუთვნილი საბუღალტრო დოკუმენტაცია, რის შედეგადაც მოახდენდა სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების საბუღალტრო დოკუმენტებში აღრიცხული და ფაქტიური მდგომარეობის აღრიცხვის მონაცემების შედარებას საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2009 წლის 23 ივლისის №472 ბრძანებით დამტკიცებული „გადასახადის გადამხდელის სასაქონლო-მატე-

რიალურ ფასეულობათა ინვენტარიზაციის ჩატარების წესის შესახებ“ ინსტრუქციის შესაბამისად დადგენილი წესით.

ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96.1. მუხლის თანახმად, ცალსახად არის განსაზღვრული ადმინისტრაციული ორგანოს ვალდებულება, ადმინისტრაციული წარმოებისას გამოიკვლიოს საქმისათვის მნიშვნელობის მქონე ყველა გარემოება და გადაწყვეტილება მიიღოს ამ გარემოებათა შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, ამავე მუხლის მეორე ნაწილის შესაბამისად, დაუშვებელია ადმინისტრაციული აქტის გამოცემას საფუძვლად დაედოს ისეთი გარემოება ან ფაქტი, რომელიც კანონით დადგენილი წესით არ არის გამოკვლეული.

კონკრეტულ შემთხვევაში კი დადგენილია, რომ სანარმოს საბაჟო საწყობში ჩატარებული ინვენტარიზაციის მიუხედავად საინვენტარიზაციო კომისიამ ვერ შეადგინა საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2009 წლის 23 ივლისის №472 ბრძანებით დამტკიცებული „გადასახადის გადამხდელის სასაქონლო-მატერიალურ ფასეულობათა ინვენტარიზაციის ჩატარების წესის შესახებ“ ინსტრუქციით გათვალისწინებული №1, №4 და №6 დანართები, რომელთა არსებობა მნიშვნელოვან როლს შეასრულებდა საბოლოოდ ინვენტარიზაციის შედეგების მიღებისას.

ამასთან, საკასაციო სასამართლო სრულად იზიარებს საქალაქო სასამართლოს მსჯელობას იმის თაობაზე, რომ ადმინისტრაციულმა ორგანომ სადავო აქტის გამოცემისას არ გამოიკვლია საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის გარემოებები იმ პირობებში, როცა საქმის მასალებით დადგენილია, რომ სასაქონლო-მატერიალურ ფასეულობათა ინვენტარიზაციის ჩატარების დაწყების მომენტში სს „...“ კუთვნილი საბუღალტრო დოკუმენტაცია არ გააჩნდა, იმის გამო, რომ იგი სრულად ამოღებული და წაღებული ჰქონდა საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ფინანსური პოლიციის საგამოძიებო დეპარტამენტს, რაც დაადასტურა ასევე საკასაციო სასამართლოში კასატორის სსიპ შემოსავლების სამსახურის წარმომადგენელმა. ასევე შეფასება არ მისცა იმ გარემოებას, რომ საქმეში წარმოდგენილი იყო ორი ურთიერთგამომრიცხავი დოკუმენტი: სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების აღრიცხვის შესახებ 2010 წლის 7 მაისის ოქმი (დანართი №3), რომელშიც მითითებულია, რომ სს „...“ კუთვნილ საბაჟო საწყობში ინახებოდა 1400 ცალი 0,7 ლ ტევადობის მინის ბოთლი და დარიცხვის საფუძვლად მითითებულ საგადასახადო ინსპექციის თანამშრომლების 2010 წლის 9 სექტემბრის მოხსენებითი ბარათი, რომელშიც მითითებულია, რომ სს „...“ საწყობში აღმოჩენილია 1400 ცალი 0,5 ლ ტევადობის მინის ბოთლი. საგადასახადო ორგანოს სადავო აქტების გამოცემისას ასევე არ შეაფასა 2009 წლის 19 ივნისის საბაჟო დეკლარაციები და სს „...“ 2009 წლის III და IV კვარტლებისა და 2010 წლის I და II კვარტლების ანგარიშების, რომელთა შესაბამისად, ინვენტარიზაციის პროცესში შედგენილი №3 დანართში მითითებული 14000 ცალი 0,7 ტევადობის მინის ბოთლი არ წარმოადგენდა აღურიცხავ საქონელს.

საკასაციო სასამართლოს განმარტებით, სწორედ ზემოაღნიშნული გარემოებებიდან გამომდინარე, საგადასახადო ორგანომ ხელახლა უნდა შეისწავლოს საქმის ფაქტობრივი გარემოებები და მათი შემოწმების შედეგად გამოსცეს ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტები სს „...“ მიმართებაში.

რაც შეეხება თბილისის რეგიონული ცენტრის 2010 წლის 20 აგვისტოს №2396 საბაჟო შეტყობინებას, საკასაციო სასამართლოს აღნიშნულის შეფასებაშიც ეთანხმება პირველი და სააპელაციო სასამართლოების დასკვნას და დასძენს: საქართველოს საბაჟო კოდექსის 252.1 მუხლის თანახმად, საბაჟო საწყობის, თავისუფალი საწყობის ან უბაჟო ვაჭრობის პუნქტის საქმიანობის ნებართვის მფლობელის მიერ საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი სანებართვო პირობების შეუსრულებლობა – ინვევს ნებართვის მფლობელის დაჯარიმებას 3000 ლარით, ხოლო ამავე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, ამ მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული ქმედება განმეორებით ინვევს ნებართვის მფლობელის დაჯარიმებას ყოველ Dშემდგომ განმეორებაზე 9000 ლარით. ვინაიდან, ზემოთ მითითებულ საბაჟო შეტყობინებას საფუძვლად დაედო ის გარემოება, რომ მოსარჩელის მხრიდან ინვენტარიზაციის შედეგად აღმოჩნდა, როგორც ზედმეტობა ასევე დანაკლისი და ფაქტიურად ადგილი ჰქონდა ერთი და იმავე სახეობის საბაჟო გადაცდომის განმეორებით ჩადენას, მაგრამ 2010 წლის 20 აგვისტოს №2397 საბაჟო შეტყობინება სადავო საკითხის გადაუწყვეტლად ბათილად იქნა ცნობილი ანუ დაედასტურებული არ არის, ნამდვილად გამოვლინდა თუ არა სს „...“ საბაჟო საწყობში ზედმეტობა, შესაბამისად, ვერ გამოიყენება ზემოაღნიშნული მუხლის მე-2 ნაწილი.

საკასაციო სასამართლოს განმარტებით, ასევე მართებულია საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის 2010 წლის 23 სექტემბრის №1796 ბრძანების საქართველოს ფინანსთა სამინისტროს 2010 წლის 20 აგვისტოს 32397 საბაჟო შეტყობინების (ჯარიმის – 4000 ლარის) და №2396 საბაჟო შეტყობინების (ჯარიმის – 9000 ლარის) საჩივრის არ დაკმაყოფილების ნაწილში ბათილად ცნობაც, ვინაიდან, საქალაქო სასამართლომ სწორედ მითითებული საბაჟო შეტყობინებები ცნო სადავო საკითხის გადაუწყვეტლად ბათილად და საგადასახადო ორგანოს დაავალა საქმის ხელახლა შესწავლის შედეგად ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების გამოცემა.

ამდენად, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ საკასაციო საჩივარში ჩამოყალიბებული არგუმენტები სააპელაციო სასამართლოს მიერ ფაქტების არასწორ დადგენასთან და კანონის არასწორ გამოყენებასთან დაკავშირებით არ არის იურიდიულად დასაბუთებული და არ გამომდინარეობს განხილული ნორმების ნამდვილი შინაარსიდან და მოსაწესრიგებელი ურთიერთობის ნამდვილი მიზნიდან; შესაბამისად, სადავო სამართალურთიერთობას ქვემდგომმა სასამართლოებმა სწორად შეუფარდეს და განმარტეს სამართლის

ნორმა, რის გამოც არ არსებობს კასაციის დაკმაყოფილების და გასაჩივრებული განჩინების გაუქმების სამართლებრივი საფუძვლები.

სასამართლო ხარჯების განაწილება:

კასატორს სსსკ-ის 53.2. მუხლის საფუძველზე უნდა დაეკისროს სასამართლო ხარჯების სახით 100 ლარის გადახდა სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 1.2; სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე, 257-ე, 372-ე, 390-ე და 410-ე მუხლებით

დ ა ა ღ ბ ი ნ ა:

1. სსიპ შემოსავლების სამსახურის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;
2. უცვლელად დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2011 წლის 6 ივლისის განჩინება;
3. სსიპ შემოსავლების სამსახურს სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ დაეკისროს სასამართლო ხარჯების სახით 100 ლარის გადახდა;
4. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

საგადასახადო პასუხისმგებლობის გამომრიცხავი გარემოებები

ბ ა ნ ჩ ი ნ ე ბ ა

№ბს-1691-1663(კ-11)

8 ივნისი, 2012 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატა

შემადგენლობა: ნ. ქადაგიძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),

ნ. სხირტლაძე,

ლ. მურუსიძე

დავის საგანი: ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების ბათილად ცნობა.

აღწერილობითი ნაწილი:

2009 წლის 10 აგვისტოს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას სარჩელით მიმართა მ. ზ-ე და სპს „...“ მოპასუხეების საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის ახალციხის რეგიონული ცენტრის (საგადასახადო ინსპექცია), საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურისა და საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიმართ.

მოსარჩელე სარჩელით ითხოვდა საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის ახალციხის რეგიონული ცენტრის (საგადასახადო ინსპექცია) 2008 წლის 29 დეკემბრის №2117 სამართალდარღვევის ოქმის, 2009 წლის 21 იანვრის №14 საგადასახადო მოთხოვნის, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის 2009 წლის 7 მაისის №1171 ბრძანების, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს დავების განხილვის საბჭოს 2009 წლის 3 აგვისტოს №10/10154 გადაწყვეტილების ბათილად ცნობას და ზიანის ანაზღაურებას.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2009 წლის 14 აგვისტოს განჩინებით მ. ზ-ე და სპს „...“ სარჩელი მოპასუხეების საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის ახალციხის რეგიონული ცენტრის (საგადასახადო ინსპექცია), საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურისა და საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიმართ განსახილველად განსჯადობით გადაეგზავნა ახალციხის რაიონულ სასამართლოს.

2009 წლის 30 ოქტომბერს ახალციხის რაიონულ სასამართლოს სარჩელითმიმართა მ. ზ-ე და სპს „...“ მოპასუხეების საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის ახალციხის რეგიონული ცენტრის (საგადასახადო ინსპექცია), საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურისა და საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიმართ.

მოსარჩელე სარჩელით ითხოვდა საქართველოს ფინანსთა სამინისტროს დავების განხილვის საბჭოს 2009 წლის 5 ოქტომბრის გადაწყვეტილების, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის 2009 წლის 7 აგვისტოს №2383 და 2009 წლის 19 აგვისტოს №2543 ბრძანებების; ახალციხის რეგიონული ცენტრის (საგადასახადო ინსპექცია) 2009 წლის 28 აპრილის №033-5 საგადასახადო მოთხოვნის; 2009 წლის 7 აპრილის საგადასახადო სამართალდარღვევის ოქმის; 2009 წლის 25 მაისის №3080 ბრძანების; 2009 წლის 25 მაისის №231 ოქმის „მოვალის საღაროდან ნაღდი ფულადი სახსრების ამოღების შესახებ“; საბანკო ანგარიშიდან სადავო თანხის 1500 ლარის ჩამოწერის შესახებ 2009 წლის 29 მაისის №719 საგადასახადო დავების ბათილად ცნობას, ასევე ახალციხის რეგიონული ცენტრის (საგადასახადო ინსპექცია) 2009 წლის 6 ოქტომბრის №5 საგადასახადო მოთხოვნის, 2009 წლის 2 ოქტომბრის №5034 ბრძანებისა და

2009 წლის 5 ოქტომბრის კამერალური შემოწმების აქტის ნაწილობრივ ბათილად ცნობასა და ზიანის ანაზღაურებას.

2009 წლის 13 ნოემბერს ახალციხის რაიონულ სასამართლოს სარჩელით მიმართა სპს „...“ მოპასუხის საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის ახალციხის რეგიონული ცენტრის (საგადასახადო ინსპექცია) მიმართ და მოითხოვა ახალციხის რეგიონული ცენტრის (საგადასახადო ინსპექცია) სპს „...“ საბანკო ანგარიშიდან სადავო თანხის 498 ლარის ჩამოწერის შესახებ 2009 წლის 27 ოქტომბრის №1 საგადასახადო დავალების; 2009 წლის 20 ოქტომბრის №5328 ბრძანების, დარიცხული საურავის 98, 54 ნაწილში ბათილად ცნობა.

ახალციხის რაიონული სასამართლოს 2009 წლის 29 ნოემბრის განჩინებით მოსარჩელე სპს „...“ ადმინისტრაციულ სარჩელთან დაკავშირებით ახალციხის რაიონული სასამართლოს წარმოებაში არსებული №3/093-09, №3/118-09 და №3/125-09 ადმინისტრაციული საქმეები მოპასუხე საქართველოს ფინანსთა სამინისტროს, ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურისა და ახალციხის რეგიონული ცენტრის (საგადასახადო ინსპექცია) მიმართ გაერთიანდა ერთ წარმოებად ერთად განხილვის მიზნით და საქმის ნომრად განისაზღვრა №3/125-09.

2010 წლის 22 იანვარს ახალციხის რაიონულ სასამართლოს სარჩელით მიმართა მ. ზ-ე და სპს „...“ მოპასუხის საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის ახალციხის რეგიონალური ცენტრის (საგადასახადო ინსპექცია) მიმართ.

მოსარჩელე სარჩელით ითხოვდა საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის ახალციხის რეგიონული ცენტრის (საგადასახადო ინსპექცია) 2009 წლის 18 იანვრის №228 ბრძანების დარიცხული საურავის 586, 64 ლარის ოდენობის ნაწილში ბათილად ცნობას.

ახალციხის რაიონული სასამართლოს 2010 წლის 9 თებერვლის განჩინებით მ. ზ-ე და სპს „...“ ადმინისტრაციულ სარჩელთან დაკავშირებით ახალციხის რაიონული სასამართლოს წარმოებაში არსებული ადმინისტრაციული №3/125-09 და №3/006-10 საქმე, მოპასუხე საქართველოს ფინანსთა სამინისტროს, ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურისა და ახალციხის რეგიონული ცენტრის (საგადასახადო ინსპექცია) მიმართ გაერთიანდა ერთ წარმოებად ერთად განხილვის მიზნით და საქმის ნომრად განისაზღვრა №3/006-10.

ახალციხის რაიონული სასამართლოს 2010 წლის 19 მარტის განჩინებით საქმის განხილვა შეჩერდა სამცხე-ჯავახეთის საოლქო პროკურატურის წარმოებაში არსებულ სისხლის სამართლის საქმეზე გადაწყვეტილების მიღებამდე.

ახალციხის რაიონული სასამართლოს 2010 წლის 21 მაისის განჩინებით განახლდა საქმის წარმოება მ. ზ-ე და სპს „...“ სარჩელისა გამო.

ახალციხის რაიონული სასამართლოს 2010 წლის 15 ივლისის განჩინებით საქმის წარმოება შეჩერდა ექსპერტიზის დასრულებამდე.

ახალციხის რაიონული სასამართლოს 2010 წლის 25 ოქტომბრის განჩინებით განახლდა საქმის წარმოება მ. ზ-ე და სპს „...“ სარჩელისა გამო, მოპასუხე საქართველოს ფინანსთა სამინისტროს, ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურისა და ახალციხის რეგიონული ცენტრის (საგადასახადო ინსპექცია) მიმართ აქტების ბათილად ცნობისა და ზიანის ანაზღაურების შესახებ.

ახალციხის რაიონული სასამართლოს 2010 წლის 9 ნოემბრის გადაწყვეტილებით მ. ზ-ე და სპს „...“ სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

პირველი ინსტანციის სასამართლომ დადგენილად მიიჩნია შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები: მ. ზ-ე და სპს „...“ რეგისტრირებული იყვნენ ასპინძის რაიონული სასამართლოს მიერ 1995 წლის 25 დეკემბერს ასპინძის საგადასახადო ინსპექციაში, გადასახადის გადამხდელად რეგისტრაცია გავლილი ჰქონდათ 1995 წლის 25 დეკემბერს, სადაც მინიჭებული აქვს საიდენტიფიკაციო კოდი №... (იურიდიული მისამართი: დაბა ასპინძა, ... ქუჩა №33). საზოგადოების საქმიანობაა საცალო ვაჭრობა;

ახალციხის რეგიონული ცენტრის (საგადასახადო ინსპექცია) უფროსის 2008 წლის 11 დეკემბრის №2383 ბრძანების საფუძველზე, საქართველოს საგადასახადო კოდექსის 110-ე მუხლის თანახმად, მ. ზ-ე და სპს „...“ ჩატარდა სასაქონლო მატერიალური ფასეულობების ინვენტარიზაცია;

სპს „...“ სასაქონლო მატერიალური ფასეულობების ინვენტარიზაციას ხელმძღვანელობდა საინვენტარიზაციო კომისია, რომელიც შექმნა აღნიშნული საწარმოს დირექტორმა;

ინვენტარიზაციის ოქმებში დაფიქსირდა სარეალიზაციო ფასი, რომელსაც შემდგომ გაანგარიშების პროცესში გამოაკლდა საშუალო 13% ფასდანამატი (რომელსაც ახდენდა საწარმოს ხელმძღვანელი შეძენილ საქონელზე) და შემდგომ 18% დღე;

საინვენტარიზაციო ობიექტში არსებული ნახატების შესახებ გადასახადის გადამხდელს საქონლის შესყიდვის დამადასტურებელი დოკუმენტები არ გააჩნდა.

მ. ზ-ეს და სპს „...“ ახალციხის რეგიონული ცენტრის (საგადასახადო ინსპექცია) მიერ ჩატარებული მატერიალური ფასეულობათა ინვენტარიზაციის შედეგად გამოვლენილი დარღვევების გამო შეუდგინეს საგადასახადო სამართალდარღვევის შესახებ ოქმი №2117, რაზეც გამოიცა ამავე ორგანოს მიერ 2009 წლის 12 იანვარს №22 ბრძანება, რომლის თანახმადაც სპს „...“-ს პასუხისმგებლობის ზომად სანქციის სახით განესაზღვრა ჯარიმა თანხით 133-ე მუხლის 1-ლი ნაწილით 1000 ლარი და 143-ე მუხლის მე-3 ნაწილით 120 369,58 ლარი. აღნიშნული ბრძანების საფუძველზე მ. ზ-ეს და სპს „...“ წარედგინა 2009 წლის 21 იანვრის საგადასახადო მოთხოვნა №14 საბიუჯეტო დავალიანების არსებობის თაობაზე;

ახალციხის რეგიონული ცენტრის (საგადასახადო ინსპექცია) მიერ 2009 წლის 21 იანვარს გამოცემული საგადასახადო მოთხოვნა №14 და ამავე სამსახურის 2009 წლის 12 იანვრის №22 ბრძანება ფოსტის მეშვეობით გაეგზავნა მ. ზ-ე და სპს „...“ და 2009 წლის 29 იანვარს ჩაჰპარდა;

2009 წლის 21 იანვრის №14 საგადასახადო მოთხოვნა და 2008 წლის 29 დეკემბრის საგადასახადო სამართალდარღვევის №2117 ოქმი გადასახადის გადამხდელის მიერ გასაჩივრდა შემოსავლების სამსახურში, რაც არ დაკმაყოფილდა;

მ. ზ-ე და სპს „...“-ს საჩივრები ახალციხის რეგიონული ცენტრის (საგადასახადო ინსპექცია) მიერ ჩატარებული სასაქონლო მატერიალური ფასეულობათა ინვენტარიზაციის შედეგების საფუძველზე წარდგენილი 2009 წლის 21 იანვრის №14 „საგადასახადო მოთხოვნით“ დარიცხული ჯარიმის სახით თანხის მოხსნის შესახებ გასაჩივრდა საქართველოს ფინანსთა სამინისტროსთან არსებულ დავების განხილვის საბჭოში;

საქართველოს ფინანსთა სამინისტროსთან არსებული დავების განხილვის საბჭოს 2009 წლის 27 ივლისის გადაწყვეტილებით ნაწილობრივ დაკმაყოფილდა მ. ზ-ე და სპს „...“ (ს/ნ ...) მიერ 2009 წლის 13 მაისის და 6 ივლისის საბჭოში წარდგენილი საჩივრები, რის შემდეგაც საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის ახალციხის რეგიონული ცენტრის (საგადასახადო ინსპექცია) 2009 წლის 7 აგვისტოს №4129 ბრძანებით მ. ზ-ესა და სპს „...“ (ს/ნ ...) 143-ე მუხლის მე-3 ნაწილით დარიცხული ჯარიმის თანხა 120 368 ლარი შემცირდა 11 233 ლარით, ხოლო ამავე ბრძანებით დარიცხული ჯარიმა 1 000 ლარი გაუქმდა, რის შემდეგაც ახალ საგადასახადო მოთხოვნასთან ერთად წარედგინა გადასახადის გადამხდელს.

ახალციხის რეგიონული ცენტრის (საგადასახადო ინსპექცია) 2009 წლის 27 თებერვლის №596 ბრძანებით, ბიუჯეტის ვადაგადაცილებული დავალიანების მქონე გადამხდელთა მიმართ, საგადასახადო ვალდებულებების შესრულების უზრუნველყოფის ღონისძიებათა გატარების მიზნით, საქართველოს საგადასახადო კოდექსის 150-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ პუნქტის საფუძველზე ყადაღა დაედო 131117 ლარის ფარგლებში დაბა ასპინძა სს „...“ განყოფილებაში სპს „...“-ს ანგარიშებს;

ახალციხის რეგიონული ცენტრის (საგადასახადო ინსპექცია) 2009 წლის 5 მაისის ბრძანებით ბიუჯეტის ვადაგადაცილებული დავალიანების მქონე გადამხდელთა მიმართ, საგადასახადო ვალდებულებების შესრულების უზრუნველყოფის ღონისძიებათა გატარების მიზნით, საქართველოს საგადასახადო კოდექსის 150-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ პუნქტის საფუძველზე, სს „...“ სპს „...“ (ს/ნ ...) №...; №...; ...; №... ანგარიშებს დაედო ყადაღა;

მ. ზ-ე და სპს „...“ საგადასახადო კოდექსის 139-ე მუხლის მე-5 ნაწილის შესაბამისად, მოსახლეობასთან ნაღდი ფულით ანგარიშწორებისას საკონტროლო-სალარო აპარატის განმეორებით გამოუყენებლობისათვის დაჯარიმდა 1 500 ლარით, რის შესახებაც ახალციხის რეგიონული ცენტრის (საგადასახადო ინსპექცია) მიერ 2009 წლის 27 აპრილის გაეგზავნა №1065 ბრძანება, 2009 წლის 28 აპრილის №033-5 საგადასახადო მოთხოვნასთან ერთად;

მ. ზ-ე და სპს „...“ დაკისრებული ჯარიმა არ გადაიხდა, რაზეც ახალციხის რეგიონულმა ცენტრმა 2009 წლის 28 მაისს გამოსცა №3116 ბრძანება შეჩერებულიყო ახალციხის რეგიონული ცენტრის (საგადასახადო ინსპექცია) 05.05.2009 წლის №2077 ანგარიშების დაყადაღების ბრძანება და სპს „...“-ს ანგარიშებზე წარდგენილიყო საინკასო დავალებები, ხოლო აღნიშნული ბრძანებით წარმოდგენილი საინკასო დავალებების სრულად განაღდების შემდგომ განახლებულიყო ახალციხის რეგიონული ცენტრის (საგადასახადო ინსპექცია) 05.05.2009 წლის №2077 ანგარიშების დაყადაღების შეჩერებული ბრძანების მოქმედება. მ. ზ-ის და სპს „...“ ანგარიშებიდან ჩამოიჭრა თანხა;

ახალციხის რეგიონული ცენტრის (საგადასახადო ინსპექცია) 2009 წლის 28 მაისის №3116 ბრძანება მ. ზ-ე და სპს „...“ გაასაჩივრა საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურში, რომელმაც საჩივარი არ დააკმაყოფილა;

ახალციხის რეგიონული ცენტრის 2009 წლის 29 მაისის №719 საგადასახადო მოთხოვნა და შემოსავლების სამსახურის 2009 წლის 19 აგვისტოს №2543 ბრძანება მ. ზ-ე და სპს „...“ 2009 წლის 1 სექტემბერს გაასაჩივრა ფინანსთა სამინისტროსთან არსებული დავების განხილვის საბჭოში, სადაც საჩივარი არ დაკმაყოფილდა;

ახალციხის რეგიონული ცენტრის (საგადასახადო ინსპექცია) თანამშრომლების მიერ საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის ახალციხის რეგიონული ცენტრი (საგადასახადო ინსპექცია) 2009 წლის 25 მაისის №3080 ბრძანებით და მოვალის სალაროდან ნაღდი ფულის სახსრების ამოღების შესახებ №231 ოქმით სპს „...“ სალაროდან აღიარებული საგადასახადო დავალიანების დასაფარად ამოღებული იქნა ნაღდი ფული 200 ლარის ოდენობით;

ახალციხის რეგიონული ცენტრის (საგადასახადო ინსპექცია) მიერ მომსახურების სამმართველოს მთ. ინსპექტორის ლ. თ-ის 31.08.2009 წლის მოხსენებითი ბარათის საფუძველზე მ. ზ-ე და სპს „...“ ჩატარდა კამერალური საგადასახადო შემოწმება, რის შედეგადაც საზოგადოებას გადასახდელად დაერიცხა 4 279,70 ლარი. აღნიშნულის თაობაზე საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის ახალციხის რეგიონული ცენტრის (საგადასახადო ინსპექცია) მიერ 2009 წლის 2 ოქტომბერს გამოიცა №5034 ბრძანება, რაც 2009 წლის 6 ოქტომბრის №5 საგადასახადო მოთხოვნასთან ერთად გაეგზავნა მ. ზ-ე და სპს „...“;

მ. ზ-ემ და სპს „...“-ს წარმომადგენელმა გ. ზ-ემ საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურში წარადგინეს საჩივრები 2009 წლის 7 აპრილს შედგენილი საგადასახადო სამართალდარღვევის შესახებ №002205 ოქმის საფუძველზე ახალციხის რეგიონული ცენტრის (საგადასახადო ინსპექცია) მიერ წარდგენილი 28.04.2009 წლის №033-5 „საგადასახადო მოთხოვნით“ ჯარიმის სახით დარიცხული თანხის მოხსნისა და სალაროდან ნაღდი ფულადი სახსრების ამოღების შესახებ ახალციხის რეგიონული ცენტრის

(საგადასახადო ინსპექცია) 25.05.2009 წლის №3080 ბრძანების, აგრეთვე აღნიშნული ბრძანების საფუძველზე აღიარებული საგადასახადო დავალიანების დაფარვის მიზნით 25.05.2009 წელს, გადასახადის გადამხდელი სალაროდან ნაღდი ფულის ამოღებისას შედგენილი №231 ოქმის გაუქმების შესახებ, რომელიც საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის 2009 წლის 7 აგვისტოს №2383 ბრძანებით არ დაკმაყოფილდა;

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურში 2009 წლის 13 ივლისს წარდგენილი იქნა მ. ზ-ის და სპს „...“-ს წარმომადგენლის – გ. ზ-ის საჩივრები ახალციხის რეგიონული ცენტრის (საგადასახადო ინსპექცია) 28.05.2009 წლის №3116 ბრძანების გაუქმების, საბანკო ანგარიშზე №036200901605 საინკასო დავალების წარდგენის ნაწილში და აღნიშნული საინკასო დავალების საფუძველზე, №719 საგადასახადო დავალებით ბიუჯეტის სასარგებლოდ ჩამოჭრილი 1 500 ლარის დაბრუნების შესახებ, რომელიც არ დაკმაყოფილდა.

მ. ზ-ემ და სპს „...“ შემოსავლების სამსახურის 2009 წლის 7 აგვისტოს №2383 ბრძანება; ახალციხის რეგიონული ცენტრის 2009 წლის 28 აპრილის №033-5 „საგადასახადო მოთხოვნა“; ახალციხის რეგიონული ცენტრის 2009 წლის 7 აპრილის საგადასახადო სამართალდარღვევის შესახებ №002205 ოქმი და ახალციხის რეგიონული ცენტრის 2009 წლის 25 მაისის №3080 ბრძანება სალაროდან ნაღდი ფულის ამოღების შესახებ 2009 წლის 1 სექტემბერს გაასაჩივრა საქართველოს ფინანსთა სამინისტროსთან არსებულ დავების განხილვის საბჭოში, რომელმაც 2009 წლის 5 ოქტომბრის გადაწყვეტილებით საჩივარი არ დააკმაყოფილა;

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის ახალციხის რეგიონული ცენტრის (საგადასახადო ინსპექცია) 2010 წლის 18 იანვრის №228 ბრძანებით შეჩერდა ახალციხის რეგიონული ცენტრის (საგადასახადო ინსპექციის) 05.05.2009 წლის 32077 ანგარიშების დაყადაღების ბრძანება და მ. ზ-ე და სპს „...“-ს (ს/ნ ...) საბანკო ანგარიშებზე წარდგენილი იქნა საინკასო დავალებები;

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის ახალციხის რეგიონული ცენტრის (საგადასახადო ინსპექცია) 2009 წლის 20 ოქტომბრის №5328 ბრძანებით შეჩერებულ იქნა ახალციხის რეგიონული ცენტრის (საგადასახადო ინსპექციის) 05.05.2009 წლის №2077 ანგარიშების დაყადაღების ბრძანება და სპს „...“-ს (ს/ნ ...) საბანკო ანგარიშებზე წარდგენილი იქნა საინკასო დავალებები;

2009 წლის 20 ოქტომბერს, ახალციხის რეგიონულმა ცენტრმა (საგადასახადო ინსპექცია) სპს „...“-ს საბანკო ანგარიშებიდან, №036200903394 საინკასო დავალების თანახმად, 2009 წლის 27 ოქტომბერს №1 საგადასახადო დავალებით ჩამოწერა და ბიუჯეტში ჩარიცხა 15 789,00 ლარი;

სამცხე-ჯავახეთის საოლქო პროკურატურის საგამოძიებო ნაწილში 2010 წლის 12 მარტს დაიწყო წინასწარი გამოძიება სისხლის სამართლის №084108008 საქმეზე, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის ახალციხის რეგიონული ცენტრის (საგადასახადო ინსპექციის) ცალკეულ თანამშრომელთა მიმართ, სამსახურებრივი სიყალბის ჩადენის ფაქტზე, დანაშაული გათვალისწინებული საქართველოს სსკ-ის 341-ე მუხლით;

სამცხე-ჯავახეთის საოლქო პროკურატურის საგამოძიებო ნაწილის უფროსის გ. გ-ის 2010 წლის 26 აპრილის დადგენილებით, სისხლის სამართლის №... საქმეზე, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის ახალციხის რეგიონული ცენტრის (საგადასახადო ინსპექცია) ცალკეულ თანამშრომელთა მიერ, სამსახურებრივი სიყალბის ჩადენის ფაქტზე, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული ქმედების არარსებობის გამო, გამოძიება შეწყდა და ამავდროულად წინასწარი გამოძიება გაგრძელდა სპს „...“-ს წარმომადგენლის გ. ზ-ის მიმართ დანაშაულის ჩადენის შესახებ ცრუ დასმენისა და მოწმის მიერ ცრუ ჩვენების მიცემის ფაქტზე, დანაშაული გათვალისწინებული საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 370-ე და 373-ე მუხლებით;

სასამართლოს მითითებით, საქმეზე დადგენილი ფაქტობრივი გარემოებებიდან მოსარჩელე მხარე სადავოდ ხდიდა საქართველოს ფინანსთა სამინისტროსთან არსებული დავების განმხილველი საბჭოს 2009 წლის 3 აგვისტოს №10/10154 გადაწყვეტილებას; ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის 2009 წლის 7 მაისის №1171 ბრძანებას; ახალციხის რეგიონული ცენტრის (საგადასახადო ინსპექციის) მიერ გამოცემულ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტებს: 2009 წლის 21 იანვრის №14 საგადასახადო მოთხოვნას და 2008 წლის 29 დეკემბრის საგადასახადო სამართალდარღვევის №2117 ოქმს; საქართველოს ფინანსთა სამინისტროსთან არსებული დავების განმხილველი საბჭოს 2009 წლის 5 ოქტომბრის გადაწყვეტილებას; ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის 2009 წლის 7 აგვისტოს №2383 და 2009 წლის 19 აგვისტოს №2543 ბრძანებებს და ახალციხის რეგიონული ცენტრის (საგადასახადო ინსპექცია) მიერ გამოცემულ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ სამართლებრივ აქტებს: 2009 წლის 28 აპრილის №033-5 „საგადასახადო მოთხოვნა“-ს და 2009 წლის 7 აპრილის საგადასახადო სამართალდარღვევის №002205 ოქმს; 2009 წლის 25 მაისის №3080 ბრძანებას და 2009 წლის 25 მაისის №231 ოქმს სალაროდან ნაღდი ფულის ამოღების შესახებ; 2009 წლის 29 მაისის №719 საგადასახადო დავალებით №0320091609 საინკასო დავალების საფუძველზე საბანკო ანგარიშიდან სადავო თანხის 1500 ლარის ჩამოწერას; ახალციხის რეგიონული ცენტრის (საგადასახადო ინსპექცია) 2009 წლის 6 ოქტომბრის №5 „საგადასახადო მოთხოვნა“-ს, 2009 წლის 2 ოქტომბრის №5034 ბრძანებებს და 2009 წლის 5 ოქტომბრის კამერალური შემოწმების აქტს მ. ზ-ე და სპს „...“-ს მიმართ მხოლოდ 498 ლარის ოდენობის გადასახდელად დარიცხვის ნაწილში; ახალციხის რეგიონული ცენტრის (საგადასახადო ინსპექცია) მიერ 2009 წლის 27 ოქტომბერს №1 საგადასახადო დავალებით სპს „...“-ს, საბანკო ანგარიშიდან 498 ლარის ჩამოწერას; რეგიონული ცენტრის (საგადასახადო ინსპექცია) 2009 წლის 20 ოქტომბრის №5328 ბრძანებას „საბანკო ანგარიშებზე ყადაღის შეჩერების და აღიარებული დავალიანების ფარგლებში საინკასო დავალებებით გადასახადის, საურავის, ჯარი-

მის თანხების ჩამოწერის შესახებ“ დარიცხული საურავის 98,54 ლარის ოდენობის ნაწილში; ახალციხის რეგიონული ცენტრის (საგადასახადო ინსპექცია) 2009 წლის 18 იანვრის №228 ბრძანებას დარიცხული საურავის 586.64 ლარის ოდენობის ნაწილში.

სასამართლომ მიიჩნია, რომ საქართველოს ფინანსთა სამინისტროსთან არსებული დავების განმხილველი საბჭოს 2009 წლის 3 აგვისტოს №10/10154 გადაწყვეტილება; ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის 2009 წლის 7 მაისის №1171 ბრძანება; ახალციხის რეგიონული ცენტრის (საგადასახადო ინსპექციის) მიერ გამოცემული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტები: 2009 წლის 21 იანვრის №14 საგადასახადო მოთხოვნა და 2008 წლის 29 დეკემბრის საგადასახადო სამართალდარღვევის №2117 ოქმი; საქართველოს ფინანსთა სამინისტროსთან არსებული დავების განმხილველი საბჭოს 2009 წლის 5 ოქტომბრის გადაწყვეტილება; ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის 2009 წლის 7 აგვისტოს №2383 და 2009 წლის 19 აგვისტოს №2543 ბრძანებები და ახალციხის რეგიონული ცენტრის (საგადასახადო ინსპექცია) მიერ გამოცემული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ სამართლებრივი აქტები: 2009 წლის 28 აპრილის №033-5 „საგადასახადო მოთხოვნა“ და 2009 წლის 7 აპრილის საგადასახადო სამართალდარღვევის №002205 ოქმი; 2009 წლის 25 მაისის №3080 ბრძანება და 2009 წლის 25 მაისის №231 ოქმი სალაროდან ნაღდი ფულის ამოღების შესახებ; 2009 წლის 29 მაისის №719 საგადასახადო დავალბებით №0320091609 საინკასო დავალების საფუძველზე საბანკო ანგარიშიდან სადავო თანხის 1500 ლარის ჩამოწერა; ახალციხის რეგიონული ცენტრის (საგადასახადო ინსპექცია) 2009 წლის 6 ოქტომბრის №5 „საგადასახადო მოთხოვნა“, 2009 წლის 2 ოქტომბრის №5034 ბრძანებები და 2009 წლის 5 ოქტომბრის კამერალური შემოწმების აქტი მ. ზ-ე და სპს „...“-ს მიმართ 498 ლარის ოდენობის გადასახდელად დარიცხვის ნაწილში; ახალციხის რეგიონული ცენტრის (საგადასახადო ინსპექცია) მიერ 2009 წლის 27 ოქტომბერს №1 საგადასახადო დავალბებით სპს „...“-ს, საბანკო ანგარიშიდან 498 ლარის ჩამოწერა; რეგიონული ცენტრის (საგადასახადო ინსპექცია) 2009 წლის 20 ოქტომბრის №5328 ბრძანება „საბანკო ანგარიშებზე ყადაღის შეჩერების და აღიარებული დავალიანების ფარგლებში საინკასო დავალებებით გადასახადის, საურავის ჯარიმის თანხების ჩამოწერის შესახებ“ დარიცხული საურავის 98,54 ლარის ოდენობის ნაწილში; ახალციხის რეგიონული ცენტრის (საგადასახადო ინსპექცია) 2009 წლის 18 იანვრის №228 ბრძანება დარიცხული საურავის 586.64 ლარის ოდენობის ნაწილში მიღებულია კანონმდებლობით დადგენილი წესით და რაიმე სახის დარღვევას ადგილი არ ჰქონია.

სასამართლომ განმარტა, იმის გათვალისწინებით, რომ მ. ზ-ის და სპს „...“ საჩივარი საქართველოს ფინანსთა სამინისტროსთან არსებული დავების განხილვის საბჭოს 2009 წლის 27 ივლისის გადაწყვეტილებით ნაწილობრივ დაკმაყოფილდა და საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის ახალციხის რეგიონული ცენტრის (საგადასახადო ინსპექცია) 2009 წლის 7 აგვისტოს №4129 ბრძანებით მ. ზ-ესა სპს „...“ (ს/ნ ...) 143-ე მუხლის მე-3 ნაწილით დარიცხული ჯარიმის თანხა 120 368 ლარი შემცირდა 11 233 ლარით, ხოლო ამავე ბრძანებით დარიცხული ჯარიმა 1 000 ლარი გაუქმდა, ამასთან, საგადასახადო ორგანოს დავება, გამოეცა შესწორებული „საგადასახადო მოთხოვნა“, სასამართლოს უნდა ემსჯელა დავების განხილვის საბჭოს გადაწყვეტილების ფარგლებში.

საქართველოს საგადასახადო კოდექსის 110-ე მუხლის თანახმად, საგადასახადო ორგანოს უფროსს უფლება აქვს სასამართლოს გადაწყვეტილების გარეშე გამოსცეს აქციზური საქონლის მფლობელი პირის სასაქონლო-მატერიალური ფასეულობის ინვენტარიზაციის ჩატარების ბრძანება (არააქციზური საქონლის მფლობელი პირის სასაქონლო-მატერიალური ფასეულობის ინვენტარიზაციის ბრძანება შეიძლება გაიცეს კალენდარული წლის განმავლობაში არა უმეტეს 3-ჯერ). აღნიშნული ბრძანების საფუძველზე, გადასახადის გადამხდელის ხელმძღვანელმა (დირექტორმა) ინვენტარიზაციის გონივრულ ვადაში ჩატარების მიზნით, უნდა შექმნას საინვენტარიზაციო კომისია. საინვენტარიზაციო კომისიაში უნდა შევიდნენ ის პირები, რომლებიც კარგად იცნობენ საინვენტარიზაციო ქონებას, იციან მისი ფასი და პირველადი აღრიცხვა. აღნიშნული კომისია ვალდებულია, სრულად და დროულად აღრიცხოს სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები წარმოებისა და მათი შენახვის ადგილზე და შეუდაროს აღრიცხვის შედეგები ბუღალტრული აღრიცხვის შესაბამის მონაცემებს და ყოველივე ეს შეიტანოს სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების აღწერის ოქმში.

„საგადასახადო ორგანოების მოთხოვნით სასაქონლო-მატერიალური ფასეულობათა ინვენტარიზაციის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 11 აპრილის №337 ბრძანების 1-ლი მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, საგადასახადო მიზნებისათვის ინვენტარიზაციის მიზანს წარმოადგენს სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების აღწერის მონაცემების ფაქტობრივ მდგომარეობასთან შედარების შემოწმება. ამავე ბრძანების მე-2 მუხლის 1-ლი და მე-3 პუნქტის მიხედვით, საგადასახადო ორგანოს უფროსს უფლება აქვს, სასამართლოს გადაწყვეტილების გარეშე გამოსცეს აქციზური საქონლის მფლობელი პირის სასაქონლო-მატერიალური ფასეულობის ინვენტარიზაციის ჩატარებისათვის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი (ბრძანება) (არააქციზური საქონლის მფლობელი პირის სასაქონლო-მატერიალური ფასეულობის ინვენტარიზაციის ბრძანება შეიძლება გაიცეს კალენდარული წლის განმავლობაში არაუმეტეს 3-ჯერ)“, ხოლო აღნიშნული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი უნდა შეიცავდეს წერილობით დასაბუთებას, რომელშიც უნდა მიეთითოს ის საკანონმდებლო ან კანონქვემდებარე ნორმატიული აქტი, რომლის საფუძველზეც გამოიცა ეს ბრძანება.

სასამართლომ მიუთითა, რომ მოსარჩელე მ. ზ-ე და სპს „...“-ს სავაჭრო ობიექტში სასაქონლო მატერიალური ფასეულობების ინვენტარიზაცია ჩატარდა შემოსავლების სამსახურის ახალციხის რეგიონული

ცენტრის (საგადასახადო ინსპექცია) უფროსის ზ. ჩ-შვილის 2008 წლის 11 დეკემბრის №2383 ბრძანების საფუძველზე, რომელიც თავისი ფორმითა და შინაარსით სრულად შეესაბამება „საგადასახადო ორგანოების მოთხოვნით სასაქონლო-მატერიალური ფასეულობათა ინვენტარიზაციის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 11 აპრილის №337 ბრძანების მე-2 მუხლის მე-2 პუნქტით დადგენილ მოთხოვნებს.

აღნიშნული ბრძანება კანონით დადგენილი წესის დაცვით ჩაპბარდა გადასახადის გადამხდელ მ. ზ-ე და სპს „...“. ამავდროულად ბრძანების მე-3 მუხლის მე-8 პუნქტის თანახმად, სანამ შეუდგებოდეს სასაქონლო-მატერიალურ ფასეულობათა ფაქტიური მდგომარეობის (არსებობის) შემოწმებას საინვენტარიზაციო კომისია ვალდებულია: ა) დალუქოს დამხმარე სათავსოები, სარდაფები და ფასეულობათა შენახვის სხვა ადგილები, რომლებსაც აქვთ ცალკე შესასვლელი და გასასვლელი; ბ) გასინჯოს ყველა საზომი ხელსაწყო ვარგისიანობა; გ) მიიღოს შემოსავალ-გასავლის საბუთების ბოლო დოკუმენტები ან ანგარიშები მატერიალური ფასეულობებისა და ფულადი საშუალებების მოძრაობის შესახებ, რაზეც კომისიის თავმჯდომარე აკეთებს ვიზირებას და სვამს ვიზირების თარიღს.

„საგადასახადო ორგანოების მოთხოვნით, სასაქონლო-მატერიალურ ფასეულობათა ინვენტარიზაციის ჩატარების წესის“ დამტკიცების შესახებ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 11 აპრილის №337 ბრძანების მე-3 მუხლის მე-10 პუნქტის თანახმად, სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების ინვენტარიზაცია ტარდება მათი ადგილმდებარეობისა და მატერიალურად პასუხისმგებელი პირების მიხედვით. ფაქტიური ნაშთების შემოწმება უნდა განხორციელდეს მატერიალურად პასუხისმგებელი პირების (მოლარეების, საწყობის, სექციების, საკუჭნაოების გამგეების და სხვა) აუცილებელი მონაწილეობით. ამავდროულად მე-9 პუნქტის შესაბამისად, მატერიალურად პასუხისმგებელი პირები საგადასახადო ორგანოს უფლებამოსილ პირს წარუდგენენ ხელწერილს იმის შესახებ, რომ ინვენტარიზაციის დაწყებამდე ყველა შემოსავლისა და გასავლის დოკუმენტი ჩაბარებულია ბუღალტერიაში, ყველა მიღებული ფასეულობა აღებულია შემოსავალში, ხოლო გაცემული ჩამოწერილია გასავალში.

სასამართლომ განმარტა, რომ აღნიშნული ნორმიდან გამომდინარე, გადასახადის გადამხდელი ვალდებული იყო უზრუნველყო ინვენტარიზაციის დაწყებამდე ყველა შემოსავლისა და გასავლის დოკუმენტის ბუღალტერიაში ჩაბარება; ყველა მიღებული ფასეულობის შემოსავალში აღება, ხოლო გაცემულის გასავალში ჩამოწერა.

„საგადასახადო ორგანოების მოთხოვნით სასაქონლო-მატერიალურ ფასეულობათა ინვენტარიზაციის ჩატარების წესის“ დამტკიცების შესახებ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 11 აპრილის №337 ბრძანების მე-3 მუხლის 1-ლი პუნქტის თანახმად, ინვენტარიზაციის გონივრულ ვადაში ჩასატარებლად სანარმოში, დაწესებულებაში ან ორგანიზაციაში ხელმძღვანელის (დირექტორის) ბრძანებით იქმნება საინვენტარიზაციო კომისია, რომელშიც შედიან: ინვენტარიზაციის დამნიშნელი ხელმძღვანელის (დირექტორის) წარმომადგენელი (კომისიის თავმჯდომარე) და ის პირები, რომლებიც კარგად იცნობენ საინვენტარიზაციო ქონებას, იციან მისი ფასი და პირველადი აღრიცხვა.

2008 წლის 11 დეკემბრის სპს „...“ დირექტორის მ. ზ-ის განცხადების თანახმად შეიქმნა სასაქონლო-მატერიალურ ფასეულობათა საინვენტარიზაციო კომისია, შემდეგი შემადგენლობით: კომისიის თავმჯდომარე – მ. ზ-ე, კომისიის წევრები: კ-ი ფ., გ-ი ნ., ხ-ე გ. და ბ-ი ე.. ამდენად, მ. ზ-ე მისი კუთვნილი სავაჭრო ობიექტის სასაქონლო-მატერიალური ფასეულობათა ინვენტარიზაციას არა უბრალოდ ესწრებოდა, არამედ თვითონ იყო საინვენტარიზაციო კომისიის თავმჯდომარე და უშუალოდ მონაწილეობდა პროცესში.

„საგადასახადო ორგანოების მოთხოვნით სასაქონლო-მატერიალურ ფასეულობათა ინვენტარიზაციის ჩატარების წესის“ დამტკიცების შესახებ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 11 აპრილის №337 ბრძანების მე-3 მუხლის 19-ე და 20-ე პუნქტების თანახმად, საინვენტარიზაციო კომისიის მუშაობა ფორმდება ოქმით, რომელშიც აისახება ინვენტარიზაციის შედეგები, ხოლო ინვენტარიზაციის დამთავრების შემდეგ, ყველა მასალა გადაეცემა საგადასახადო ორგანოს უფლებამოსილ პირს.

ამავე ბრძანების მე-3 მუხლის 21-ე პუნქტის თანახმად, „იმ შემთხვევაში თუ მატერიალურად პასუხისმგებელი პირი ინვენტარიზაციის შემდეგ საინვენტარიზაციო აღწერებში შეამჩნევს შეცდომებს, იგი ვალდებულია ამის შესახებ დაუყოვნებლივ (საწყობის, საკუჭნაოს, სექციის გახსნამდე) განუცხადოს საინვენტარიზაციო კომისიას. კომისია შეამოწმებს განცხადებაში მოყვანილ ფაქტებს და მათი აღმოჩენის შემთხვევაში გაასწორებს დაშვებულ შეცდომებს“.

სასამართლომ მხედველობაში მიიღო ის ფაქტი, რომ სასაქონლო-მატერიალურ ფასეულობათა ინვენტარიზაციის ჩატარების შემდეგ საინვენტარიზაციო კომისიამ, რომელიც დაკომპლექტებული იყო მ. ზ-ის მიერ და თვითონვე ხელმძღვანელობდა მას, ხელი მოაწერა სასაქონლო-მატერიალური ფასეულობის აღწერის ოქმს და საინვენტარიზაციო აღწერებში დაფიქსირებული შეცდომების შესახებ მატერიალურად პასუხისმგებელი პირის მიერ რაიმე შენიშვნა არ გამოთქმულა.

„საგადასახადო ორგანოების მოთხოვნით სასაქონლო-მატერიალურ ფასეულობათა ინვენტარიზაციის ჩატარების წესის“ დამტკიცების შესახებ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 11 აპრილის №337 ბრძანების მე-5 მუხლის თანახმად, შედარების აქტის შედგენამდე სანარმოს, დაწესებულების, ორგანიზაციის ბუღალტერია გულდასმით ამოწმებს ყველა გაანგარიშების სისწორეს, რომელიც მოცემულია სასაქონლო-მატერიალური ფასეულობის აღწერის ოქმებში დანართი №1-ის და დანართი №2-ის შესაბამისად... გამოვლენილი შეცდომები ფასებში, დაჯამებაში და სხვა უნდა გასწორდეს და დამოწმებული იქნეს საინვენტარიზაციო კომისიის ყველა წევრის მიერ. დანართი №1-ში მოცემული მონაცემები დანართი №2-ში აღარ შეიტანება. ინვენტარიზაციის შედეგების გამოსავლენად საგადასახადო ორგანოს უფლებამოსილი

პირი ადგენს შესაბამის შედარების აქტს დანართი №3-ის მიხედვით.... შედარების აქტში აისახება ინვენტარიზაციის შედეგები, ანუ გამოვლინდება სხვაობა საბუღალტრო აღრიცხვის მონაცემებსა და ინვენტარიზაციით დადგენილ ფაქტიურ ნაშთებს შორის.

სასამართლომ ჩათვალა, რომ შედარების აქტში სწორად გამოვლინდა სხვაობა საბუღალტრო აღრიცხვის მონაცემებსა და ინვენტარიზაციით დადგენილ ფაქტიურ ნაშთებს შორის, თუ არ ჩავთვლით 11 233 ლარის სხვაობას, რომელიც მ. ზ-ის და სპს „...“-ს მიმართ დარიცხულ 120 368 ლარს გადამონშების შემდეგ გამოაკლდა.

„საგადასახადო ორგანოების მოთხოვნით სასაქონლო-მატერიალურ ფასეულობათა ინვენტარიზაციის ჩატარების წესის“ დამტკიცების შესახებ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 11 აპრილის №337 ბრძანების მე-6 მუხლის 1-ლი, მე-2 და მე-3 პუნქტების თანახმად, ინვენტარიზაციის შედეგად გამოვლენილ საგადასახადო კოდექსით გათვალისწინებული სამართალდარღვევის ფაქტებზე, საგადასახადო ინსპექციის უფლებამოსილი პირები გადასახადის გადამხდელის (სამართალდამრღვევის) მიმართ ადგენენ საგადასახადო სამართალდარღვევის ოქმს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

საგადასახადო კოდექსის მე-12 მუხლის 26-ე ნაწილის შესაბამისად, გამოვლენილი დანაკლისისა ამავე კოდექსის 143-ე მუხლის მე-6 ნაწილის თანახმად, სასაქონლო-მატერიალური ფასეულობის დანაკლისი განიხილება მისი აღმოჩენის მომენტში ნაღდი ანგარიშსწორებით საბაზრო ფასებით (აქციზისა და დღგ-ის გარეშე) განხორციელებულ მიწოდებად და გადასახადებით დაიბეგრება საგადასახადო კოდექსით დადგენილი წესით.

საგადასახადო კოდექსის 143-ე მუხლის მე-5 ნაწილის შესაბამისად, გამოვლენილ სასაქონლო-მატერიალურ ფასეულობას გადამხდელის ბუღალტერი (სათანადოდ უფლებამოსილი პირი) საინვენტარიზაციო კომისიის ყველა წევრისა და საგადასახადო ორგანოს უფლებამოსილი პირის (პირების) თანდასწრებით შემოსავალში აიღებს შესაბამის საბუღალტრო ანგარიშებზე ინვენტარიზაციის შედეგებზე გაფორმებული შედარების აქტების საფუძველზე.

სასამართლოს მითითებით, ინვენტარიზაციის ჩატარების შემდეგ, 2008 წლის 29 დეკემბერს ახალციხის რეგიონული ცენტრის (საგადასახადო ინსპექცია) უფლებამოსილი პირების მიერ შედგენილ იქნა საგადასახადო სამართალდარღვევის შესახებ ოქმი №2117, რომელსაც გადასახადის გადამხდელმა ხელი არ მოაწერა.

საგადასახადო სამართალდარღვევის შესახებ №2117 ოქმის თანახმად, ინვენტარიზაციის შედეგად ბუღალტრულ დოკუმენტებში გამოვლენილ იქნა აღურიცხავი-სასაქონლო მატერიალური ფასეულობები. ამ დარღვევისთვის გადასახადის გადამხდელს საგადასახადო კოდექსის 133-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, ჯარიმის სახით დაერიცხა 1 000 ლარი, ხოლო 143-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად – 120 369.58 ლარი.

„საგადასახადო ორგანოების მოთხოვნით სასაქონლო-მატერიალურ ფასეულობათა ინვენტარიზაციის ჩატარების წესის“ დამტკიცების შესახებ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 11 აპრილის №337 ბრძანების მე-7 მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, საგადასახადო სამართალდარღვევის ოქმის შედგენიდან არა უგვიანეს 30 სამუშაო დღისა, საქმის განხილვის მასალებზე დაყრდნობით, საგადასახადო ინსპექციის უფროსი/მოადგილე საქმეზე იღებს გადაწყვეტილებას, რომელიც ფორმდება ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით (ბრძანებით) (დანართი №5). ამავე მუხლის მე-5 პუნქტის მიხედვით, გამოცემული ბრძანების საფუძველზე გადასახადის გადამხდელს/საგადასახადო აგენტს ან სხვა ვალდებულ პირს, რომლის მიმართაც გამოტანილია ბრძანება საგადასახადო სამართალდარღვევის შესახებ, წარედგინება „საგადასახადო მოთხოვნა“ საქართველოს საგადასახადო კოდექსის მე-80 მუხლით დადგენილი წესით.

სასამართლოს განმარტებით, მ. ზ-ეს და სპს „...“ ჩადენილი სამართალდარღვევის გამო ახალციხის რეგიონული ცენტრის (საგადასახადო ინსპექცია) მიერ 2009 წლის 12 იანვრის №22 ბრძანება და ამავე სამსახურის 2009 წლის 21 იანვარს გამოცემული საგადასახადო მოთხოვნა №14 გაეგზავნა ფოსტით და 2009 წლის 29 იანვარს ჩაჰბარდა. მასვე, კანონით გათვალისწინებული წესით გაეგზავნა და ჩაჰბარდა ახალციხის რეგიონული ცენტრის (საგადასახადო ინსპექცია) 2009 წლის 2 აგვისტოს №4129 ბრძანება და 2009 წლის 7 აგვისტოს საგადასახადო მოთხოვნა №05-32, რომლის მიხედვითაც, მ. ზ-ე და სპს „...“ 143-ე მუხლის მე-3 ნაწილით დარიცხული ჯარიმის თანხა 120 368 ლარი შეუმცირდა 11 233 ლარით, ხოლო 133-ე მუხლი 1-ლი ნაწილით დარიცხული ჯარიმა – 1 000 ლარი გაუქმდა.

სასამართლომ მიიჩნია, რომ მოსარჩელე მ. ზ-ე და სპს „...“ კუთვნილ სავაჭრო ობიექტში შემოსავლების სამსახურის ახალციხის რეგიონული ცენტრის (საგადასახადო ინსპექცია) უფროსის ზ. ჩ-ის 2008 წლის 11 დეკემბრის №2383 ბრძანების საფუძველზე სასაქონლო მატერიალური ინვენტარიზაცია ჩატარდა კანონით დადგენილი წესით, რომლის შედეგად გამოვლენილ იქნა აღურიცხავი საქონელი, რითაც დარღვეულ იქნა საგადასახადო კოდექსის 143-ე მუხლის III ნაწილით დადგენილი მოთხოვნები. შესაბამისად, მ. ზ-ე და სპს „...“ მიმართ სანქციის სახით ჯარიმის თანხის დაკისრება და საქართველოს ფინანსთა სამინისტროსთან არსებული დავების განხილვის საბჭოს 2009 წლის 03 აგვისტოს გადაწყვეტილება გამოტანილია კანონის, საქმის არსებითი გარემოებების გამოკვლევის საფუძველზე და არ არსებობს მისი ბათილად ცნობის საფუძველი.

სასამართლომ ასევე მიუთითა, რომ გადასახადის გადამხდელს ს.პ.ს „...“ საქართველოს ფინანსთა სამინისტროსთან არსებული დავების განხილვის საბჭოს 2009 წლის 3 აგვისტოს გადაწყვეტილების საფუძველზე ახალციხის რეგიონული ცენტრის 2009 წლის 7 აგვისტოს №05-32 „საგადასახადო მოთხოვნა“, 109 135

ლარის დარიცხვის შესახებ, რომელიც გადასახადის გადამხდელს ჩაჰბარდა 2009 წლის 12 აგვისტოს, არ გაუსაჩივრებია.

საქართველოს საგადასახადო კოდექსის 51-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „გ“ ქვეპუნქტის თანახმად, საგადასახადო ორგანოებს თავისი კომპეტენციის ფარგლებში და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით უფლება აქვთ გამოიკვლიონ საწარმოთა, ორგანიზაციების და მენარმე ფიზიკურ პირთა საწარმოო, სასაწყობო, სავაჭრო და სხვა სათავსები, შექმნან საგადასახადო საგუშაგოები, ინვენტარიზაციით მოახდინონ საქონლის მარაგების აღრიცხვა, ჩაატარონ დაკვირვება ქრონომეტრაჟის ან სხვა მეთოდის გამოყენებით და განსაზღვრონ დასაბეგრი ობიექტების ოდენობა, ჩაატარონ კამერალური, გეგმური და საგადასახადო შემოწმება, უზრუნველყონ გადასახადის გადამხდელის მიერ საკონტროლო-სალარო აპარატების გამოყენების წესების დაცვის კონტროლი და მათი დარღვევის შემთხვევაში შესაბამისი პირების მიმართ გაატარონ საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი პასუხისმგებლობის ზომები. ამავე კოდექსის 971-ე მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად, „საკონტროლო-სალარო აპარატების გამოყენების ვალდებულების მქონე პირებმა უნდა უზრუნველყონ: ბ) საქონლის/მომსახურების მიწოდების ღირებულების ნაღდი ფულით ანაზღაურებისას მომხმარებელზე საკონტროლო-სალარო აპარატის მიერ ამობეჭდილი ჩეკის გაცემა (იმ შემთხვევის გარდა, როცა საქართველოს ფინანსთა მინისტრის მიერ დადგენილი წესით გაცივმა ჩეკთან გათანაბრებული დოკუმენტი), რომელიც ადასტურებს საქონლის/მომსახურების მიწოდების ოპერაციასთან დაკავშირებით შესაბამისი ნაღდი ფულის გადახდის ფაქტს“.

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის ახალციხის რეგიონული ცენტრის (საგადასახადო ინსპექცია) ადმინისტრირების სამმართველოს ინსპექტორის მიერ 2009 წლის 7 აპრილს მ. ზ-ე და სპს „...“ მაღაზიაში საქართველოს საგადასახადო კოდექსის 139-ე მუხლის მე-4 ნაწილით გათვალისწინებული სამართალდარღვევისათვის შედგენილ იქნა საგადასახადო სამართალდარღვევის ოქმი №002205, რაც სამართალდამრღვევა დაადასტურა და სამართალდარღვევის ოქმს ხელი მოაწერა.

საქართველოს საგადასახადო კოდექსის 139-ე მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, „მომხმარებელთან ნაღდი ფულით ანგარიშსწორებისას საკონტროლო-სალარო აპარატების გამოყენებლობა – ინვეს დაჯარიმებას 500 ლარის ოდენობით“. ამავე მუხლის მე-5 ნაწილის შესაბამისად „ამ მუხლის მე-4 ნაწილით ან/და 10 ნაწილით/ნაწილებით განსაზღვრული ქმედება, ჩადენილი განმეორებით ინვეს დაჯარიმებას 1 500 ლარის ოდენობით“.

საქართველოს საგადასახადო კოდექსის 127-ე მუხლის მე-4 და მე-12 ნაწილის მიხედვით, „თუ ჯარიმის დარიცხვისათვის საჭიროა გაანგარიშება, საგადასახადო სამართალდარღვევის ოქმის შემდგენი პირი ადგენს ცნობას ჯარიმის თანხის გამოანგარიშების თაობაზე, რომელიც ოქმის განუყოფელი ნაწილია“.

საგადასახადო სამართალდარღვევის ოქმის შედგენიდან არა უგვიანეს 30 კალენდარული დღისა საგადასახადო ორგანოს უფლებამოსილი თანამდებობის პირი საგადასახადო სამართალდარღვევის საქმეზე გამოსცემს ბრძანებას, რომელიც დადგენილი წესით უნდა ჩაჰბარდეს ადრესატს. საგადასახადო სამართალდარღვევის ოქმის შედგენიდან 30 კალენდარული დღის გასვლის შემდეგ გამოცემული ბრძანება ბათილია.

აღნიშნული სამართალდარღვევის ოქმი №002205 ახალციხის რეგიონულ ცენტრში (საგადასახადო ინსპექციაში) განხილულ იქნა 2009 წლის 27 აპრილს, რის შედეგადაც გამოვლინდა სამართალდამრღვევის მიერ საქართველოს საგადასახადო კოდექსის 139-ე მუხლის მე-4 ნაწილით გათვალისწინებული ქმედების განმეორებით ჩადენის ფაქტი, რაზეც საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის ახალციხის რეგიონული ცენტრის (საგადასახადო ინსპექცია) 2009 წლის 27 აპრილის №1065 ბრძანებით, საქართველოს საგადასახადო კოდექსის 127-ე მუხლით და 139-ე მუხლის მე-5 ნაწილით, სპს „...“ პასუხისმგებლობის ზომად სანქციის სახით განესაზღვრა ჯარიმა 1 500 ლარის ოდენობით.

ახალციხის რეგიონული ცენტრის (საგადასახადო ინსპექცია) 2009 წლის 27 აპრილის №1065 ბრძანება სპს „...“ მიმართ პასუხისმგებლობის ზომად სანქციის სახით 1 500 ლარის დაკისრების შესახებ და 2009 წლის 28 აპრილის „საგადასახადო მოთხოვნა“ №033-5 გადამხდელს გაეგზავნა დაზღვეული ფოსტით და 2009 წლის 7 მაისს პირადად ჩაჰბარდა.

ამასთან, საქართველოს საგადასახადო კოდექსის 127-ე მუხლის მე-4 ნაწილით გათვალისწინებულ ცნობას ჯარიმის თანხის გამოანგარიშების შესახებ არ საჭიროებდა, ვინაიდან საქართველოს საგადასახადო კოდექსის 139-ე მუხლის მე-5 ნაწილით პირდაპირ განსაზღვრულია ზემოაღნიშნული დარღვევის განმეორებით ჩადენისათვის ჯარიმის ოდენობა.

აღნიშნულიდან გამომდინარე, მოპასუხის არგუმენტაცია თითქოსდა გადასახადის გადამხდელისათვის სალარო აპარატის განმეორებით გამოყენებლობის გამო ჯარიმის სახით 1 500 ლარის დაკისრება მოხდა საგადასახადო კოდექსის დარღვევით, საფუძველს იყო მოკლებული. სასამართლომ მიიჩნია, რომ საგადასახადო ორგანო მოქმედებდა კანონის დაცვით, როდესაც 2009 წლის 29 მაისის №719 საგადასახადო დავალებით №0320091609 საინკასო დავალების საფუძველზე, საბანკო ანგარიშიდან 1 500 ლარი ჩამოწერა.

საქართველოს საგადასახადო კოდექსის 89-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, თუ გადასახადის გადამხდელი/საგადასახადო აგენტი ან სხვა ვალდებული პირი არ შეასრულებს საგადასახადო ვალდებულებას მისი შესრულებისათვის საგადასახადო კანონმდებლობით დადგენილ ვადებში, მაშინ საგადასახადო ორგანოს უფლება აქვს აღიარებული საგადასახადო დავალიანების ფარგლებში მისი საბანკო ანგარიშებიდან (გარდა საანაბრო (ვადიანი) ანგარიშებისა) საინკასო დავალებით ჩამოწეროს გადასახადის, საურავისა და ჯარიმის თანხები და ჩარიცხოს ისინი შესაბამის ბიუჯეტში. ამავე კანონის 90-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, „თუ აღიარებული საგადასახადო დავალიანების დასაფარად არასაკმარისია ამ კოდექსის 89-ე

მუხლით გათვალისწინებული და საგადასახადო ორგანოს მიერ გატარებული ღონისძიება, მაშინ საგადასახადო ორგანოს უფლება აქვს, მოსამართლის ბრძანების გარეშე განახორციელოს გადასახადის გადამხდელის/საგადასახადო აგენტის ან სხვა ვალდებული პირის სალაროს სეიფიდან ან სხვა სათავსიდან (გარდა ფიზიკური პირის საცხოვრებელი ბინისა) არსებული ნაღდი ფულადი სახსრების (მათ შორის, უცხოური ვალუტის) ამოღება აღიარებული საგადასახადო დავალიანების დაფარვისათვის აუცილებელი ოდენობით. ნაღდი ფულადი სახსრების ამოღების წესს განსაზღვრავს საქართველოს ფინანსთა მინისტრი“.

ახალციხის რეგიონული ცენტრის (საგადასახადო ინსპექციის) თანამშრომლების მიერ 2009 წლის 25 მაისს აღიარებული საგადასახადო დავალიანების ფარგლებში მ. ზ-ე და სპს „...“ სალაროდან ამოღებულ იქნა 200 ლარი.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სასამართლომ ჩათვალა, რომ საგადასახადო ორგანო მოქმედებდა კანონის სრული დაცვით, როდესაც აღიარებული საგადასახადო დავალიანების ფარგლებში ბიუჯეტის დავალიანების მქონე ორგანიზაციის სალაროდან ნაღდი ფული ამოიღო.

მ. ზ-ე და სპს „...“ საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის 2009 წლის 2 ოქტომბრის №5034 ბრძანება თავისი დანართით, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის ახალციხის რეგიონული ცენტრის (საგადასახადო ინსპექცია) 2009 წლის 6 ოქტომბრის საგადასახადო მოთხოვნა №5 კანონის დაცვით გაეგზავნა.

საქართველოს საგადასახადო კოდექსის 248-ე მუხლის დეფინიციიდან გამომდინარე, სასამართლომ მიიჩნია, რომ საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის შევსებისას დაშვებული უზუსტობა, თუნდაც ტექნიკური, არ გამოიწვევდა პასუხისმგებლობას. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სასამართლომ მიიჩნია, რომ მ. ზ-ის და სპს „...“-ს სარჩელი კამერალური შემოწმების აქტით თანხის უკანონოდ დარიცხვის შესახებ დაუ საბუთებელი იყო.

სასამართლომ მიიჩნია, რომ მოსარჩელის მოთხოვნა, ახალციხის რეგიონული ცენტრის (საგადასახადო ინსპექცია) სპს „...“, საბანკო ანგარიშიდან სადავო 498 ლარის ჩამოწერის შესახებ 2009 წლის 27 ოქტომბრის №1 საგადასახადო დავალების ბათილად ცნობის, ახალციხის რეგიონული ცენტრის (საგადასახადო ინსპექცია) „საბანკო ანგარიშებზე ყადაღის შეჩერების და აღიარებული დავალიანების ფარგლებში საინკასო დავალებებით გადასახადის, საურავის ჯარიმის თანხების ჩამოწერის შესახებ“ 2009 წლის 20 ოქტომბრის №5328 ბრძანებით დარიცხული საურავის 98,54 ლარის ოდენობის ნაწილში ბათილად ცნობის და ახალციხის რეგიონული ცენტრის 2010 წლის 18 იანვრის №228 ბრძანების დარიცხული საურავის 586.64 ლარის ოდენობის ნაწილში ბათილად ცნობის შესახებ არ უნდა დაკმაყოფილებულიყო, რადგან საქართველოს საგადასახადო კოდექსის 146-ე მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად „თუ პირი დავას იწყებდა ან დავას აგრძელებდა სასამართლოში გასაჩივრებით, იგი ვალდებული იყო ამის თაობაზე წინასწარ ეცნობებინა საგადასახადო ორგანოსათვის წერილობითი შეტყობინებით“.

საქმის მასალებიდან ირკვევა, რომ ს.პ.ს „...“ ახალციხის რეგიონული ცენტრის 2009 წლის 6 ოქტომბრის №5 „საგადასახადო მოხოვნა“, 2009 წლის 2 ოქტომბრის №5034 ბრძანება და 2009 წლის 2 ოქტომბრის კამერალური შემოწმების აქტი 498 ლარის დარიცხვის ნაწილში გაასაჩივრა პირდაპირ სასამართლოში 2009 წლის 30 ოქტომბრის, რის შესახებაც საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ახალციხის რეგიონულ ცენტრს აცნობა 2009 წლის 6 ნოემბრის. შესაბამისად, ახალციხის რეგიონული ცენტრისათვის 2009 წლის 27 ოქტომბრის №1 საგადასახადო დავალებით ს.პ.ს „...“-ს საბანკო ანგარიშიდან თანხის ჩამოწერის შესახებ გადამწვეტილების მიღების დროს არ იყო ცნობილი ს.პ.ს „...“ მიერ დავის დაწყების შესახებ, რის გამოც სადავო თანხა მიჩნეულ იქნა აღიარებულ საგადასახადო დავალიანებად.

აღნიშნულიდან გამომდინარე, სასამართლომ ჩათვალა, რომ სადავო თანხის აღიარებულ საგადასახადო დავალიანებად ცნობა და მისი ჩამოწერა მოხდა მოსარჩელის ბრალით. ამასთან, იმის გათვალისწინებით, რომ ს.პ.ს „...“ მოთხოვნები ახალციხის რეგიონული ცენტრის 2009 წლის 6 ოქტომბრის №5 „საგადასახადო მოხოვნის“, 2009 წლის 2 ოქტომბრის №5034 ბრძანების და 2009 წლის 2 ოქტომბრის კამერალური შემოწმების აქტის 498 ლარის დარიცხვის ნაწილში ბათილად ცნობის შესახებ არ იქნა დაკმაყოფილებული, 2009 წლის 27 ოქტომბრის №1 საგადასახადო დავალებით ს.პ.ს „...“-ს საბანკო ანგარიშიდან სადავო თანხის 498 ლარის ჩამოწერა არ აყენებდა ზიანს მოსარჩელე მხარეს.

სასამართლომ ჩათვალა, რომ „საბანკო ანგარიშებზე ყადაღის შეჩერების და აღიარებული დავალიანების ფარგლებში საინკასო დავალებებით გადასახადის, საურავის ჯარიმის თანხების ჩამოწერის შესახებ“ 2009 წლის 20 ოქტომბრის №5328 ბრძანება დარიცხული საურავის 98,54 ლარის ოდენობის ნაწილში ბათილად ცნობის და ახალციხის რეგიონული ცენტრის 2010 წლის 18 იანვრის №228 ბრძანება დარიცხული საურავის 586.64 ლარის ოდენობის ნაწილში ბათილად ცნობის შესახებ გამოცემულია საქართველოს საგადასახადო კოდექსის 84-ე მუხლის საფუძველზე. ამასთან, სასამართლომ აღნიშნა, რომ ამ შემთხვევაში არ იყო გათვალისწინებული საქართველოს საგადასახადო კოდექსის 84-ე მუხლით გათვალისწინებული უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების კონკრეტული ვადა.

სასამართლომ უსაფუძვლოდ მიიჩნია გადასახადის გადამხდელის არგუმენტები იმასთან დაკავშირებით, რომ ახალციხის რეგიონული ცენტრის (საგადასახადო ინსპექციის) მიერ შეგნებულად ხდებოდა დავიანებით აღიარებული საგადასახადო დავალიანების ფარგლებში საბანკო ანგარიშებიდან თანხის ჩამოწერა, ვინაიდან იგი არ დადასტურდა საქმის მასალებით.

მითითებული გადამწვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა მ. ზ-ე და სპს „...“.

აპელანტი სააპელაციო საჩივრით ითხოვდა გასაჩივრებული გადამწვეტილების გაუქმებასა და ახალი გადამწვეტილების მიღებით სასარჩელო მოთხოვნის დაკმაყოფილებას.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2011 წლის 27 სექტემბრის განჩინებით მ. ზ-ე და სპს „...“ სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა; უცვლელად დარჩა ახალციხის რაიონული სასამართლოს 2010 წლის 9 ნოემბრის გადაწყვეტილება.

სააპელაციო სასამართლომ გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები და სამართლებრივი შეფასებები და აღნიშნა, რომ სადავო პერიოდში მოქმედი საგადასახადო კოდექსის მე-12 მუხლის 26-ე ნაწილის შესაბამისად, გამოვლენილი დანაკლისისა და ამავე კოდექსის 143-ე მუხლის მესამე ნაწილის თანახმად, სამეურნეო ოპერაციის დამთავრებიდან არაუგვიანეს 45 კალენდარული დღისა, საბუღალტრო დოკუმენტებში აღურიცხავი ან/და სასაქონლო-ზედნადების გარეშე სასაქონლო-მატერიალური ფასეულობის გამოვლენის შემთხვევაში, გადასახადის გადამხდელს/სხვა ვალდებულ პირს გადახდება შესაბამისად საბუღალტრო დოკუმენტებში აღურიცხავი ან/და სასაქონლო ზედნადების გარეშე ან საბაჟო კანონმდებლობით გათვალისწინებული დოკუმენტების გარეშე გამოვლენილი სასაქონლო-მატერიალური ფასეულობის ღირებულება საბაზრო ფასებით დღგ-ს გარეშე. ამასთან, საგადასახადო სამართალდარღვევის ოქმი არის პირველადი დოკუმენტი, რომელშიც ფიქსირდება საგადასახადო სამართალდარღვევის ფაქტი და რომლის საფუძველზეც მომავალში პირის მიმართ შესაძლებელია გამოყენებულ იქნეს კანონით დადგენილი სანქცია. იმავე მუხლის მე-6 ნაწილის თანახმად, სასაქონლო-მატერიალური ფასეულობის დანაკლისი განიხილება მისი აღმოჩენის მომენტში ნაღდი ანგარიშსწორებით საბაზრო ფასებით (აქციზისა და დღგ-ის გარეშე) განხორციელებულ მიწოდებად და გადასახადებით დაიბეგრება საგადასახადო კოდექსით დადგენილი წესით.

იმის გამო, რომ საწარმოს ხელმძღვანელმა ვერ შეძლო აღწერილი მატერიალური მარაგების შეძენის ფასის დადგენა, ინვენტარიზაციის ოქმებში დაფიქსირდა სარეალიზაციო ფასი, რომელსაც შემდგომ გამოაკლდა საშუალო – 13% ფასნამატი და შემდგომ – 18% დღგ.

სააპელაციო პალატამ მიუთითა სადავო პერიოდში მოქმედი საგადასახადო კოდექსის 143-ე მუხლის მე-5 ნაწილზე, რომლის შესაბამისად გამოვლენილ სასაქონლო-მატერიალური ფასეულობას გადამხდელის ბუღალტერი (სათანადოდ უფლებამოსილი პირი) საინვენტარიზაციო კომისიის ყველა წევრისა და საგადასახადო ორგანოს უფლებამოსილი პირის (პირების) თანდასწრებით შემოსავალში აიღებს შესაბამის საბუღალტრო ანგარიშებზე ინვენტარიზაციის შედეგებზე გაფორმებული შედარების აქტების საფუძველზე.

სააპელაციო სასამართლომ საქმის მასალებით დადგენილად მიიჩნია, რომ ინვენტარიზაციის ჩატარების შემდეგ 2008 წლის 29 დეკემბერს, ახალციხის რეგიონული ცენტრის (საგადასახადო ინსპექცია) უფლებამოსილი პირების მიერ შედგენილი იქნა საგადასახადო სამართალდარღვევის შესახებ ოქმი №2117, რომელსაც გადასახადის გადამხდელმა ხელი არ მოაწერა. საგადასახადო სამართალდარღვევის შესახებ №2117 ოქმის თანახმად, ინვენტარიზაციის შედეგად ბუღალტრულ დოკუმენტებში გამოვლინდა აღურიცხავი-სასაქონლო მატერიალური ფასეულობები. ამ დარღვევისთვის გადასახადის გადამხდელს საგადასახადო კოდექსის 133-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, ჯარიმის სახით დაერიცხა 1000 ლარი, ხოლო 143-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად – 120 369.58 ლარი.

სააპელაციო სასამართლომ მიუთითა, რომ საქმის მასალებით „მ. ზ-ეს და სპს „...“ სამართალდარღვევის გამო ახალციხის რეგიონული ცენტრის (საგადასახადო ინსპექცია) მიერ 2009 წლის 12 იანვრის №22 ბრძანება და ამავე სამსახურის 2009 წლის 21 იანვარს გამოცემული საგადასახადო მოთხოვნა №14 გაეგზავნა ფოსტით და ჩაჰბარდათ 2009 წლის 29 იანვარს. აპელანტს, ასევე გაეგზავნა და ჩაჰბარდა ახალციხის რეგიონული ცენტრის (საგადასახადო ინსპექცია) 2009 წლის 2 აგვისტოს №4129 ბრძანება და 2009 წლის 7 აგვისტოს საგადასახადო მოთხოვნა №05-32, რომლის მიხედვითაც მ. ზ-ე და სპს „...“ 143-ე მუხლის მე-3 ნაწილით დარიცხული ჯარიმის თანხა 120368 ლარი შეუმცირდა 11233 ლარით, ხოლო 133-ე მუხლი 1-ლი ნაწილით დარიცხული ჯარიმა – 1000 ლარი კი გაუუქმდა.

სააპელაციო პალატამ გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს მოსაზრება, რომ მოსარჩელე მ. ზ-ე და სპს „...“ კუთვნილ სავაჭრო ობიექტში შემოსავლების სამსახურის ახალციხის რეგიონული ცენტრის (საგადასახადო ინსპექცია) უფროსის 2008 წლის 11 დეკემბრის №2383 ბრძანების საფუძველზე სასაქონლო მატერიალური ინვენტარიზაცია ჩატარდა კანონით დადგენილი წესით, რომლის შედეგად გამოვლენილ იქნა აღურიცხავი საქონელი. შესაბამისად, მ. ზ-ე და სპს „...“ მიმართ სანქციის სახით ჯარიმის თანხის დაკისრება და საქართველოს ფინანსთა სამინისტროსთან არსებული დავების განხილვის საბჭოს 2009 წლის 3 აგვისტოს გადაწყვეტილება გამოტანილი იყო კანონის, საქმის არსებითი გარემოებების გამოკვლევის საფუძველზე და არ არსებობდა მისი ბათილად ცნობის საფუძველი.

სააპელაციო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ აპელანტს საქართველოს ფინანსთა სამინისტროსთან არსებული დავების განხილვის საბჭოს 2009 წლის 3 აგვისტოს გადაწყვეტილების საფუძველზე ახალციხის რეგიონული ცენტრის 2009 წლის 7 აგვისტოს №05-32 „საგადასახადო მოთხოვნა“, 109135 ლარის დარიცხვის შესახებ, რომელიც გადასახადის გადამხდელს ჩაჰბარდა 2009 წლის 12 აგვისტოს, არ გაუსაჩივრებია.

სააპელაციო პალატამ იხელმძღვანელა სადავო პერიოდში მოქმედი საქართველოს საგადასახადო კოდექსის 51-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „გ“ ქვეპუნქტითა და ამავე კოდექსის 971-ე მუხლის მე-5 ნაწილით, ასევე სადავო პერიოდში მოქმედი საქართველოს საგადასახადო კოდექსის 89-ე მუხლის 1-ლი ნაწილითა და ამავე კანონის 90-ე მუხლის 1-ლი ნაწილით.

სააპელაციო პალატამ ჩათვალა, რომ საგადასახადო ორგანო მოქმედებდა კანონის სრული დაცვით, როდესაც ახალციხის რეგიონული ცენტრის (საგადასახადო ინსპექციის) თანამშრომლების მიერ 2009

წლის 25 მაისს აღიარებული საგადასახადო დავალიანების ფარგლებში მ. ზ-ე და სპს „...“ სალაროდან ამოღებულ იქნა 200 ლარი.

სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებით, აპელანტის საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის 2 ოქტომბრის №5034 ბრძანება თავისი დანართით, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის ახალციხის რეგიონული ცენტრის (საგადასახადო ინსპექცია) 2009 წლის 6 ოქტომბრის საგადასახადო მოთხოვნა №5 გაეგზავნა სადავო პერიოდში მოქმედი საქართველოს საგადასახადო კოდექსის 112-ე მუხლის მოთხოვნათა დაცვით.

სადავო პერიოდში მოქმედი საქართველოს საგადასახადო კოდექსის 248-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, დღგ-ის გადამხდელად რეგისტრირებული პირი ვალდებულია, საქონლის/მომსახურების მიმღების მოთხოვნისას, გარდა ამ კოდექსის 238-ე მუხლის მე-2 და მე-3 ნაწილებში აღნიშნული მიწოდებისა, მოთხოვნიდან არა უგვიანეს მეორე დღისა, გამოწეროს საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურა და წარუდგინოს იგი მიმღებს, მიუხედავად იმისა, არის თუ არა მიმღები გადასახადის გადამხდელი. ამავე მუხლის მე-2 და მე-3 ნაწილების შესაბამისად, საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურა არის საქართველოს ფინანსთა მინისტრის მიერ დადგენილი ფორმის მკაცრი აღრიცხვის დოკუმენტი, რომლითაც დასტურდება დღგ-ით დასაბეგრი ოპერაციის განხორციელების ფაქტი. დაუშვებელია საქონლის/მომსახურების მიმწოდებლის მიერ არასწორად შევსებული საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის წარდგენა. ასეთ საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურას გაუქმების მიზნით საგადასახადო ორგანოს წარუდგენს გადასახადის გადამხდელი საგადასახადო ორგანოდან საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურების შემდგომი გატანისას, მაგრამ არა უგვიანეს მომდევნო წლის 15 იანვრისა.

სააპელაციო პალატამ სადავო პერიოდში მოქმედი საქართველოს საგადასახადო კოდექსის 248-ე მუხლის მოთხოვნებიდან გამომდინარე, მიუთითა, რომ საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის შევსებისას დაშვებული უზუსტობა, თუნდაც ტექნიკური, არ გამოორიცხავს პასუხისმგებლობას, და, რომ მ. ზ-ის და სპს „...“ სარჩელი კამერალური შემოწმების აქტით თანხის უკანონოდ დარიცხვის შესახებ არის დაუსაბუთებელი.

სადავო პერიოდში მოქმედი საქართველოს საგადასახადო კოდექსის 84-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „ე“ ქვეპუნქტის თანახმად, საგადასახადო ვალდებულების შესრულების უზრუნველყოფა შეიძლება განხორციელდეს შემდეგი ღონისძიებებით – საბანკო ანგარიშებიდან გადასახადის, საურავისა და ჯარიმის თანხების ჩამოწერით. ამავე კოდექსის 89-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, თუ გადასახადის გადამხდელი/საგადასახადო აგენტი ან სხვა ვალდებული პირი არ შეასრულებს საგადასახადო ვალდებულებას მისი შესრულებისათვის საგადასახადო კანონმდებლობით დადგენილ ვადებში, მაშინ საგადასახადო ორგანოს უფლება აქვს აღიარებული საგადასახადო დავალიანების ფარგლებში მისი საბანკო ანგარიშებიდან (გარდა საანაბრო (ვადიანი) ანგარიშებისა) საინკასო დავალებით ჩამოწეროს გადასახადის, საურავისა და ჯარიმის თანხები და ჩარიცხოს ისინი შესაბამის ბიუჯეტში. სააპელაციო პალატამ ჩათვალა, რომ საბანკო ანგარიშებზე ყადაღის შეჩერების და აღიარებული დავალიანების ფარგლებში საინკასო დავალებებით გადასახადის, საურავის ჯარიმის თანხების ჩამოწერის შესახებ 2009 წლის 20 ოქტომბრის №5328 ბრძანება დარიცხული საურავის 98,54 ლარის ოდენობის ნაწილში ბათილად ცნობის და ახალციხის რეგიონული ცენტრის 2010 წლის 18 იანვრის №228 ბრძანება დარიცხული საურავის 586.64 ლარის ოდენობის ნაწილში ბათილად ცნობის შესახებ გამოცემულია საგადასახადო კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით.

სასამართლოს ასევე უსაფუძვლოდ მიიჩნია აპელანტის მითითება, რომ ახალციხის რეგიონული ცენტრის მიერ შეგნებულად ხდებოდა დაგვიანებით აღიარებული საგადასახადო დავალიანების ფარგლებში საბანკო ანგარიშებიდან თანხის ჩამოწერა, ვინაიდან აღნიშნული არ დადასტურდა საქმის მასალებით.

აღნიშნული განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა სპს „...“ დირექტორმა მ. ზ-ემ.

კასატორის მოსაზრებით, სააპელაციო სასამართლომ არ განმარტა საგადასახადო კოდექსის 143-ე მუხლის მე-3 ნაწილის მოთხოვნები, რამდენადაც ამავე მუხლის მე-5 ნაწილის მოთხოვნა შემდეგია: ამ მუხლის მესამე ნაწილის მიზნებისათვის, სასაქონლო-მატერიალური ფასეულობის გამოვლენად ჩაითვლება საქონლის, როგორც ფიზიკური, ისე დოკუმენტების (მათ შორის, საგადასახადო ორგანოსათვის ცნობილი სხვა სათანადო ინფორმაციის) მიხედვით შემოვლენა. სასაქონლო-მატერიალური ფასეულობა აღურიცხავად არ ჩაითვლება და გადასახადის გადამხდელზე სხვა ვალდებულ პირზე სანქცია არ გავრცელდება იმ შემთხვევაში, თუ მისი რეალიზაციის, გადაცემის ან სხვა სახით გამოყენების შესახებ სათანადო ინფორმაცია ჩართულია გადასახადის გადამხდელის მიერ საგადასახადო ორგანოში წარდგენილ დეკლარაციაში.

მისი მოსაზრებით, სასამართლოებს არ უნდა გამოეყენებინათ ამავე მუხლის მე-6 ნაწილის მოთხოვნებიც, რადგან აღნიშნული განიხილება იმ შემთხვევაში, როდესაც აღმოჩენილი იქნება საქონლის დანაკლისი, მოცემულ შემთხვევაში კი სპს „...“ დაჯარიმებული არის საქონლის აღურიცხაობისათვის და არა საქონლის დანაკლისის გამო. კასატორმა აღნიშნა, რომ სასამართლომ არ გამოიყენა და უნდა გამოეყენებინა საქართველოს ფინანსთა სამინისტროს 2007 წლის 11 აპრილის №337 ბრძანების მე-3 მუხლის მე-14 პუნქტი და ასევე საქართველოს საგადასახადო კოდექსის 143-ე მუხლის მე-4 ნაწილის მოთხოვნები, მისი აზრით, აღნიშნული სამართლებრივი ნორმებიდან გამომდინარე სააპელაციო სასამართლომ არ გაიზიარა აპელანტის პოზიცია მასზედ, რომ მხატვრის ნახატებთან დაკავშირებით არსებობდა 2008 წლის 1 სექტემბრის №5 ხელშეკრულება ობიექტში ნახატების განთავსების შესახებ, რის გამოც იგი არ საჭიროებდა შესყიდვას და რაიმე დოკუმენტის არსებობას.

კასატორმა მიუთითა, რომ სასამართლოს უნდა გამოეყენებინა საქართველოს საგადასახადო კოდექსის 127-ე მუხლის მოთხოვნები, რომელიც ეხება საგადასახადო სამართალდარღვევის წარმოების წესსა და

არასწორად განმარტა ინვენტარიზაციის ჩატარებასთან დაკავშირებით გადასახადის გადამხდელზე „სა-გადასახადო მოთხოვნის“ წარდგენის წესი.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, კასატორი საკასაციო საჩივრით ითხოვდა გასაჩივრებული გან-ჩინების გაუქმებასა და საქმის ხელახლა განსახილველად იმავე სასამართლოში დაბრუნებას.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების გაცნობის, მხარეთა ახსნა-განმარტებების მოსმენის, გასა-ჩივრებული განჩინების კანონიერებისა და საკასაციო საჩივრის საფუძვლიანობის შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ შპს „...“ საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს, გაუქმდეს გასაჩივრებული განჩინება და საქმე განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს, შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ გასაჩივრებული განჩინება მიღებულია მატერიალური და საპ-როცესო სამართლის ნორმათა დარღვევით, საქმე არასრულყოფილადაა გამოკვლეული და დასაბუთებუ-ლი, რაც სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 393-ე-394-ე მუხლების შესაბამისად ქმნის განჩინების გაუქ-მების საფუძველს.

საკასაციო სასამართლო თვლის, რომ გასაჩივრებული ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ სამარ-თლებრივი აქტების კანონიერება სააპელაციო სასამართლომ შეამოწმა მხოლოდ ფორმალური კანონიე-რების თვალსაზრისით, რაც არ იძლევა შესაძლებლობას დადგინდეს, რამდენად შეესაბამება სადავო აქტე-ბი მატერიალური სამართლის ნორმებს.

ქვედა ინსტანციის სასამართლოთა მოტივაცია ძირითადად შემოიფარგლება საინვენტარიზაციო კომი-სიის შექმნისა და დაკომპლექტების კანონიერების დასაბუთებით, რაც სარჩელის საფუძველზე ნამდვი-ლად წარმოადგენს დავის საგანს, მაგრამ საგულისხმოა, რომ იმავე სარჩელით სადავოდაა გამხდარი საგა-დასახადო კოდექსის 143-ე, 248-ე და 127-ე მუხლების გამოყენებისა და განმარტების კანონიერება, რის თა-ობაზეც გასაჩივრებული განჩინება არ შეიცავს მსჯელობას.

სადავო პერიოდისათვის მოქმედი საგადასახადო კოდექსის 143-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, სამეურნეო ოპერაციის დამთავრებიდან (სასაქონლო-მატერიალური ფასეულობის მიღების, შენახვის ან მიწოდების ყველა ეტაპზე) არა უგვიანეს 45 დღისა, საბუღალტრო დოკუმენტაციაში აღურიცხავი ან/და სასაქონლო ზედნადების გარეშე სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების გამოვლენის შემთხვევაში, ხოლო სხვა ქვეყნიდან საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე შემოტანისას საბაჟო კანონმდებლობით გათ-ვალისწინებული დოკუმენტის გარეშე სასაქონლო-მატერიალური ფასეულობის გამოვლენის შემთხვევაში გადასახადის გადამხდელს/სხვა ვალდებულ პირს გადახდება შესაბამისად საბუღალტრო დოკუმენტაცია-ში აღურიცხავი ან/და სასაქონლო ზედნადების გარეშე ან საბაჟო კანონმდებლობით გათვალისწინებული დოკუმენტების გარეშე გამოვლენილი სასაქონლო-მატერიალური ფასეულობის ღირებულება საბაჟო ფასებით დღგ-ის გარეშე (ხოლო აქციზის გადამხდელს/სხვა ვალდებულ პირს-აქციზის და დღგ-ის გარე-შე). აღნიშნული სანქცია არ გამოიყენება იმ შემთხვევაში, თუ საბუღალტრო დოკუმენტებში აღურიცხავ სასაქონლო-მატერიალურ ფასეულობაზე არსებობს საბაჟო კანონმდებლობით გათვალისწინებული დო-კუმენტები ან საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურა.

საკასაციო სასამართლო მნიშვნელოვნად მიიჩნევს ზემოაღნიშნული მუხლის ბოლო აბზაცის ჩანაწერს და აღნიშნავს, რომ საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურა წარმოადგენს საქართველოს ფინანსთა სამინის-ტროს მიერ დადგენილი ფორმის მკაცრი აღრიცხვის დოკუმენტს, რომლითაც დასტურდება დღგ-ით დასა-ბეგრი ოპერაციის განხორციელების ფაქტი. ანგარიშ-ფაქტურის არსებობა შესაძლებელს ხდის დღგ-ით დასაბეგრი ოპერაციის დაწყებაზე, მიმდინარეობასა და დასრულებაზე კონტროლს, რამაც, საკასაციო სა-სამართლოს მოსაზრებით, განაპირობა ის, რომ საკანონმდებლო ნორმამ, მითითებული დოკუმენტის არ-სებობის პირობებში, გამორიცხა სანქციის გამოყენების შესაძლებლობა.

საკასაციო სასამართლო, საქმის ხელახალი განხილვის პროცესში, საჭიროდ მიიჩნევს სააპელაციო სა-სამართლომ გამოიკვლიოს, სადავო აქტის მიღებისას გათვალისწინებული იქნა თუ არა საქონელზე ანგა-რიშ-ფაქტურების არსებობის ფაქტი და იყო თუ არა მითითებული მუხლით დადგენილი პასუხისმგებლო-ბის გამომრიცხავი გარემოებების გათვალისწინების შესაძლებლობა.

საკასაციო სასამართლო ასევე ყურადღებას მიაქცევს იმავე მუხლის მე-5 ნაწილს, რომლის შესაბამი-სადაც, ამ მუხლის მე-3 ნაწილის მიზნებისათვის, სასაქონლო-მატერიალური ფასეულობის გამოვლენად ჩაითვლება საქონლის როგორც ფიზიკური, ისე დოკუმენტების (მათ შორის, საგადასახადო ორგანოსათვის ცნობილი სხვა სათანადო ინფორმაციის) მიხედვით გამოვლენა. სასაქონლო-მატერიალური ფასეულობა აღურიცხავად არ ჩაითვლება და გადასახადის გადამხდელზე/სხვა ვალდებულ პირზე სანქცია არ გავ-რცელდება იმ შემთხვევაში, თუ მისი რეალიზაციის, გადაცემის ან სხვა სახით გამოყენების შესახებ სათა-ნადო ინფორმაცია ჩართულია საგადასახადო გადასახადის მიერ საგადასახადო ორგანოში წარდგენილ დეკლარაციაში.

კასატორის წარმომადგენლის ახსნა-განმარტებების თანახმად, ყველა სათანადო ინფორმაცია საწარ-მოს მიერ ჩართულია საგადასახადო ორგანოში წარდგენილ დეკლარაციაში. იმის გათვალისწინებით, რომ გასაჩივრებული განჩინება აღნიშნულის თაობაზე არ შეიცავს სათანადო დასაბუთებას და საკითხი ამ თვალსაზრისით გამოკვლეული არ არის, საკასაციო სასამართლო მოკლებულია პროცესუალურ შესაძ-ლებლობას შეაფასოს ამ ნაწილში საკასაციო პრეტენზიის საფუძვლიანობა. აღნიშნული ნორმის გამოყე-ნების კანონიერება ასევე უნდა იქცეს ქვედა ინსტანციის სასამართლოს მსჯელობის საგნად.

საგადასახადო კოდექსის 143-ე მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, ამ მუხლის მე-3 ნაწილით განსაზღვრული ჯარიმა გადახდება იმ გადასახადის გადამხდელს/სხვა ვალდებულ პირს, რომლის მფლობელობაში არსებულ ტერიტორიაზეც აღმოჩნდა სხვა პირის მფლობელობაში არსებული სასაქონლო-მატერიალური ფასეულობა, რომელზედაც არ არსებობს ამ ტერიტორიაზე განთავსების დამადასტურებელი შესაბამისი დოკუმენტი.

საქმეში წარმოდგენილია მხატვარ რ. გ-სა და სპს „...“ დირექტორს შორის გამოფენის მოწყობის მიზნით, ფართის გამოყოფის თაობაზე დადებული ხელშეკრულება. საკასაციო სასამართლო თვლის, რომ სააპელაციო სასამართლომ უნდა გამოიკვლიოს მითითებული ხელშეკრულების არსებობა ცნობილი იყო თუ არა აქტის შედგენის პროცესში და ხელშეკრულების არსებობის პირობებში სახეზეა თუ არა ზემოაღნიშნული მუხლის გამოყენების საფუძველი.

საკასაციო სასამართლო ვერ გაიზიარებს სააპელაციო სასამართლოს მოტივაციას საგადასახადო კოდექსის 248-ე მუხლთან მიმართებაში და აღნიშნავს შემდეგს: სადავო არ არის ფაქტი იმის თაობაზე, რომ სპს „...“ წარმოადგენდა დღგ-ის გადამხდელს. საგადასახადო კოდექსის 247-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, დღგ-ის ჩათვლის უფლება აქვს დღგ-ის გადამხდელად რეგისტრირებულ პირს. ამავე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, ჩასათვლელი დღგ-ის თანხა არის გადასახადის თანხა, რომელიც გადახდილია ან გადასახდელია ამ კოდექსის 248-ე მუხლის შესაბამისად გამოწერილი საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის ან/და საბაჟო დეკლარაციის მიხედვით დასაბეგრ ოპერაციაზე ან/და დასაბეგრ იმპორტზე ან/და დასაბეგრ დროებით იმპორტზე, თუ საქონელი/მომსახურება გამოიყენება ან გამოყენებული იქნება დასაბეგრ ოპერაციაში ან დასაბეგრ იმპორტში. ამდენად, სადავო პერიოდში მოქმედი საგადასახადო კანონმდებლობა დღგ-ის თანხის ჩათვლის შესაძლებლობას უკავშირებდა საგადასახადო კოდექსის 248-ე მუხლის შესაბამისად გამოწერილი ანგარიშ-ფაქტურის საფუძველზე დადასტურებული ოპერაციის განხორციელების ფაქტს. კასატორის განმარტებით, კოდექსის 248-ე მუხლის 1-ლი ნაწილის მოთხოვნის დაუცველობა იქცა საგადასადო ორგანოს მხრიდან ჩათვლილი თანხის გაუქმების საფუძველად.

საგადასახადო კოდექსის 248-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, დღგ-ის გადამხდელად რეგისტრირებული პირი ვალდებულია საქონლის/მომსახურების მიმღების მოთხოვნისას, დასაბეგრი ოპერაციის განხორციელებიდან არა უგვიანეს მე-2 დღისა, გამოწეროს საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურა და წარუდგინოს იგი მიმღებს. დღგ-ის, როგორც არაპირდაპირი გადასახადის ბუნება და ზემოაღნიშნული მუხლების ანალიზი ადასტურებს, რომ დღგ-ის სახელმწიფო ბიუჯეტში გადახდა, ისევე, როგორც ანგარიშ-ფაქტურის დროულად და სათანადო ფორმით შევსება და მყიდველისათვის გადაცემა, წარმოადგენს იმ პირის ვალდებულებას, რომელმაც განახორციელა საქონლის მიწოდება. საკასაციო სასამართლო თვლის, რომ ანგარიშ-ფაქტურის არსებობა საქონლის (მომსახურების) მიმღებს აძლევს შესაძლებლობას დაადასტუროს დასაბეგრი ოპერაციის განხორციელების ფაქტი და მოითხოვოს გადახდილი დღგ-ის ჩათვლა. საგადასახადო კოდექსის 247-ე მუხლის მე-4 ნაწილი განსაზღვრავს იმ შემთხვევათა ამომწურავ ჩამონათვალს, რომელთა არსებობა საქონლის (მომსახურების) მიმღებს ართმევს დღგ-ის ჩათვლის უფლებას, ხოლო საგადასახადო ორგანოს აძლევს ჩათვლილი დღგ-ის გაუქმების უპირობო საფუძველს. საყურადღებოა, რომ აღნიშნული მუხლი არ იძლევა მითითებას იმავე საგადასახადო კოდექსის 248-ე მუხლის 1-ლი ნაწილის დარღვევით გამოწერილ ანგარიშ-ფაქტურაზე.

ნორმის ამგვარი განმარტების პირობებში საკასაციო სასამართლო მნიშვნელოვნად მიიჩნევს, საქონლის მიმწოდებლისათვის გადახდილი იყოს დღგ, თანხა იყოს ასახული დეკლარაციაში და ანგარიშ – ფაქტურა წარდგენილი საგადასახადო ორგანოში, ხოლო ის გარემოება, რომ ანგარიშ-ფაქტურა გამოწერილია დაგვიანებით, როცა სახეზე არ არის ანგარიშ-ფაქტურის სიყალბის ფაქტი, საკასაციო სასამართლოს მოსაზრებით, არ იძლევა ჩათვლის გაუქმების საკმარის საფუძველს.

რაც შეეხება სამართალდარღვევის თაობაზე გამოწერილი აქტის კანონიერებას, აღნიშნული თაობაზე საკასაციო სასამართლო განმარტავს შემდეგს, საგადასახადო სამართალდარღვევის ოქმი არის პირველადი ნერილობითი დოკუმენტი, რომელშიც ფიქსირდება საგადასახადო სამართალდარღვევის ფაქტი, რომლის გამოც მომავალში პირის მიმართ შესაძლებელია გამოყენებულ იქნეს კანონით დადგენილი სანქცია. ოქმის შემდგენი პირი ვალდებულია, ზედმიწევნით ზუსტად დაიცვას კანონით (კანონქვემდებარე ნორმატიული აქტით) დადგენილი მოთხოვნები. კანონის ისეთი სავალდებულო მოთხოვნები, როგორიც არის სამართალდარღვევის ოქმის ადგილზე შედგენა, სამართალდარღვევისათვის ახსნა-განმარტების ჩამორთმევა, მონმეთა მოძიება, გამოკითხვა და მათ შესახებ ინფორმაციის ოქმში შეტანა, წარმოადგენს საბოლოო სამართლებრივი შედეგის დადგომისათვის – სახელის დაკისრებისათვის პრაქტიკული მნიშვნელობის მქონე გარემოებებს.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ სააპელაციო სასამართლოს მიერ არ არის დადგენილი ის ფაქტობრივი გარემოება, რამდენად კანონიერად მოხდა საგადასახადო ორგანოს მიერ სამართალდარღვევის ოქმის შედგენა. სააპელაციო სასამართლოს მიერ არ იქნა გამოკვლეული საგადასახადო სამართალდარღვევის ოქმი ასახავდა თუ არა რეალურად ჩადენილი გადაცდომის ფაქტს, მით უფრო იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ ოქმში დაფიქსირებული სამართალდარღვევა ფაქტობრივად დროში თანხვედრია საკონტროლო – სალარო აპარატის კრებით ანგარიშში დაფიქსირებული ოპერაციისა (სხვაობა შეადგენს 1 წუთს.).

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლომ მოცემული საქმის განხილვისას არ გამოიკვლია ზემოაღნიშნული ფაქტობრივი გარემოება, რომლის ყოველმხრივ და სრულყოფილ გამოკვლევას მნიშვნელობა აქვს საკითხის შემდგომი გადაწყვეტისათვის.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 162-ე მუხლის 1-ლი ნაწილის შესაბამისად, თუ საქმის განხილვასთან დაკავშირებულ საკითხზე მოსამართლეს სპეციალური ცოდნა არ გააჩნია, სასამართლოს შეუძლია დანიშნოს ექსპერტიზა საქმის განხილვის ნებისმიერ სტადიაზე, მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ აღნიშნული საკითხის განმარტებას არსებითი მნიშვნელობა აქვს საქმის გადაწყვეტისათვის და მის გარეშე გადაწყვეტილების გამოტანა შეუძლებელია. ასეთ შემთხვევაში სასამართლოს გამოაქვს მოტივირებული განჩინება.

საკასაციო სასამართლო ყურადღებას მიაქცევს ზემოაღნიშნული ნორმის შინაარსს და მნიშვნელოვნად მიიჩნევს იმ გარემოებაზე მითითებას, რომ საქმეში წარმოდგენილია მოტივირებული განჩინება, რომლითაც სასამართლომ, საკითხის გადაწყვეტის მიზნით, საჭიროდ მიიჩნია ექსპერტიზის ჩატარება. ექსპერტის დასკვნა მტკიცებულებათა არასაკმარისობის მოტივით წარმოდგენილი არ არის. საკასაციო სასამართლო თვლის, იმ პირობებში, როდესაც ექსპერტიზა ინიშნება სასამართლოს მიერ, სასამართლომ უნდა უზრუნველყოს საჭირო მტკიცებულებები და საქმის, სათანადო დასკვნის გარეშე გადაწყვეტის შემთხვევაში, მხარეთა შეჯიბრებითობისა და ადმინისტრაციული პროცესის ინკვიზიციურობის ელემენტების შეპირისპირების გზით დაადგინოს, ჰქონდა თუ არა მხარეს სათანადო მტკიცებულებების წარდგენის შესაძლებლობა და მათი წარმოდგენლობა განპირობებულია თუ არა მხარის ბრალეულობით. წინააღმდეგ შემთხვევაში არსებობს ეჭვი, რომ საქმის გადაწყვეტა მოხდა სათანადო გამოკვლევის გარეშე, რასაც იმავდროულად თან მოჰყვა მხარეთა საპროცესო უფლებების დარღვევა.

ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ საქმე საჭიროებს დამატებით შესწავლა-გამოკვლევას, რა მიზნითაც აღნიშნული ხელახალი განხილვისათვის უნდა დაუბრუნდეს იმავე სააპელაციო სასამართლოს.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 1-ლი მუხლის მე-2 ნაწილით, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე მუხლით და

დ ა ა ღ გ ი ნ ა:

1. შპს „...“ საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს;
2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2011 წლის 27 სექტემბრის განჩინება და საქმე განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს;
3. სახელმწიფო ბაჟის მხარეთა შორის გადანაწილების საკითხი გადაწყდეს საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღებისას;
4. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

საშემოსავლო გადანაწილით დაგეგმვისაგან გათავისუფლების საფუძველი

გადაწყვეტილება
საქართველოს სახელით

№ბს-631-619(კ-12)

24 სექტემბერი, 2012 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატა
შემადგენლობა: ლ. მურუსიძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
მ. ვაჩაძე,
პ. სილაგაძე

სარჩელის საგანი: ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების ბათილად ცნობა

საკასაციო სასამართლომ საქმის მასალების გაცნობის შედეგად

გ ა მ ო ა რ კ ვ ი ა:

2011 წლის 12 ნოემბერს თბილისის საქალაქო სასამართლოს სარჩელით მიმართა შპს „...“ წარმომადგენელ მ. ს-ის წარმომადგენელმა ლ. ნ-ამ საქართველოს ფინანსთა სამინისტროსა და სსიპ შემოსავლების სამსახურის მიმართ და მოითხოვა სსიპ შემოსავლების სამსახურის 2011 წლის 7 ივლისის №35 წინასწარი გადაწყვეტილების, საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ შემოსავლების სამსახურის 2011 წლის 13 სექტემბრის №7918 ბრძანებისა და საქართველოს ფინანსთა სამინისტროსთან არსებული დავების განხილვის საბჭოს 5 დეკემბრის გადაწყვეტილების ბათილად ცნობა. ასევე მოითხოვა, დადგენილ იქნას, რომ მ. ს-ის მიერ განხორციელებული „ი. ო. ნ. ლ-ის“ აქციების რეალიზაციის „ნ. ლ-ზე“, შედეგადაც მიღებული შემოსავალი არ განეკუთვნება საქართველოში არსებული წყაროდან მიღებულ შემოსავალს და მოქმედი საქართველოს საგადასახადო კოდექსის 82-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „ფ“ ქვეპუნქტის თანახმად მ. ს-ეს აღნიშნული ოპერაციის ფარგლებში არ წარმოეშება საშემოსავლო გადასახადის გადახდის ვალდებულება.

მოსარჩელემ ასევე მიუთითა, რომ მათი აღიარებითი სარჩელის საფუძველი იყო მ. ს-ის დარღვეული კანონიერი უფლების აღდგენა საგადასახადო ორგანოების მიერ გაუთვალისწინებელი ოპერაციის არსებობის, მისი ეკონომიკური მნიშვნელობისა და არსებითობის ფაქტის დადასტურებით. აღნიშნულის შედეგად

დაცული იქნებოდა მ. ს-ის უფლება დაიბეგროს მხოლოდ იმ გადასახადებით და იმ ოდენობით, რომლის გადახდის ვალდებულებაც ეკისრებოდა საგადასახადო კოდექსით გათვალისწინებული შეღავათებით.

2011 წლის 27 დეკემბერს სარჩელი წარმოებაში იქნა მიღებული და დასაშვებად იქნა ცნობილი.

სარჩელზე მოპასუხის – სსიპ შემოსავლების სამსახურის მიერ შეტანილ იქნა შესაგებელი, რომლითაც მოპასუხე არ დაეთანხმა სასარჩელო მოთხოვნას და მოითხოვა მის დაკმაყოფილებაზე, როგორც დაუსაბუთებელზე, უარის თქმა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2011 წლის 19 მარტის გადაწყვეტილებით მ. ს-ის სარჩელზე წარმოება ნაწილობრივ შეწყდა, კერძოდ, რიგით მეოთხე მოთხოვნის ნაწილში, რომლითაც მოსარჩელე ითხოვდა, რომ დადგენილი ყოფილიყო, რომ მ. ს-ის მიერ განხორციელებული „ი. ო. ნ. ლ-ის“ აქციების რეალიზაციის „ნ. ლ-ზე“, შედეგადაც მიღებული შემოსავალი არ განეკუთვნება საქართველოში არსებული წყაროდან მიღებულ შემოსავალს და მოქმედი საქართველოს საგადასახადო კოდექსის 82-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „ფ“ ქვეპუნქტის თანახმად მ. ს-ეს აღნიშნული ოპერაციის ფარგლებში არ წარმოეშვება საშემოსავლო გადასახადის გადახდის ვალდებულება. სასამართლომ მიიჩნია, რომ მოცემული მე-4 აღიარებითი მოთხოვნა დაუშვებელია იმ მოტივით, რომ მოსარჩელეს ამ აღიარებითი სასარჩელო მოთხოვნიდან გამომდინარე დავის, სამართლებრივი პრობლემის გადაჭრის მიზნით შეეძლო და აღძრა კიდევ საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 22-ე მუხლით გათვალისწინებული სარჩელი ინდივიდუალური ადმინისტრაციული-სამართლებრივი აქტების – სსიპ შემოსავლების სამსახურის 2011 წლის 7 ივლისის №35 წინასწარი გადაწყვეტილების, საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ შემოსავლების სამსახურის 2011 წლის 13 სექტემბრის №7918 ბრძანების და საქართველოს ფინანსთა სამინისტროსთან არსებული დავების განხილვის საბჭოს 5 დეკემბრის გადაწყვეტილების ბათილად ცნობის თაობაზე. შესაბამისად, სასამართლომ მიიჩნია, რომ მოსარჩელეს არ გააჩნია იმის აუცილებლობა, რომ სასამართლოში აღიარებითი სარჩელის წარდგენის გზით მოითხოვოს უფლების (ვალდებულების) არსებობა-არარსებობის დადგენა. თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილებით სარჩელი დანარჩენ ნაწილში არ დაკმაყოფილდა.

გადაწყვეტილებაზე სააპელაციო საჩივარი შეიტანა მ. ს-ემ, რომლითაც მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილების მიღებით სარჩელის სრულად დაკმაყოფილება.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2012 წლის 19 ივნისის განჩინებით სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა, შესაბამისად უცვლელად დარჩა გასაჩივრებული გადაწყვეტილება.

სააპელაციო სასამართლო დაეთანხმა საქალაქო სასამართლოს მსჯელობას იმის თაობაზე, რომ საქართველოს საგადასახადო კოდექსის 73-ე მუხლის მე-9 ნაწილით, მ. ს-ის მიერ კუთვნილი წილის (შპს „...“ წილის) „ი. ო. ნ. ლ-ისთვის“ გადაცემის ოპერაციას არ გააჩნდა არსებითი ეკონომიკური გავლენა; წილის გადაცემის ოპერაციის ამგვარმა შეფასებამ საგადასახადო ორგანოს მისცა შესაძლებლობა, რომ წილის გადაცემის ოპერაციის შემდგომი ოპერაციის, კერძოდ, მოსარჩელე მ. ს-ის მიერ კუთვნილი აქციების („ი. ო. ნ. ლ-ის“ აქციების) „ნ. ლ-ისთვის“ მიყიდვის ოპერაციის მიმართ გამოეყენებინა ამ ოპერაციის ჩატარების დროს მოქმედი 2004 წლის რედაქციის საქართველოს საგადასახადო კოდექსის 24-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „ე“ პუნქტის დებულებები;

სააპელაციო სასამართლოს მითითებით წილის გადაცემის ოპერაციის ეკონომიკური გავლენის არმქონედ მიჩნევა იმაზე მიუთითებს, რომ წილის გადაცემის ოპერაცია წარმოადგენდა ხელოვნურად შექმნილ შუალედურ რგოლს, რომელიც მიმართული იყო იმ მიზნისკენ, რომ მ. ს-ის მიერ მისი კუთვნილი წილის (შპს „...“ წილის) რეალიზაციიდან მიღებული შემოსავალი არ მიჩნეულიყო საქართველოში არსებული წყაროდან მიღებულ შემოსავლად და არ მომხდარიყო მისი დაბეგვრა საშემოსავლო გადასახადით; თუკი მ. ს-ე ხსენებული შუალედური რგოლის გარეშე პირდაპირ განახორციელებდა კუთვნილი წილის „ნ. ლ-ისთვის“ მიყიდვის ოპერაციას, მას ერთმნიშვნელოვნად წარმოეშობოდა საშემოსავლო გადასახადის გადახდის ვალდებულება.

სააპელაციო სასამართლო ასევე დაეთანხმა საქალაქო სასამართლოს მოსაზრებას, რომ კრედიტის (სესხის) აღება/გაცემა, აგრეთვე კრედიტის (სესხის) უზრუნველსაყოფად ქმედებების განხორციელება განიხილება ფინანსურ ოპერაციად, ხოლო ფინანსური ოპერაციის, როგორც ნებისმიერი საქმიანობის ერთ-ერთი სახეობის განხორციელება, რომელიც ემსახურება მოგების, შემოსავლის ან კომპენსაციის მიღების მიზანს, თავის მხრივ, განიხილება როგორც ეკონომიკური საქმიანობა და, არც ადმინისტრაციული წარმოების და არც საქმის სასამართლო განხილვის ეტაპზე მოსარჩელემ ვერ მიუთითა იმ გარემოებაზე, რომ შპს „...“ და კომპანია „ნ. ლ-ისთვის“ შორის 2008 წლის 22 დეკემბერს გაფორმებული სესხის ხელშეკრულების უზრუნველსაყოფად მ. ს-ის კუთვნილი წილის დაგირავება, როგორც ფინანსური ოპერაცია, არ ემსახურებოდა მ. ს-ის მიერ მოგების, შემოსავლის ან კომპენსაციის მიღების მიზანს.

სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ საქმის მასალებით არ დასტურდება, ხოლო აპელანტის მიერ სააპელაციო ინსტანციაში საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლის შესაბამისად, ვერ იქნა წარმოდგენილი მტკიცებულება, რომლითაც დადასტურდებოდა, რომ საგადასახადო ორგანომ სადავო აქტები გამოსცა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოების გამოკვლევის გარეშე და მათ მიერ გადაწყვეტილების მიღებისას დაირღვა კანონის მოთხოვნები.

სააპელაციო სასამართლომ განმარტა, რომ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-60¹ მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ბათილია, თუ იგი ეწინააღმდეგება კანონს ან არსებითად დარღვეულია მისი მომზადების ან გამოცემის კანონმდებლობით დადგენი-

ლი სხვა მოთხოვნები. მე-2 ნაწილის თანახმად კი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მომზადების ან გამოცემის წესის არსებით დარღვევად ჩითვლება ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა ამ კოდექსის 32-ე, 34-ე მუხლით გათვალისწინებული წესის დარღვევით ჩატარებულ სხდომაზე ან კანონით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სახის დარღვევით, ან/და კანონის ისეთი დარღვევა, რომლის არარსებობის შემთხვევაში მოცემულ საქმეზე მიღებული იქნებოდა სხვაგვარი გადაწყვეტილება. შესაბამისად, სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ გასაჩივრებული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტები გამოცემულია საქართველოს კანონმდებლობის სრული დაცვით და არ არსებობს მისი ბათილად ცნობის საფუძველი.

სააპელაციო სასამართლოს განჩინებაზე საკასაციო საჩივარი შეიტანა მ. ს-ემ, რომლითაც მოითხოვა თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2012 წლის 19 ივნისის განჩინების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილების მიღება, რომლითაც სარჩელი დაკმაყოფილდება.

კასატორი საკასაციო საჩივარში მიუთითებს, რომ მოცემული საქმის განხილვა მნიშვნელოვანია ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბებისათვის. კასატორი მიუთითებს, რომ არასწორია პირველი და სააპელაციო ინსტანციის სასამართლოების მსჯელობა იმის თაობაზე, რომ წილის გადაცემის ოპერაცია წარმოადგენდა ხელოვნურად შექმნილ შუალედურ რგოლს, რომელიც მიმართული იყო იმ მიზნისკენ, რომ მ. ს-ის მიერ კუთვნილი წილის რეალიზაციიდან მიღებული შემოსავალი არ მიჩნეულიყო საქართველოში არსებული წყაროდან მიღებულ შემოსავლად და არ მომხდარიყო მისი დაბეგვრა საგადასახადო შემოსავლით. საკასაციო საჩივარში ასევე მითითებულია, რომ სადავო განჩინების ერთ-ერთ საფუძველს წარმოადგენს ის გარემოება, რომ ეკონომიკურ საქმიანობად იქნა მიჩნეული მ. ს-ის მიერ შპს „...“ მიწის წილის ამავე კომპანიის მიერ აღებული სესხის უზრუნველყოფის მიზნით გირავნობის უფლებით დატვირთვა. კასატორი მიუთითებს, რომ ნაწილობრივ ეთანხმება გადაწყვეტილებაში მითითებულ მსჯელობას იმ ნაწილში, რომ მ. ს-ის მიერ განხორციელდა აქტივების რეალიზაცია, ხოლო საქართველოს საგადასახადო კოდექსის 175-ე მუხლის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად ეკონომიკური საქმიანობით მიღებულ შემოსავლებს მიეკუთვნება აქტივების რეალიზაციით მიღებული ნამეტი შემოსავალი და რომ ამავე კოდექსის 210-ე მუხლის 1-ლი ნაწილის შესაბამისად აქტივების მიწოდებისას მიღებული მოგება არის დადებითი სხვაობა მათი მიწოდებით მიღებულ შემოსავალსა და ამ აქტივების ღირებულებას შორის.

კასატორი მიიჩნევს, რომ მ. ს-ის მიერ განხორციელებული ქმედება, მის საკუთრებაში არსებული წილის დაგირავება არ განიხილება ეკონომიკურ საქმიანობად და შესაბამისად არ არსებობს მ. ს-ის მიმართ 2011 წლის პირველ იანვრამდე მოქმედი საგადასახადო კოდექსის 168-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „ვ.გ.“ პუნქტებით გათვალისწინებული შეღავათის არგამოყენების საფუძველი. კასატორი აღნიშნავს, რომ სააპელაციო სასამართლოს მიერ არასწორად იქნა განმარტებული საქართველოს 2010 წლის 17 სექტემბრის საგადასახადო კოდექსის 73-ე მუხლი, საქართველოს 2004 წლის 22 დეკემბრის საგადასახადო კოდექსის მე-13 მუხლის 1-ლი ნაწილი და 168-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „ვ.გ.“ ქვეპუნქტი.

ყოველივე ზემოაღნიშნულის საფუძველზე, საკასაციო საჩივრის ავტორი ითხოვს გაუქმდეს სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული განჩინება; ბათილად იქნას ცნობილი სსიპ შემოსავლების სამსახურის 2011 წლის 7 ივლისის №35 წინასწარი გადაწყვეტილება, საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ შემოსავლების სამსახურის 2011 წლის 13 სექტემბრის №7918 ბრძანება და საქართველოს ფინანსთა სამინისტროსთან არსებული დავების განხილვის საბჭოს 5 დეკემბრის გადაწყვეტილება.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2012 წლის 18 სექტემბრის განჩინებით მ. ს-ის საკასაციო საჩივარი მიჩნეულ იქნა დასაშვებად.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო, ზეპირი მოსმენის გარეშე, გაეცნო საქმის მასალებს, შეამოწმა გასაჩივრებული განჩინების კანონიერება-დასაბუთებულობა, წარმოდგენილი საკასაციო საჩივრის საფუძვლიანობა და მიაჩნია, რომ მ. ს-ის საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ, გაუქმდეს სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული განჩინება და საკასაციო სასამართლოს მიერ მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება, რომლითაც მ. ს-ის სარჩელი დაკმაყოფილდება ნაწილობრივ; სადავო საკითხის გადაუწყვეტლად ბათილად იქნეს ცნობილი სსიპ შემოსავლების სამსახურის 2011 წლის 7 ივლისის №35 წინასწარი გადაწყვეტილება, სსიპ შემოსავლების სამსახურის 2011 წლის 13 სექტემბრის №7918 ბრძანება (საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ) და საქართველოს ფინანსთა სამინისტროსთან არსებული დავების განხილვის საბჭოს 2011 წლის 5 დეკემბრის გადაწყვეტილება და სსიპ შემოსავლების სამსახურს დაევალოს საქმის გარემოებების გამოკვლევისა და შეფასების შემდეგ ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა მ. ს-ის მიმართ, შემდეგ გარემოებათა გამო;

საკასაციო სასამართლომ მიაჩნია, რომ სააპელაციო სასამართლოს მიერ გასაჩივრებული განჩინების გამოტანისას დარღვეულია სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 393-ე მუხლის მე-2 ნაწილის მოთხოვნები, კერძოდ, სასამართლომ არ გამოიყენა კანონი, რომელიც უნდა გამოეყენებინა, სასამართლომ განსახილველი დავა გადაწყვიტა არსებითად, მაშინ როცა საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებების შეფასების საფუძველზე სამართლებრივი დასკვნის ჩამოყალიბება შეუძლებელია.

საკასაციო სასამართლომ მიაჩნია, რომ სასამართლომ სამართლებრივი შეფასება მისცა იმ სახის მტკიცებულებებს, რომლებიც სადავო აქტის გამოცემისას ადმინისტრაციული ორგანოს განხილვისა და შეფასების საგანი არ ყოფილა. შესაბამისად, მოცემულ შემთხვევაში გამოყენებულ უნდა იქნეს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 32.4. მუხლი, რამდენადაც ადმინისტრაციული ორგანოს მიერ სადავო ინდივი-

დუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტები გამოიცა საქმის გარემოებათა გამოკვლევისა და შეფასების გარეშე.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 32-ე მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, თუ სასამართლო მიიჩნევს, რომ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი გამოცემულია საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის გარემოების გამოკვლევისა და შეფასების გარეშე, რაც მოცემულ შემთხვევაში სახეზეა, იგი უფლებამოსილია სადავო საკითხის გადაწყვეტლად ბათილად ცნოს იგი და დაავალოს ადმინისტრაციულ ორგანოს ამ გარემოებათა გამოკვლევისა და შეფასების შემდეგ გამოსცეს ახალი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი. სასამართლო ამ გადაწყვეტილებას იღებს, თუ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობისათვის არსებობს მხარის გადაუდებელი კანონიერი ინტერესი, რაც მოცემულ შემთხვევაში სახეზეა.

საკასაციო სასამართლო დადგენილად მიიჩნევს შემდეგ ფაქტობრივ გარემოებებს, რომ მოსარჩელემ – მ. ს-ემ 2011 წლის 23 თებერვალს განცხადებით მიმართა შემოსავლების სამსახურს და მოითხოვა წინასწარი გადაწყვეტილების მიღება მასზე, თუ რა საგადასახადო ვალდებულებები აქვს მას კომპანია „ნ. ლ-ის-თვის“ აქციების მიყიდვიდან გამომდინარე, საგადასახადო ვალდებულებების შესრულების ვადების მითითებით; შემოსავლების სამსახურის 2011 წლის 7 ივლისის №35 წინასწარი გადაწყვეტილებით შემოსავლების სამსახურმა მიიჩნია, რომ კომპანია „ნ. ლ-ისთვის“ აქციების მიყიდვიდან გამომდინარე მ. ს-ეს წარმოეშვა საშემოსავლო გადასახადის გადახდის ვალდებულება; მოსარჩელე მ. ს-ემ შემოსავლების სამსახურის 2011 წლის 7 ივლისის №35 წინასწარი გადაწყვეტილება 2011 წლის 27 ივლისის წარდგენილი საჩივრით გაასაჩივრა სსიპ შემოსავლების სამსახურში, ხოლო შემოსავლების სამსახურმა თავისი 2011 წლის 13 სექტემბრის №7918 ბრძანებით არ დააკმაყოფილა მ. ს-ის საჩივარი; სსიპ შემოსავლების სამსახურის 2011 წლის 13 სექტემბრის №7918 ბრძანება მოსარჩელე მ. ს-ემ 2011 წლის 29 სექტემბერს წარდგენილი საჩივრით გაასაჩივრა საქართველოს ფინანსთა სამინისტროს დავების განხილვის საბჭოში, რომლის 2011 წლის 5 დეკემბრის №3386/2/11 გადაწყვეტილებით არ დაკმაყოფილდა მოსარჩელის საჩივარი;

საქმის მასალებით ასევე დადგენილია, რომ მ. ს-ე 2001 წლიდან 2010 წლამდე ფლობდა საქართველოში რეგისტრირებული საწარმოს – შპს „...“ წილს; 2009 წლის 10 დეკემბერს მ. ს-ემ შპს „...“ წილი 80,06% გადასცა „ი. ო. ნ. ლ-ს“ (რეგისტრირებულია ბრიტანული ვირჯინიის კუნძულებზე), რის შედეგადაც მ. ს-ე გახდა „ი. ო. ნ. ლ-ის“ 370 300 აქციის მფლობელი;

2010 წლის 24 მარტს მ. ს-ემ „ი. ო. ნ. ლ-ის“ აქციების ერთი ნაწილი – 250 000 აქცია მიყიდა იურიდიულ პირს – „ნ. ლ-ს“ 18 000 000 ა.შ.შ. დოლარად; ასევე, 2011 წლის 23 მარტს მ. ს-ემ „ი. ო. ნ. ლ-ის“ აქციების კიდევ ერთი ნაწილი – 150 300 ცალი აქცია მიჰყიდა იმავე იურიდიულ პირს – „ნ. ლ-ს“; სულ მთლიანობაში 250 000 ცალი აქციის, აგრეთვე 150 300 ცალი აქციის საერთო ფასად განისაზღვრა 13 000 000 ა.შ.შ. დოლარი;

როგორც საქმის მასალებით ირკვევა, შპს „...“ და კომპანია „ი-ს“ შორის 2008 წლის 22 დეკემბერს გაფორმებული სესხის ხელშეკრულების თანახმად, კომპანია „ი-ის“ ერთ-ერთ ძირითად მოთხოვნას, ანუ სესხის პირველი ტრანშის წინაპირობას წარმოადგენდა არსებული კომპანიის რესტრუქტურისაცაა ახალ ჯგუფად – კერძოდ, „ი. ო. ნ. ლ-ის“ მენილეები უნდა ყოფილიყვნენ კომპანია „ი-ი“ (5%), „გ. მ. პ. ა-ი“ (18,98%) და მ. ს-ე (76,02%), თავად „ი. ო. ნ. ლ-ი“ კი უნდა ყოფილიყო შპს „...“ 100%-იანი წილის მესაკუთრე;

საკასაციო სასამართლო საქართველოს საგადასახადო კოდექსის 2010 წლის რედაქციის 73-ე მუხლის მე-9 ნაწილის „ა“ პუნქტის საფუძველზე განმარტავს, რომ საგადასახადო ვალდებულების განსაზღვრის მიზნით საგადასახადო ორგანოს უფლება აქვს მხედველობაში არ მიიღოს სამეურნეო ოპერაციები, რომლებსაც არა აქვს არსებითი ეკონომიკური გავლენა;

ამავე კოდექსის 2004 წლის რედაქციის 24-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „ე“ პუნქტის მიხედვით, საქართველოში არსებული წყაროდან მიღებულ შემოსავალს განეკუთვნება რეზიდენტი იურიდიული პირისაგან მიღებული დივიდენდები, რეზიდენტი იურიდიული პირის აქციის ან/და იურიდიულ პირში პარტნიორის წილის რეალიზაციით მიღებული შემოსავლები.

როგორც საქმის მასალებით ირკვევა, მოპასუხე საგადასახადო ორგანომ საქართველოს საგადასახადო კოდექსის 73-ე მუხლის მე-9 ნაწილზე დაყრდნობით მიიჩნია, რომ მოსარჩელე მ. ს-ის მიერ კუთვნილი წილის (შპს „...“ წილის) „ი. ო. ნ. ლ-ისთვის“ გადაცემის ოპერაციას არ გააჩნდა არსებითი ეკონომიკური გავლენა, თუმცა საგადასახადო ორგანომ წილის გადაცემის ოპერაციის შემდგომი, კერძოდ, მოსარჩელე მ. ს-ის მიერ კუთვნილი აქციების („ი. ო. ნ. ლ-ის“ აქციები) „ნ. ლ-ისთვის“ მიყიდვის ოპერაციის მიმართ გამოიყენა ამ ოპერაციის ჩატარების დროს მოქმედი 2004 წლის რედაქციის საქართველოს საგადასახადო კოდექსის 24-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „ე“ პუნქტის დებულებები. საგადასახადო ორგანომ მიიჩნია, რომ წილის გადაცემის ოპერაციის ეკონომიკური გავლენის არმქონედ მიჩნევა იმაზე მიუთითებდა, რომ წილის გადაცემის ოპერაცია წარმოადგენდა ხელოვნურად შექმნილ შუალედურ რგოლს, რომელიც მიმართული იყო იმ მიზნისკენ, რომ მ. ს-ის მიერ მისი კუთვნილი წილის (შპს „...“ წილის) რეალიზაციიდან მიღებული შემოსავალი არ მიჩნეულიყო საქართველოში არსებული წყაროდან მიღებულ შემოსავლად და არ მომხდარიყო მისი დაბეგვრა საშემოსავლო გადასახადით. წინააღმდეგ შემთხვევაში, თუ მ. ს-ე აღნიშნული შუალედური რგოლის (მოქმედების) გარეშე, პირდაპირ განახორციელებდა კუთვნილი წილის „ნ. ლ-ისთვის“ მიყიდვის ოპერაციას, მას უპირობოდ წარმოეშობოდა საშემოსავლო გადასახადის გადახდის ვალდებულება.

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, საგადასახადო ორგანომ ისე ჩამოაყალიბა ზემოაღნიშნული დასკვნა, რომ წილის გადაცემა მ. ს-ის მიერ მოხდა ხელოვნურად შექმნილი შუალედური რგოლის გამოყენებით, რაც საშემოსავლო გადასახადის გადახდის ვალდებულებისაგან გათავისუფლების საფუძველი გახდა, რომ არ გაითვალისწინა საქმეში წარმოდგენილი მთელი რიგი მტკიცებულებები. კერძოდ, ადმინისტრაცი-

ულმა ორგანომ საკითხის გადაწყვეტისას არ გაითვალისწინა შპს „...“ და კომპანია „ი-ს“ შორის 2008 წლის 22 დეკემბერს გაფორმებული სესხის ხელშეკრულება, რომლის მიხედვითაც, კომპანია „ი-ს“ ერთ-ერთ ძირითად მოთხოვნას, ანუ სესხის პირველი ტრანშის წინაპირობას სწორედ არსებული კომპანიის რესტრუქტურისაცაა ახალ ჯგუფად – „ი. ო. ნ. ლ-ის“ ჩამოყალიბება წარმოადგენდა, რომლის შედეგები უნდა ყოფილიყვნენ კომპანია „ი-ი“ (5%), „გ. მ. ჰ. ა-ი“ (18,98%) და მ. ს-ე (76,02%). ამასთან, ხელშეკრულების მიხედვით, „ი. ო. ნ. ლ-ი“ შპს „...“ 100%-იანი წილის მესაკუთრე უნდა ყოფილიყო. შესაბამისად, ადმინისტრაციულმა ორგანომ საკითხის ხელახალი განხილვისას უნდა იმსჯელოს აღნიშნულ გარემოებაზე და სხვა მტკიცებულებებთან ერთობლივი შეფასების საფუძველზე გამოიტანოს დასკვნა, აღნიშნული გარემოება შესაძლებელია თუ არა გამხდარიყო მ. ს-ის მიერ, „ი. ო. ნ. ლ-ის“ კაპიტალში შპს „...“ წილის შეტანის საფუძველი, თუ სახეზე იყო მოსარჩელი მიერ წილის გადაცემის ოპერაციის განხორციელება ხელოვნურად შექმნილი შუალედური რგოლის გამოყენებით.

საკასაციო სასამართლო საქართველოს საგადასახადო კოდექსის 2004 წლის რედაქციის 168-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „ვ.გ“ პუნქტის საფუძველზე განმარტავს, რომ საშემოსავლო გადასახადით დაბეგვრისაგან თავისუფლდება ფიზიკურ პირთა შემოსავლების შემდეგი სახეები: ფიზიკური პირის მიერ: 2 წელზე მეტი ვადით საკუთრებაში არსებული აქტივების მიწოდებით მიღებული ნამეტი, გარდა გამსხვიანების მიერ აქტივების მიწოდებამდე ეკონომიკურ საქმიანობაში გამოყენებისა ან/და ამ ქვეპუნქტის „ვ.ა“ და „ვ.ბ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ამასთანავე, აქტივების ეკონომიკურ საქმიანობაში გამოყენებად არ ითვლება მათი 2 წლის შემდეგ მიწოდება ან/და ფასიანი ქაღალდების/წილის მხოლოდ ფლობა დივიდენდებისა და პროცენტების მიღების მიზნით.

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ საგადასახადო ორგანომ საკითხის ხელახალი განხილვისას უნდა შეაფასოს ის გარემოება, რომ მოსარჩელე მ. ს-ე გასხვისებამდე ორ წელზე მეტი ვადით ფლობდა შპს „...“ წილს. ამასთან, საგადასახადო ორგანომ გადაწყვეტილების მიღებისას უნდა გაითვალისწინოს, რომ მ. ს-ემ წილის მიწოდებამდე აღნიშნული წილი დატვირთა (დააგირავა) კომპანია „ი-ისგან“ მიღებული სესხის უზრუნველსაყოფად. ამდენად, აღნიშნული გარემოების შეფასების საფუძველზე საგადასახადო ორგანომ უნდა გამოიტანოს დასკვნა, ის გარემოება, რომ მოსარჩელემ კუთვნილი წილი გამოიყენა სესხის უზრუნველყოფის საშუალებად, შეიძლება თუ არა ჩაითვალოს, რომ მოსარჩელე წილის მიწოდებამდე ცოტა ხნით ადრე მას იყენებდა ეკონომიკურ საქმიანობაში.

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ საგადასახადო ორგანომ მხოლოდ ზემოაღნიშნული გარემოების დადგენისა და შეფასების საფუძველზე უნდა გამოიტანოს დასკვნა, მოსარჩელის მიმართ უნდა გავრცელდეს თუ არა საგადასახადო კოდექსის 168-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „ვ.გ“ პუნქტის დებულებები;

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ გასაჩივრებული აქტების მიღების დროს საგადასახადო ორგანო ვალდებული იყო გაეთვალისწინებინა ზემოაღნიშნული სამართლებრივი გარემოებები, რა შემთხვევაშიც საქმეზე შესაძლოა მიღებული ყოფილიყო სხვაგვარი გადაწყვეტილება.

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-60¹ მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ბათილია, თუ იგი ეწინააღმდეგება კანონს ან არსებითად დარღვეულია მისი მომზადების ან გამოცემის კანონმდებლობით დადგენილი სხვა მოთხოვნები.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-60¹ მუხლში მოცემულია ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობის სავალდებულო წინაპირობები, რომლებიც მათი რეალიზების თვალსაზრისით, ამ მუხლში არა კუმულაციური, არამედ ალტერნატიული სახით არის წარმოდგენილი. ამასთან, არსებით დარღვევად ჩაითვლება ისეთი დარღვევა, რომელსაც შეეძლო არსებითი გავლენა მოეხდინა ადმინისტრაციული ორგანოს მიერ მიღებულ გადაწყვეტილებაზე.

საკასაციო სასამართლო ასევე მიუთითებს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის 1-ლ და მე-2 ნაწილებზე, რომელთა თანახმად, ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია, ადმინისტრაციული წარმოებისას გამოიკვლიოს საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოება და გადაწყვეტილება მიიღოს ამ გარემოებათა შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე. დაუშვებელია, ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემას საფუძველად დაედოს ისეთი გარემოება ან ფაქტი, რომელიც კანონით დადგენილი წესით არ არის გამოკვლეული ადმინისტრაციული ორგანოს მიერ.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ მოცემულ შემთხვევაში, გასაჩივრებული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მომზადებისა და გამოცემისას საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებას წარმოადგენდა საქმეში წარმოდგენილი ხელშეკრულების (წილის გადაცემის თაობაზე) გამოკვლევა და სწორი სამართლებრივი შეფასება, რაც არ განხორციელებულა.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, იმისათვის, რომ შესრულდეს კანონის მოთხოვნა და ადმინისტრაციული ორგანოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება იყოს კანონმესაბამისი, ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის მნიშვნელოვანი და სავალდებულო წინაპირობაა საქმისათვის მნიშვნელობის მქონე ყველა გარემოების გამოკვლევა, გაანალიზება, შესწავლა და გადაწყვეტილების მიღება ამ გარემოებათა შეფასების შედეგად, იმისათვის, რომ თავიდან იქნეს აცილებული ადმინისტრაციული ორგანოს დაუსაბუთებელი დასკვნის გაკეთება.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 32-ე მუხლის მე-4 ნაწილზე, რომლის თანახმად, თუ სასამართლო მიიჩნევს, რომ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი გამოცემულია საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის გარემოების გა-

მოკვლევისა და შეფასების გარეშე, იგი უფლებამოსილია, სადავო საკითხის გადაწყვეტლად, ბათილად ცნოს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი და დაავალოს ადმინისტრაციულ ორგანოს, ამ გარემოებათა გამოკვლევისა და შეფასების შემდეგ გამოსცეს ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი. სასამართლო ამ გადაწყვეტილებას იღებს, თუ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობისათვის არსებობს მხარის გადაუდებელი კანონიერი ინტერესი.

აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ მოცემულ შემთხვევაში გამოყენებულ უნდა იქნეს საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 32-ე მუხლის მე-4 ნაწილი და მ. ს-ის სარჩელი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ; გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული განჩინება და საკასაციო სასამართლო მიერ მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება, რომლითაც სარჩელი დაკმაყოფილდება ნაწილობრივ; ბათილად იქნეს ცნობილი სსიპ შემოსავლების სამსახურის 2011 წლის 7 ივლისის №35 წინასწარი გადაწყვეტილება, სსიპ შემოსავლების სამსახურის 2011 წლის 13 სექტემბრის №7918 ბრძანება (საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ) და საქართველოს ფინანსთა სამინისტროსთან არსებული დავების განხილვის საბჭოს 2011 წლის 5 დეკემბრის გადაწყვეტილება და სსიპ შემოსავლების სამსახურის საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის გარემოებების გამოკვლევისა და შეფასების შემდეგ, დაევალოს ახალი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა მ. ს-ის მიმართ.

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, ვინაიდან სადავო ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტები გამოცემულია საქმის გარემოებების გამოკვლევისა და შეფასების გარეშე, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-10 მუხლის მე-2 ნაწილის საფუძველზე, შპს „...“ (...) მიერ მ. ს-ის სახელზე გადახდილი სახელმწიფო ბაჟის 300 ლარის გადახდა უნდა დაეკისროს სსიპ შემოსავლების სამსახურს შპს „...“ სასარგებლოდ.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 1-ლი მუხლის მე-2 ნაწილით, 32-ე მუხლის მე-4 ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 408-ე მუხლის მე-3 ნაწილით, 411-ე მუხლით და

გ ა დ ა ნ ყ ვ ი ტ ა:

1. მ. ს-ის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;
2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2012 წლის 19 ივნისის განჩინება და საკასაციო სასამართლოს მიერ მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება;
3. მ. ს-ის სარჩელი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;
4. ძალაში შესვლის მომენტიდან ბათილად იქნეს ცნობილი სსიპ შემოსავლების სამსახურის 2011 წლის 7 ივლისის №35 წინასწარი გადაწყვეტილება, სსიპ შემოსავლების სამსახურის 2011 წლის 13 სექტემბრის №7918 ბრძანება (საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ) და საქართველოს ფინანსთა სამინისტროსთან არსებული დავების განხილვის საბჭოს 2011 წლის 5 დეკემბრის გადაწყვეტილება და სსიპ შემოსავლების სამსახურის საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის გარემოებების გამოკვლევისა და შეფასების შემდეგ, დაევალოს ახალი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა მ. ს-ის მიმართ.
5. შპს „...“ (...) მიერ მ. ს-ის სახელზე გადახდილი სახელმწიფო ბაჟის 300 ლარის გადახდა დაეკისროს სსიპ შემოსავლების სამსახურს, შპს „...“ სასარგებლოდ.
6. საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და არ საჩივრდება.

ს ა ბ ა დ ა ნ ა ხ ა დ ო ვ ა ლ დ ე ზ უ ლ ე ბ ის უ ზ რ უ ნ ვ ე ლ ყ ო ზ ა

გ ა დ ა ნ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო ს ს ა ხ ე ლ ი თ

№ბს-1774-1742(კ-11)

7 ნოემბერი, 2012 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატა
შემადგენლობა: ნ. სხირტლაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ლ. მურუსიძე,
ნ. ქადაგიძე

დავის საგანი: ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების ბათილად ცნობა

აღწერილობითი ნაწილი:

09.02.11 წ. ი/მ „თ. ს-მა“ სარჩელი აღძრა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში მოპასუხეების – საქართველოს ფინანსთა სამინისტროსა და სსიპ შემოსავლების სამსახურის

მიმართ, რუსთავის რეგიონული ცენტრის 08.10.106. №9498 ბრძანების, სსიპ შემოსავლების სამსახურის 03.12.106. №2471 ბრძანებისა და საქართველოს ფინანსთა სამინისტროს დავების განხილვის საბჭოს 20.01.116. №1741/2/19 გადაწყვეტილების ბათილად ცნობის მოთხოვნით.

მოსარჩელემ მიუთითა, რომ რუსთავის რეგიონული ცენტრის 08.10.106. №9498 ბრძანებით ყადაღა დაედო „ი/მ თ. ს-ის“ ქონებას, რაც მის მიერ შემოსავლების სამსახურში გასაჩივრდა. შემოსავლების სამსახურის 03.12.106. №2471 ბრძანებით ადმინისტრაციული საჩივარი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ, რის საფუძველზეც მოხდა სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე ქონების გადასახადში საგადასახადო ვალდებულების შეუსრულებლობისათვის დარიცხული საურავის ჩამოწერა. შემოსავლების სამსახურის ბრძანება გასაჩივრდა დავების განხილვის საბჭოში, რომლის 20.01.116. №1741/2/19 გადაწყვეტილებით საჩივარი არ დაკმაყოფილდა.

მოსარჩელემ აღნიშნა, რომ შემოსავლების სამსახურის მიერ ადმინისტრაციული საჩივრის ნაწილობრივ დაკმაყოფილების მიუხედავად, ი/მ „თ. ს-ს“ უსაფუძვლოდ ერიცხება წინა წლების დავალიანება, რამდენადაც მას წლების განმავლობაში გადახდილი ჰქონდა სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის გადასახადი. ი/მ „თ. ს-ს“ შეუწყდა 2005 წლის 1 იანვრამდე პერიოდისათვის გაანგარიშებული ქონების გადასახადის დავალიანებათა გადახდის ვალდებულება, როგორც ძირითადი, ასევე დარიცხული საურავის ნაწილი. შესაბამისად, მოსარჩელემ მიიჩნია, რომ ადმინისტრაციულმა ორგანომ სრულად არ გამოიკვლია საქმის გარემოებები.

მოპასუხეებმა სარჩელი არ ცნეს უსაფუძვლობის მოტივით.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 31.05.116. გადაწყვეტილებით ი/მ „თ. ს-ის“ სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

საქალაქო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ ი/მ „თ. ს-ის“ ქონებას ყადაღა დაედო საგადასახადო კოდექსის 87-ე მუხლის საფუძველზე ბიუჯეტის მიმართ ვადაგადაცილებული დავალიანების – 13038 ლარის არსებობის გამო. 01.01.05წ. მდგომარეობით სასოფლო-სამეურნეო მიწის გადასახადში მოსარჩელეს ერიცხებოდა გადასახადის ძირითადი თანხა – 5432,60 ლარი და საურავი – 8304,88 ლარი, რაც მოსარჩელეს შეუმცირდა საგადასახადო კოდექსის 281.21 მუხლის შესაბამისად რუსთავის რეგიონული ცენტრის 30.01.09წ. დასკვნის საფუძველზე. რუსთავის რეგიონული ცენტრის 27.08.09წ. დასკვნით მოსარჩელეს სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის გადასახადში დაერიცხა 01.01.05წ. სავადოთი შემცირებული თანხები. გადასახადის გადამხდელის პირადი აღრიცხვის ბარათის თანახმად, 22.12.2004 წ. საგადასახადო კოდექსის 281.21 მუხლის ამოქმედებამდე – 2007 წლის 14 აგვისტომდე მოსარჩელეს სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის გადასახადში სულ გადახდილი აქვს 11002,6 ლარი, აღნიშნული თანხით დაიფარა 2005 წლის 1 იანვრისათვის არსებული დავალიანება სრულად და 2006 წლის დავალიანების ძირითადი თანხის ნაწილი. რუსთავის რეგიონული ცენტრის 27.08.09წ. დასკვნის საფუძველზე მოსარჩელეს ჩამოეწერა 01.01.05წ. მდგომარეობით არსებულ ძირითად დავალიანებაზე 2007 წლის 14 აგვისტოს დარიცხული საურავი. რუსთავის რეგიონული ცენტრის 03.01.11წ. №21-18-16 დასკვნის საფუძველზე, მოსარჩელეს ჩამოეწერა 01.08.10წ. სავადოთი რიცხული საურავი. შემოსავლების სამსახურის 18.05.11წ. №21-11-8586/01 წერილის თანახმად, მოსარჩელეს გადასახადელი რჩებოდა 2006 წლის ძირითადი თანხა 5368,89 ლარი და 2007 წელს რიცხული 5481,44 ლარი, აღნიშნული თანხიდან 3682,22 ლარი დეკლარირებულია მოსარჩელის მიერ, ხოლო 1799,22 ლარი დარიცხულ იქნა მარნეულის რაიონის სოფელ ... საკრებულოს მიერ მიწოდებული ინფორმაციის საფუძველზე. მოსარჩელეს მის მიერ წარდგენილი დეკლარაციის საფუძველზე 2008 წელს დაერიცხა 5457,44 ლარი, 2009 წელს – 1154,26 ლარი, 2010 წელს – 1154 ლარი. აღნიშნული თანხებიდან მოსარჩელეს სხვადასხვა დროს გადახდილი აქვს 12485 ლარი.

საქალაქო სასამართლომ მიუთითა, რომ მხარეთა შორის დავა გამოიწვია მოცემულ საქმესთან დაკავშირებით ძირითადი სამართლებრივი ნორმის – საგადასახადო კოდექსის 281.21 მუხლის განმარტების საკითხმა. საქალაქო სასამართლომ გაიზიარა მოპასუხის პოზიცია სადავო საკითხის სამართლებრივ შეფასებასთან მიმართებაში და აღნიშნა, რომ 22.12.2004 წ. საგადასახადო კოდექსის 281.21 მუხლის, რომელიც ამოქმედდა 14.08.07წ., მიზანი იყო გადასახადის გადახდაზე ვალდებული პირების გათავისუფლება 2005 წლის 1 იანვრამდე წარმოშობილი და ნორმის ამოქმედების დრომდე, 2007 წლის 14 აგვისტომდე შეუსრულებელი საგადასახადო ვალდებულებების შესრულებისაგან. აღნიშნული ნორმა წარმოადგენს საშელავათო ნორმას, რომლის ფარგლებშიც სახელმწიფომ უარი თქვა სახელმწიფო ბიუჯეტის კუთვნილ იმ გადასახადებზე, რომლებიც 14.08.07წ. მდგომარეობით ჯერ კიდევ არ იყო გადახდილი ვალდებული პირების მიერ. მოსარჩელის ინტერპრეტაციით კი, ფაქტობრივად სახელმწიფოს გადასახადის გადამხდელისათვის უკან უნდა დაებრუნებინა სახელმწიფო ბიუჯეტში უკვე გადახდილი თანხები, რაც საქალაქო სასამართლომ არასწორად მიიჩნია, რამდენადაც არ ემსახურებოდა საგადასახადო კოდექსში საშელავათო ნორმის შემოღების ზოგად პრინციპს – შეუსრულებელი ვალდებულების შესრულების ტვირთისაგან გადასახადის გადამხდელის გათავისუფლებას.

საქალაქო სასამართლომ იხელმძღვანელა 22.12.2004 წ. საგადასახადო კოდექსის 84.1, 87.1, 12.23 მუხლებით და აღნიშნა, რომ მოსარჩელის პირადი აღრიცხვის ბარათზე დარიცხული გადასახადის ძირითადი თანხა დეკლარირებულია თავად მოსარჩელის მიერ, რის გამოც თ. ს-ის საგადასახადო ვალდებულება აღიარებული საგადასახადო ვალდებულებაა, რომელიც მოვალეს კანონით დადგენილ ვადაში არ შეუსრულებია. სასამართლომ მიიჩნია, რომ აღნიშნული გარემოება საგადასახადო ორგანოს ავალდებულებდა მოვალის მიმართ საგადასახადო ვალდებულების შესრულების უზრუნველყოფის ისეთი ღონისძიება გამოეყენებინა, როგორიც ქონებაზე ყადაღის დადებაა.

საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გასაჩივრდა ი/მ „თ. ს-ის“ მიერ.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 01.11.11წ. განჩინებით ი/მ „თ. ს-ის“ სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა და უცვლელად დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 31.05.11წ. გადაწყვეტილება.

სააპელაციო სასამართლომ გაიზიარა საქალაქო სასამართლოს დასკვნები და სამართლებრივი შეფასებები.

სააპელაციო სასამართლომ არ გაიზიარა აპელანტის მითითება, რომ საგადასახადო ორგანო ვალდებული იყო პირადი აღრიცხვის ბარათზე ჩამოწერილი თანხის ხელმოწერედ დარიცხვისას მისთვის გაეგზავნა საგადასახადო მოთხოვნა, რამდენადაც დარიცხვა განხორციელდა საგადასახადო ორგანოს დასკვნის საფუძველზე, რაც მისთვის ცნობილი არ იყო. სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ მოცემულ შემთხვევაში საგადასახადო ორგანოს მიერ გადამხდელის პირადი აღრიცხვის ბარათზე განხორციელდა არა ახალი დარიცხვა, არამედ გადამხდელის მიერ წარდგენილი საგადასახადო დეკლარაციების საფუძველზე უკანონოდ ჩამოწერილი თანხების აღდგენა (კორექტირება). შესაბამისად, სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ დარიცხვა მოხდა მეწარმის მიერ წარდგენილი დეკლარაციების საფუძველზე, რაც საგადასახადო კოდექსის 12.23 მუხლის შესაბამისად, წარმოადგენდა საგადასახადო დავალიანების აღიარებას და საგადასახადო ორგანო არ იყო ვალდებული ვადაგადაცილებული დავალიანების არსებობის გამო გადამხდელისათვის გაეგზავნა საგადასახადო მოთხოვნა.

სააპელაციო სასამართლოს განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა ი/მ „თ. ს-მა“, რომელმაც სააპელაციო სასამართლოს 01.11.11წ. განჩინების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილება მოითხოვა.

კასატორის მითითებით, საგადასახადო დავალიანება მის მიერ დეკლარირებული არ იყო, რამდენადაც ი/მ „თ. ს-ის“ მიმართ წარმოშობილი დავალიანება გადაანგარიშდა, აღდგა და დაერიცხა გადამხდელს. შედარების აქტით და პირადი აღრიცხვის ბარათით დასტურდება, რომ გადამხდელის მიმართ თანხის დარიცხვამდე მას დავალიანება არ გააჩნდა. მართალია თავის დროზე მეწარმემ წარადგინა დეკლარაცია გადასახადის არსებობის შესახებ, მაგრამ საგადასახადო ორგანომ დავალიანება გააუქმა, რის თაობაზეც წერილი გაეგზავნა გადამხდელს, რითაც მას წარმოეშვა კანონიერი ნდობის საფუძველი და ამ დროიდან მისთვის ცნობილი გახდა დავალიანების არ არსებობის შესახებ. საგადასახადო ორგანომ მიიჩნია, რომ გაუქმებული გადასახადი უნდა აღდგენილიყო და გამოსცა დასკვნა, რის გამოც მეწარმეს თავიდან დაერიცხა გადასახადი. შესაბამისად, გადასახადის წარმოშობის საფუძველი გახდა არა დეკლარაციები, არამედ საგადასახადო ორგანოს დასკვნა, რის გარეშეც დავალიანება არ წარმოიშობოდა. გარდა აღნიშნულისა, საურავის მოხსნა მოხდა სწორედ იმის გამო, რომ გადასახადის დარიცხვის შესახებ ი/მ „თ. ს-ისათვის“ ცნობილი არ იყო.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების გაცნობის, საკასაციო საჩივრის საფუძვლების შესწავლის, გასაჩივრებული განჩინების კანონიერების და დასაბუთებულობის შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ ი/მ თ. ს-ის საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს, შემდეგ გარემოებათა გამო:

დადგენილია, რომ ი.მ „თ. ს-ს“ 01.01.2005 წ. მდგომარეობით სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის გადასახადში ერიცხებოდა დავალიანება: გადასახადის ძირითადი თანხა – 5432,60 ლარი და საურავი – 8304,88 ლარი. ფინანსთა მინისტრის წერილით დასტურდება, რომ საქართველოს საგადასახადო კოდექსში შეტანილი ცვლილებებიდან გამომდინარე, თ. ს-ს შეუწყდა ქონების გადასახადის 2005 წლის 1 იანვრამდე პერიოდისთვის გაანგარიშებულ დავალიანებათა გადახდის ვალდებულება, როგორც ძირითადი ისე დარიცხული საურავის ნაწილში. ამის შემდგომ კასატორი განაგრძობდა მიწის გადასახადის გადახდას, თუმცა შემოსავლების სამსახურის რუსთავის რეგიონული ცენტრის 08.10.2010 წ. №9498 ბრძანებით ყადაღა დაედო თ. ს-ის კუთვნილ ქონებას ბიუჯეტის მიმართ არსებული დავალიანების – 13 038 ლარის ანაზღაურების უზრუნველყოფის მიზნით. სწორედ აღნიშნული აქტის ბათილად ცნობა შეადგენს სასარჩელო მოთხოვნას.

აღნიშნული სასარჩელო მოთხოვნის საფუძვლიანობის შემოწმებისთვის უნდა დადგინდეს სადავო აქტის გამოცემის კანონისმიერი წინაპირობების არსებობა. 22.12.2004 წ. საგადასახადო კოდექსის 84-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „გ“ ქვეპუნქტის მიხედვით, ქონებაზე ყადაღის დადება საგადასახადო ვალდებულებათა უზრუნველყოფის ერთ-ერთი ღონისძიებაა. საგადასახადო დავალიანების გადახდევინების უზრუნველყოფის ღონისძიებები მიზნად ისახავენ პირის მიერ საგადასახადო ვალდებულების სათანადოდ შესრულებას, აგრეთვე საგადასახადო ვალდებულების შეუსრულებლობის ან არაჯეროვანი შესრულების შემთხვევაში არასასურველი შედეგების თავიდან აცილებას ან შემცირებას. საგადასახადო კოდექსის 87-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, აღიარებული საგადასახადო დავალიანების არსებობის შემთხვევაში საგადასახადო ორგანო უფლებამოსილია, საგადასახადო ვალდებულების შესრულების უზრუნველყოფის მიზნით, სასამართლოს გადაწყვეტილების გარეშე ყადაღა დაადოს გადასახადის გადამხდელის საკუთრებაში არსებულ ნებისმიერ ქონებას. გადასახადის გადამხდელის ქონებაზე ყადაღის დადება უზღუდავს მას ქონებრივ უფლებებს მის საკუთრებაში და ბალანსზე არსებულ უძრავ, მოძრავ ქონებასა და არამატერიალურ ქონებრივ სიკეთეებზე.

ხსენებული ნორმებიდან გამომდინარე, ქონებაზე ყადაღის დადების უპირველესი წინაპირობაა აღიარებული საგადასახადო მოთხოვნა. ამ უკანასკნელის ლეგალურ დეფინიციას 22.12.2004 წ. საგადასახადო

კოდექსის მე-12 მუხლის 23-ე ნაწილი შეიცავს. აღნიშნული ნორმის თანახმად, აღიარებული საგადასახადო მოთხოვნა შესაძლოა წარმოიშვას სამ შემთხვევაში: ა) ვალდებული პირის მიერ წარდგენილი დეკლარაციის საფუძველზე, რა დროსაც საჭირო აღარ არის საგადასახადო მოთხოვნის წარდგენა; ბ) საგადასახადო მოთხოვნის საფუძველზე, რომელსაც გადასახადის გადამხდელი ეთანხმება ან რომლის გასაჩივრების ვალაც გასულია ან გ) სასამართლო გადაწყვეტილების საფუძველზე.

განსახილველ შემთხვევაში კასატორი უთითებს, რომ სადავო აქტით აღიარებული საგადასახადო მოთხოვნის არსებობის გარეშე დაედო ყადაღა მის ქონებას, რაც კანონშესაბამიოა. ამის საპირისპიროდ შემოსავლების სამსახური მიიჩნევს, რომ ყადაღის დადება კანონშესაბამისად განხორციელდა, რადგან დავალიანება წარმოშობილი იყო გადასახადის გადამხდელის მიერ წარდგენილი დეკლარაციის საფუძველზე, რის გამოც აღარ იყო საჭირო საგადასახადო მოთხოვნის წარდგენა. საკასაციო სასამართლო იზიარებს კასატორის მოსაზრებას და აღნიშნავს, რომ საქმეში დაცული გადასახადის გადამხდელის პირადი აღრიცხვის ბარათიდან დგინდება, რომ 2005 წლის 1 იანვრამდე არსებული დავალიანება წარმოიშვა გადასახადის გადამხდელის მიერ წარდგენილი დეკლარაციის საფუძველზე, ხოლო 2005 წლისთვის რიცხული გადასახადის ვალდებულებებიდან დადგინდა, რომ წინააღმდეგობა არ გაუძლია. აღნიშნული გარემოება სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილია განსახილველ საქმეზე და დავას არ იწვევს. საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ თ. ს-ისთვის საგადასახადო დავალიანების ჩამოწერა გულისხმობს მის სრულ გაუქმებას (ძირითადი თანხა და საურავი) და არა გადახდის ვალდებულების შეჩერებას ან გადავადებას, შესაბამისად, 27.08.2009 წ. დასკვნით 2005 წლის 1 იანვრამდე რიცხული დავალიანების აღდგენა, რეალურად მის ხელახალ დარიცხვას ნიშნავს. აქედან გამომდინარე, იცვლება დარიცხვის საფუძველიც: თუ 2005 წლის 1 იანვრამდე დავალიანება წარმოიშვა თ. ს-ის მიერ წარდგენილი დეკლარაციის საფუძველზე, 2009 წელს გადასახადის გადამხდელზე საგადასახადო დავალიანების წარმოშობა განაპირობა შემოსავლების სამსახურის დასკვნამ. ამდენად, აღნიშნული დავალიანების უზრუნველსაყოფად ყადაღის გამოყენებისათვის აუცილებელი იყო ი.მ. „თ. ს-ისთვის“ საგადასახადო მოთხოვნის წარდგენა, რაც შემოსავლების სამსახურის მხრიდან არ განხორციელებულა. გადასახადის გადამხდელს – თ. ს-ს არ ჰქონდა ინფორმაცია პირადი აღრიცხვის ბარათზე დავალიანების ხელახლა დარიცხვის თაობაზე. კასატორის ქონებაზე ყადაღის დადებაზე მისთვის არც საგადასახადო მოთხოვნა გაუგზავნიათ. აღნიშნულ გარემოებას არც მოწინააღმდეგე მხარე უარყოფს, თუმცა ამ ფაქტის კანონიერებას საგადასახადო დავალიანების დეკლარაციის საფუძველზე წარმოშობით ასაბუთებს. საქმეზე საკასაციო პალატა ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ 2009 წელს თ. ს-ის სახელზე დავალიანების წარმოშობა განაპირობა არა თ. ს-ის მიერ წარდგენილმა დეკლარაციებმა, არამედ შემოსავლების სამსახურის დასკვნამ, შესაბამისად, 22.12.2004 წ. საგადასახადო კოდექსის მე-12 მუხლის 23-ე ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტისა და 87-ე მუხლის პირველი ნაწილის საფუძველზე, ვინაიდან დავალიანების უზრუნველსაყოფად ყადაღის გამოყენების სავალდებულო პირობა იყო ი.მ. „თ. ს-ის“ მიმართ აღიარებული საგადასახადო მოთხოვნა, რაც მოცემულ შემთხვევაში არ დასტურდება, სასამართლო თვლის, რომ შემოსავლების სამსახურის რუსთავის რეგიონული ცენტრის 08.10.2010 წ. №9498 ბრძანებით თ. ს-ის ქონებას ყადაღა არამართლზომიერად დაედო.

საკასაციო სასამართლო ყურადღებას ამახვილებს აგრეთვე იმ გარემოებაზე, რომ ი.მ. „თ. ს-ს“ ფინანსთა მინისტრის სახელით გაეგზავნა წერილი, რომლის თანახმადაც, მას შეუწყდა ქონების გადასახადის 2005 წლის 1 იანვრამდე პერიოდისთვის გაანგარიშებული დავალიანების გადახდის ვალდებულება, როგორც ძირითადი ისე დარიცხული საურავის ნაწილში. განსახილველი წერილით დაინტერესებულ მხარეს თ. ს-ს მიენიჭა ინფორმაცია საგადასახადო დავალიანების ანაზღაურების ვალდებულების შეწყვეტის შესახებ. აღნიშნული წერილის სამართლებრივ შედეგებთან დაკავშირებით მხარეს გაუჩნდა კანონიერი ნდობა. კანონიერი ნდობის ინსტიტუტი იცავს პირს ადმინისტრაციული ორგანოს სამართლებრივი შეცდომისგან და დამდგარი სამართლებრივი შედეგის სტაბილურობის გარანტს წარმოადგენს. განსახილველ შემთხვევაში, დაინტერესებული პირი – თ. ს-ი ენდობოდა დამდგარი სამართლებრივი შედეგის სტაბილურობას და გამოიყენა ეს ნდობა – განაგრძო ახალი საგადასახადო ვალდებულებების შესრულება 2005 წლამდე არსებული დავალიანების ანაზღაურების გარეშე. კასატორის კანონიერი ნდობა სამართლებრივი უსაფრთხოებისა და სტაბილურობის ფაქტორებიდან გამომდინარე, დაცვის ღირსია. ამდენად, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ შემოსავლების სამსახურის რუსთავის რეგიონული ცენტრის №9498 ბრძანება არ შეესაბამება მისი გამოცემისთვის კანონით დადგენილ ნინაპირობებს და არღვევს გადასახადის გადამხდელის – ი.მ. „თ. ს-ის“ დაცვის ღირს სამართლებრივ ინტერესებს.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 411-ე მუხლით და

გ ა დ ა ნ ე შ ი ტ ა :

1. თ. ს-ის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს. თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 01.11.11 წ. განჩინების შეცვლით მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება;
2. თ. ს-ის სარჩელი დაკმაყოფილდეს. ბათილად იქნეს ცნობილი შემოსავლების სამსახურის რუსთავის რეგიონული ცენტრის 08.10.10 წ. №9498 ბრძანება; შემოსავლების სამსახურის 03.12.10 წ. №2471 ბრძანება თ. ს-ის ადმინისტრაციული საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის ნაწილში; საქართველოს ფინანსთა სამინისტროსთან არსებული დავების განხილვის საბჭოს 20.01.10 წ. №1741/10 გადაწყვეტილება;
3. შემოსავლების სამსახურს დაევალოს თ. ს-ის სასარგებლოდ მის მიერ სახელმწიფო ბაჟის სახით გადახდილი 367,5 ლარის (სამასსამოცდაშვიდი ლარის და ორმოცდაათი თეთრის) გადახდა;
4. საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და არ საჩივრდება.

საგადასახადო საიდუმლოება

ბანკინება

№ბს-1504-1466(კ-10)

29 იანვარი, 2013 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატა
შემადგენლობა: ლ. მურუსიძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
პ. სილაგაძე,
მ. ვაჩაძე

დავის საგანი: ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების ბათილად ცნობა და ქმედების განხორციელების დავალდებულება

აღწერილობითი ნაწილი:

2009 წლის 13 ივლისს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას სარჩელით მიმართა გ. ჯ-ის წარმომადგენელმა გ. ბ-მა მოპასუხეების საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის, ქ. თბილისის რეგიონული ცენტრის (საგადასახადო ინსპექცია) და საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის მიმართ და მოითხოვა ბათილად იქნეს ცნობილი საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ქ. თბილისის რეგიონული ცენტრისა (საგადასახადო ინსპექცია) უარი საჯარო ინფორმაციის გაცემაზე; „გ. ჯ-ის წარმომადგენლის გ. ბ-ის 2009 წლის 18 მაისის ადმინისტრაციული საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ“, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის 2009 წლის 1 ივლისის №1848 ბრძანება; დაევალოს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის ქ. თბილისის რეგიონულ ცენტრს (საგადასახადო ინსპექცია) გ. ჯ-ის წარმომადგენელს გ. ბ-ს გადასცეს საჯარო ინფორმაცია, კერძოდ შემდეგი დოკუმენტების დამოწმებული ასლები: ა) განცხადება სამეწარმეო რეესტრში შპს „...“ (ს/ნ...) სარეგისტრაციო მონაცემებში 2008 წლის 9 სექტემბერს შეტანილი ცვლილებების შესახებ (განცხადების ფორმა, დანართი №6), რომლის შესაბამისად შპს „...“ დირექტორის გ. ჯ-ის ნაცვლად შპს „...“ დირექტორად დაინიშნა გ. კ-ა; ბ) პარტნიორთა გადაწყვეტილება შპს „...“ (ს/ნ...) დირექტორის თანამდებობიდან გ. ჯ-ის გათავისუფლებისა და მის მაგივრად შპს „...“ დირექტორად გ. კ-ას დანიშვნის შესახებ; გ) შპს „...“ (ს/ნ...) დირექტორის გ. კ-ას ფაქსიმილე; დ) საგადასახადო ორგანოს ბრძანება, რომლის შესაბამისად 2008 წლის 9 სექტემბრისათვის სამეწარმეო რეესტრში შევიდა ცვლილება – შპს „...“ (ს/ნ...) დირექტორად გ. კ-ას დანიშვნასთან დაკავშირებით; ე) შპს „...“ (ს/ნ...) სარეგისტრაციო მონაცემებში 2008 წლის 9 სექტემბერს შესული (დირექტორის გათავისუფლება და დანიშვნა) ცვლილებების სარეგისტრაციოდ გადახდილი მოსაკრებლის გადახდის ქვითარი.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2009 წლის 30 ოქტომბრის გადაწყვეტილებით მოსარჩელე გ. ჯ-ის წარმომადგენლის გ. ბ-ის სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

საქალაქო სასამართლომ განმარტა, რომ საქართველოს კონსტიტუციის 41-ე მუხლის 1-ლი პუნქტის თანახმად, საქართველოს ყოველი მოქალაქე უფლებამოსილია, კანონით დადგენილი წესით გაცნოს სახელმწიფო დაწესებულებაში მასზე არსებულ ინფორმაციას, ასევე სახელმწიფო დაწესებულებაში არსებულ ოფიციალურ დოკუმენტებს, თუ ისინი არ შეიცავს სახელმწიფო, პროფესიულ ან კომერციულ საიდუმლოებას. ამავდროულად მე-2 პუნქტი ადგენს, რომ ოფიციალურ ჩანაწერებში არსებული ინფორმაცია, რომელიც დაკავშირებულია ადამიანის ჯანმრთელობასთან, მის ფინანსებთან ან სხვა კერძო საკითხებთან, არავისთვის არ უნდა იყოს ხელმისაწვდომი თვით ამ ადამიანის თანხმობის გარეშე, გარდა კანონით დადგენილი შემთხვევებისა, როდესაც ეს აუცილებელია სახელმწიფო უშიშროების ან საზოგადოებრივი უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად, ჯანმრთელობის, სხვათა უფლებებისა და თავისუფლებების დასაცავად. საქართველოს კონსტიტუციით რეგლამენტირებული საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის ზემოაღნიშნული ზოგადი პრინციპი კონკრეტიზირებულია ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-3 თავით („ინფორმაციის თავისუფლება“). აღნიშნული თავის 28-ე მუხლი იმეორებს კონსტიტუციურ ნორმას, რომ საჯარო ინფორმაცია ღიაა, გარდა კანონით გათვალისწინებული შემთხვევებისა და დადგენილი წესით სახელმწიფო, კომერციულ და პირად საიდუმლოებას მიკუთვნებული ინფორმაციისა. თავის მხრივ, საჯარო ინფორმაციის ლეგალურ დეფინიციას იძლევა, ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 მუხ-

ლის „მ“ ქვეპუნქტი, რომლის შესაბამისად, საჯარო ინფორმაცია არის ოფიციალური დოკუმენტი (მათ შორის, ნახაზი, მაკეტი, სქემა, ელექტრონული ინფორმაცია...) ანუ საჯარო დაწესებულებაში დაცული, აგრეთვე საჯარო დაწესებულებაში ან მოსამსახურის მიერ სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებით მიღებული, დამუშავებული, შექმნილი ან გაგზავნილი ინფორმაცია. ამასთან, ამავე მუხლის „ნ“ ქვეპუნქტი იძლევა საიდუმლო ინფორმაციის განმარტებას, კერძოდ, საიდუმლო ინფორმაციას წარმოადგენს საჯარო დაწესებულებაში დაცული, აგრეთვე საჯარო დაწესებულების ან მოსამსახურის მიერ სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებით მიღებული, დამუშავებული, შექმნილი ან გაგზავნილი ინფორმაცია, რომელიც შეიცავს სახელმწიფო, კომერციულ ან პირად საიდუმლოებას.

საქალაქო სასამართლომ მიუთითა, რომ საქართველოს საგადასახადო კოდექსის 122.1 მუხლის თანახმად, საგადასახადო საიდუმლოებას განეკუთვნება გადასახადის გადამხდელის შესახებ საგადასახადო ორგანოს მიერ მიღებული ნებისმიერი ინფორმაცია, გარდა: ა) დღ-ის გადამხდელის დასახელებისა და მისამართისა; ბ) გადასახადის გადამხდელის საიდენტიფიკაციო ნომრის შესახებ ინფორმაციისა; გ) „მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონითა (სამენარმეო რეესტრით) და საქართველოს სამოქალაქო კოდექსით (არასამენარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის სახელმწიფო რეგისტრაციის რეესტრით) გათვალისწინებული საჯარო ინფორმაციისა. ამავე მუხლის მე-3 ნაწილი ადგენს, რომ საგადასახადო ორგანოების თანამშრომლები ვალდებული არიან, დაიცვან სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს მიღებული ინფორმაციის საიდუმლოება და გამოიყენონ მხოლოდ იმ მიზნის მისაღწევად, რის გამოც მათთვის ნებადართულია ამ ინფორმაციის გაცემა. ხოლო მე-10 ნაწილით განისაზღვრა, რომ ცნობები გადასახადის გადამხდელის შესახებ მისი აღრიცხვაზე აყვანის მომენტიდან ითვლება საგადასახადო საიდუმლოებად, თუ ამ კოდექსით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

სასამართლომ განმარტა, რომ საგადასახადო ორგანოში გადასახადის გადამხდელზე დაცული ინფორმაცია არის „ოფიციალურ ჩანაწერებში არსებული ინფორმაცია“. საგადასახადო ორგანოები სახელმწიფო ბიუჯეტიდან დაფინანსებული და სახელმწიფო ამოცანების განმხორციელებელი ორგანოებია და იქ თავმოყრილი ნებისმიერი ფორმის ინფორმაციის სრული სპექტრი შეიძლება იქნეს განხილული, როგორც „ოფიციალურ ჩანაწერებში არსებული ინფორმაცია“.

სასამართლომ ყურადღება გაამახვილა ასევე „მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლზე, რომლითაც რეგლამენტირებულია საწარმოს სახელმწიფო და საგადასახადო რეგისტრაცია. ხსენებული მუხლის 1-ლი პუნქტი ადგენს, რომ საწარმოს სახელმწიფო და საგადასახადო რეგისტრაციას ახორციელებს რეგისტრაციაზე უფლებამოსილი საგადასახადო ორგანო (მარეგისტრირებული ორგანო), თუ საქართველოს კანონმდებლობით სხვა რამ არ არის დადგენილი. ამავე მუხლის მე-3 პუნქტის მიხედვით, სამენარმეო რეესტრში შეტანილი მონაცემები საჯაროა. ნებისმიერ პირს შეუძლია გაეცნოს სამენარმეო რეესტრის მონაცემებს და საწარმოს მარეგისტრირებელ საგადასახადო ორგანოში მიიღოს ამონაწერი რეესტრიდან. ამონაწერი სამენარმეო რეესტრიდან უნდა გაიცეს დაუყოვნებლივ, პირის მოთხოვნისთანავე. საქმის მასალებით სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ მოსარჩელისთვის ცნობილი იყო შპს „...“ სამენარმეო რეესტრის მონაცემები, რაც დასტურდება სარჩელზე დართული შპს „...“ ამონაწერით სამენარმეო რეესტრიდან. ამდენად, სასამართლომ მიიჩნია, რომ ცალსახაა, რომ მოსარჩელის მიერ მოთხოვნილი ინფორმაცია, კერძოდ: განცხადება სამენარმეო რეესტრში შპს „...“ სარეგისტრაციო მონაცემებში 2008 წლის 9 სექტემბრს შეტანილი ცვლილებების შესახებ (განცხადების ფორმა დანართი №6), რომლის შესაბამისად შპს „...“ დირექტორის გ. ჯ-ის ნაცვლად შპს „...“ დირექტორად დაინიშნა გ. კ.-ა, პარტნიორობა გადаныყვეტილება შპს „...“ დირექტორის თანამდებობიდან გ. ჯ-ის გათავისუფლებისა და მის მაგივრად შპს „...“ დირექტორად გ. კ.-ას დანიშვნის შესახებ, გ. კ.-ას ფაქსიმილე; საგადასახადო ორგანოს ბრძანება, რომლის შესაბამისად 2008 წლის 9 სექტემბრისათვის სამენარმეო რეესტრში შევიდა ცვლილება – შპს „...“ დირექტორად გ. კ.-ას დანიშვნასთან დაკავშირებით, შპს „...“ სარეგისტრაციო მონაცემებში 2008 წლის 9 სექტემბერს შესული (დირექტორის გათავისუფლება და დანიშვნა) ცვლილებების სარეგისტრაციოდ გადახდილი მოსაკრებლის გადახდის ქვითარი, წარმოდგენს საგადასახადო საიდუმლოებას მიკუთვნებულ ინფორმაციას და ექვემდებარება დაცვას საქართველოს კონსტიტუციის 41-ე მუხლის მე-2 პუნქტის საფუძველზე.

საქალაქო სასამართლომ აღნიშნა, რომ საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსი ადგენს ადმინისტრაციული ორგანოს მიერ, რეალაქტის განუხორციელებლობით, დაინტერესებული პირის სუბიექტური უფლებისა და კანონიერი ინტერესის დაცვის სამართლებრივ საშუალებებს, კერძოდ, განმცხადებელს უფლება აქვს საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 24-ე მუხლის საფუძველზე, სარჩელი შეიტანოს სასამართლოში ქმედების განხორციელების მოთხოვნით. საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 33¹-ე მუხლის თანახმად, თუ ადმინისტრაციული ორგანოს მიერ რაიმე მოქმედების განხორციელება ან უარი რაიმე მოქმედების განხორციელებაზე უკანონოა და ის პირდაპირ და უშუალო ზიანს აყენებს მოსარჩელის კანონიერ უფლებას ან ინტერესს, სასამართლო უფლებამოსილია ხსენებული კოდექსის 24-ე მუხლში აღნიშნულ სარჩელთან დაკავშირებით გამოიტანოს გადაწყვეტილება, რომლითაც ადმინისტრაციულ ორგანოს ავალებს, განახორციელოს კონკრეტული მოქმედება ან თავი შეიკავოს ამ მოქმედების განხორციელებისაგან.

ზემოხსენებული სამართლის ნორმებისა და საქმის ფაქტობრივი გარემოებების ურთიერთშეჯერების საფუძველზე, სასამართლომ ვერ გაიზიარა მოსარჩელის არგუმენტაცია და მიიჩნია, რომ საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის თბილისის რეგიონული ცენტრის (საგადასახადო ინსპექციის) უარი მოთხოვნილი ინფორმაციის გაცემაზე კანონშესაბამისია და არ არსებობს მოსარჩელის

მიერ მოთხოვნილი ინფორმაციის გაცემის დავალებულების როგორც სამართლებრივი, ისე ფაქტობრივი საფუძველი.

სასამართლომ ასევე უსაფუძვლოდ მიიჩნია მოსარჩელის მოთხოვნა სადავო აქტის ბათილად ცნობის შესახებ, რადგან ადგილი არ ჰქონია საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-60¹ მუხლით გათვალისწინებულ კანონის დარღვევას, გასაჩივრებულ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში ასახული კონკრეტული ურთიერთობის მოწესრიგება შეესაბამება მისი გამოცემის სამართლებრივ საფუძვლებს და წინააღმდეგობაში არ მოდის მოცემული ურთიერთობის მარეგულირებელ სამართლებრივ ნორმებთან. სადავო გადაწყვეტილება მიღებულია საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე ყველა გარემოებების გამოკვლევის საფუძველზე, რის გამოც სასარჩელო მოთხოვნა საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის 2009 წლის 1 ივლისის №1848 ბრძანების ბათილად ცნობის, აგრეთვე მოპასუხისათვის ქმედების განხორციელების დავალებულების თაობაზე უსაფუძვლოა და არ უნდა დაკმაყოფილდეს.

აღნიშნული გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა გ. ჯ-ის წარმომადგენელმა გ. ბ-მა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2010 წლის 25 მარტის განჩინებით მოცემულ საქმეზე საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 92-ე მუხლის თანახმად, ქმედების განხორციელების დავალებულების ნაწილში მოწინააღმდეგე მხარე საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის ქ. თბილისის რეგიონული ცენტრის (საგადასახადო ინსპექცია) უფლებამონაცვლედ დადგენილ იქნა – სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2010 წლის 15 აპრილის განჩინებით აპელანტ გ. ჯ-ის წარმომადგენლის გ. ბ-ის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა; უცვლელად დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2009 წლის 30 ოქტომბრის გადაწყვეტილება.

სააპელაციო სასამართლო დაეთანხმა საქალაქო სასამართლოს მიერ დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებს და გაკეთებულ სამართლებრივ დასკვნებს სარჩელის არ დაკმაყოფილების შესახებ და მიიჩნია, რომ აპელანტის – გ. ჯ-ის წარმომადგენლის – გ. ბ-ის სააპელაციო საჩივარში მითითებული გარემოებები არ ქმნიდნენ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 393-ე და 394-ე მუხლებით გათვალისწინებულ შემადგენლობას, შესაბამისად არ არსებობდა სააპელაციო საჩივრის დაკმაყოფილების და გასაჩივრებულის გადაწყვეტილების გაუქმების პროცესუალურ-სამართლებრივი საფუძვლები.

ამასთან, სააპელაციო სასამართლომ აპელანტს განუმარტა შემდეგი: რამდენადაც საქართველოს საგადასახადო კოდექსის მე-100 მუხლის თანახმად, მეწარმეთა რეგისტრაციას 2010 წლის 1 იანვრიდან ახორციელებს „საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო“ და მოსარჩელეს აღნიშნული მოთხოვნით „საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოსათვის“ არ მიუმართავს, ამდენად, სასარჩელო მოთხოვნა მოპასუხე – სსიპ „საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოსათვის“ ქმედების განხორციელების დავალების თაობაზე სამართლებრივ საფუძველს მოკლებულია და გაზიარებული ვერ იქნებოდა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2010 წლის 15 აპრილის განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა გ. ჯ-მა, რომელმაც აღნიშნული განჩინების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილება მოითხოვა.

კასატორის მოსაზრებით, ადმინისტრაციული ორგანოს გაუმართლებელი უარი უკანონოდ ზღუდავს მის კანონიერ მოთხოვნებს და მას არ ეძლევა საშუალება გაეცნოს საჯარო ინფორმაციას, რომელიც ეხება კასატორს, როგორც შპს „...“ ან უკვე ყოფილ დირექტორს და ამით მას ადგება მნიშვნელოვანი ზიანი. კასატორი ასევე აღნიშნავს, რომ ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 37-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, არ თვლის თავს ვალდებულიად მიუთითოს ის მოტივი, თუ რატომ ითხოვს იგი ამა თუ იმ საჯარო ინფორმაციას.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2012 წლის 22 ოქტომბრის განჩინებით გ. ჯ-ის საკასაციო საჩივარი მიჩნეულ იქნა დასაშვებად და განისაზღვრა მისი განხილვა მხარეთა დასწრებით.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების გაცნობის, მხარეთა განმარტებების მოსმენისა და საქმის სასამართლო განხილვის შედეგად მივიდა იმ დასკვნამდე, რომ გ. ჯ-ის საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს, შესაბამისად, უცვლელად დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2010 წლის 15 აპრილის განჩინება, შემდეგ გარემოებათა გამო:

სააპელაციო სასამართლოს მიერ გასაჩივრებული განჩინების გამოტანისას დარღვეული არ არის სსსკ-ის 393-ე და 394-ე მუხლების მოთხოვნები. სასამართლომ გამოიყენა კანონი, რომელიც უნდა გამოიყენებინა, სწორად განმარტა კანონი, საპროცესო ნორმები არ დარღვეულა, სწორი შეფასება მიეცა საქმის მასალებს და დავა გადაწყვეტილია მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

საკასაციო სასამართლო იზიარებს სააპელაციო სასამართლოს დასკვნებსა და სამართლებრივ შეფასებებს, კერძოდ, სსსკ-ის 105.2-ე მუხლის თანახმად, სასამართლო აფასებს მტკიცებულებებს თავისი შინაგანი რწმენით, რომელიც უნდა ემყარებოდეს სასამართლო სხდომაზე მათ ყოველმხრივ, სრულ და ობიექტურ განხილვას, რის შედეგადაც მას გამოაქვს დასკვნა საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებების არსებობის ან არარსებობის შესახებ. მოცემული საქმის განხილვისას სასამართლოს მიერ სრულყოფილად იქნა გამოკვლეული საქმის მასალები, დადგენილად მიჩნეული გარემოებები დასტურდება შესაბამისი

მტკიცებულებებით, საქმეზე შეკრებილ მტკიცებულებებს მიეცა ობიექტური შეფასება, შესაბამისად, სასამართლოს დასკვნები დასაბუთებულია.

საკასაციო სასამართლო სსსკ-ის 407.2-ე მუხლის საფუძველზე იზიარებს სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილ შემდეგ ფაქტობრივ გარემოებს: 2009 წლის 28 აპრილს გ. ჯ-ის წარმომადგენელმა გ. ბ-მა საჯარო ინფორმაციის გაცემის შესახებ განცხადებით მიმართა საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის ქ. თბილისის რეგიონულ ცენტრს (საგადასახადო ინსპექციას) და ითხოვა მისთვის საჯარო ინფორმაციის გაცემა, კერძოდ: ა) განცხადება შპს „...“ სამეწარმეო რეესტრში ცვლილებების შეტანის შესახებ (დირექტორის გათავისუფლება და დანიშვნა); ბ) პარტნიორთა გადანყვეტილება შპს „...“ დირექტორის თანამდებობიდან გ. ჯ-ის გათავისუფლებისა და მის მაგივრად გ. კ-ას დანიშვნის შესახებ; გ) გ. კ-ას ფაქსიმილე; დ) სახ. ბაჟის გადახდის ქვითარი; ე) საგადასახადო ორგანოს ბრძანება ცვლილებების შეტანის შესახებ. 2009 წლის 18 მაისს გ. ჯ-ის წარმომადგენელმა გ. ბ-მა ადმინისტრაციული საჩივრით მიმართა საქართველოს ფინანსთა სამინისტროს და მოითხოვა მისთვის ხსენებული საჯარო ინფორმაციის გაცემა. საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის 2009 წლის 1 ივლისის №1848 ბრძანებით გ. ჯ-ის წარმომადგენლის გ. ბ-ის 2009 წლის 18 მაისის ადმინისტრაციული საჩივარი არ დაკმაყოფილდა.

საკასაციო სასამართლო იზიარებს და ეთანხმება იმ გარემოებას, რომ მოცემულ დავაზე გადანყვეტილების მიღებისას ქვედა ინსტანციის სასამართლოებმა იხელმძღვანელეს „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლით და აღნიშნეს, რომ ამ მუხლით რეგლამენტირებული იყო საწარმოს სახელმწიფო და საგადასახადო რეგისტრაცია. ამავე მუხლის 1-ლი ნაწილით საწარმოს სახელმწიფო და საგადასახადო რეგისტრაციას ახორციელებდა რეგისტრაციაზე უფლებამოსილი საგადასახადო ორგანო (მარეგისტრირებული ორგანო). საქართველოს საგადასახადო კოდექსის 122.1-ე მუხლის თანახმად, საგადასახადო საიდუმლოებას განეკუთვნება გადასახადის გადამხდელის შესახებ საგადასახადო ორგანოს მიერ მიღებული ნებისმიერი ინფორმაცია, გარდა: ა) დღგ-ის გადამხდელის დასახელებისა და მისამართისა; ბ) გადასახადის გადამხდელის საიდენტიფიკაციო ნომრის შესახებ ინფორმაციისა; გ) „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონითა (სამეწარმეო რეესტრით) და საქართველოს სამოქალაქო კოდექსით (არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის სახელმწიფო რეგისტრაციის რეესტრით) გათვალისწინებული საჯარო ინფორმაციისა. ამავე მუხლის მე-3 ნაწილი ადგენს, რომ საგადასახადო ორგანოების თანამშრომლები ვალდებული არიან, დაიცვან სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს მიღებული ინფორმაციის საიდუმლოება და გამოიყენონ მხოლოდ იმ მიზნის მისაღწევად, რის გამოც მათთვის ნებადართულია ამ ინფორმაციის გაცემა. ხოლო მე-10 ნაწილით განისაზღვრა, რომ ცნობები გადასახადის გადამხდელის შესახებ მისი აღრიცხვაზე აყვანის მომენტიდან ითვლება საგადასახადო საიდუმლოებად, თუ ამ კოდექსით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-60¹ მუხლის 1-ლი ნაწილით განსაზღვრულია თუ რა შემთხვევაში შეიძლება ჩაითვალოს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ბათილად. აღნიშნული მუხლის თანახმად, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ბათილია, თუ იგი ეწინააღმდეგება კანონს ან არსებითად დარღვეულია მისი მომზადების ან გამოცემის კანონმდებლობით დადგენილი სხვა მოთხოვნები.

გასაჩივრებული ადმინისტრაციული აქტები, რომლის ბათილობასაც ითხოვს კასატორი საკასაციო სასამართლოს მოსაზრებით კანონის სრული დაცვით იქნა ადმინისტრაციული ორგანოს მიერ მიღებული. საკასაციო სასამართლო თვლის, რომ მოცემულ შემთხვევაში ადგილი არა აქვს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-60¹ მუხლით გათვალისწინებულ კანონის დარღვევას, გასაჩივრებულ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში ასახული კონკრეტული ურთიერთობის მოწესრიგება შეესაბამება მისი გამოცემის სამართლებრივ საფუძვლებს და წინააღმდეგობაში არ მოდის მოცემული ურთიერთობის მარეგულირებელ სამართლებრივ ნორმებთან. სადავო გადანყვეტილება მიღებულია საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე ყველა გარემოების გამოკვლევის საფუძველზე.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, იმ ვითარებაში როცა საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის თბილისის რეგიონული ცენტრის (საგადასახადო ინსპექცია) მიერ მიღებული გადანყვეტილება არ ეწინააღმდეგება კანონს, არ დარღვეულა მისი მომზადების ან გამოცემის წესი, მით უმეტეს, იმის გათვალისწინებით, რომ იმ დროს მოქმედი კანონმდებლობით შეუძლებელი იყო ადმინისტრაციული ორგანოს მიერ სხვა სახის გადანყვეტილების მიღება, არ არსებობს გასაჩივრებული ადმინისტრაციული აქტების ბათილად ცნობის საფუძველი.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონში 2009 წლის 25 დეკემბერს განხორციელებული ცვლილებების შესაბამისად 2010 წლის 1 იანვრიდან მეწარმე სუბიექტის რეგისტრაციას ახორციელებს სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო. ამის გამო საგადასახადო ორგანოში არსებული მონაცემთა ბაზა, სადაც ინახებოდა ინფორმაცია მეწარმეთა რეგისტრაციის შესახებ, და შესაბამისად ყველა ის მასალა რაც დაკავშირებულია ამა თუ იმ საწარმოს რეგისტრაციასთან, მასში განხორციელებულ ცვლილებებთან და ა.შ გადაეცა სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს. აღნიშნულიდან გამომდინარე, მოცემულ საქმეში დადგინდა უფლებამონაცვლეობა და საგადასახადო ორგანო, კერძოდ, კი შემოსავლების სამსახურის თბილისის რეგიონული ცენტრი (საგადასახადო ინსპექცია) შეიცვალა სათანადო მოპასუხე – სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოთი, რომელიც გახდა იმ საჯარო ინფორმაციის გაცემაზე პასუხისმგებელი პირი, რომელსაც ითხოვდა კასატორი.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს იმ გარემოებაზე, რომ 2012 წლის 6 დეკემბერს სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს წარმომადგენელმა საკასაციო სასამართლოში წარმოადგინა და კასატორს გადაეცა მის მიერ მოთხოვნილი საჯარო ინფორმაციის ნაწილი, კერძოდ: 1) განცხადება სამეწარმეო რეესტრში შპს „...“ (ს/ნ...) სარეგისტრაციო მონაცემებში 2008 წლის 9 სექტემბერს შეტანილი ცვლილებების შესახებ (განცხადების ფორმა, დანართი №6), რომლის შესაბამისად შპს „...“ დირექტორის გ. ჯ-ის ნაცვლად შპს „...“ დირექტორად დანიშნა გ. კ-ა; 2) შპს „...“ (ს/ნ...) დირექტორის გ. კ-ას ფაქსიმილე და 3) საგადასახადო ორგანოს ბრძანება, რომლის შესაბამისად 2008 წლის 9 სექტემბრისათვის სამეწარმეო რეესტრში შევიდა ცვლილება – შპს „...“ (ს/ნ...) დირექტორად გ. კ-ას დანიშვნასთან დაკავშირებით.

საკასაციო სასამართლო ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ არ იქნა წარმოდგენილი და მხარეს არ გადასცემია 1) პარტნიორთა განაწევრილება შპს „...“ (ს/ნ...) დირექტორის თანამდებობიდან გ. ჯ-ის გათავისუფლებისა და მის მაგივრად შპს „...“ დირექტორად გ. კ-ას დანიშვნის შესახებ და 2) შპს „...“ (ს/ნ...) სარეგისტრაციო მონაცემებში 2008 წლის 9 სექტემბერს შესული (დირექტორის გათავისუფლება და დანიშვნა) ცვლილებების სარეგისტრაციოდ გადახდილი მოსაკრებლის გადახდის ქვითარი.

საკასაციო სასამართლო აღნიშნულთან დაკავშირებით განმარტავს, რომ როგორც ირკვევა საგადასახადო ორგანოს (მეწარმე სუბიექტების რეგისტრაციის შესახებ) საინფორმაციო ბაზა გადაეცა სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს, ამიტომ სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო გახდა ვალდებული კასატორისათვის გადაეცა მის მიერ მოთხოვნილი საჯარო ინფორმაცია სრულად, მან კი როგორც აღნიშნეთ კასატორს გადასცა მხოლოდ მოთხოვნილი საჯარო ინფორმაციის ნაწილი. საკასაციო სასამართლოში პროცესზე შემოსავლების სამსახურის წარმომადგენელმა განმარტა, რომ საგადასახადო ორგანოში არსებული და დამუშავებული მონაცემთა ბაზა, მათ შორის შპს „...“ დაკავშირებული დოკუმენტაცია კანონმდებლობის შესაბამისად სრულად გადაეცა სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს, ხოლო სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს წარმომადგენელმა დააფიქსირა, რომ მან კასატორს გადასცა ყველა მის ხელთ არსებული ინფორმაცია, დოკუმენტაცია, რაც მას საგადასახადო ორგანოსაგან გადაეცა და, შესაბამისად, რაც მას ჰქონდა, ამიტომ მან განმარტა, რომ სარჩელის დაკმაყოფილების შემთხვევაშიც კი მისთვის შეუძლებელი იქნებოდა ისეთი ინფორმაციის გაცემა, რომელიც მას ფიზიკურად არ მოეპოვებოდა.

ზემოაღნიშნული მსჯელობიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ ვერ გაიზიარებს კასატორის მიერ საკასაციო საჩივარში მითითებულ არგუმენტაციას და მიიჩნევს, რომ საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის თბილისის რეგიონული ცენტრის (საგადასახადო ინსპექცია) და შემდგომ ასევე სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს უარი მოთხოვნილი ინფორმაციის გაცემაზე კანონშესაბამისია და არ არსებობს გ. ჯ-ის მიერ მოთხოვნილი ინფორმაციის გაცემის დავალებების როგორც სამართლებრივი, ისე ფაქტობრივი საფუძველი.

ყოველივე ზემოაღნიშნული მსჯელობიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს; წარმოდგენილი საკასაციო საჩივარი არ შეიცავს დასაბუთებულ არგუმენტაციას გასაჩივრებული განჩინების კანონშესაბამიანობის თაობაზე, შესაბამისად, სსსკ-ის 410-ე მუხლის თანახმად, არ არსებობს გ. ჯ-ის საკასაციო საჩივრის დაკმაყოფილებისა და სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული განჩინების გაუქმების ფაქტობრივი და სამართლებრივი საფუძველები.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 1.2, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 410-ე, მუხლით და

დ ა ა ღ ბ ი ნ ა:

1. გ. ჯ-ის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;
2. უცვლელად დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2010 წლის 15 აპრილის განჩინება;
3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

საგადასახადო სამართალდარღვევის ოქმის კანონიერების შემოწმება

გადაწყვეტილება
საქართველოს სახელით

№ბს-695-681(კ-12)

5 თებერვალი, 2013 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატა
შემადგენლობა: ნ. წკებლაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
მ. ვაჩაძე,
პ. სილაგაძე

დავის საგანი: ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის ბათილად ცნობა და დარიცხული ჯარი-მის გაუქმება

აღწერილობითი ნაწილი:

მოსარჩელე: ი/მ „ნ. ბ-ე“

მოპასუხე: სსიპ შემოსავლების სამსახური

სარჩელის სახე: საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-60¹ მუხლისა და საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 22-ე მუხლის საფუძველზე ადმინისტრაციულ სამართლებრივი აქტების ბათილად ცნობა.

სარჩელის საგანი:

1. 2012 წლის 7 თებერვლის №021342 საგადასახადო სამართალდარღვევის ოქმის ბათილად ცნობა;
2. სამართალდარღვევის ოქმით დაკისრებული ჯარიმის გადახდისაგან გათავისუფლება.

სარჩელის საფუძველი:

ფაქტობრივი: მოსარჩელის განმარტებით, 2012 წლის 7 თებერვალს, მის კუთვნილ სავაჭრო ობიექტში კერძო საგადასახადო ინსპექტორმა განახორციელა საკონტროლო შესყიდვა. ამ დროს ობიექტზე იმყოფებოდა მოსარჩელის ბაბუა – გ. ე-ა. კერძო საგადასახადო ინსპექტორის მხრიდან ადგილი ჰქონდა აშკარა პროვოკაციას და მენარმის შეცდომაში შეყვანას. კერძოდ, პროდუქტის მიწოდების შემდეგ გ. ე-ა მიბრუნდა გვერდით განთავსებული სალარო-აპარატისკენ ქვითრის ამოსაბეჭდად და ხურდის დასაბრუნებლად, რა დროსაც მას კლიენტმა განუმარტა, რომ ჩეკის ამობეჭდვა უკვე დაგვიანებული იყო. მოსარჩელის განმარტებით მას არ დაურღვევია კანონი და, შესაბამისად, ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი უკანონოა.

სამართლებრივი: მოსარჩელის განმარტებით, დარღვეულია ოქმის შედგენის წესი, რომელიც განსაზღვრულია საგადასახადო კოდექსის 271-ე მუხლის მე-4 ნაწილით, აღნიშნული მუხლის თანახმად, საგადასახადო სამართალდარღვევის ოქმის შედგენაზე უფლებამოსილი პირი სამართალდარღვევის ადგილზე განიხილავს საგადასახადო სამართალდარღვევის საქმეს და სამართალდამრღვევ პირს ადგილზევე უფარდებს საგადასახადო სანქციას. მოსარჩელის განმარტებით, საგადასახადო ინსპექტორმა ისე დატოვა ობიექტი, რომ ადგილზე არც ოქმი შეუდგენია და არც ვინაობა დაუფიქსირებია.

მოპასუხის – სსიპ შემოსავლების სამსახურის შესაგებელი:

ფაქტობრივი: მოპასუხეს შესაგებელში ფაქტობრივ გარემოებებზე მითითებული არ აქვს.

სამართლებრივი: მოპასუხის განმარტებით, სადავო ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტები გამოცემულია მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად და არ არსებობს მათი ბათილად ცნობის ფაქტობრივი და სამართლებრივი საფუძვლები.

მოპასუხის განმარტებით, საქართველოს საგადასახადო კოდექსის 259-ე მუხლით, საგადასახადო ორგანოს უფლებამოსილ პირებს უფლება აქვთ, სასამართლოს გადაწყვეტილების გარეშე, საქართველოს ფინანსთა მინისტრის მიერ დადგენილი წესით განახორციელონ საკონტროლო-სალარო აპარატების გამოყენების წესის დაცვის კონტროლი. საგადასახადო კოდექსის 281-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად – მომხმარებელთან ნაღდი ფულით ანგარიშსწორებისას საკონტროლო-სალარო აპარატის გამოყენებლობა იწვევს გადასახადის გადახდელის დაჯარიმებას 500 ლარის ოდენობით. საქმის მასალებით კი დასტურდება, რომ ი/მ „ნ. ბ-ის“ მხრიდან ადგილი ჰქონდა საგადასახადო სამართალდარღვევის ჩადენის ფაქტს, მე-საბამისად, არ არსებობს სარჩელის დაკმაყოფილების არც ფაქტობრივი და არც სამართლებრივი საფუძვლები.

საქმის გარემოებები:

მოსარჩელის განმარტებით, 2012 წლის 7 თებერვალს, მის კუთვნილ სავაჭრო ობიექტში კერძო საგადასახადო ინსპექტორმა განახორციელა საკონტროლო შესყიდვა, შეიძინა შოკოლადი 6 ლარად. ამ დროს ობიექტზე იმყოფებოდა მოსარჩელის ბაბუა – გ. ე-ა. პროდუქტის მიწოდების შემდეგ გ. ე-ა მიბრუნდა გვერდით განთავსებული სალარო აპარატისკენ ქვითრის ამოსაბეჭდად და ხურდის დასაბრუნებლად, რა დროსაც მას კლიენტმა განუმარტა, რომ ჩეკის ამობეჭდვა უკვე დაგვიანებული იყო.

მოსარჩელის განმარტებით, საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 31 დეკემბრის №994 ბრძანების მე-16 მუხლის თანახმად, როდესაც მომხმარებელი ნაღდი ფულის გადახდას ახორციელებს იმ პირთან, რომელიც არ წარმოადგენს მოლარე-ოპერატორს, მომხმარებელს ჩეკი უნდა გადაეცეს გონივრულ ვადაში, რასაც ახორციელებდა კიდეც მისი ბაბუა, მაგრამ ამის გაკეთების საშუალება არ მისცა კერძო ინსპექტორმა, მან დაჟინებით მოითხოვა განულებული ჩეკის ამობეჭდვა და მიღებისთანავე ჩაიდო ქურთუკის ჯიბეში და სწრაფად დატოვა ობიექტი, ისე რომ ადგილზე ოქმიც არ შეუდგენია და ვინაობაც არ დაუფიქსირებია.

მოსარჩელის განმარტებით, საგადასახადო ინსპექტორის მოქმედება არ შეესაბამება კანონს, იგი ცრუობს ოქმშიც, სადაც უსამართლოდ უთითებს, რომ კანონდარღვევის ოქმი შედგენილია ადგილზე და თითქმის გ. ე-ამ უარი განაცხადა ოქმზე ხელმოწერასა და ჩაბარებაზე. ამასთან, ოქმში არ განმარტავს, რომ დაგვიანებული იყო ქვითრის ამობეჭდვა, ან გამყიდველმა ქვითარი ხურდის დაბრუნების შემდეგ ამობეჭდა და არა მანამდე. მოსარჩელის განმარტებით, უკვე გაფორმებული ოქმი, ქუთაისის შემოსავლების სამსახურში ჩაიბარეს მან და მისმა ბიძამ.

სამართალდარღვევის ოქმი მოსარჩელემ გაასაჩივრა ადმინისტრაციული წესით სსიპ შემოსავლების სამსახურში, რომლის 2012 წლის 27 მარტის გადაწყვეტილებით საჩივარი არ დაკმაყოფილდა, იმ მოტივით, რომ საქმეში არსებული მასალებით დასტურდებოდა, რომ ი/მ „ნ. ბ-ის“ მიერ ადგილი ჰქონდა სალარო-აპარატის გამოყენებლობის ფაქტს.

საქმეზე მოწმის სახით დაკითხულმა კერძო საგადასახადო ინსპექტორმა განმარტა, რომ საქონლის შეძენისას სავაჭრო ობიექტზე მყოფმა გ. ე-ამ ისე გადასცა ნაყიდი საქონელი და დაუბრუნა ხურდა, რომ არც აპირებდა ჩეკის ამობეჭდვას, მხოლოდ მას შემდეგ, რაც კერძო საგადასახადო ინსპექტორმა გაამჟღავნა თავისი ვინაობა, გ. ე-ამ დააპირა ჩეკის ამობეჭდვა და ამ მიზნით წავიდა საკონტროლო სალარო-აპარატისკენ.

რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილება/სარეზოლუციო/:

ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2012 წლის 23 მაისის გადაწყვეტილებით ნ. ბ-ის სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

სასამართლოს მიერ უდავოდ მიჩნეული ფაქტები:

2012 წლის 7 თებერვალს ი/მ „ნ. ბ-ე“ საკონტროლო-სალარო აპარატის გარეშე მომხმარებელთან ფულადი ანგარიშსწორებისათვის დაჯარიმებულ იქნა 500 ლარის ოდენობით.

2012 წლის 7 თებერვლის საგადასახადო სამართალდარღვევის ოქმი ი/მ „ნ. ბ-ემ“ გაასაჩივრა შემოსავლების სამსახურში, რაც შემოსავლების სამსახურის 2012 წლის 27 და 28 მარტის ბრძანებებით არ დაკმაყოფილდა.

სასამართლოს მიერ სადავოდ მიჩნეული ფაქტები:

მოსარჩელე მხარემ სადავოდ გახადა მის მიერ საგადასახადო კოდექსის 259-ე მუხლით გათვალისწინებული მოთხოვნის დარღვევის ფაქტი და მიუთითა, რომ ჩეკის ამობეჭდვა არ მომხდარა, რაც განპირობებული იყო მისი შეცდომაში შეყვანით.

სადავო ფაქტობრივი გარემოებების სამართლებრივი შეფასება /კვალიფიკაცია/:

საქალაქო სასამართლომ არ გაიზიარა მოსარჩელის განმარტება, რომ მის მიერ ადგილი არ ჰქონია საქართველოს საგადასახადო კოდექსის 259-ე მუხლით გათვალისწინებული მოთხოვნის დარღვევას. სასამართლოს განმარტებით, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 102-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, საქმის გარემოებები, რომლებიც კანონის თანახმად უნდა დადასტურდეს გარკვეული სახის მტკიცებულებებით, არ შეიძლება დადასტურდეს სხვა სახის მტკიცებულებებით. განსახილველ შემთხვევაში საქმეზე მოწმის სახით დაკითხულმა, სამართალდარღვევის ოქმის შემდგენმა კერძო საგადასახადო ინსპექტორმა განმარტა, რომ მის მიერ საქონლის შეძენისას სავაჭრო ობიექტზე მყოფმა გ. ე-ამ მას ისე გადასცა ნაყიდი საქონელი და დაუბრუნა ხურდა, რომ ჩეკი არ ამოუბეჭდია. აღნიშნული გარემოების საწინააღმდეგო რაიმე სახის მტკიცებულება კი მოსარჩელეს არ წარმოუდგენია.

დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების სამართლებრივი შეფასება /კვალიფიკაცია/:

სასამართლოს მითითებით, სსიპ შემოსავლების სამსახური წარმოადგენს საკონტროლო-სალარო აპარატების მიღებასა და გამოყენებაზე კონტროლის განმახორციელებელ ადმინისტრაციულ ორგანოს, რომელიც საკონტროლო-სალარო აპარატების გამოყენების წესის დარღვევის შემთხვევაში უფლებამოსილია შეადგინოს ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი.

საქართველოს საგადასახადო კოდექსის 269-ე მუხლით რეგლამენტირებულია საგადასახადო სამართალდარღვევისა და პასუხისმგებლობის საკითხი, აღნიშნული მუხლის 1-ლი ნაწილით, საგადასახადო სამართალდარღვევად ითვლება პირის მართლსაწინააღმდეგო ქმედება (მოქმედება ან უმოქმედობა), რომლისთვისაც ამ კოდექსით გათვალისწინებულია პასუხისმგებლობა. ამავე კოდექსის 281.1 მუხლით მომხმარებელთან ნაღდი ფულით ანგარიშსწორებისას საკონტროლო-სალარო აპარატის გარეშე მუშაობა იწვევს გადასახადის გადამხდელის დაჯარიმებას – 500 ლარის ოდენობით.

საქალაქო სასამართლოს განმარტებით, „საგადასახადო კონტროლის განმახორციელებელი პირის შერჩევისა და საგადასახადო კონტროლის განხორციელების, მიმდინარე კონტროლის პროცედურების ჩატარების, სასაქონლო-მატერიალურ ფასეულობათა ჩამოწერის, საგადასახადო დავალიანების გადახდებიანების უზრუნველყოფის ღონისძიების განხორციელების, სამართალდარღვევათა საქმისწარმოების წესის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 31 დეკემბრის №994 ბრძანების 16.2 ნაწილის შესაბამისად, პირის მიერ ჩეკის გაცემა ხდება მისთვის ნაღდი ფულის გადახდისთანავე, როცა მომხმარებელი ნაღდი ფულის გადახდას ახორციელებს იმ პირთან, რომელიც არ წარმოადგენს მოლარე-ოპერატორს, მომხმარებელს ჩეკი უნდა გადაეცეს გონივრულ ვადაში.

სასამართლოს განმარტებით, კანონმდებლის მიერ ზუსტად არის განსაზღვრული თუ როგორი წესით უნდა მოხდეს ჩეკის ამოწერა. ზემოაღნიშნული ნორმა ცალსახად მიუთითებს, რომ ჩეკის გადაცემა ხდება ფულის გადაცემისთანავე ან ხურდის დაბრუნების დროს. რაც შეეხება ამავე მუხლში მითითებულ გონივრულ ვადას, აღნიშნული ნარმოადგენს ისეთ შემთხვევას, როდესაც ფულის გადახდა ხდება არა მოლარე-ოპერატორთან. კონკრეტულ შემთხვევაში უდავოა, რომ სავაჭრო ობიექტში, საკონტროლო შესყიდვის განხორციელების დროს იმყოფებოდა გ. ე-ა, შესაბამისად მას ევალებოდა ზემოაღნიშნული წესით ჩეკის ამოწერა, რაც მას არ განუხორციელებია.

საქართველოს საგადასახადო კოდექსის 271-ე მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, საგადასახადო სამართალდარღვევის ოქმის შედგენაზე უფლებამოსილი პირი სამართალდარღვევის ადგილზე განიხილავს საგადასახადო სამართალდარღვევის საქმეს და სამართალდამრღვევ პირს ადგილზევე უფარდებს საგადასახადო სანქციას. ამ შემთხვევაში პირს შესაბამისი პასუხისმგებლობა დაეკისრება საგადასახადო სამარ-

თაღდარღვევის ოქმის საფუძველზე, რომელიც ითვლება საგადასახადო მოთხოვნად. ამავე მუხლის მე-6 ნაწილის თანახმად, თუ საგადასახადო სამართალდარღვევის ოქმში არ არის ასახული საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული რომელიმე მონაცემი ან ოქმი შედგენილია კანონის დარღვევით, შესაბამისი ორგანოს ხელმძღვანელი ან დავის განმხილველი ორგანო იღებს გადაწყვეტილებას პირის საგადასახადო პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლების შესახებ. სასამართლოს განმარტებით, განსახილველ შემთხვევაში, კერძო საგადასახადო ინსპექტორის ჩვენებით ირკვევა, რომ მან სამართალდარღვევის ოქმი არ შეადგინა უშუალოდ სამართალდარღვევის ადგილას, იმ მიზეზით, რომ გ. ე-ამ ამის საშუალება არ მისცა, ხელში სწვდა და არ აძლევდა საშუალებას შეევსო სამართალდარღვევის ოქმი. ასეთი გარემოების გათვალისწინებით სასამართლოს განმარტებით, ოქმის სამართალდარღვევის ადგილზე არ შევსება არ შეიძლება ჩაითვალოს არსებით დარღვევად და არ შეიძლება გახდეს ოქმის ბათილობის საფუძველი.

აპელანტი: ი/მ „ნ. ბ-ე“

მონინალმდეგე მხარე: სსიპ შემოსავლების სამსახური

აპელაციის მოტივები:

ფაქტობრივი: აპელანტის განმარტებით, სასამართლომ არასწორად განმარტა რიგი ფაქტობრივი გარემოებები, სწორი სამართლებრივი შეფასება არ მისცა მათ და მიიღო უკანონო გადაწყვეტილება. საქალაქო სასამართლომ არ მიიჩნია სარწმუნოდ მოსარჩელის პოზიცია იმის თაობაზე, რომ მის ბაბუას ჩეკის ამონე-რის საშუალება არ მისცა საგადასახადო ინსპექტორმა, სასამართლოს საერთოდ არ უმსჯელია კერძო ინსპექტორის პირად დაინტერესებაზე, რაც პირდაპირ კავშირშია მათ მიერ გაწეული მუშაობის ანაზღაურებასთან. ასევე სასამართლომ არ გაითვალისწინა ის ფაქტი, რომ ინსპექტორმა იცრუა, როდესაც ოქმში მიუთითა, რომ იგი შედგენილია სამართალდარღვევის ადგილას.

სამართლებრივი: აპელანტს სამართლებრივ საფუძველზე არ მიუთითებია.

სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება/სარეზოლუციო/:

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2012 წლის 27 ივლისის განჩინებით ნ. ბ-ის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა და უცვლელად დარჩა ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2012 წლის 23 მაისის გადაწყვეტილება.

სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილების ფაქტობრივი და სამართლებრივი დასაბუთება:

სააპელაციო სასამართლო დაეთანხმა პირველი ინსტანციის სასამართლოს შეფასებასა და დასკვნებს, საქმის ფაქტობრივ და სამართლებრივ საკითხებთან დაკავშირებით და დადგენილად მიიჩნია, რომ 2012 წლის 7 თებერვალს ი/მ „ნ. ბ-ის“ ობიექტში კერძო საგადასახადო ინსპექტორმა განახორციელა საკონტროლო შესყიდვა, რა დროსაც შეიძინა შოკოლადი 6.00 ლარად ნაღდი ფულით. ანგარიშსწორებისას გადასახადის გადამხდელმა საკონტროლო სალარო აპარატი არ გამოიყენა, რაზეც შედგა საგადასახადო სამართალდარღვევის ოქმი და გადამხდელს სსკ 281-ე მუხლის მე-3 ნაწილით, სანქციის სახით, განესაზღვრა ჯარიმა – 500 ლარი. აღნიშნულის საწინააღმდეგო რაიმე მტკიცებულება გადასახადის გადამხდელის მიერ პირველი ან სააპელაციო ინსტანციის სასამართლოში წარდგენილი არ ყოფილა. ნ. ბ-ე სამართალდარღვევის ოქმს არ ეთანხმება და განმარტავს, რომ დარღვევის ფაქტს ადგილი არ ჰქონია, რის გამოც ითხოვს დარიცხული ჯარიმის მოხსნას. სამართალდარღვევის ფაქტის უარყოფა ნ. ბ-ის მხრიდან რაიმე მტკიცებულებით არ არის გამყარებული. სააპელაციო სასამართლოს განმარტებით, არ დასტურდება, რომ გ. ე-ამ მისთვის ნაღდი ფულის გადახდისთანავე გადასცა ჩეკი მომხმარებელს (კერძო საგადასახადო ინსპექტორს). მას სალარო აპარატის მეშვეობით განხორციელებული ოპერაცია არ აღურიცხავს.

სააპელაციო სასამართლო იზიარებს საქალაქო სასამართლოს სამართლებრივ შეფასებასაც იმის თაობაზეც, რომ მოცემულ შემთხვევაში სადავო ოქმი გამოცემულია საქართველოს საგადასახადო კოდექსისა და საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულებით დამტკიცებული წესის შესაბამისად.

კასატორი: ი/მ „ნ. ბ-ე“

მონინალმდეგე მხარე: სსიპ შემოსავლების სამსახური

კასაციის საგანი და მოცულობა /ფარგლები/:

სააპელაციო სასამართლოს 2012 წლის 27 ივლისის გადაწყვეტილების გაუქმება და საკასაციო სასამართლოს მიერ საქმეზე ახალი გადაწყვეტილების მიღება.

კასაციის მოტივები/სამართლებრივი/:

პროცესუალური: კასატორის მითითებით, სააპელაციო პალატის მიერ დარღვეულია საქართველოს სა-მოქალაქო საპროცესო კოდექსის 394-ე „გ“ და „ე“ პუნქტები, სასამართლომ გადაწყვეტილების მიღებისას გამოიყენა კანონი, რომელიც არ უნდა გამოეყენებინა და არასწორად განმარტა იგი.

კასატორის განმარტებით პირველ და სააპელაციო სასამართლო ინსტანციებში, არ გაითვალისწინეს საქმეში არსებული ფაქტობრივი გარემოებები, სასამართლო განმარტავს, რომ არ დასტურდება, რომ გ. ე-ამ მისთვის ნაღდი ფულის გადახდისთანავე გადასცა ჩეკი კერძო საგადასახადო ინსპექტორს. კასატორის განმარტებით, გ. ე-ას სალარო აპარატის მეშვეობით განხორციელებული ოპერაცია არ აღურიცხავს. კასატორის განმარტებით იგი სწორედ იმ ფაქტს ასაჩივრებს, რომ საგადასახადო ინსპექტორმა გ. ე-ა შეიყვანა შეცდომაში და არ მისცა მას საშუალება დაესრულებინა საქონლის გაყიდვის ოპერაცია. კასატორის განმარტებით, ასევე გაუგებარია სასამართლომ რატომ არ დასვა კითხვები იმასთან დაკავშირებით, რომ კერძო საგადასახადო ინსპექტორს ოქმში არ აღუნიშნავს ის გარემოებები, რაზედაც იგი მიუთითებს (გაწეული წინააღმდეგობა, დასრულებული იყო თუ არა ოპერაცია და ა.შ.). კასატორის განმარტებით, სამართალდარღვევის ოქმი შედგენილია კანონის მოთხოვნათა დარღვევით, რაც არის სადავოდ გამხდარი და რაც ზოგა-

დი ადმინისტრაციული კოდექსის მე-60¹ მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის ბათილად ცნობის საფუძველია.

საკასაციო სასამართლოს მიერ საკასაციო საჩივრის დასაშვებობის პროცესუალური წინამძღვრები:

საკასაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ საქმე დასაშვებია ადმინისტრაციულ საპროცესო კოდექსის 34.3 მუხლის „გ“ ქვეპუნქტის თანახმად, საპელაციო სასამართლოს მიერ საქმე განხილულია მნიშვნელოვანი საპროცესო დარღვევებით, რომელსაც შეეძლო არსებითად ემოქმედა საქმის შედეგზე.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების გაცნობის, საკასაციო საჩივრის მოტივების საფუძვლიანობის შესწავლისა და გასაჩივრებული განჩინების კანონიერება-დასაბუთებულობის შემოწმების შედეგად მივიდა იმ დასკვნამდე, რომ ი/მ „ნ. ბ-ის“ საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ, გაუქმდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2012 წლის 27 ივლისის განჩინება და ახალი გადაწყვეტილებით ი/მ „ნ. ბ-ის“ სარჩელი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ: სადავო საკითხის გადაწყვეტლად ბათილად იქნეს ცნობილი სსიპ შემოსავლების სამსახურის 2012 წლის 28 მარტის №5448 ბრძანება და სსიპ შემოსავლების სამსახურს დაევალოს საქმის გარემოებათა გამოკვლევის შედეგად გამოსცეს ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი, კანონით დადგენილ ვადაში, შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ სასამართლომ გასაჩივრებული გადაწყვეტილების მიღებისას დაარღვია მატერიალური და საპროცესო სამართლის ნორმები, კერძოდ, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 393.2 მუხლის მოთხოვნები, სასამართლომ გამოიყენა კანონი, რომელიც არ უნდა გამოყენებინა, არ გამოიყენა კანონი, რომელიც უნდა გამოყენებინა, სასამართლომ არასწორად განმარტა კანონი და დავა არსებითად გადაწყვიტა მაშინ, როცა ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-4 და მე-19 მუხლების საფუძველზე ოფიციალობის პრინციპის გამოყენებით სრულყოფილად არ არის მოპოვებული და გამოკვლეული საქმის გარემოებებთან დაკავშირებული მტკიცებულებები, ხოლო საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებების შეფასების საფუძველზე ობიექტური სამართლებრივი დასკვნის ჩამოყალიბება შეუძლებელია.

სსიპ შემოსავლების სამსახურმა 2012 წლის 27 მარტის №4948 და 28 მარტის №5448 ბრძანებებით ისე უთხრა უარი ი/მ „ნ. ბ-ის“ 2012 წლის 7 თებერვლის საგადასახადო სამართალდარღვევის ოქმის გაუქმების თაობაზე, რომ საერთოდ არ გამოუკვლევია აღნიშნული ოქმი შედგენილი იყო თუ არა საქართველოს საგადასახადო კოდექსის შესაბამისად.

საკასაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში გამოყენებულ უნდა იქნეს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 32.4. მუხლი, რამდენადაც ადმინისტრაციული ორგანოს მიერ სადავო ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი გამოიცა საქმის გარემოებათა გამოკვლევისა და შეფასების გარეშე, ასევე, არსებითად არის დარღვეული მისი მომზადების კანონმდებლობით დადგენილი სხვა მოთხოვნები, რაც ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 32.4 მუხლის მიხედვით დავის გადაწყვეტლად, აქტის ბათილად ცნობის საფუძველს წარმოადგენს.

საქმის მასალებით დადგენილია, რომ 2012 წლის 7 თებერვალს ი/მ „ნ. ბ-ის“ კუთვნილ ობიექტში (მდებარე – ქუთაისი, ... ქ. №20) კერძო საგადასახადო ინსპექტორის მიერ განხორციელდა საკონტროლო შესყიდვა, რის გამოც საგადასახადო სამართალდარღვევის №021342 ოქმით საკონტროლო-სალარო აპარატის გარეშე მომხმარებელთან ფულადი ანგარიშსწორებისათვის დაჯარიმდა 500 ლარით.

2012 წლის 7 თებერვლის საგადასახადო სამართალდარღვევის ოქმი ი/მ „ნ. ბ-ემ“ გაასაჩივრა სსიპ შემოსავლების სამსახურში, რაც 2012 წლის 27 და 28 მარტის ბრძანებებით არ დაკმაყოფილდა.

სადავო სამართალურთიერთობა წარმოშობილია საგადასახადო სამართალდარღვევათა სფეროში, სადასახადის გადამხდელსა და საგადასახადო ორგანოს შორის.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ საგადასახადო სამართალდარღვევათა საქმეები საქართველოში მოწესრიგებულია საგადასახადო კოდექსით, რომელიც განსაზღვრავს საგადასახადო სამართალდარღვევის სახეებსა და საგადასახადო კანონმდებლობის დარღვევისათვის პასუხისმგებლობას.

საგადასახადო კოდექსის 269-ე მუხლის მიხედვით საგადასახადო სამართალდარღვევად ჩაითვლება პირის მართლსაწინააღმდეგო ქმედება (მოქმედება ან უმოქმედობა), რომლისთვისაც ამ კოდექსით გათვალისწინებულია პასუხისმგებლობა. საგადასახადო სამართალდარღვევისათვის პირს პასუხისმგებლობა შეიძლება დაეკისროს მხოლოდ ამ კოდექსით დადგენილი საფუძვლითა და წესით.

ამავე კოდექსის 281.3 მუხლის შესაბამისად, მომხმარებელთან ნაღდი ფულით ანგარიშსწორებისას საკონტროლო-სალარო აპარატის გამოუყენებლობა იწვევს სადასახადის გადამხდელის დაჯარიმებას 500 ლარით (2012 წელს მოქმედი რედაქციით).

საგადასახადო კოდექსის 49.6 მუხლით საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობით საქართველოს საგადასახადო ორგანოს კომპეტენციისთვის მიკუთვნებული საგადასახადო კონტროლის ცალკეული სახეები შესაძლებელია განახორციელოს სხვა პირმა. ამავ კოდექსის 271.2 მუხლის თანახმად, საგადასახადო სამართალდარღვევის გამოვლენისას საგადასახადო ორგანოს უფლებამოსილი პირი ან ზემოაღნიშნულ მუხლში მითითებული პირი ადგენს საგადასახადო სამართალდარღვევის ოქმს. ამავ კოდექსის მე-4 პუნქტის შესაბამისად, საგადასახადო სამართალდარღვევის ოქმის შედგენაზე უფლებამოსილი პირი სამართალდარღვევის ადგილზე განიხილავს საგადასახადო სამართალდარღვევის საქმეს და სამართალდამრღვევ პირს ადგილზევე უფარდებს საგადასახადო სანქციას. ამ შემთხვევაში პირს შესაბამისი პასუხისმგებლობა დაეკისრება საგადასახადო სამართალდარღვევის ოქმის საფუძველზე, რომელიც ითვლება სა-

გადასახადო მოთხოვნად, ხოლო მე-6 პუნქტის შესაბამისად, კი თუ საგადასახადო სამართალდარღვევის ოქმში არ არის ასახული საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული რომელიმე მონაცემი ან საგადასახადო სამართალდარღვევის ოქმში შედგენილია კანონის დარღვევით, შესაბამისი ორგანოს ხელმძღვანელი ან დავის განმხილველი ორგანო იღებს გადაწყვეტილებას პირის საგადასახადო პასუხისმგებლობის გან გათავისუფლების შესახებ.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ საქართველოს საგადასახადო კოდექსის 271-ე მუხლის დანაწესებიდან და თავად სამართალდარღვევის ოქმის, როგორც იურიდიული დოკუმენტის მნიშვნელობიდან, გამომდინარეობს, რომ მისი შედგენა აუცილებელია სწორედ სამართალდარღვევის ადგილზე. სამართალდარღვევის ოქმით ფიქსირდება სამართალდარღვევის ფაქტი, გარემოებები, მონაწილე პირები და იმავდროულად იგი წარმოადგენს ერთ-ერთ და სარწმუნო მტკიცებულებას სამართალდარღვევის მოცემულ დროსა და ადგილას, მოცემულ ვითარებაში გამოვლენისა და ამ ფაქტის მონაწილე პირების შესახებ. ამდენად, ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის არა სამართალდარღვევის გამოვლენის ადგილზე შედგენა წარმოადგენს პროცედურის არსებით დარღვევას.

კონკრეტულ შემთხვევაში როგორც საქმის მასალებით დასტურდება და რასაც არც თავად ადმინისტრაციული ორგანო უარყოფს საგადასახადო სამართალდარღვევის №021342 ოქმში შედგენილი არ ყოფილა სამართალდარღვევის ადგილას, აღნიშნული გარემოება სათანადოდ არ შეფასებულა არც – სსიპ შემოსავლების სამსახურის მიერ ი/მ „ნ. ბ-ის“ საჩივრის განხილვისას, შემოსავლების სამსახურს არ გამოუკვლია ის გარემოება, რა ობიექტური გარემოებებით იყო გამოწვეული სამართალდარღვევის ოქმის სხვა ადგილას შედგენა, თუ წინააღმდეგობის გაწევას ჰქონდა ადგილი, როგორც ამას ამტკიცებს ადმინისტრაციული ორგანოს წარმომადგენელი, რატომ არ მიიღო საგადასახადო ინსპექტორმა კანონით გათვალისწინებული ადეკვატური ზომები. აღნიშნულ საკითხზე ფაქტობრივი გარემოებები არ არის გამოკვლეული და უტყუარად დადგენილი.

ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96.1 მუხლის თანახმად, ცალსახად არის განსაზღვრული ადმინისტრაციული ორგანოს ვალდებულება, ადმინისტრაციული წარმოებისას გამოიკვლიოს საქმისათვის მნიშვნელობის მქონე ყველა გარემოება და გადაწყვეტილება მიიღოს ამ გარემოებათა შეაფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, ამავე მუხლის მეორე ნაწილის შესაბამისად, დაუშვებელია ადმინისტრაციული აქტის გამოცემას საფუძვლად დაედოს ისეთი გარემოება ან ფაქტი, რომელიც კანონით დადგენილი წესით არ არის გამოკვლეული.

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ ადმინისტრაციული სამართალდარღვევის გამოვლენა და დარღვევის დასჯა ემსახურება მმართველობის კანონიერებას, საჯარო წესრიგს, ხოლო პროცედურული მოქმედებების ჩატარების ვალდებულება – კერძო ინტერესის – ადამიანის უფლების მაქსიმალური დაცვის უზრუნველყოფას. ასეთის იგნორირების პირობებში ირღვევა ადმინისტრაციული სამართლის ასევე უმნიშვნელოვანესი ინსტიტუტი – კერძო და საჯარო ინტერესების პროპორციულობის პრინციპი.

საკასაციო სასამართლოს განმარტებით, სსიპ შემოსავლების სამსახური კანონმდებლობით გარანტირებული პირის უფლებები წარმოშობს საჯარო ფუნქციის განმახორციელებელი პირების საჯარო ვალდებულებას – სრულად უზრუნველყონ პირის უფლებების რეალიზაციისათვის ხელშემწყობი პირობების შექმნა. აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ შემოსავლების სამსახურის დელეგირებული ფუნქციის განმახორციელებელი კერძო საგადასახადო ინსპექტორების მიმართ სრულად უნდა გავრცელდეს საქართველოს უზენაესი სასამართლოს შეფასებები და დასკვნები (ადმინისტრაციულ საქმეზე №ბზ-1250-1194(კ-09), საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის თბილისის რეგიონული ცენტრის საკასაციო საჩივრის გამო, თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2009 წლის 14 ივლისის განჩინებაზე, მოწინააღმდეგე მხარე შპს „...“ (მიმართ), რომელიც ეხება საჯარო მოსამსახურეთა ქცევის სტანდარტის დადგენას, კერძოდ, სასამართლომ მითითებულ საქმეზე დაადგინა: „სწორედ საჯარო სამსახურის სისტემის და ყოველი საჯარო მოსამსახურის როლის ჯეროვანი გაცნობიერება დაედო საფუძვლად ამ სფეროში საერთაშორისო სტანდარტების ჩამოყალიბებას და ზრუნვას მათი დამკვიდრებისთვის. ასე, მაგალითად, 1979 წლის 17 დეკემბრის გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის მიერ მიღებულ იქნა მართლწესრიგის დამცველ თანამდებობის პირთა ქცევის კოდექსი, რომლის 1-ლი მუხლის თანახმად, მართლწესრიგის დამცველ თანამდებობის პირნი მუდმივად ასრულებენ კანონით მათზე დაკისრებულ მოვალეობებს, ემსახურებიან საზოგადოებას და ყველა პირს იცავენ უკანონო ქმედებისგან მათი პროფესიისათვის საჭირო პასუხისმგებლობის მაღალი დონით. მე-2 მუხლის თანახმად, მართლწესრიგის დამცველი თანამდებობის პირნი თავიანთი მოვალეობის შესრულებისას პატივს სცემენ და იცავენ ადამიანურ ღირსებას, ადამიანის უფლებებს ყველა პირის მიმართ. მე-8 მუხლის თანახმად კი მართლწესრიგის დამცველი თანამდებობის პირნი პატივს სცემენ კანონს და მოცემულ კოდექსს იყენებენ ხელთ არსებულ საშუალებებს და ყოველმხრივ აღკვეთენ და ეწინააღმდეგებიან მათ დარღვევას.

ადამიანის უფლებები, რომლის დაცვის ვალდებულებაც გააჩნია საჯარო მოხელეს თავიანთი მოვალეობის შესრულებისას დადგენილია და დაცულია ეროვნული და საერთაშორისო სამართლით. შესაბამის საერთაშორისო დოკუმენტებს განეკუთვნება ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია, საერთაშორისო პაქტი სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ და ა.შ. აუცილებელია დაცული იყოს წონასწორობა ერთი მხრივ, იმ დანესებულების შინაგანი დისციპლინის დაცვის აუცილებლობისათვის, რომელზეც დამოკიდებულია საზოგადოება და მეორე მხრივ, ადამიანის ძირითადი უფლებების დარღვევას-

თან ბრძოლის აუცილებლობისათვის. საზოგადოებისადმი სამსახური მოიცავს საზოგადოების იმ წევრებისათვის სამსახურისა და დახმარების გაწევას, რომელნიც პირადი, ეკონომიკური, სოციალური ან სხვა განსაკუთრებული ხასიათის მიზეზებით საჭიროებენ დაუყოვნებლივ დახმარებას.

ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობის მიზანი სწორედ იმგვარი ნორმატიული სტანდარტების შექმნაა, რომელიც უზრუნველყოფს ადმინისტრაციული ორგანოების მიერ ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების, საჯარო ინტერესებისა და კანონის უზენაესობის დაცვას /ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 1.2. მუხლი/.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ საჯარო სამსახურს, მიუხედავად ერთიანი სისტემური ბუნებისა, ფუნქციური მრავალფეროვნება ახასიათებს. იქნება ეს – მართლწესრიგის დაცვის, საბაჟო-საგადასახადო სისტემის, სამხედრო სამსახურის, თუ თვითმმართველობის სფერო, ყოველ მათგანს განსხვავებული სპეციფიკა გააჩნია, თუმცა საერთო აქვთ მიზანი და ამოცანა – ზრუნვა საზოგადოების ინტერესების საკეთილდღეოდ“.

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ საქმის სასამართლო განხილვის სტადიაზე, იმ პირობებში, როცა საქმის მასალაზე ცალსახად არის დადგენილი, რომ საგადასახადო სამართალდარღვევის ოქმი შედგენილი არ არის სამართალდარღვევის ჩადენის ადგილას, რასაც არც მოპასუხე ადმინისტრაციული ორგანო უარყოფს, ადმინისტრაციულმა ორგანომ ხელახლა უნდა ჩაატაროს ადმინისტრაციული წარმოება და გამოიკვლიოს კერძო საგადასახადო ინსპექტორმა რატომ არ შეადგინა სამართალდარღვევის ადგილზე ოქმი, რა ხელისშემშლელი ფაქტორები არსებობდა და რატომ არ იქნა მითითებული აღნიშნულის თაობაზე ოქმში, რამდენად არის კერძო საგადასახადო ინსპექტორის ინსტიტუტის /თითოეული პერსონა/ აღჭურვილი იმ უნარ-ჩვევებით, რაც აუცილებელია საჯარო ფუნქციის კანონშესაბამისი და კვალიფიციური განხორციელებისათვის.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ დელეგირებული ფუნქციის განხორციელებელი პირის მოქმედებაზე პასუხისმგებელია სახელმწიფო, რომ ამგვარი სერვისის განხორციელება განსაკუთრებული და სისტემური ზედამხედველობის, მონიტორინგის საგანი უნდა იყოს, რამდენადაც საჯარო ფუნქციის შესრულების კანონიერი და კვალიფიციური ხასიათი განაპირობებს საგადასახადო ორგანოებისადმი ნდობას, მის ავტორიტეტს, ამავედროულად გადასახადების გადამხდელთა კანონით დაცული ინტერესი – საგადასახადო კანონმდებლობის დაცვა და კონტროლი განხორციელდეს კანონით ზუსტად განსაზღვრული წესით და ფარგლებში, არის პატივსაღები, დაცვის ღირსი და საგადასახადო სამსახურებმა ყველა გონივრული ზომა უნდა მიიღონ საგადასახადო კონტროლის კეთილსინდისიერი და კანონიერი განხორციელებისათვის.

საკასაციო სასამართლო ასევე განმარტავს, რომ საკასაციო სასამართლოში საქმის განხილვისას საქართველოს საგადასახადო კოდექსის 281.3 მუხლში 2012 წლის 28 დეკემბრის №189 განხორციელებული ცვლილებების შესაბამისად, მომხმარებელთან ნაღდი ფულით ანგარიშსწორებისას საკონტროლო-სალარო აპარატის გამოყენებლობისათვის განსაზღვრული ჯარიმის ოდენობა შემცირდა და 500 ლარის ნაცვლად განისაზღვრა 200 ლარით.

აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო საგადასახადო კოდექსის 269.2 მუხლის საფუძველზე განმარტავს, რომ საგადასახადო სამართალდარღვევისათვის სანქციის შეფარდების დროს, თუ კანონით გაუქმებული ან შემსუბუქებულია პასუხისმგებლობა სამართალდარღვევის ჩადენისათვის, მოქმედებს ახალი კანონით დადგენილი ნორმა, ხოლო თუ შემოღებულია ან დამძიმებულია პასუხისმგებლობა ქმედების ჩადენის მომენტისათვის არსებული ნორმა. აღნიშნული მუხლიდან გამომდინარე, საგადასახადო სამართალდარღვევებისათვის პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელ ან გამაუქმებელ აქტებს აქვთ უკუქცევითი ძალა, ე.ი. ვრცელდება ამ აქტის გამოცემამდე ჩადენილ სამართალდარღვევებზეც. სანქციის შეფარდების დროს, თუ გაუქმებული ან შემსუბუქებულია პასუხისმგებლობა სამართალდარღვევის ჩადენისათვის, მოქმედებს ახალი კანონით დადგენილი ნორმა. სანქციის შეფარდების დრო მოიცავს არამხოლოდ ადმინისტრაციული ორგანოს მიერ მისი გამოყენების დროს, არამედ ზემდგომი ორგანოების ან სასამართლოს მიერ სანქციის გამოყენების კანონიერების შემოწმების პერიოდს.

აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ ადმინისტრაციულმა ორგანომ საკითხის ხელახალი შესწავლისას უნდა გაითვალისწინოს საგადასახადო კოდექსის 281.3 მუხლში განხორციელებული ცვლილება.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ სასამართლოს უფლებამოსილება სადავო საკითხის გადაწყვეტლად ბათილად ცნოს ადმინისტრაციული ორგანოს მიერ მიღებული ადმინისტრაციული აქტი, განსაზღვრულია საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 32-ე მუხლის მე-4 ნაწილით, კერძოდ, აღნიშნული ნორმის თანახმად, თუ სასამართლო მიიჩნევს, რომ ინდივიდუალური ადმინისტრაციული-სამართლებრივი აქტი გამოცემულია საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის გარემოების გამოკვლევისა და შეფასების გარეშე, რაც მოცემულ შემთხვევაში სახეზეა, იგი უფლებამოსილია სადავო საკითხის გადაწყვეტლად ბათილად ცნოს იგი და დაავალოს ადმინისტრაციულ ორგანოს ამ გარემოებათა გამოკვლევისა და შეფასების შემდეგ გამოსცეს ახალი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი. სასამართლო ამ გადაწყვეტილებას იღებს, თუ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობისათვის არსებობს მხარის გადაუდებელი კანონიერი ინტერესი – მოცემულ შემთხვევაში სადავო – ადამიანის უფლების მაქსიმალური დაცვის უზრუნველყოფა.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 32.4. მუხლით მინიჭებულ უფლებამოსილებას სასამართლო იყენებს იმ ვითარებაში, როცა სასამართლო წესით ვერ ხერ-

ხდება ფაქტობრივი გარემოებების დადგენა და შეფასება. შესაბამისად, შეუძლებელი ხდება სადავო ადმინისტრაციული აქტის მატერიალური კანონიერების შეფასება.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლოს მოსაზრებით, სსსკ-ის 411-ე მუხლის შესაბამისად სახეზეა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის გასაჩივრებული განჩინების გაუქმებისა და საკასაციო სასამართლოს მიერ ახალი გადაწყვეტილების მიღების პროცესუალური წინაპირობები, რომლითაც ი/მ „ნ. ბ-ის“ სარჩელი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 1.2, 261, 32.4; სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 372-ე, 390-ე 411-ე მუხლებით და

გ ა ღ ა ნ ყ ვ ი ტ ა :

1. ი/მ „ნ. ბ-ის“ საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;
2. გაუქმდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2012 წლის 27 ივლისის განჩინება და საკასაციო სასამართლოს მიერ მიღებულ იქნას ახალი გადაწყვეტილება;
3. ი/მ „ნ. ბ-ის“ სარჩელი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;
4. სადავო საკითხის გადაწყვეტლად ბათილად იქნას ცნობილი სსიპ შემოსავლების სამსახურის 2012 წლის 28 მარტის №5448 ბრძანება და სსიპ შემოსავლების სამსახურს დაევალოს საკითხის ხელახალი გამოკვლევისა და დასაბუთების შედეგად გამოსცეს ახალი ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი, კანონით დადგენილ ვადაში;
5. საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და არ საჩივრდება.

მიწის გადასახადის ღარიცხვის საფუძველი

ბანჩინება

№ბს-1108-1097(კ-11) 28 თებერვალი, 2013 წ., ქ. თბილისი
საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატა
შემადგენლობა: ნ. სხირტლაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ლ. მურუსიძე,
პ. სილაგაძე

დავის საგანი: ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების ბათილად ცნობა.

აღწერილობითი ნაწილი:

შპს „...“ სარჩელი აღძრა მოპასუხეების გორის საგადასახადო ინსპექციის, შემოსავლების სამსახურის და საქართველოს ფინანსთა სამინისტროსთან არსებული დავების განხილვის საბჭოს წინააღმდეგ და მოითხოვა გორის საგადასახადო ინსპექციის 21.01.10 წ. №110 საგადასახადო მოთხოვნის, შემოსავლების სამსახურის 10.03.10 წ. №1175 ბრძანების, დავების საბჭოს 19.04.10 წ. გადაწყვეტილების ბათილად ცნობა, დარიცხული გადასახადების გადანაგარიშება და ზედმეტად გადახდილი თანხების ჩათვლა მომავალი საგადასახადო ვალდებულებების ანგარიშში. მოსარჩელემ აღნიშნა, რომ პირადი ბარათის დათვალიერებისას მისთვის ცნობილი გახდა, რომ ერიცხებოდა გაურკვეველი წარმოშობის დავალიანება (13 889 ლ.) და მასზე დარიცხული საურავები. გადამხდელმა არაერთგზის მიმართა ინსპექციას და მოითხოვა ჩაებარებიანათ მისთვის საგადასახადო მოთხოვნა ან დავალიანების წარმომშობი რაიმე დოკუმენტი. რადგან განცხადებები უპასუხოდ რჩებოდა, პირადი აღრიცხვის ბარათზე აღმოჩენილი დავალიანება გასაჩივრდა ფინანსთა სამინისტროში, სამინისტროს შემოსავლების სამსახურმა მიმართა გორის საგადასახადო ინსპექციას, რათა გაერკვია საგადასახადო მოთხოვნის გამოცემის საკითხი. გორის საგადასახადო ინსპექციის მიერ 02.11.09 წ. გამოიცა შეტყობინება საგადასახადო გირავნობა/იპოთეკის უფლების წარმომშობის შესახებ. აღნიშნულს დაემატა 20.11.09წ. გამოცემული საგადასახადო მოთხოვნა №10/6410 და მისი კორექტირებული ვარიანტი – 21.01.10წ. საგადასახადო მოთხოვნა №110, რომლითაც საზოგადოებას გადასახდელად დაერიცხა 2004, 2005, 2007 წ.წ. მიწის გადასახადი და 2005-2006 წ.წ. ქონების გადასახადი. ეს გადასახადები დავალიანებაში მოხვდა იმის გამო, რომ მაკონტროლებელი ორგანო საინკასო დავალებით ყველა სახის შენატანს ამისამართებდა გადამხდელის პირად ბარათზე გაურკვეველად წარმომშობილი დავალიანების დასაფარავად. საგადასახადო გირავნობა/იპოთეკა გამოიცა 02.11.09 წ., ამ დროისთვის არ არსებობდა შესაბამისი საგადასახადო მოთხოვნა. დავების განხილვის საბჭოს 19.04.2010წ. გადაწყვეტილებით განუხილველად დარჩა 2000 წლამდე და 2000-2002 წლების მიწის გადასახადების გაუქმების შესახებ მოთხოვნა. მოსარჩელე თვლის, რომ სადავო აქტები გამოცემულია საქმის არსებითი გარემოებების გამოკვლევის გარეშე, საგადასახადო გირავნობა/იპოთეკა გამოცემული იყო კანონმდებლობის უხეში დარღვევით, რადგანაც მისი გამოცემის დროს არ არსებობდა შესაბამისი საგადასახადო მოთხოვნა. პირად ბარათზე გაურკვეველად წარმომშობილი დავალიანების, მასზე რიცხული უკანონო საურავების და საგადასახადო ორგანოს საინკა-

სო დავალებების გამო უსაფუძვლოდ დარიცხულია როგორც მიწის, ასევე სოციალური და საშემოსავლო გადასახადები.

გორის რაიონული სასამართლოს 17.02.11 წ. გადაწყვეტილებით შპს „...“ სარჩელი არ დაკმაყოფილდა. პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება უცვლელად დარჩა თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 03.05.11 წ. განჩინებით, რომლითაც არ დაკმაყოფილდა შპს „...“ სააპელაციო საჩივარი.

სააპელაციო სასამართლომ დადგენილად ცნო შემდეგი გარემოებანი: დუშეთის რაიონული საგადასახადო ინსპექციის 23.05.02 წ. №75-ე მიმართვით მცხეთის საოლქო საგადასახადო ინსპექციას ეცნობა, რომ 1995 წლიდან ინსპექციაში აღრიცხვაზე იდგა შპს „ბ.“, რომელსაც ერიცხებოდა სასოფლო-სამეურნეო მიწის გადასახადში დავალიანება, ძირითადი თანხა – 13 886,56 ლარი და საურავი 4996,21 ლარი. 19.07.2000 წ. შპს „ბ.“ რეორგანიზებულ იქნა შპს „...“. მიმართვით მცხეთის საოლქო საგადასახადო ინსპექციას ეთხოვა მიწის გადასახადში შპს „ბ.“ დავალიანების გადატანა შპს „...“ პირადი აღრიცხვის ბარათზე. მიმართვაზე 25.05.02 წ. დასმული რეზოლუციით ინსპექციის თანამშრომელს დაევალა შპს „...“ სასოფლო-სამეურნეო მიწის გადასახადის – 13 886,56 ლარის და საურავის – 4996,21 ლარის დარიცხვა, ხოლო 12.06.02 წ. წარწერით „დარიცხულია“ ირკვევა, რომ 25.05.02 წ. შპს „...“ პირად ბარათზე იქნა გადატანილი ზემოთ აღნიშნული დავალიანების თანხა სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებოდ. 13.11.09 წ. ჩატარდა შპს „...“ კამერალური საგადასახადო შემოწმება, რაზეც შედგა შესაბამისი აქტი, რომლის თანახმად 1993 წელს ქონების მართვის სამინისტროს დუშეთის რაიონული განყოფილების მიერ გამოცხადებულ კონკურსში გამარჯვების შემდეგ შპს „ბ.“ შეიძინა სოფ. მეურნეობა. 14.11.1995 წ. ქონების მართვის სამინისტროს დუშეთის რაიონული განყოფილების მიერ 485 ჰა მიწის ფართობზე გაიცა საკუთრების დამადასტურებელი მოწმობა №8. ამ ფართობიდან 1999-2000 წ.წ. დუშეთის რაიონის გამგეობის მიერ სხვადასხვა პირებზე იჯარით გაიცა 361,70 ჰა. მიწის ფართობი, რაც გასაჩივრდა შპს „...“ მიერ. დუშეთის რაიონული სასამართლოს 12.11.01 წ. გადაწყვეტილებით და თბილისის საოლქო სასამართლოს 02.08.02 წ. განჩინებით დუშეთის რაიონის გამგეობას და მიწის იჯარით გამცემ მუდმივმოქმედ კომისიას დაევალა 485 ჰა მიწის შპს „...“ იჯარით გადაცემა. კამერალური საგადასახადო შემოწმების აქტის თანახმად, საგადასახადო ინსპექციაში არსებულ საინფორმაციო ბაზაში დაბეგვრის მონაცემები ასახულია 2001 წლიდან, ხოლო დუშეთის საგადასახადო ინსპექციაში შპს „ბ.“ დაბეგვრის პირადი საქმე 1999 წლამდე არ იძებნება, კამერალური აქტით ვერ განისაზღვრა რამდენად სწორად ჰქონდა დარიცხული 12.06.02 წ. შპს „ბ.“ გასული წლების სასოფლო-სამეურნეო მიწის გადასახადის ნარჩენი დავალიანების ძირითადი გადასახადი – 13 885,56 ლარი და საურავი – 4 996,21 ლარი. შემოწმებით დადგინდა, რომ 2003 წელს შპს „...“ სრულად ფლობდა 57 ჰა მიწის ნაკვეთს, 2004 წელს – 446,60 ჰა-ს, 2005 წელს – 361,31 ჰა-ს. აღნიშნულის გათვალისწინებით 2003 წლის მიწის გადასახადი განისაზღვრა 1026 ლარით და 07.12.04 წ. დარიცხული 2003 წლის მიწის გადასახადიდან – 8730 ლარიდან შემცირებას დაექვემდებარა 7704 ლარი. შემოწმებით გაირკვა აგრეთვე, რომ შპს „...“ 2004 წლის პირადი აღრიცხვის ბარათზე არ ჰქონდა დარიცხული მიწის (446,60 ჰა) გადასახადი, რის შედეგადაც მას დამატებით დაერიცხა 8038,80 ლარი, ასევე არ იყო 2005 წლის მიწის (361,31 ჰა) გადასახადი დარიცხული და დაერიცხა 6503,40 ლარი.

შემოწმებით დადგინდა, რომ საგადასახადო ინსპექციაში წარდგენილ 2006 წლის ქონების გადასახადის წლიურ დეკლარაციაში არ იყო ასახული 2007 წლის მიწაზე ქონების გადასახადის გაანგარიშება, რის შედეგადაც მას დაერიცხა მიწის გადასახადი 6503,40 ლარი და საგადასახადო კოდექსის 132-ე მუხლით გათვალისწინებული ჯარიმა – 1625,85 ლარი. შპს „...“ საგადასახადო ინსპექციაში წარმოდგენილი არ ჰქონდა 2005 წლის ქონების გადასახადის ყოველწლიური დეკლარაცია, რის შედეგადაც დაერიცხა დამატებით ქონების ძირითადი გადასახადი – 507,50 ლარი, 131-ე მუხლით გათვალისწინებული ჯარიმა – 200 ლარი, 132-ე მუხლით – 126,87 ლარი. იმის გამო, რომ გადასახადის გადამხდელმა ვერ წარადგინა 2005 წელს ქონების ფლობის შესახებ დოკუმენტი, დარიცხვა განხორციელდა 2006 წლის დეკლარაციაში ასახული მონაცემების საფუძველზე. 2006 წლის დეკლარაციით, რომელიც წარედგინა საგადასახადო ორგანოს, ქონების საშუალო წლიური ღირებულება 50 750 ლარს შეადგენდა, თუმცა გადასახადის დარიცხვა პირად ბარათზე არ განხორციელებულა, რადგან გადამხდელმა ქონების ღირებულება მთლიანად აჩვენა შეღავათებში. შემოწმების მიმდინარეობისას გადამხდელმა ვერ წარადგინა ქონების გადასახადისგან გათავისუფლების დამადასტურებელი დოკუმენტი, რის გამოც მას დაერიცხა 2006 წლის ქონების ძირითადი გადასახადი – 507,50 ლარი, საგადასახადო კოდექსის 132-ე მუხლით გათვალისწინებული ჯარიმა – 126,87 ლარი.

საბოლოოდ 13.11.09 წ. კამერალური შემოწმების აქტით, შპს „...“ ბიუჯეტში დამატებით გადასახდელად დაეკისრა სასოფლო-სამეურნეო მიწის გადასახადში 22671,45 ლარი (ძირითადი 21045,60 ლარი, ჯარიმა – 1625,85 ლარი, 2003 წელს დარიცხული მიწის გადასახადიდან შემცირდა 8204,56 ლარი), ქონების გადასახადში დაერიცხა – 2 483,74 ლარი (ძირითადი – 1015 ლარი, ჯარიმა – 253,74 ლარი, ჯარიმა საგადასახადო კოდექსის 131-ე მუხლით – 200 ლარი, საავანსო გადასახდელი – 1015 ლარი, შემცირდა საავანსო გადასახდელზე – 1015 ლარი). სულ შპს „...“ ბიუჯეტის სასარგებლოდ დაერიცხა 25 155,19 ლარი, მათ შორის ძირითადი თანხა – 22 060,60 ლარი, საავანსო გადასახდელი -1015 ლარი, ჯარიმა კოდექსის 132-ე მუხლით – 1879,59 ლარი, ჯარიმა საგადასახადო კოდექსის 131-ე მუხლით – 200 ლარი.

გორის საგადასახადო ინსპექციის 13.11.09 წ. №7275 ბრძანებით შპს „...“ გადასახდელად დაერიცხა – 25 155,19 ლარი, ხოლო 20.11.09 წ. №10/6410 საგადასახადო მოთხოვნით დაერიცხა – 22 108,24 ლარი. გორის საგადასახადო ინსპექციის 21.01.10 წ. №110-ე შესწორებული საგადასახადო მოთხოვნით შპს „...“ დარიცხულმა თანხამ შეადგინა 22 308,24 ლარი, მათ შორის ძირითადი თანხა 13 856,04 ლარი, ჯარიმა – 2079,59 ლარი, საურავი – 6372,61 ლარი (მიწის გადასახადის თანხა 12 841,04 ლარი, ჯარიმა – 1625,85 ლარი, საურა-

ვი - 5478,02 ლარი, სულ - 19 944,91 ლარი, ქონების გადასახადი - 1015 ლარი, ჯარიმა - 453,74 ლარი, საურავი - 894,59, სულ - 2 363,33 ლარი).

შპს „...“ ადმინისტრაციული საჩივრის საფუძველზე შემოსავლების სამსახურის 10.03.10 წ. №1175 ბრძანებით მოთხოვნა ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, გორის საგადასახადო ინსპექციას დაევალი მინის გადასახადზე დარიცხული საურავის კანონმდებლობასთან შესაბამისობის შემოწმება და საურავის გადაანგარიშება.

შპს „...“ ადმინისტრაციული საჩივრით მიმართა საქართველოს ფინანსთა სამინისტროს დავების განხილვის საბჭოს და მოითხოვა შესწორებული საგადასახადო მოთხოვნისა და №1175 ბრძანების ბათილად ცნობა, აგრეთვე ადრე მინის გადასახადში დარიცხული თანხების - 13 886,56 ლარისა და საურავის - 4996,2 ლარის გადაანგარიშება და ზედმეტად გადახდილი თანხების ჩათვლა მომავალი საგადასახადო ვალდებულებების ანგარიშში.

დავების განხილვის საბჭოს 19.04.2010 წ. გადაწყვეტილებით მოთხოვნა არ დაკმაყოფილდა, ხოლო საჩივარი, 2000 წლამდე და 2000-2002 წლების მინის გადასახადის დარიცხული თანხების გაუქმების ნაწილში, განუხილველად დარჩა იმ მოტივით, რომ შემოსავლების სამსახურში 24.02.10 წ. წარდგენილ საჩივარში არ იყო გასაჩივრებული ეს დარიცხვები.

სააპელაციო სასამართლომ 13.06.1997 წ. საგადასახადო კოდექსის 215-ე მუხლის 1-ლი და მე-4 ნაწილების, 2004 წლის 1 იანვრისთვის მოქმედი საგადასახადო კოდექსის 272-ე მუხლის მე-5 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის, 2009 წლის იანვრიდან ამოქმედებული 272-ე მუხლის მე-6 ნაწილზე მითითებით აღნიშნა, რომ გადასახადით დაბეგვრის ობიექტია საკუთრებაში არსებული მიწა, აგრეთვე კანონით გათვალისწინებულ სარგებლობაში ან ფაქტობრივ მფლობელობაში მყოფი სახელმწიფო საკუთრებაში არსებული მიწა. სააპელაციო პალატამ გაიზიარა მოსაზრება იმის შესახებ, რომ გადასახადით უნდა დაიბეგროს ის პირი, ვის სახელზედაც ირიცხება სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა. ამასთანავე, 2004-2005 წ.წ. მინის გადასახადთან დაკავშირებით სასამართლოში წარმოდგენილი არ ყოფილა იმ გარემოების დამადასტურებელი მტკიცებულება, რომ ქვემოთხატულების მიერ გადახდილი მინის გადასახადის თანხა ჩაითვალოს შპს „...“ მიერ გადახდილად. იმ ფაქტს, რომ ნაკვეთი სხვა პირთა სარგებლობაში არასწორად იყო გადაცემული რაიონის გამგეობის მიერ, მინის გადასახადის დაბეგვრის მიზნებისთვის სააპელაციო პალატის აზრით არ აქვს მნიშვნელობა.

უკანონოდ დარიცხული გადასახადის გადაანგარიშებისა და ზედმეტად გადახდილი თანხების მომავალი საგადასახადო ვალდებულებების ანგარიშში ჩათვლის მოთხოვნასთან დაკავშირებით სააპელაციო პალატამ აღნიშნა, რომ შპს „...“ არის შპს „ბ.“ სამართალმემკვიდრე, ხოლო ამ უკანასკნელს პირად ბარათზე ერიცხებოდა მინის გადასახადის დავალიანება, რომელიც გადმოტანილ იქნა 12.06.02 წ. შპს „...“ პირად ბარათზე. 13.06.1997 წ. საგადასახადო კოდექსის 237.2 მუხლის თანახმად, გადასახადის გადამხდელი უფლებამოსილია საგადასახადო პერიოდის დამთავრებიდან 6 წლის განმავლობაში მოითხოვოს ზედმეტად გადახდილი გადასახადის დაბრუნება ან ჩათვლა, 2011 წლის 1 იანვრამდე მოქმედი საგადასახადო კოდექსის მე-5 მუხლით, ზედმეტად გადახდილი თანხის დაბრუნების ან/და ჩათვლის თაობაზე გადასახადის გადამხდელის მოთხოვნის წარდგენის ხანდაზმულობის ვადა 6 წელია, იგი აითვლება შესაბამისი ვალდებულების წარმოშობის კალენდარული წლის დასრულებიდან. აღნიშნულიდან გამომდინარე სააპელაციო სასამართლომ გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს მოსაზრება და მიიჩნია, რომ მოთხოვნა მინის გადასახადის გადაანგარიშებისა და ზედმეტად გადახდილი თანხების მომავალი საგადასახადო ვალდებულებების ჩათვლის ნაწილში არის ხანდაზმული.

სააპელაციო პალატამ აღნიშნა აგრეთვე, რომ 2005 წლის 1 იანვრიდან ამოქმედებული საგადასახადო კოდექსით გაუქმდა მანამდე მოქმედი კოდექსის 273.4 მუხლით გათვალისწინებული შეღავათები. ამდენად, სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ შპს „...“ მართებულად დაეკისრა ქონების ძირითადი გადასახადი და საჯარიმო თანხა 2006 წლის პერიოდისთვის. საგადასახადო კოდექსის 132-ე მუხლის საფუძველზე კანონიერად იქნა მიჩნეული აგრეთვე ჯარიმის - 1625,85 ლარის დაკისრება.

სააპელაციო სასამართლოს განჩინება საკასაციო წესით გასაჩივრდა შპს „...“ დირექტორის მიერ, რომელიც არ ეთანხმება სააპელაციო სასამართლოს განჩინებას, ითხოვს მის გაუქმებას და საქმეზე ახალი გადაწყვეტილების მიღებით სარჩელის დაკმაყოფილებას. კასატორი თვლის, რომ გასაჩივრებული განჩინება არის დაუსაბუთებელი. უსწორავს სააპელაციო პალატის მოსაზრებას, რომ საკუთრების მონაშთით მას გადაეცა 485 ჰა ნაკვეთი და რომ არ ჰქონდა მნიშვნელობა იმას იხდიდნენ თუ არა მფლობელები გადასახადებს. მინის ნაკვეთების გადაცემა საზოგადოებისთვის უნდა მომხდარიყო მინის კანონის შემოღების შემდეგ, კანონი 1996 წელს იქნა შემოღებული, რა დროსაც არ შესრულდა დაპირება ნაკვეთის გადაცემის შესახებ, ნაკვეთები გადაეცა სოფლის მოსახლეობას, რის შესახებაც მიმდინარეობდა სასამართლო დავები, საზოგადოების საკუთრებად ნაკვეთები აღირიცხა სასამართლო დავების დასრულების შემდეგ. 1993-2002 წ.წ. კასატორი არც ფაქტობრივად და არც სამართლებრივად არ ფლობდა მიწას.

სასამართლომ ხანდაზმულობის ვადის ათვლისას არ გაითვალისწინა, რომ გადასახადის გადამხდელისთვის მინის გადასახადის დარიცხვის შესახებ ცნობილი გახდა არა 2002 წელს, არამედ 2007 წელს, რა პერიოდიდანაც გადამხდელმა დაიწყო დავა არსებულ დარიცხვაზე. შესაბამისად, 6-წლიანი ვადა 2007 წლიდან უნდა ათვლილიყო. გარდა ამისა, არსებობს 2000 წლის კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება, რითაც გადასახადის გადამხდელისათვის ცნობილი იყო, რომ დარიცხული მინის გადასახადი საგადასახადო ორგანომ მიიჩნია შეცდომით დარიცხულ გადასახადად და უარი თქვა აღნიშნულ მოთხოვნაზე. კასატორი დამატებით აღნიშნავს აგრეთვე, რომ საგადასახადო ორგანოებმა დაგვიანებით გადახდილი გადასახადი შე-

მონმების დროს ჩათვალეს არა დაგვიანებით გადახდილად, არამედ გადაუხდელად და სანქციები დააკისრეს გადასახადის დამალვაზე, რომელიც უკვე გადახდილი იყო. კასატორი უთითებს აგრეთვე, რომ სასამართლომ არ გაითვალისწინა 2004-2005 წ.წ. ქვემოთხსენებების მიერ გადასახადების გადახდა. დაუშვებელია გადასახადის დაბეგვრის ობიექტზე უკვე გადახდილი გადასახადის ხელმოწერა გადახდის დავალება.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების გაცნობის, საკასაციო საჩივრის საფუძვლების შესწავლისა და გასაჩივრებული განჩინების კანონიერების შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ შპს „...“ საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ შემდეგ გარემოებათა გამო:

საქმის მასალებით დასტურდება, რომ საგადასახადო ინსპექციაში არსებულ საინფორმაციო ბაზაში დაბეგვრის მონაცემები ასახულია 2001 წლიდან, ხოლო დუშეთის საგადასახადო ინსპექციაში შპს „ბ.“ დაბეგვრის პირადი საქმე 1999 წლამდე ვერ იძებნება, არ დგინდება პირად ბარათზე 12.06.02 წ. შპს „ბ.“ დარიცხული გასული წლების მიწის გადასახადის ნარჩენი დავალიანების ძირითადი გადასახადის – 13 886,56 ლარის და საურავის – 4996,21 ლარის წარმომავლობა. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ სასკ-ის მე-17 მუხლის შესაბამისად, გამოცემული აქტის კანონიერების დასაბუთების ტვირთი ადმინისტრაციულ ორგანოს ეკისრება. საგადასახადო დავის დაწყების ფორმალური საფუძველია საგადასახადო ორგანოს მიერ გადასახადის გადამხდელისთვის საგადასახადო მოთხოვნის წარდგენა. გადამხდელთა პირადი აღრიცხვის ბარათი არის საგადასახადო პირველადი აღრიცხვის საბუთი, რომელშიც აისახება არა მხოლოდ საგადასახადო და სხვა უფლებამოსილი ორგანოების მიერ საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული გადასახდელად დარიცხული თანხები, არამედ აგრეთვე გადამხდელის მიერ შესაბამისი გადასახადების დეკლარირებული თანხები. 13.06.1997წ. საგადასახადო კოდექსის 236-ე მუხლი ითვალისწინებდა გადასახადის დარიცხული თანხის შესახებ გადამხდელისთვის შეტყობინების გაგზავნას, რომელშიც მითითებული უნდა ყოფილიყო დარიცხული გადასახადის და საჯარიმო სანქციების თანხა, გადასახადის გადახდის მოთხოვნა, გადახდის ვადები, დარიცხვის საფუძველი, გასაჩივრების წესი. პირად ბარათზე გადასახდელი გადასახადის თანხის აღრიცხვა არ საჭიროებდა ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების – თანხის დარიცხვის შესახებ ბრძანების და საგადასახადო შეტყობინების წარდგენას მხოლოდ გადასახადის გადამხდელის მიერ დეკლარაციების წარდგენის შემთხვევაში. ამასთანავე, იმ დროს მოქმედი კანონმდებლობით (13.06.1997წ. საგადასახადო კოდექსის მე-6 კარი) გადასახადის განაკვეთებს კონკრეტული მიწის ნაკვეთისთვის ადგენდნენ ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოები (150.3 მუხ.), საგადასახადო ორგანოები დარიცხული გადასახადების შესახებ საგადასახადო შეტყობინებას გადამხდელს აბარებდნენ საანგარიშო წლის 1 ივნისისათვის (152.2 მუხ.). აღნიშნულიდან გამომდინარე, მიწის გადასახადის დარიცხვა ყველა შემთხვევაში უნდა გაფორმებულიყო საგადასახადო ორგანოს აქტით. საქმის მასალებით დასტურდება, რომ საგადასახადო ორგანოს მიერ ვერ იქნა წარმოდგენილი საგადასახადო დავალიანების წარმომშობი დოკუმენტაცია, საგადასახადო ორგანო ვალდებული იყო პირადი აღრიცხვის ბარათზე გადასახადის თანხების დარიცხვა განეხორციელებინა ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით, გადასახადის დარიცხული თანხების შესახებ შეტყობინება გაეგზავნა გადასახადის გადამხდელისათვის კანონით დადგენილი წესით, რასაც მოცემულ შემთხვევაში ადგილი არ ჰქონია. ამდენად, არ დასტურდება პირადი აღრიცხვის ბარათზე კასატორისათვის დარიცხული თანხის საფუძველი. საგადასახადო მოთხოვნის წარუდგენლობის შედეგად გადამხდელისათვის უცნობი რჩება გადასახდელი მიწის გადასახადის თანხა, საგადასახადო მოთხოვნა წარმოადგენს საგადასახადო ვალდებულების დამდგენ დოკუმენტს, რომლითაც ცნობილი ხდება გადასახადის გადამხდელისათვის გადასახადის ოდენობა. ამდენად, გორის რაიონული სასამართლოს 21.12.10წ. და 27.02.11წ. სხდომებზე მოსარჩელის მიერ დაზუსტებული მოთხოვნა მიწის გადასახადის დარიცხვის გაუქმების ანუ რეალაქტის, საჯარო მოქმედების განხორციელების დავალების და პირად ბარათზე გადაანგარიშების და ზედმეტად გადახდილი თანხების მომავალი საგადასახადო ვალდებულებების ანგარიშში ჩათვლის შესახებ ვერ იქნება მიჩნეული ხანდაზმულად. საგადასახადო ორგანოებს შორის მიმონერა (დუშეთის საგადასახადო ინსპექციის 23.05.02წ. წერილი და წერილზე მცხეთის საგადასახადო ინსპექციის თანამდებობის პირის მიერ 25.05.02წ. დასმული რეზოლუცია) ვერ იქნება მიჩნეული საგადასახადო დავალიანების დაკისრების აქტებად, მათში საუბარია უკვე წარმოშობილი დავალიანების სააღრიცხვო ბარათზე გადატანაზე, ამასთანავე, არ მომხდარა მათი ჩაბარება მოსარჩელისთვის, რისი მტკიცების ტვირთი საგადასახადო ორგანოს აკისრია, შესაბამისად, არ დაწყებულა ხანდაზმულობის ვადის დენა. მოსარჩელის განცხადებით მიწის გადასახადის დარიცხვის შესახებ მისთვის ცნობილი გახდა არა 2002 წელს, არამედ 2007 წელს. ამდენად, საფუძველს არის მოკლებული სააპელაციო სასამართლოს მიერ 13.06.1997წ. საგადასახადო კოდექსის 237.2 მუხლით და 22.12.04წ. საგადასახადო კოდექსის მე-5 მუხლით განსაზღვრული ხანდაზმულობის ექვსწლიანი ვადის ათვლა შპს „...“ უფლებამოსილების – შპს „ბ.“ პირად ბარათზე 16.06.02წ. დასკვნით დავალიანების ასახვიდან და აღნიშნულის გამო მოთხოვნის ხანდაზმულად მიჩნევა. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ აქტის არ არსებობა არ გამორიცხავს პირადი აღრიცხვის ბარათზე რიცხული დავალიანების გაუქმების მოთხოვნის წარდგენის შესაძლებლობას. საგულისხმოა, რომ მიწის გადასახადის დავალიანების წარმოშობის გაურკვევლობის შესახებ თვით კამერალური შემოწმების აქტშიც არის აღნიშნული. გადასახადის დარიცხვის დოკუმენტის ჩაუბარებლობა წარმოადგენს მიწის გადასახადზე საურავისაგან გათავისუფლების საფუძველს, ამასთანავე, 13.06.1997წ. საგადასახადო კოდექსის 237-ე მუხლით გათვალისწინებული თანხის და-

რიცხვის ექვსწლიანი ხანდაზმულობის ვადის გასვლის გამო სადღეისოდ არ არსებობს აგრეთვე სადავო პერიოდზე ადმინისტრაციული აქტით მიწის გადასახადის დაკისრების საფუძველი.

ამდენად, საკასაციო პალატა თვლის, რომ დარიცხვის საფუძვლის არარსებობის გამო დაუსაბუთებელი და უკანონოა 2002 წლამდე მოსარჩელეზე დარიცხული მიწის გადასახადის და საურავის დაკისრება გადასახადის გადამხდელზე. გადასახადის და მისი გადაუხდელობისათვის საურავის დაკისრების საფუძვლის არ არსებობა არის პირადი აღრიცხვის ბარათზე ასახული დავალიანების გაუქმების და არა დავების განხილვის საბჭოს მიერ სადავო აქტით განუხილველად დატოვების საფუძველი. უკეთუ ქვედა ინსტანციების სასამართლოების აზრით მიწის გადასახადის თანხები მოსარჩელეს დაეკისრა მიმართვაზე რეზოლუციით, ასეთ შემთხვევაში მით უფრო არ არსებობდა დავების განხილვის საბჭოს 19.04.2010წ. გადაწყვეტილებით 2000-2002 წ.წ. მიწის გადასახადის დარიცხული თანხების გაუქმების ნაწილში საჩივრის განუხილველად დატოვების პირობა, ვინაიდან უდავოა დაკისრებული გადასახადის გასაჩივრების უფლება გადასახადის გადამხდელის მიერ. ამდენად, საფუძველს არის მოკლებული დავების განხილვის საბჭოს 19.04.10წ. გადაწყვეტილებით პირადი აღრიცხვის ბარათზე 2000 წლამდე და 2000-2002 წ.წ. მიწის გადასახადის დარიცხული თანხების გაუქმების მოთხოვნის ნაწილში საჩივრის განუხილველად დატოვება, მით უფრო, რომ მოსარჩელეზე რიცხული დავალიანების ეს ნაწილი უკავშირდება სხვა სახის საგადასახადო დავალიანებებს. საქმეზე არ არის გარკვეული მიწის გადასახადის და საურავის გადაუხდელობის გამო საგადასახადო ორგანოს მიერ სხვა გადასახადების გადახდევინებიდან თანხების ჩამოჭრის საკითხი, რომელსაც აყენებდა მოსარჩელე. ვინაიდან აღნიშნული საკითხი უკავშირდება სხვა სახის საგადასახადო დავალიანების (სოციალური, საშემოსავლო) არსებობას, საკასაციო პალატა საჭიროდ თვლის ამ მიმართებით საქმის გარემოებების დადგენას, მოსარჩელის მიერ წარმოდგენილ საცდელ ბარათში მითითებული მონაცემების სისწორის გარკვევას.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ 13.06.97 წ. საგადასახადო კოდექსის 146-ე მუხლის მიხედვით, მიწის გადასახადის გადამხდელებად ითვლებოდნენ ის ფიზიკური და იურიდიული პირები, რომელთაც საკუთრებაში ან კანონით გათვალისწინებულ სარგებლობაში ჰქონდათ მიწის ნაკვეთი. მიწის გადასახადის ოდენობა არ არის დამოკიდებული ეკონომიკური საქმიანობის შედეგებზე და იგი დადგენილი იყო ფიქსირებული წლიური გადასახადის სახით მიწის ფართობის ერთეულზე. საქმის მასალებით დასტურდება, რომ მოსარჩელე არ ფლობდა მისთვის გადაცემული ნაკვეთების მნიშვნელოვან ნაწილს, რომლებიც გამგეობის აქტების საფუძველზე არამართლზომიერად იჯარით გაიცა სხვა პირებზე, რაც კანონიერ ძალაში შესული სასამართლო გადაწყვეტილებებით არის დადასტურებული. ამდენად, საკანონმდებლო საფუძველს არის მოკლებული კასატორისათვის იმ პერიოდზე მიწის გადასახადის დაკისრება, რომლის განმავლობაშიც მიწის ნაკვეთი მას ჩამორთმეული ჰქონდა. საქმის მასალებით ირკვევა, რომ 1993 წელს სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტროს დუშეთის რაიონული განყოფილების მიერ გამოცხადებულ კონკურსში გამარჯვების შემდეგ შპს „ბ.“ (რომლის სამართალმემკვიდრეა შპს „...“) შეიძინა სოფ. ს/მეურნეობა. სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტროს დუშეთის რაიონული განყოფილების მიერ 14.11.1995 წ. გაიცა საკუთრების დამადასტურებელი მოწმობა №8, სადაც დაფიქსირდა 485 ჰა. მიწის ფართობის ფლობის უფლება. აღნიშნული ფართიდან 1999-2000 წწ. დუშეთის რაიონის გამგეობის მიერ სხვადასხვა პირებზე იჯარით გაიცა 361,7 ჰა. მიწის ფართობი, რაც გასაჩივრდა შპს „...“ მიერ. დუშეთის რაიონული სასამართლოს 12.11.01წ. გადაწყვეტილებით, რომელიც უცვლელად დარჩა თბილისის საოლქო სასამართლოს 02.08.2002 წ. დადგენილებით, ბათილად იქნა ცნობილი დუშეთის რაიონის გამგეობის 12.10.1999წ. №111 და №112, 16.10.2000 წ. №168, 13.11.2000 წ. №182 დადგენილებები და დუშეთის რაიონის მიწის იჯარით გამცემი მუდმივმოქმედი კომისიის 1999-2000 წ.წ. ოქმები, სასამართლომ დაავალა დუშეთის რაიონის გამგეობას და ამავე რაიონის მიწის იჯარით გამცემ მუდმივმოქმედ კომისიას სადავო ფართის 485 ჰა მიწის შპს „...“ იჯარით გადაცემა. ამდენად, სახელდობრ გამგეობის აქტებით შეუწყდა მოსარჩელეს ფლობის უფლება, ნაკვეთებს ფლობდნენ და იჯარით სარგებლობდნენ სხვა პირები. იმის გათვალისწინებით, რომ დუშეთის რაიონის გამგეობის 01.04.02 წ. №36 დადგენილებით დამტკიცდა მიწის იჯარით გამცემი რაიონული კომისიის 12.02.02 წ. ოქმი, რომლის მიხედვით შპს „...“ 10-წლიანი ვადით იჯარით გადაეცა 57 ჰა მიწის ფართობი, ხოლო 389,6 ჰა სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი შპს „...“ 49 წლის ვადით იჯარით გადაეცა დუშეთის რაიონის გამგეობის 28.03.03წ. №30 დადგენილებით, 2004 წელს კასატორი სრულად ფლობდა 446,6 ჰა-ს. დუშეთის რაიონის გამგეობის 10.03.05 წ. №46 დადგენილებით შპს „...“ სახელმწიფო საკუთრებაში 85,29 ჰა დაბრუნების შემდეგ იჯარით გაცემულმა ფართობმა 361,31 ჰა. შეადგინა. ამდენად, 2003 წლისათვის გადასახადის გადამხდელს მიწის გადასახადის გადახდის ვალდებულება ეკისრებოდა 57 ჰა-ზე, რაც კამერალური შემონმების აქტის თანახმად, შეადგენს 1026 ლარს. 2004 წელს გადასახადის გადამხდელს ერიცხება იჯარით გაფორმებული 446,6 ჰა. სასოფლო-სამეურნეო მიწა, რის გამოც კამერალური შემონმების საფუძველზე დაერიცხა 8038,80 ლარი, ხოლო 2005 წლის მიწის გადასახადმა 361,31 ჰა-ზე 6503,40 ლარი შეადგინა. ამასთანავე, საქმის მასალებით დასტურდება, რომ შპს „...“ მიწის ნაკვეთები იჯარით ჰქონდა გაცემული. 13.06.97 წ. საგადასახადო კოდექსის 152-ე მუხლში 18.07.03 წ. კანონით შეტანილი დამატების თანახმად, სახელმწიფო საკუთრების სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწით სარგებლობისთვის მოიჯარეები იხდიდნენ საიჯარო ქირას, რომელიც მოიცავდა მიწის გადასახადს. საგადასახადო კოდექსის ეს ნორმა გაუქმდა საგადასახადო კოდექსში 31.12.03წ. კანონით შეტანილი ცვლილებით. 22.12.04 წ. საგადასახადო კოდექსის 274-ე მუხლის მე-13 ნაწილის თანახმად, მიწაზე ქონების გადასახადის დარიცხვის საფუძველს წარმოადგენდა მიწის საკუთრების დამადასტურებელი დოკუმენტი, იჯარის (ქირაფნობის) ხელშეკრულება ან სხვა დოკუმენტი, რომელიც ადასტურებდა მიწით სარგებლობის უფლებას ან სახელმწიფო საკუთრებაში

არსებული მიწის ფაქტობრივ მფლობელობას. სასამართლოების მიერ საქმეზე არ არის დადგენილი ვისთან და რა პერიოდზე ჰქონდა დადებული შპს „...“ მიწის იჯარის ხელშეკრულებები, არ არის გარკვეული მიწათმოსარგებლეების მიერ გადასახადის გადახდის საკითხი.

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ სადავო სამართალურითიერობათა მიმართ საგადასახადო კოდექსის 281-ე მუხლის 21-ე ნაწილის საფუძველზე დავალიანების ჩამოწერის პირობა არ არსებობს, ვინაიდან აღნიშნული ნორმა ითვალისწინებს ვადაგადაცემულ საგადასახადო დავალიანებისგან და მათზე დარიცხული სანქციებისგან მიწაზე ქონების გადამხდელი ფიზიკური პირების და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების გათავისუფლებას, შესაბამისად, ხსენებული ნორმა სადავო სამართალურითიერობათა მიმართ ვერ იქნება გამოყენებული, რადგან გადასახადის გადამხდელს წარმოადგენს კერძო სამართლის იურიდიული პირი.

რაც შეეხება კასატორის ქონების გადასახადისგან განთავისუფლებას, საკასაციო პალატა არ იზიარებს კასატორის მოსაზრებას იმასთან დაკავშირებით, რომ ქონების მიწის გადასახადის გადამხდელი არ იყო ვალდებული გადაეხადა ქონების გადასახადი. 2005 წლის იანვრამდე მოქმედი საგადასახადო კოდექსის 273-ე მუხლის 46-ე ნაწილი ადგენდა, რომ 2007 წლის 1 იანვრამდე სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში დასაქმებული იურიდიული და ფიზიკური პირები, რომელთა მიერ კალენდარული წლის განმავლობაში განხორციელებული სოფლის მეურნეობის პროდუქციის პირველადი მიწოდება მის სამრეწველო გადამუშავებამდე არ აღემატებოდა ასი ათას ლარს, საქმიანობის ამ სფეროში საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა გადასახადის ნაცვლად იბეგრებოდა მხოლოდ მიწის გადასახადით. ამასთანავე, ვინაიდან 2005 წლის 1 იანვრამდე მოქმედი საგადასახადო კოდექსის 272-ე მუხლის 46-ე ნაწილით გათვალისწინებულ შეღავათს 2005 წლის 1 იანვრიდან ამოქმედებული საგადასახადო კოდექსით აღარ იქნა გათვალისწინებული, სასამართლო მიიჩნევს, რომ საფუძვლიანია კასატორისათვის ქონების გადასახადის ნაწილში თანხების დაკისრება.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ გასაჩივრებული გადაწყვეტილება არის დაუსაბუთებელი. საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით, თუ ამ კოდექსით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის დებულებანი. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტის მიხედვით, საკასაციო სასამართლო აუქმებს გადაწყვეტილებას და საქმეს ხელახალი განხილვისათვის აბრუნებს სააპელაციო სასამართლოში, თუ არსებობს ამ კოდექსის 394-ე მუხლით გათვალისწინებული საფუძვლები, გარდა აღნიშნული მუხლის „გ“ და „ე“ ქვეპუნქტებისა. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 394-ე მუხლის „ე“ ქვეპუნქტის თანახმად გადაწყვეტილება ყოველთვის ჩაითვლება კანონის დარღვევით მიღებულად, თუ გადაწყვეტილების დასაბუთება იმდენად არასრულია, რომ მისი სამართლებრივი საფუძვლიანობის შემოწმება შეუძლებელია. საკასაციო სასამართლო თვლის, რომ მოცემულ შემთხვევაში სახეზეა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 394-ე მუხლის „ე“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული საკასაციო საჩივრის აბსოლუტური საფუძველი, რაც სსკ-ის 412-ე მუხლის შესაბამისად არის სააპელაციო პალატის გასაჩივრებული განჩინების გაუქმების და საქმის ხელახალი განხილვისათვის დაბრუნების საფუძველი.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 1-ლი მუხლის მე-2 ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 390-ე, 399-ე, 412-ე მუხლებით და

დ ა ა ღ გ ი ნ ა :

1. შპს „...“ საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;
2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 03.05.11წ. განჩინება და საქმე ხელახალი განხილვისთვის დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს;
3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.